

339

ლამარა ნებერიძე

დასავლეთ ამიერკავკასიის
ნეოლითი

„მეცნიერება“

1972

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის
ინსტიტუტი

ИНСТИТУТ ИСТОРИИ, АРХЕОЛОГИИ И ЭТНОГРАФИИ
ИМ. И. А. ДЖАВАХИШВИЛИ

ლამარა ნებიერიძე

დასავლეთ აზიურკავკასიის ნეოლითი

34358 - 339 -



გამომცემლობა „მეცნიერება“
თბილისი
1972

+ 902.6 (47.922)

მონოგრაფია ეძღვნება დასავლეთ ამიერკავკასიაში აღმოჩენილი ახალიქვის ხანის ძეგლების შესწავლას. მასალის უდიდესი ნაწილი უკანასკნელი წლების კვლევა-ძიების შედეგადაა აღმოჩენილი და პირველად ქვეყნდება. ნაშრომში მოცემულია ნეოლითური ძეგლების დახასიათება და მათი განზოგადება-დათარიღების ცდა. აღნიშნული ძეგლების საფუძველზე გაშუქებულია დას. ამიერკავკასიის ნეოლითელი ტომების ისტორიის არაერთი საყურადღებო საკითხი. ამ ძეგლებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება არა მარტო საქართველოს ნეოლითის, არამედ საერთოდ კავკასიის უძველესი ისტორიის შესწავლისათვისაც.

ნაშრომი ძირითადად გამიზნულია კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ქვის ხანის არქეოლოგიის სპეციალისტებისათვის, ამასთანავე იგი დახმარებას გაუწევს საქართველოს უძველესი კულტურით დაინტერესებულ პირებსაც.

წინასიტყვაობა

ნეოლითის ხანა კავკასიის უძველესი ისტორიის პერიოდებს შორის ყველაზე ნაკლებადაა შესწავლილი.

დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითური ძეგლების განზოგადებას დიდი მნიშვნელობა აქვს კავკასიის ტერიტორიაზე მოსახლე ნეოლითური ტომების ისტორიის შესწავლისათვის. განსაკუთრებით დიდია ნეოლითის როლი მნიშვნელოვანი ისტორიული პრობლემების — მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის წარმოშობისა და განვითარების საკითხების კვლევისათვის, მითვისებითი მეურნეობიდან მწარმოებლურ მეურნეობაზე გადასვლის ხასიათის გარკვევისათვის. ნეოლითური ძეგლები პირველყოფილი მეთუნეობის წარმოშობისა და განვითარების საკითხების შესწავლის საშუალებას იძლევა. ამდენად, ამიერკავკასიის ნეოლითის შესწავლა კავკასიის არქეოლოგიის მეტად აქტუალური პრობლემაა.

უკანასკნელ წლებში ფართოდ გამოიღო არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად დასავლეთ ამიერკავკასიაში ახალი ქვის ხანის ბევრი ძეგლი გამოვლინდა, რის შედეგადაც ახლებურად გაშუქდა მისი უძველესი ისტორიის მრავალი საკითხი.

წინამდებარე ნაშრომში კავკასიის ნეოლითის პრობლემა განხილულია დასავლეთ ამიერკავკასიაში ადრე აღმოჩენილი კომპლექსების (ოდიში, კისტრიცი) და განსაკუთრებით კი უკანასკნელ წლებში მიკვლეული ძეგლების (ანასეული I, ანასეული II, გურიანთა, მამათი, კინტრიშის ნამოსახლარები) შესწავლის საფუძველზე, რომლის თხრაზეც ავტორს უშუალოდ უმუშავია. ამასთანავე გამოყენებულია ნიენაია შილოვკის (აღლერის რაიონი) ნეოლითური ნამოსახლარის მასალები და სტრატეგრაფიული მონაცემები.

ნაშრომი მიზნად ისახავს აღნიშნული ძეგლების სისტემატიზაციასა და განზოგადებას.

დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითური ძეგლების ტიპოლოგიური და შედარებითი შესწავლის საფუძველზე შესაძლებელი გახდა მათი ქრონოლოგიური ადგილის განსაზღვრა. დაზუსტდა და შესწორდა ზოგიერთი ძეგლის თარიღი, რომლებიც არქეოლოგიურ ლიტერატურაში ნეოლითურად იყო ცნობილი. ამ კომპლექსების მრავალმხრივი შესწავლის საფუძველზე შესაძლებელი გახდა კავკასიის შავიზღვისპირეთის ნეოლითურ კულტურაში ადრეული და გვიანი საფეხურების გამოყოფა და დახასიათება, გვიანნეოლითურ კულტურაში კი ლოკალური ვარიანტების გამოყოფა.

კინტრიშის ნამოსახლარებისა და ანასეული I-ის სახით დასავლეთ ამიერკავკასიის მეზოლითურ და გვიანნეოლითურ ძეგლებს მნიშვნელოვანი მკავშირებელი რგოლები შეემატა. გვიანნეოლითური ძეგლების აღმოჩენამ და შეს-

წავლამ კი უფრო მკაფიოდ წარმოაჩინა ენეოლითური კულტურის ფესვები და ამ კულტურების გენეტიკური კავშირი.

აღნიშნული ნეოლითური კომპლექსების ანალიზის საფუძველზე შეძლებისდაგვარად აღდგენილია ნეოლითელი ტომების „საოჯახო“ ყოფის, სამეურნეო საქმიანობისა და საქართველოში ნეოლითელი ადამიანის განსახლების სურათი.

დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითური ძეგლების განზოგადება ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნის სამხრეთის უძველესი წარსულის შესწავლას.

წინამდებარე ნაშრომი შესრულებულია ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ქვის ხანის არქეოლოგიის განყოფილებაში.

ნაშრომთან დართული ნივთიერი მასალა ჩახატეს კ. კვეესმა და ო. თორთლაძემ, ნახაზები და ფოტოები შეასრულა ო. თორთლაძემ.

უმსავალი

დიდი მეცნიერული ინტერესის მიუხედავად, კავკასიის ნეოლითური ძეგლები სადღეისოდ სუსტადაა შესწავლილი. ნეოლითური ნაშთების სისტემატური გამოვლინება მხოლოდ უკანასკნელ წლებში დაიწყო, რის გამოც ჭერჭერობით ბევრია ისეთი რაიონი, სადაც ახალიქვის ხანის ძეგლები არ არის მიკვლეული. ამ მხრივ ყველაზე უკეთესი მდგომარეობაა დასავლეთ ამიერკავკასიაში. უკანასკნელ წლებში აქ საკმაოდ ინტენსიურად მიმდინარეობს ამ პერიოდის მასალების ძიება, რის შედეგადაც აღმოჩენილი და შესწავლილია ნეოლითური ძეგლები, რომელთა უმრავლესობა დასავლეთ საქართველოზე მოდის.

1936 წ. ს. ოდიშში (ზუგდიდის რ-ნი) აღმოჩნდა კავკასიაში პირველი ნეოლითური ძეგლი¹. იგი მიაკვლია და შეისწავლა საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ალ. კალანდაძის ხელმძღვანელობით.

კავკასიაში პირველი ნეოლითური ნამოსახლარის აღმოჩენა მაშინვე აღინიშნა როგორც საბჭოთა², ასევე საზღვარგარეთულ სპეციალურ ლიტერატურაში³.

ოდიშის სადგომი ცნობილია, როგორც მეზოლითური და ნეოლითური ფენების შემცველი ძეგლი⁴. თუმცა ზოგიერთი მკვლევარი (ნ. ხოშტარია⁵) მას იმთავითვე ერთფენიანად მიიჩნევდა და ადრე ნეოლითით ათარიღებდა. უფრო გვიან იგივე მოსაზრება გამოთქვა ა. ფორმოზოვმა⁶.

პირველი ნეოლითური ძეგლის აღმოჩენამ საფუძველი მისცა მეცნიერებს ევარაუდათ ამიერკავკასიაში ნეოლითური კულტურის არსებობა. მაგრამ ნეოლითური ძეგლების შესწავლის წამოწყებას ფართო გასაქანი არ მიუღია მეორე

1 ალ. კალანდაძე, მეზოლითურ და ნეოლითურ კულტურათა ნაშთები საქართველოში, ენიშის მოამბე, ტ. IV, 3, თბილისი, 1939, 1936 წ. მოპოვებული მასალა ინახება ლენინგრადის ანთროპოლოგიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმში, კოლ. № 5491, 5493, ხოლო 1937 წ. განათხარი მასალა დაცულია აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქ. მუზეუმის არქეოლოგიის განყოფილების ფონდებში, კოლ. № 6—58.

2 М. З. Паничкина, Исследования по палеолиту Причерноморья в 1936 г., СА. V, 1940.

3 American Journal of Archeology, 1938, v. XLII, № 1, S. 147.

4 ალ. კალანდაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 363—371.

5 Н. В. Хоштария, Археологические разведки в бассейне р. Энгури, 1940, ხელნაბეჭდი, თბილისი, გვ. 16.

6 А. А. Формозов, Из истории передвижения групп первобытного человека в эпоху мезолита, СЭ № 1, 1953, стр. 171.

მსოფლიო ომის დაწყების გამო. ამის შემდეგ ადგილი ჰქონდა მხოლოდ თითო-ორთა შემთხვევით აღმოჩენას, რაც ზედაპირული მასალის შეკრებითა და ორიოდ სადაზვერვო თხრილით შემოიფარგლა. ყოველივე ამის გამო, კავკასიის არც ერთი ნეოლითური ძეგლი საფუძვლიანი შესწავლის საგანი არ გამოხდარა.

ნეოლითურად იყო მიჩნეული 1924 წ. პ. ჰაბუკიანის მიერ ქუთაისის მახლობლად, თეთრამიწის ბორცვზე და მის ჩრდილოეთით 5—6 კმ მანძილზე მდებარე სათაფლიას მთაზე აღმოჩენილი მასალა. 1924—34 წწ. პ. ჰაბუკიანი სისტემატურად კრებდა თეთრამიწაზე ზედაპირულ მასალას, რის შედეგადაც მოპოვებული იყო დიდი კოლექცია. მიუხედავად იმისა, რომ ეს მასალა დიდხანს რჩებოდა გამოუქვეყნებელი, თეთრამიწა არქეოლოგიურ ლიტერატურაში შევიდა, როგორც ნეოლითური ხანის ძეგლი⁷. მოგვიანებით ეს კომპლექსი შეისწავლა და გამოაქვეყნა არქეოლოგმა ნ. კილაძემ. თეთრამიწისა და სათაფლიას კოლექციებს იგი თანადროულად მიიჩნევს და განვითარებული ნეოლითით ათარიღებს⁸.

აღნიშნული ძეგლის თარიღს საგანგებოდ შევეხებით II თავში. აქ კი მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ ახლად აღმოჩენილი ნეოლითური და ადრეენეოლითური კომპლექსების შესწავლის შედეგად ცხადი გახდა, რომ ამ კომპლექსს ახალი ქვის ხანას ვეღარ მივაკუთვნებთ⁹.

1940 წ. მდ. ენგურის ხეობაში ჩატარებული არქეოლოგიური დაზვერვებისას, ნ. ხოშტარიამ მოიპოვა ნეოლითური მასალები ს. ურთასა და ურთას მთაზე. იგი ამ მასალებს ოდიშის თანადროულად მიიჩნევს და ადრე ნეოლითით ათარიღებს¹⁰. სამწუხაროდ, რამდენიმე წიგნის გარდა, ურთის კოლექცია მთლიანად დაიკარგა და მისი გათვალისწინება არ ხერხდება.

1941 წ. ა. ლუკინმა და ლ. სოლოვიოვმა გუდაუთაში, კისტრიკის ღელის ნაპირზე, აღმოაჩინეს ნეოლითური სადგომი. ოდიშის მსგავსად, ფენები აქაც დაზიანებული იყო, ხოლო მასალა — უშუალოდ მიწის ზედაპირზე მიმობნეული. მისი შეგროვებისა და საცდელი თხრილების საშუალებით ა. ლუკინმა კისტრიკში შეკრიბა საკმაოდ დიდი ნეოლითური კოლექცია. ამ ძეგლს ა. ლუკინი ერთფენიანად მიიჩნევდა და ნეოლითის ხანით ათარიღებდა¹¹. ამავე პუნქტში მათ მიერ უკანასკნელ წლებში მოპოვებული მასალა გამოქვეყნებულია.

1950 წ. გამოქვეყნდა პირველი ცნობა ანასეულში (მახარაძის რ-ნი) ნეო-

7 А. П. Круглов, Б. Б. Пиотровский, Г. В. Подгаецкий, Могильник в Нальчике, МИА № 3, 1941, стр. 114.

8 Б. Б. Пиотровский, Археология Закавказья, 1949, стр. 28.

9 ნ. კილაძე, ახალი ქვის ხანის ძეგლები თეთრამიწიდან. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკ. 29, 1951, გვ. 259.

10 დ. თუშაბრამიშვილი, შუა კავკასიონის სამხრეთი კალთების პალეოლითური ექსპედიციის ყვირილას რაზმის მიერ 1959 წ. ჩატარებული სავლე სამუშაოების შედეგები, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო სესია, მოხსენებათა თეზისები, 1960, თბ.; А. А. Формозов. Каменный век и энеолит Прикубанья, 1965, М., стр. 146, 135. Л. Д. Небридзе, О датировке некоторых «неолитических» памятников Грузии Всесоюзная научная сессия посвященная итогам полевых археологических исследований 1966, Краткое содержание докладов, 1967, г. Кишенев.

11 Н. В. Хостария, Указ. соч., стр. 16—18.

11 А. Л. Лукин, Неолитическое селище Кистрик близ Гудаут, СА, XII, 1950, стр. 247—286. მასალა დაცულია სოხუმისა და ახალი ათონის მუზეუმებში.

ლითური ნაშთების აღმოჩენის შესახებ¹². 1955 წ. არქეოლოგიურ ლიტერატურაში კვლავ აღინიშნა მახარაძის რაიონში ნეოლითური სადგომების შესწავლის საკიროება¹³. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეს ძეგლები დიდხანს რჩებოდა უყურადღებოდ.

აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ნ. კილაძის (ბერძენიშვილი) ხელმძღვანელობით 1951—52 წწ. თერჯოლის რაიონში, ს. ძეგრის ჩრდილოეთით, მდ. ძეგრულას ხეობაში გათხარა მრავალფენიანი მღვიმე „საგვარჯილე“. აქ აღმოჩენილ II ფენას ნ. ბერძენიშვილი გვიანი ნეოლითით ათარიღებს¹⁴. საგვარჯილეს „ნეოლითური“ კომპლექსის ტიპოლოგიურ-ქრონოლოგიური ანალიზი მოცემული გვაქვს II თავში. აქ მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ „საგვარჯილეს“ II ფენის მასალა თეთრამიწის მსგავსად ნეოლითის ჩარჩობებში ვეღარ მოთავსდება¹⁵.

კავკასიის ნეოლითის ქრონოლოგიის ზოგიერთი საკითხის გაშუქებაში დიდი როლი შეასრულა 1957 წ. აღღერის მახლობლად, ს. ნიჟნაია შილოვკაში ა. სტოლიარისა და ა. ფორმოზოვის მიერ ნეოლითური ნამოსახლარის გათხარამ, სადაც მიკვლეული იყო უძრავი ფენა. აღნიშნული ძეგლის შესწავლამ ხელი შეუწყო კავკასიისა და ყირიმის ნეოლითის შესახებ განმარტვადებული ნაშრომის შექმნას¹⁶. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ ნაშრომში კავკასიის შავიზღვისპირეთის მასალები მეტად ზერელედაა განხილული, ზოგ შემთხვევაში აღდილი აქვს ფაქტების დამახინჯებასაც და არასწორ დასკვნებს¹⁷. მიუხედავად ზემოთქმულისა, ნაშრომი წარმოადგენს კავკასიის ნეოლითის დახასიათების პირველ ცდას.

მეცნიერულად გათხრილი თუ შემთხვევით აღმოჩენილი ძეგლების შესწავლამ შექმნა საფუძველი ნეოლითური კულტურის კვლევისათვის საქართველოში.

1958 წლიდან აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტი დასავლეთ საქართველოში სისტემატურად აწარმოებდა ნეოლითური ძეგლების კვლევა-ძიებას, რის შედეგადაც არაერთი ნამოსახლარი აღმოჩნდა და შეისწავლეს. ამავე წლიდან მახარაძის რაიონში წარმოებდა ნეოლითური ძეგლების დაზვერვა (ხელმძღვ. ისტ. მეცნ. კანდ. ა. კალანდაძე) და მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული ამავე ხანის მასალების დამუშავება. დაზვერვების შედეგად ნეოლითური ხანის სადგომების არსებობა დადასტურდა ანასეულში, სოფ. ბზვანში, ექადიაში, ნარუჯაში, ვაკიჯვარში, გოშველში, საირმისა და მერიაში.

ყველაზე საყურადღებო მასალები შეიკრიბა ქ. მახარაძის სამხრეთ დასავ-

¹² ი. ჯ ა ვ ა რ ი ძ ე, დაზვერვითი ექსპედიცია გურიაში, აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქ. მუზეუმის მოამბე, ტ. XVI-B, 1950, გვ. 110.

¹³ Н. В. Хоштария, Археологическое исследование Уреки, მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის, ტ. I, 1955, გვ. 71.

¹⁴ ნ. კილაძე, მრავალფენიანი არქეოლოგიური ძეგლი „საგვარჯილე“, საქ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. 14,9, 1953, გვ. 562—567.

¹⁵ Л. Д. Небиеридзе, О датировке некоторых «неолитических» памятников Грузии, Всесоюзная научная сессия, посвященная итогам полевых археологических исследований 1966 г. Краткое содержание докладов, 1967, Кишнев.

¹⁶ А. А. Формозов, Неолит Крыма и черноморского побережья Кавказа, МИА, № 102, 1962, стр. 89—149.

¹⁷ აღნიშნულ ნაშრომში გაკეთებულ არასწორ დასკვნებზე ქვემოთ გვაქვს საუბარი, იხ. გვ. 73, 74, 76, 77, 92.

ლეთით 1,5 კმ-ის მანძილზე მდებარე ანასეულის ბორცვებზე¹⁸. ჩვენი ყურადღება ამ ძეგლებზე შეჩერდა. მნიშვნელოვანი კოლექციები შეიკრიბა ანასეულში — ცენტრალური ბორცვის ჩრდილო ნაწილში, მეტეოსადგურის ტერიტორიაზე (ანასეული I) და მის სამხრეთით 1,5 კმ-ის დაშორებით მდებარე ბორცვ „მიწის ციხეზე“ (ანასეული II).

1959 წ. მახარაძის რაიონში გავაგრძელეთ დაზვერვითი სამუშაოები (ხელმძღვ. ისტ. მეცნ. კანდ. ა. კალანდაძე), ხოლო ანასეულის მიდამოებში სტრატეგრაფიის დადგენისა და მასალის მოპოვების მიზნით თხრილები გაიჭრა „მეტეოსადგურის“ ფართობზე (ანასეული I), ბორცვ „მიწის ციხეზე“ (ანასეული II), ვიგიბერიას გორაზე, ს. ბზვანსა და ს. ექაღიაში, უკანასკნელ სამ პუნქტში საძიებო თხრილებს მნიშვნელოვანი შედეგები არ მოუტიათ. ხოლო ანასეულ I-ზე და ანასეულ II-ზე მოპოვებული იყო დიდძალი მასალა.

1958—60 წწ. საქართველოს შავიზღვისპირეთის ქვის ხანის შემსწავლელ არქეოლოგიურ ექსპედიციაში მუშაობის დროს ახალი ათონისა და გუდაუთის მიდამოებში ჩავატარეთ არქეოლოგიური დაზვერვები, რის შედეგადაც კისტრიკში შევკრიბეთ ნეოლითური ხანის საკმაოდ მოზრდილი კოლექცია (640 ერთ.).

აჭარის ასსრ ტერიტორიაზე უკანასკნელ ხანებამდე ქვის ხანის უძველესი ნამოსახლარები არ იყო ცნობილი. ეს ვითარება აიხსნებოდა მისი შეუსწავლლობით, რადგან აჭარა თავისი ბუნებრივი მონაცემებით საფუძველს იძლეოდა აქაც, როგორც საქართველოს შავიზღვისპირეთის სხვა ადგილებში, გვევარაუდნა უძველესი დასახლების მძლავრი კერები.

1959 წ. არქეოლოგებმა ი. გელიშვილმა, დ. ხახუტაიშვილმა და ა. რამიშვილმა ქობულეთის რაიონში არქეოლოგიური დაზვერვების დროს მდ. კინტრიშის ხეობაში, ს. ხუცუბანში შეაგროვეს კაჟისა და ობსიდიანის მასალა.

1960 წ. საქართველოს შავიზღვისპირეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ნეოლითურმა რაზმმა ს. ხუცუბანში მოკლევადიანი დაზვერვითი სამუშაოები ჩაატარა და ახალი მასალები მოიპოვა. ახლად აღმოჩენილმა, საკმაოდ მეტყველმა ნეოლითურმა მასალამ უფლება მოგვცა იგი სისტემატური კვლევის ობიექტად გავვხვადა და 1961 წლიდან ფართოდ გავვეშალა დაზვერვითი სამუშაოები.

დაზვერვითი სამუშაოები ჩავატარეთ აგრეთვე ს. ქობულეთში, სადაც ხუცუბანის მსგავსი მასალა აღმოჩნდა.

1960—62 წწ. მდ. კინტრიშის აღნიშნულ ნამოსახლარებზე ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად მოვიპოვეთ საკმაოდ დიდი კოლექციები. ეს მასალა და მისი აღმოჩენის პირობები უფლებას გვაძლევს აღვნიშნოთ, რომ მდ. კინტრიშის ხეობის ნეოლითური ნაშთები აჭარის ასსრ ტერიტორიაზე ქვის ხანის ადამიანის ცხოვრების პირველი მაუწყებელია.

1960 წლიდან ანასეულის ძეგლები საქართველოს შავიზღვისპირეთის ქვის ხანის შემსწავლელი არქეოლოგიური ექსპედიციის საკვლევ ობიექტებში შევიდა (ხელმძღვ. ისტ. მეცნ. ნ. ბერძენიშვილი). აღნიშნული ექსპედიციის ნეოლითური რაზმი აწარმოებდა ანასეულის ძეგლების გათხრას და დაზვერვით

¹⁸ ანასეულის ძეგლებს ყურადღება მიაქციეს და ზედამიერული მასალები შეკრიბეს ანასეულის ჩაის მრეწველობის ინსტიტუტის მეცნიერმა თანამშრომელმა ვ. შარკოვსკიმ და მახარაძის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ყოფილმა თანამშრომელმა მ. თავდუმაძემ. აღნიშნულმა პირებმა გულისხმიერი დახმარება გავვიწყის ანასეულში მუშაობისას, რისთვისაც მათ უღრმეს მადლობას მოვახსენებთ.

სამუშაოებს მახარაძისა და ლანჩხუთის რაიონებში. დაზვერვებისას ლანჩხუთის რაიონის ს. მამათში აღმოჩნდა ახალი ნეოლითური სადგომი¹⁹.

1960—63 წწ. ნეოლითური რაზმი სოფ. მამათში აწარმოებდა მოკლევადიან არქეოლოგიურ სამუშაოებს, რის შედეგადაც იქ მოპოვებული იყო მნიშვნელოვანი ნეოლითური კოლექცია.

1961 წ. მუშაობა შემოიფარგლა ანასეული I-ის ტერიტორიით. მუშაობის მიზანი იყო ნებადართული ფართობის მთლიანი გათხრა და კულტურული ნაშთების გავრცელების საზღვრების დადგენა. აღნიშნული სამუშაოების შედეგად ჩვენს ხელთ აღმოჩნდა საკმაოდ დიდი და საინტერესო კოლექცია, რომელიც წარმოდგენას იძლევა ნეოლითის ხანის ერთ გარკვეულ პერიოდზე.

1962 წ. გათხრები მხოლოდ ანასეულ II-ზე წარმოებდა. ამ წელს მთლიანად გაითხარა ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო ინსტიტუტის მიერ ნებადართული ფართობი.

1963 წ. აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის ისტორიული გეოგრაფიის განყოფილების ექსპედიციის (ხელმძღვ. აკად. ნ. ბერძენიშვილი) ქვის ხანის შემსწავლელი რაზმი დაზვერვით სამუშაოებს აწარმოებდა გურიანთის (მახარაძის რ-ნი) ტერიტორიაზე, რის შედეგადაც გურიანთაში, ს. ციხისფერდში აღმოჩენილი და გათხრილი იყო ახალი ნეოლითური ნამოსახლარი*.

ზემოთ ჩამოთვლილი კომპლექსებით ამოიწურება დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითური ძეგლების რიცხვი. რაც შეეხება სამხ ალმ. ამიერკავკასიას, ნეოლითის შესწავლის თვალსაზრისით აქ გაცილებით უარესი მდგომარეობაა. სომხეთსა და აზერბაიჯანში ნეოლითი კვლევის საგნად ჯერჯერობით არავის გაუხდია. თითო-ოროლა აღმოჩენაა ცნობილი აღმოსავლეთ საქართველოდანაც.

აღმოსავლეთ საქართველოში ნეოლითის აღმოჩენის შესახებ პირველი ცნობა აქვს აკად. ს. ჯანაშიას. 1925 წ. თბილისის მიდამოებში, ე. წ. „დათიკას“ მთაზე, მას შეუგროვებია ნეოლითური იერის ანატექცები²⁰. დღეისათვის ეს კოლექცია დაკარგულია და არ ხერხდება მისი თარიღის შემოწმება.

მოსკოვის ისტორიულ მუზეუმში დაცულია ა. იოაკიმოვის მიერ წალკის ზეგანზე შეკრებილი ნეოლითური ელფერის ობსიდიანის მასალა, რომლის აღმოჩენის დრო და ზუსტი ადგილი უცნობია.

1957 წ. ხრამის ხეობის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვ. ისტ. მეცნ. კანდ. ნ. ბერძენიშვილი) წინწყაროს მახლობლად ს. ქოსალართან შეკრიბა ობსიდიანის მასალისაგან შემდგარი პატარა კოლექცია, რომელიც ნ. ბერძენიშვილმა წინასწარ ნეოლითით დაათარიღა.

1959 წ. ლავოდენის რაიონში ს. ულიანოვკის მიდამოებში შემთხვევით მოპოვებული იქნა ქვის მასალისაგან შემდგარი პატარა კოლექცია (დაახლ. 15-ოდენივით), რომელსაც გ. ჯავახიშვილი ნეოლითის დასასრულით და ენეოლითის დასაწყისით ათარიღებს²¹. მასალის სიმცირის გამო დაბეჯითებით მსჯელობა ამ კოლექციის თარიღის შესახებ ჭირს. შემდგომი კვლევა-ძიების შედეგად შესაძლებელი გახდება ძეგლის ფართო შესწავლა და მისი თარიღის დაზუსტება.

19 ლ. ნებერიძე, მამათის ნეოლითური ხანის ძეგლები, ანოტაცია მოხსენებისა — წაკითხული ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა XIV სამეცნიერო კონფერენციაზე, 1964, თბილისი.

* ნამოსახლარი მიაკვლია არქეოლოგმა გ. გრიგოლიამ.

20 С. Н. Джанашиа, Стоянка доисторического человека в окрестностях г. Тбилиси, «Заря Востока», 1925, I, IV. № 840.

21 გ. ჯავახიშვილი, ნეოლითური მასალა ლავოდენის რაიონიდან, მასალები საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, 1966, თბ., გვ. 3—11.

აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა რაიონში მრავლადაა ნაპოვნი ქვის ცალკეული იარაღები, რომელთა თარიღი პრობლემატურია. მათი შემოწმება შესაძლებელი იქნება მხოლოდ ახალი კომპლექსების აღმოჩენითა და შესწავლით.

ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიაში ნეოლითური ნამოსახლარები დღემდე არ არის შესწავლილი, აქედან ცნობილია მხოლოდ ორიოდე სადგომი და ნეოლითური იერის შემთხვევით მოპოვებული მასალა. დღესტანში ქ. მახაჩყალის მახლობლად ომის შემდგომ წლებში ვ. მარკოვინმა აღმოაჩინა პირველი ნეოლითური იარაღები²². 1954 წ. ქ. ბუინაკსკის მახლობლად ვ. მარკოვინმა და პოლიქრონიდომ მიაკვლიეს ნეოლითურ სადგომს²³. მაგრამ ისინი დღემდე შეუსწავლელია.

მსგავსი მდგომარეობაა ჩრდილო კავკასიის ცენტრალურ და დასავლეთ რაიონებშიც. აქ ჭერჭერობით არც ერთი ნეოლითური ძეგლი არ არის საფუძვლიანად გამოკვლევლი. ჩრდილო ოსეთიდან და ყაბარდოიდან ცნობილია მხოლოდ ნეოლითური ელფერის ცალკეული იარაღები. უკანასკნელ წლებში მდ. ბელაიაზე მიკვლევულ კამენომოსტსკაიას მრავალფენიან მღვიმეში დადასტურდა ნეოლითური თხელი ფენა²⁴. აგუბეკოვოს²⁵ (ნალჩიკთან) ნამოსახლარისა და ნალჩიკის სამაროვნის²⁶ თარიღი კი გადასასინჯია. ეს ძეგლები ნეოლითის ჩარჩოებში ვეღარ მოთავსდებიან. ზემოთ აღნიშნულიდან საყურადღებოა, რომ ყველა ნეოლითური სადგომი დასავლეთ ამიერკავკასიაშია აღმოჩენილი, აღმოსავლეთ ამიერკავკასიიდან კი მხოლოდ შემთხვევითი მასალაა ცნობილი. ეს მდგომარეობა უნდა აიხსნას ამიერკავკასიის სხვადასხვა ნაწილის არათანაბარი შესწავლით. აღნიშნულ პერიოდში მთელს კავკასიაში ხელსაყრელი პირობები იყო ადამიანთა საზოგადოების არსებობისათვის. უფრო მეტიც, სავარაუდებელია, რომ კავკასიაში ნეოლითური ძეგლები უფრო ფართოდ იყო გავრცელებული, რადგან ნეოლითის განვითარებული მეურნეობის ფორმები ხელს უწყობდა მოსახლეობის ზრდას და ტომთა განსახლებას.

დასავლეთ ამიერკავკასიაში დღემდე შემოგვინახა შორეული გეოლოგიური წარსულის სუბტროპიკული ჰავის ნიშნები, ფლორასა და ფაუნაში კი მესამეულის რელიქტური ფორმები²⁷.

დასავლეთ ამიერკავკასიის ჩრდილოეთ ბუნებრივ საზღვარს წარმოადგენს კავკასიონის მთავარი ქედი, რომელიც ქმნის ერთგვარ ზღუდეს და იცავს ამიერკავკასიას ჰაერის ცივი მასებისაგან. აღმოსავლეთიდან მას ესაზღვრება კავკასიონიდან მიმავალი ლიხის ქედი, რომელიც უშუალოდ გადადის აჭარა-იმერეთის ქედში. დასავლეთიდან ეკვრის შავი ზღვა, ხოლო სამხრეთიდან მას შავშეთის ქედი ზღუდავს.

ამრიგად, დას. ამიერკავკასიის ცეომორფოლოგიური აგებულების საერთო დამახასიათებელი ნიშანია მის გარშემო დიდი ქედების განლაგება სამკუთხედად,

22 В. И. Марковин, Археологические находки с территории Тарнаира (Дагестан), КСИИМК, 67, 1957, сс. 117—120.

23 В. И. Марковин, Р. М. Мунчаев, Неолитическая стоянка близ города Буйнакска (Дагестан), КСИИМК, 67, 1957, сс. 78.

24 А. А. Формозов, Каменный век и энеолит Прикубанья, 1965, М.

25 Е. Ю. Кричевский, А. П. Круглов, Неолитическое поселение близ Нальчика, МИА, № 3, 1941, сс. 51.

26 А. П. Круглов, Б. Б. Пиотровский и Г. В. Подгаецкий, *დასავ. ნაშრ.*, сс. 68—133.

27 А. А. Колаковский, Растительный мир Колхиды, 1961, М., стр. 5.

ხოლო დასავლეთიდან შავი ზღვის მდებარეობა. ამგვარი გეომორფოლოგიური აგებულების წყალობით დას. ამიერკავკასია სამი მხრიდან დაცულია გარეგანი ატმოსფერული გავლენებისაგან. თავისებურმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ ხელი შეუწყო დას. ამიერკავკასიაში ნოტიო სუბტროპიკული ჰავის გაბატონებას²⁸. დას. ამიერკავკასიის ბორცვოვან მთისწინა ზოლში გვხვდება ყვითელმიწები და წითელმიწები. მდინარეთა ტერაქვენატროვანი ნიადაგები²⁹.

დას. ამიერკავკასია ხასიათდება მცენ. ზოლში გვხვდება ხმელთაშუაზღვის ნებით. კოლხეთის დაბლობის ზღვისპირა და კახეთის ზღვისპირა ზოლში შემორჩეტიბის ბუჩქნარები ხშირი ლიანებით. აფელიქტი. ზღვისპირა ბუჩქნარის შემნილია ბიჭვინტის ფიჭვი — მესამეულის (

დედ იწყება ნოტიო კოლხეთის ტყე³⁰. ამიერკავკასიის ნეოლითური სადგომების დღესდღეობით ცნობილი დასავლეთ სპირა, შემადლებულ ტერასებზე ან მების უმეტესობა მდებარეობს მდინარის დეფნის კისტრიკის სადგომი, რომელიც მთისწინა ბორცვებზე. გამონაკლისს შეაქ) ზღვის ტერასაზე, დეფნის კისტრიკის მიკვლეულია ოდნავ შემადლებულ (4 მ) აფუძნებულია ბორცვებისა და ტერაშესართავთან შავ ზღვაში. მიოცენ-პლიოცენის ასაკის თიხები.

ძირითადი ქანები, რომლებზედაც მრავს ალუვიური წარმონაქმნები, წარსების მეოთხეული დანალექები, არის იური თვალსაზრისით კი ეს წითელმიბორცვოვან და ტერასულ რელიეფს ფარმოდგენილი³¹.

მოდგენილი წითელ მიწებით. ლითოლოგკოვანი და ტერასული რელიეფის წარწები უმეტესად თიხების სახეობებითაა წამეული და მეოთხეული ასაკის ნალეამგვარად; დას. ამიერკავკასიის ბორც ნეოლითური სადგომების მიკრორაიომოქმნაში ძირითადად მონაწილეობს მეს.ნს მდინარეებით ღრმად დასერილ, ინქები, მორფოლოგიური თვალსაზრისით გამოც რელიეფს აქვს დანაწევრებუენების ბორცვოვანი რელიეფი წარმოადგეოქს შორის მიიმართება ანასეულ-ლაიტენსიურად ეროზირებულ რაიონს, რომ ბორცვების ზონაში მდებარეობს ანალი ხასიათი³². სადგომები.

მდ. ნატანებსა და მის შენაკად ჩოლ, ისეთ ბორცვებსა და ტერასებზე, თურის ბორცვოვანი წყება. აღნიშნული კას უკავშირდება. გარდა ამისა, აღნიშსეულისა და გურიათის ნეოლითური იია, რაც მრავალრიცხოვანი წყაროეაღნიშნული სადგომები მდებარეობ, რომ ამ ბორცვებზე და ტერასებზე რომლებიც უშუალოდ მდინარეს ან ზღვუნდა ყოფილიყო წყლით. აღნიშნული ნულ ბორცვებზე ბევრი მიწისქვეშა წყადღღესაც გამოირჩევა მიწათმოქმედებიასსკის აკლამოულ... მათ... იტრთობში ასი

28 М. О. Кордзахия, Типы климатов Грузии и зоны их распространения, Сообщ. АН Груз. ССР. т. 7, № 8, 1946.

29 მ. საბაშვილი, საქართველოს ნიადაგები, 1948, თბილისი.

30 А. А. Колаковский, დასახ. ნაშრომი, გვ. 17.

31 К. Н. Жакели, Опыт физико-географической характеристики бассейнов рек Сурпы и Натанеби, Диссер. работа на соискание уч. степени канд. геогр. наук (рукопись), ТГУ, кафедра физического страноведения, стр. 34.

32 А. Н. Джавахишвили, Геоморфологические районы Грузинской ССР, Изд. АН ССР, 1947, стр. 18—20.

ამგვარად, ნეოლითური სადგომების მიკრორაიონებში არსებული ნოციერი ნიადაგები, მდინარეთა ხშირი ქსელი, კარგი სასმელი წყაროები, თბილი და ნოტიო სუბტროპიკული ჰავა ქმნიდა ყველა პირობას პირველყოფილი მწათმოქმედების ჩასახვისა და განვითარებისათვის. საფიქრებელია, რომ სწორედ ამ ნიშნების გათვალისწინებით იყო ნაკარნახევი საცხოვრებლად ამგვარი ბორცვებისა და ტერასების არჩევა.

საქართველოს შავიზღვისპირეთი, სადაც მდებარეობს ჩვენს მიერ შესწავლილი ნეოლითური სადგომები, განსაკუთრებით კარგადაა შესწავლილი პალეობოტანიკური თვალსაზრისით.

1930 წ. ანასეულის ჩრდილო აღმოსავლეთით, მთა წვერმაღალას მიდამოებში ი. პალიბინმა³³ და ე. ილინმა ჩაუდის დანალექების ქვედა ფენებში დიდი რაოდენობით აღმოაჩინეს მცენარეული ნაშთები. ა. გროსჰეიმის გამოთვლით, დას. ამიერკავკასიის ფლორის სახეობათა შემადგენლობაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ძველი ტიპის 241 სახეს³⁴. ძველ სახეთა სიმრავლე აიხსნება პლეისტოცენის დროიდან ამ ტერიტორიის უმნიშვნელო ეკოლოგიური ცვლილებებით³⁵. დას. ამიერკავკასიის მცენარეული საფარველის მნიშვნელოვანი ნაწილი წარმოდგენილია მესამეული რელიქტური სახეებით. მისი განმარბებული ფლორის შესწავლის შედეგად ი. პალიბინმა³⁶ და ე. ყარა-მურზამ³⁷ აღნიშნავენ, რომ თანამედროვე მცენარეული საფარველი მომდინარეობს ადრე არსებულ მცენარეთა სამყაროდან, კერძოდ კი ზედა მესამეულის დროიდან. ზემოთ მოყვანილი მონაცემები დას. ამიერკავკასიის განმარბებული ფლორის შემადგენლობის შესახებ მიუთითებს ამ რაიონში მესამეულის ბოლოდან თბილი და ნოტიო ჰავის არსებობაზე. აღნიშნულმა ჰავამ ხელი შეუწყო კოლხეთის ტიპის მცენარეულობის გავრცელებას. საინტერესოა ა. გროსჰეიმის მითითება იმის შესახებ, რომ დას. ამიერკავკასიის განმარბებულ ფლორაში გვხვდება მცენარეთა ისეთი სახეები, რომელიც დღემდე ხარობს კავკასიაში, კერძოდ კი იმ ადგილებში, სადაც მისივე განათხარი ნაშთებია ნაპოვნი³⁸.

ზედა მესამეულის დროიდან უმნიშვნელო ეკოლოგიურ ცვლილებებზე მეტყველებს დას. ამიერკავკასიის ფაუნაში რელიქტური სახეების მრავლად არსებობა³⁹. ამ მხარის მთავარი მდინარეების წარმოქმნაც მესამეულის ბოლოს უკავშირდება⁴⁰.

ამრიგად, დას. ამიერკავკასიის გეოლოგიური, პალეობოტანიკური და პალეოზოოლოგიური შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ აქ ბუნებრივი პირო-

³³ И. В. Палибин, Отчет о состоянии деятельности нефтяного геологоразведочного института за 1936 г., 29, 1937.

³⁴ А. А. Гроссгейм, Анализ флоры Кавказа. Труды БИП Аз. ФАН, т. I, Баку, 1936.

³⁵ Н. А. Буш и Е. А. Буш, Ботанико-географический очерк Кавказа. Изд. АН СССР, 1935, Л.

³⁶ И. В. Палибин, Ископаемая флора Годердзского перевала. Флора и систематика высших растений, Изд. АН СССР, 1937.

³⁷ Э. Н. Кара-Мурза, Растительные остатки чаудских слоев Юго-Западной Грузии, флора и систематика высших растений, вып. 5, изд. АН СССР, 1941.

³⁸ А. А. Гроссгейм, Указ. соч., стр. 180.

³⁹ А. А. Садовский, Очерки животного мира Аджарии. Курорты Адж. АССР, Тбилиси, 1953.

⁴⁰ А. Н. Джавахишвили, Указ. соч., стр. 21

ბები, დაწყებული ზედა მესამეულის დროიდან, თითქმის არ განსხვავდებოდა დღევანდელისაგან, რომ აღნიშნული მხარე ხასიათდებოდა თბილი და ნოტიო სუბტროპიკული ჰავით, ხოლო მისმა ცხოველთა და მცენარეულმა სამყარომ შეინარჩუნა მესამეული პერიოდის ხასიათი.

ზემოთქმული მოწმობს, რომ ნეოლითელ ადამიანს ცხოვრება უხდებოდა ისეთივე ბუნებრივ პირობებში, როგორც ამჟამადაა დასავლეთ ამიერკავკასიაში.

დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითური ძეგლები და მათი სტრატობრაფიის საკითხი

§ 1. სტრატობრაფიის შესახებ

დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითური ნამოსახლარები სტრატობრაფიის დაცულობის მხრივ ცუდ მდგომარეობაშია, რადგან შავიზღვისპირეთში არსებული ბუნებრივი პირობები — ნოტიო, სუბტროპიკული ჰავა, ხშირი ნალექიანობა, ნიადაგის არამყარი საფარველი, სხვა არახელსაყრელ მიზეზებთან ერთად ხელს უშლიდა ღია სადგომებზე ისტეოლოგიური მასალის შენახვას.

უძრავი კულტურული ფენა დას. ამიერკავკასიაში ჯერჯერობით ნაპოვნია მხოლოდ ნიენაია შილოვკის¹ ნამოსახლარზე, ამ სადგომის ტერიტორიაზე, მდ. ფსოუს ნაპირის გასწვრივ გაკეთებულ სტრატობრაფიულ კრილში მკაფიო ლინზის სახით გამოვლინდა 0,4—0,8 მ სისქის უძრავი ნატროვანი კულტურული ფენა, ქვარგვალეების ჩანართითა და დამუშავებული კაყისა და კერამიკის მრავალრიცხოვანი ნაშთებით. ეს ფენა მოთავსებული იყო 0,8—1 მ სისქის მკვრივი თიხნარის ქვეშ, რომელშიც აგრეთვე ჩართული იყო ქვარგვალეები და ცალკეული კულტურული ნაშთები. ამ ფენის ქვეშ იყო 0,2—0,4 მ სისქის მკვრივი ყვითელი თიხები, რომელთაც თავის მხრივ სცვლიდნენ დაახლოებით 2 მ სისქის მაიკობის ლურჯი თიხები. ქვედა ორი ფენა ნაშთებს არ შეიცავდა.

ნიენაია შილოვკის კულტურულ ფენაში აღმოჩენილი ნაშთების შესწავლის შედეგად აქ მიკვლეული იყო ოდიშის ტიპის ნეოლითური ნამოსახლარი, რომლებშიც მიკროლითური ტექნიკა და გეომეტრიული მიკროლითები თანაარსებობდა მაკროლითურ ტექნიკასთან. ქვის გახეხილ-გაპარიალებულ იარაღებთან და კერამიკასთან ერთად. გაირკვა, რომ ამ ნამოსახლარის სახით საქმე გვაქვს ერთფენიან ნეოლითურ ძეგლთან, რომლისთვისაც დამახასიათებელია ზემოხსენებული ელემენტები.

ნიენაია შილოვკაში უძრავი ფენის აღმოჩენამ გადაწყვიტა ოდიშის ტიპის ძეგლების ფენათა რაოდენობის საკითხი², როგორც ცნობილია, ეს საკითხი სადავო იყო და ხშირად ისმებოდა არქეოლოგიურ ლიტერატურაში, ხოლო მისი გადაწყვეტა მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც იგი ვრცელდებოდა ამავე ტიპის ძეგლებზეც.

ოდიშში, ისევე როგორც საქართველოს სხვა დანარჩენ ნეოლითურ სადგომებზე, არ იყო ნაპოვნი უძრავი კულტურული ფენა.

ოდიში მიჩნეული იყო ორფენიან ძეგლად, რომელიც მეზოლითური და

¹ А. А. Формозов, დასახ. ნაშრომი, გვ. 129—131.

² იქვე, გვ. 144.

ნეოლითური ხანის კომპლექსებს შეიცავდა³. არქეოლოგთა უძრავლესობა ოდიშს ორფენიანად თვლიდა, თუმცა ზოგიერთები⁴ ექვს გამოთქვამდნენ და ამტკიცებდნენ მის ერთფენიანობას. ამ საკითხის გადასაწყვეტად მაშინ მასალა თითქმის არ არსებობდა. იგი უნდა გარკვეულიყო ახალი ძეგლების შუქზე, მათი ტიპოლოგიური და სტრატეგრაფიული შესწავლით. სადღეისოდ დას. ამიერკავკასიაში ოდიშის ტიპის ძეგლების რიცხვი გაიზარდა (კისტრიკი, ანასეული II, გურიანთა, მამათი, ქვ. შილოვკა). ყველა მათგანზე მიკროლითების, მაკროლითებისა და კერამიკის თანარსებობა ანგარიშგასაწევი ფაქტია. რა თქმა უნდა, ძნელია ამგვარი დამთხვევა შემთხვევითობით აიხსნას. მითუმეტეს, რომ ახლა ნიქნაია შილოვკის სტრატეგრაფია ამ კომპლექსების ერთფენიანობის სასარგებლოდ ლაპარაკობს.

ზემოთ აღნიშნულ მოსაზრებას ოდიშის ტიპის კომპლექსების ერთფენიანობის შესახებ არ ასუსტებს ის გარემოება, რომ ოდიშის, კისტრიკის, ანასეული II-ის ძეგლებზე არის აშკარად გვიანდელი ელემენტებიც, როგორცაა ლითონის გადამუშავების ნაშთები, ჩარხზე ნაკეთები მოწითალო კერამიკა სავარცხლისებური ზოლებით, ამფორის ძირები (მსგავსი კერამიკა ძალიან დამახასიათებელია კავკასიის შავიზღვისპირეთის ანტიკური ხანისათვის⁵) და გვიანდელი ფორმის გახვრეტილი ორიოდე იარაღი. კისტრიკში ნაპოვნია აგრეთვე რკინის შუბი და ტყვიის ზვიები⁶. ანასეულ II-ში ნაპოვნია რკინის ხანის პატარა კოჭობი, დაბალი ჯამი და ჭურჭლის ყურები რქისებური შვერილებით.

ზემოთ ჩამოთვლილი მასალის გვიანდლობა იმდენად აშკარაა, რომ შეუძლებელია მათი შერევა ძირითად ნეოლითურ კომპლექსებთან, ხოლო სხვა გვიანდელი ნიშნები (ენეოლითი) ამ კომპლექსებში არ შეიმჩნევა. რაც შეეხება დასავლეთ ამიერკავკასიის დანარჩენ ძეგლებს, როგორც აღვნიშნეთ, არც ერთ მათგანზე არ იყო ნაპოვნი უძრავი კულტურული ფენა.

ანასეულის მიდამოები ამჟამად მთლიანად გამოყენებულია სუბტროპიკული კულტურებისათვის, რისთვისაც გაკეთებულია ღრმა პლანტაჟი. მანამდე კი ანასეულის ბორცვები დაფარული იყო წიფლის ტყით, რომლის გაჩეხვის შემდეგ ნიადაგი არაერთხელ დამუშავებულა. ანასეული I-ის მიდამოებში ახლა მეტეოსადგურია აგებული. მისი თანამშრომლების გადმოცემით, მეტეოსადგურის მშენებლობისას, ბორცვის ცენტრში გაკეთებული თხრილებიდან დიდი რაოდენობით ამოუღიათ ნაცარი, ნახშირი, ბათქაში, დიდი ზომის ბრტყელი ქვები, ობსიდიანის, კაჟისა და რიყისქვის მასალებთან ერთად.

ანასეული II-ზე სტრატეგრაფიის ძიებამ, ცხადყო, რომ უძრავი ფენა აქ სავარაუდოდ არ არის. აქ აღმოჩენილი გვიანდელი კერამიკა და თიხის ჭურჭელი (რკინის ხანის), ასევე ბორცვის ჩრდილო-დასავლეთით 1,5 კმ მანძილზე დადასტურებული რკინის მადნის გადამუშავების ნაშთები მოწმობენ, რომ ეს ბორცვი რკინის ხანიდან უკვე ფართოდ ყოფილა ათვისებული. თუ ყოველივე ამას დავუმატებთ, რომ ანასეულ II-ზე ახლაც არსებობს სანგრისა თუ ძველი

³ აღ. კალანდიაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 363—371.

⁴ Н. В. Хоштария, Археологические разведки в бассейне р. Энгури, 1940, Рубльсь; А. А. Формозов. Из истории передвижения групп первобытного человека в эпоху мезолита. СЭ. № 1, 1953, გვ. 171.

⁵ Е. А. Куфтин, Материалы к археологии Колхиды, т. I, 1949, Тбилиси, таб. III, 1, 2.

⁶ А. Лукин, Неолитическое селище Кистрик близ Гудаут. СА XII, 1950, გვ. 251, 281, სოხუმის მუზეუმის კოლექცია № 3391 და ახალი ათონის კისტრიკის კოლექცია.

„მიწის ციხის“⁴⁷ ნაშთი და დღეისათვის ეს ბორცვი წარმოადგენს ჩაის და სუბტროპიკული კულტურების ინსტიტუტის სანერგეს, რომელიც მთლიანად დამუშავებულია, მაშინ ცხადი ხდება მიზეზი, რომლის გამოც ანასეულში შეუძლებელია ხელუხლებელი კულტურული ფენის მიგნება.

ნაშთების გავრცელების გარკვევის მიზნით თხრილები ბორცვების სხვადასხვა ნაწილში გაკეთდა, ხოლო დამუშავებულ ფართობზე შეიკრიბა მრავალრიცხოვანი მასალა. ზედაპირზე და თხრილებში ერთგვაროვანი ნაშთები აღმოჩნდა. მასალის გავრცელების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ნაშთები ანასეული I-ის ფართობზე ძირითადად ბორცვის თავზე და მის მიდამოებშია თავმოყრილი. კერძოდ კი მეტეოსადგურის ცენტრალურ ნაწილში საკმაოდ მდიდარი კულტურული ფენა ყოფილა. ფერდებზე კი მასალა აღარ ვრცელდება. როგორც ჩანს, მას დიდი გადაადგილება არ განუცდია, მისი არევა ადგილზე მომხდარა.

ანასეულ II-ში გათხრების შედეგად დაზუსტდა ნაშთების გავრცელების საზღვრები. აღნიშნული ფართობის გარკვეულ ადგილებში შეინიშნება მასალის სიჭარბე. ფენის არევის მიუხედავად, შესაძლებელი ხდება ნაშთების თავმოყრის ადგილების დადგენა. მასალის დაჯგუფების ადგილებში ნაგებობის კვალი არ შეიმჩნევა. ზედაპირულ მასალაზე ჩატარებული დაკვირვება კარგად მოწმობს, რომ ანასეულ II-ში იგი ძირითადად თავმოყრილია ბორცვის თავზე და ფერდების ზედა ნაწილში, ხოლო შემდეგ აქედანაა ჩატანილი ბორცვის ფერდებზე. შიშვე მასალა — კერამიკა და რიყისქვის იარაღები უფრო მოკლე მანძილზეა გადატანილი (დაახლ. 10—15 მ-ზე), ვიდრე შედარებით მსუბუქი კაქისა და ობსიდიანის მასალა (დაახლ. 20—25 მ). გადაადგილების ნაშთების რაოდენობა იცვლება ფერდების დაქანების შესაბამისად. ზედა ნაწილში იგი მეტია, შემდეგ თანდათანობით კლებულობს, ხოლო ბორცვის ძირში ქრება. გათხრების საშუალებით დადგინდა, რომ ორივე სადგომზე ფენათა მონაცვლეობა ერთი და იგივეა. ნაშთები 50 სმ ქვემოთ აღარ ვრცელდება. მკვეთრად გამოსახული 10 სმ სისქის ჰუმუსის ფენა იცვლება 40 სმ სისქის მოყავისფრო ჰუმუსნარევი თიხებით — 0,10—0,50 მ. შემდეგ ეს ფენა გადადის მოწითალო თიხებში — 0,5—1 მ, რასაც ცვლის ქრელი თიხები — დედაქანი (1 მეტრის ქვემოთ). ნაშთები გვხვდება უშუალოდ მიწის ზედაპირზე ჰუმუსის ფენაში და გრძელდება მოყავისფრო თიხების ბოლომდე. მოწითალო თიხები სტერილურია.

ფენების მონაცვლეობის იგივე სურათს იმეორებს გურიანთისა და მამათის სადგომები.

ს. გურიანთაში, მდ. სკურდუმის მარჯვენა ბორცვი, რომელზედაც სადგომი მდებარეობს, დღეისათვის მთლიანად დაკავებულია ჩაის პლანტაციისა და საკარმიდამო ეზოებით, ამგვარივე მდგომარეობაა ს. მამათში. სადგომის მთელი ტერიტორია ამჟამად საბჭოთა მეურნეობის სათეს ფართობს წარმოადგენს.

გურიანთაში, მდ. სკურდუმის ბორცვზე შეიკრიბა ზედაპირული მასალა და გაითხარა 10 საძიებო თხრილი (5×5 მ), ხოლო მამათში სულ ხუთი საცდელი

7 სახელწოდება ბორცვმა მიიღო მასზე არსებული რუსული „პ“ ფორმის 80 მ სიგრძისა და 2 მ სიღრმის თხრილისაგან. ადგილობრივი მცხოვრებლების გადმოცემით, იგი ჯერ რუსეთ-თურქეთის ომის დროს, ხოლო შემდეგ სამოქალაქო ომში სანგრად ყოფილა გამოყენებული. ბორცვზე ახლაც შეიძლება ტყვიებისა და სხვადასხვა იარაღის ნაწილების პოვნა. აკად. ნ. ბერძენიშვილმა გამოთქვა მოსაზრება, რომ შესაძლოა ეს თხრილი აღიზიოთ ნაშენი ძველი ციხის ნაშთი იყოს და ეს სახელწოდებაც იქიდან მოდიოდეს. თუმცა დღეისათვის საამისო არავითარი ნაშთი აღარაა შემორჩენილი.

თხრილია გაჭრილი (2×4 მ). ფენის გავრცელების გარკვევის მიზნით შურფები ბორცვის სხვადასხვა ნაწილშია გაკეთებული. ანასეულს მსგავსად, ნაშთები გურიანთასა და მამათში ძირითადად ბორცვის თავზეა თავმოყრილი და ადგილზე არეული. ბორცვის ფერდებზე მასალა არ აღმოჩნდა. სხვა პერიოდების მასალები ამ ძეგლებზე დადასტურებული არ ყოფილა.

ნაშთების უძრავ ფენებში ძიების მიზნით ხუთი თხრილი გავეჭირით ხუცუბანში, ხუთი — ქობულეთში. ვთხრიდით ეზოებში ნარგავებს შორის და ეზოს გარეთ ტერასის კიდის გასწვრივ. დღეს მდ. კინტრიშის მთელი ტერასა სამოსახლოებს უკავია, ყველგან ერთნაირი სურათი დაგვხვდა. ნაკვეთების ინტენსიური დამუშავების გამო მასალები არეულია. თხრილებმა ერთი საყურადღებო საკითხიც გაარკვია, არცერთ თხრილში თანამედროვე ნიადაგის ფენის ქვევით (0,30—0,50 მ სიღრმე) ნაშთები არ შეგვხვდებოდა. კაჟისა და ობსიდიანის აღმოჩენის ქვედა საზღვარი დელუვიური ყვითელი თიხები და თიხნარებია. კინტრიშის მარჯვენა ფლატის ჭრილში ფენათა მონაცვლეობა შემდეგია:



- I 0—0,5 მ — ჰუმუსოვანი ფენა;
- II 0,5—1,5 მ — ყვითელი თიხები (დელუვიური);
- III 1,5—5,0 მ — რიყნარი, ალუვიური ქვარგვალები;
- IV 5 მ — ტუფოგენური ნალექები (ხეობის ძირითადი ქანი).

ასეთი სტრატეგრაფიული მონაცემი საფუძველს გვაძლევს აღვნიშნოთ, რომ ჩვენთვის საყურადღებო ნაშთების მწარმოებელ მოსახლეობას ყვითელ დელუვიურ ნიადაგზე უცხოვრია, რომელზედაც დაღეპილია უკვე გამქრალი ცხოვრების კვალი, ხოლო დროთა განმავლობაში ნაშთებს განიადაგებული ჰუმუსური ფენა გადაფარებია; უფრო გვიან, იმავე ნაკვეთების სამოსახლოდ გამოყენების გამო დაშლილი კულტურული ფენის ნაწილი ჰუმუსურ შრეში შერეულა, ნაწილი კი მიწის ზედაპირზე მიმოხეულა.

არქეოლოგიური მასალა მოწმობს, რომ რკინის ხანიდან მოყოლებული კისტრიკისა და ოდიშის ტერიტორიები ფართოდ ყოფილა ათვისებული. ოდიშის პლატოზე ნიადაგი ჯერ კიდევ ამ ძეგლის გათხრამდე დაუმუშავებიათ სუბტროპიკული კულტურებისათვის, ხოლო კისტრიკის მიდამოები დღესაც საკარმიდამო ნაკვეთებს უჭირავს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დას. საქართველოს სადგომებზე ნიადაგის ინტენსიური დამუშავების გამო არ იყო პირობები უძრავი ფენის შენახვისათვის. ამის გამო, დას. ამიერკავკასიის ნეოლითური სადგომების კვლევისას, სტრატეგრაფიის უქონლობის პირობებში ფართოდ ვიყენებთ კომპლექსური შესწავლის, შედარებითი ტიპოლოგიისა და გამორიცხვის მეთოდებს. მითუმეტეს, რომ ყირიმის მასალების მიმართ შედარებითი ტიპოლოგიის მეთოდის გამოყენებამ აღიარება ჰპოვა. უკანასკნელ წლებში ეს მეთოდი შემოწმდა. ყირიმში კარგი სტრატეგრაფიის მქონე ახალი ძეგლების აღმოჩენამ კორექტივები ვერ შეიტანა ყირიმის უსტრატეგრაფიო, ღია ნეოლითური სადგომების აღნიშნული მეთოდებით შემუშავებულ პერიოდიზაციაში⁹. ამის გამო, მიზანშეწონილად მიგვაჩნია დას. ამიერკავკასიის უსტრატეგრაფიო ძეგლების შესწავლა და მათ საფუძველზე ერთგვარი პირობითი პერიოდიზაციის შემუშავება. მითუმეტეს, რომ ზოგიერთი მომენტის წყალობით ქრონოლოგიის საკითხების შესწავლისას შესაძლებელი ხდება ამ ხარვეზის შევსება. ქვედა შილოკის

⁹ А. А. Формозов, დას. ნაშრომი, გვ. 117.



სტრატეგრაფიის მნიშვნელობის შესახებ უკვე ზემოთ გვქონდა ლაპარაკი. დას. ამიერკავკასიის ნეოლითური ძეგლების შესწავლაში, უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ ანასეულის ძეგლების დიდი მნიშვნელობა. ანასეულში ნეოლითის ორი სხვადასხვა საფეხურის (აღრე და გვიანი) ძეგლების აღმოჩენა სტრატეგრაფიული სურათის გარკვევისა და ცალკეული საფეხურის დამახასიათებელი კომპლექსის შემადგენელი ელემენტების განსაზღვრის საშუალებას იძლევა.

§ 2. ნეოლითური ძეგლების ნივთიერი მასალა

დასავლეთ ამიერკავკასიის ძეგლებზე მოპოვებული მასალის მრავალმხრივი ანალიზი აშუქებს კავკასიის შავი ზღვისპირეთის ნეოლითის პრობლემის რიგ საკითხებს.

ამ თავში მოგვაქვს დას. ამიერკავკასიაში აღმოჩენილი ნეოლითური ძეგლების დახასიათება. ჩვენს მიერ გათხრილი და შესწავლილი ნეოლითური ნაშთებისაგან (ანასეული I, ანასეული II, გურიანთა, მამათი, ხუცუბანი, ქობულეთი) მიზანშეწონილად მიგვაჩნია ანასეული I, ანასეული II და გურიანთის კომპლექსების დაწვრილებითი აღწერა. აქედან უკანასკნელი ორი პირველად ქვეყნდება. ანასეული I გამოქვეყნებულია¹⁰, მაგრამ იმის გამო, რომ ანასეულის ძეგლებს დიდი მნიშვნელობა აქვთ დას. ამიერკავკასიის ნეოლითური კულტურის შესწავლაში, სტრატეგრაფიული სურათის აღდგენაში და ნეოლითური კომპლექსების შემადგენელი ელემენტების დადგენაში, ნაშრომში ვიძლევეთ სრულ დახასიათებას. რადგან კინტრიშის ნამოსახლარებისა¹¹ (ხუცუბანი, ქობულეთი) და მამათის კოლექციები მცირეა, ამასთანავე მასალა უკვე გამოქვეყნებულია¹², მათ მხოლოდ ზოგადად ვახასიათებთ. რაც შეეხება ოდიშის კომპლექსს, იგი დღემდე არ არის მონოგრაფიულად შესწავლილი, ამიტომ მოგვაქვს მისი მეტნაკლებად სრული აღწერილობა. ასევე ვკმაყოფილდებით ნაწილობრივ გამოქვეყნებული ძეგლების (კისტრიცი, ნიჟ. შილოვკა) ზოგადი დახასიათებით. ძეგლებს შორის არსებული განსხვავება საგანგებოდ იქნება აღნიშნული II თავში.

გამოცემის თავიდან აცილების მიზნით, მასალის აღწერისას მიღებულ დასკვნებს I თავში არ ვათავსებთ. მათ უშუალოდ ვიყენებთ II და III თავში.

არქეოლოგიური დაზვერვებისა თუ შემთხვევითი აღმოჩენების შედეგად საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ცნობილია ნეოლითური იერის მქონე, ძირითად კომპლექსებს მოწყვეტილი, ცალკეული იარაღები, რომლებიც საშუალებას არ იძლევა ზუსტად განვსაზღვროთ მათი ასაკი. ეგრეა ამისა, ხშირად უცნობია საქართველოს მუზეუმში დაცული შემთხვევით მოპოვებული ნეოლითური მასალის აღმოჩენის ადგილი და ვითარება. ცხადია, ასეთ მასალაზე დაყრდნობა, ნეოლითის შესწავლის თანამედროვე დონეზე, ბევრის მომცემი არ უნდა იყოს. ყოველივე ამის გამო ჩვენ შეგნებულად გვერდს ვუვლით ამგვარი მასალების ნაშრომში მოტანას და მათ აღწერას, თუმცა ისინი მხედველობაში გვაქვს და ვითვალისწინებთ. აქ ჩვენ მოგვაქვს მეტნაკლებად სრული ნეოლითუ-

¹⁰ ლ. ნებერიძე, აღრენეოლითური ხანის ნაშთები ანასეულიდან, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. VII, თბილისი, 1963.

¹¹ ნ. ბერძენიშვილი, ლ. ნებერიძე, ქვის ხანის ნამოსახლარები კინტრიშის ხეობაში, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, I, თბილისი, 1964.

¹² ლ. ნებერიძე, მამათის ნეოლითური ხანის ნაშთები, ასპირანტთა და ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა XIV სამეცნიერო კონფერენცია, ანოტაცია მოხსენებისა, 1964, თბილისი.

რი კოლექციები, რომელთა საშუალებით შესაძლებელი ხდება ნეოლითის პრობლემის ზოგიერთი საკითხის გარკვევა.

ანასეული I. ანასეულის ნეოლითური სადგომები მდებარეობს ქ. მახარაძის სამხრეთ დასავლეთით 1,5 კმ-ის მანძილზე მდებარე ანასეულის ბორცვებზე. ეს ტერიტორია ამჟამად ქალაქის ფარგლებშია. სადგომი — ანასეული I მდებარეობს ანასეულის ცენტრალურ ბორცვზე, სადაც ამჟამად მეტეოსადგურია მოთავსებული, ხოლო ანასეული II — ცენტრალური ბორცვის სამხრეთით, უშუალოდ მასზე მიბჯენილ, ოდნავ მომცრო ბორცვზე, რომელსაც ადგილობრივი მცხოვრებლები „მიწის ციხეს“ უწოდებენ. მანძილი სადგომებს შორის 1,5 კმ. ეს ბორცვები თითქმის ყოველი მხრიდან გარშემორტყმულია მდინარეებით. ანასეულის სამხრეთ აღმოსავლეთით მიედინება აჭისწყალი, რომელიც ცენტრალური ბორცვის ძირში ერთვის მის ჩრდილო-აღმოსავლეთით მიმავალ მდ. ბუყუას და ჩადის მდ. ნატანებში. ანასეულის ჩრდილო-დასავლეთით გადის მდ. ლეჩუმა, რომელიც ანასეულის მახლობლად ერთვის სამხრეთ-დასავლეთიდან მიმავალ მდ. ორაფოს. მისი ერთ-ერთი შტო ჰყოფს ანასეულის ცენტრალურ ბორცვსა და „მიწის ციხეს“. ანასეულის სამხრეთით მიედინება მდ. ჩოლოქი. ანასეული I-ის ტერიტორიაზე გათხრებისა და ზედაპირული მასალის შეგროვების შედეგად მოპოვებულია მრავალრიცხოვანი იარაღ-ხელსაწყოები და წარმოების ნაშთები. იარაღების დასამზადებლად უპირატესად ობსიდიანი გამოიყენებოდა: 4044 ერთეულიდან 3160 ერთ. ობსიდიანისაა, 800 — კაყის, 59 — რიყისქვის.

აღნიშნული მასალა დანიშნულებისა და მოყვანილობის მიხედვით შეიძლება დაიყოს ჯგუფებად და ქვეჯგუფებად:

კოლექციაში სამი მომრგვალო კაყის კაჭარია, ერთი მათგანი დაფარულია ბუნებრივი ქერქით, ორი კი ნაწილობრივ კანშემოცლილია და მიტოვებული. მათი დიამეტრია დაახლოებით 5 სმ.

ნუკლეუსები. ანასეულ I-ში 28 მთელი და დაზიანებული ნუკლეუსია, მათგან 14 ნუკლეუსი ობსიდიანისაა, 14 კაყისაა.

ანასეული I-ის ნუკლეუსები შეიძლება ორ ძირითად ჯგუფად დავყოთ:

I. კონუსის მოყვანილობის ნუკლეუსები (ტაბ. I, სურ. 1. 3). სულ 5 ცალი. მათგან 3 მხოლოდ ერთი ზედაპირიდანაა გამოყენებული. მეორე მხარე კი დაფარული აქვს ბუნებრივი ქერქით. დანარჩენ ორ ნუკლეუსს ლამელები ირგვლივ აქვს ატკეცილი. ნუკლეუსების სიგრძე 2,2—4,3 სმ შორის მერყეობს, ხოლო ფუძის დიამეტრი საშუალოდ 2—5 სმ შორის.

2. ფანქრისებური ნუკლეუსები (ტაბ. I, სურ. 2), სულ 2 ცალი. მათ გარშემო ემჩნევა ვიწრო და სწორი ლამელების ატკეცვის კვალი. ეს ნუკლეუსები ერთფუძიანია. ერთი მათგანი დაზიანებულია. სიგრძე 4,3 სმ, ფუძის დიამეტრი კი 1 სმ-ია.

კოლექციაში არის აგრეთვე დაზიანებული პრიზმისებური ნუკლეუსები (ტაბ. I, სურ. 4, 12). სულ 16 ცალი. დაზიანებული ნუკლეუსების საშუალებით ძნელია მათი თავდაპირველი ფორმის დადგენა. მათი სიგრძე 1,5—4 სმ შორის მერყეობს. კოლექციაში გვაქვს ბოლომდე გამოყენებული პრიზმული ნუკლეუსების ნალევები. სულ 5 ცალი. მათი სიგრძე 3—5 სმ შორის მერყეობს. ამგვარ ნალევებს ემჩნევა ლამელების ატკეცვის კვალი. მათ დარტყმის სიბრტყე აღარა აქვთ შერჩენილი.

კომპლექსში დიდი რაოდენობითაა ანამტკრევეები. სულ 170 ცალია. მათი

სიგრძე მერყეობს 1—6 სმ შორის. ყველა მათგანი არასწორი მოყვანილობისაა და ბასრგვერდებიანი. ამგვარი ანატკეცების ერთი ნაწილი იარაღების დამზადების შედეგად უნდა დარჩენილიყო, მეორე კი ნუკლეუსების დამტკრევისას. ობსიდიანის ანამტკრევების უმრავლესობას ეტყობა გამოყენების კვალი. კაყის ანამტკრევების დიდი ნაწილი ცეცხლში ნამყოფია.

ანატკეცები. სულ 1200 ცალია. აღნიშნული ანატკეცები სხვადასხვა ხასიათისაა, რის მიხედვითაც მათ 3 ძირითად ჯგუფად ვყოფთ:

1. კაჭრის გათლის შედეგად მიღებული ანატკეცები. სულ 48 ცალია, რაც ანატკეცების საერთო რაოდენობის 5%-ია. მათი ერთი მხარე ამობურცულია და ბუნებრივი ქერქითაა დაფარული, მეორეზე კი შეიმჩნევა ტალღისებური ზედაპირი. ეს ანატკეცები მიღებულია კაჭრის ნუკლეუსად მომზადების პროცესში. მისი თავისა და გვერდების მოშორების შედეგად მათი სიგრძე 3—6 სმ შორის მერყეობს, სიგანე კი 2—4 სმ-მდეა.

2. ნუკლეუსებიდან მიღებული ანატკეცები 1097 ცალია, რაც ანატკეცების საერთო რაოდენობის 91%-ს შეადგენს. მათ აქვთ სამკუთხედისებური მოგზობი, მოკლე ან მომრგვალო მოყვანილობა, არასწორი, თხელი და მჭრელი გვერდებით. ყველაზე მრავლადაა მცირე ზომის ანატკეცები, რომელთა სიგრძე 1—4 სმ შორის მერყეობს (836 ცალი). შედარებით ნაკლებია საშუალო ზომის ანატკეცები (245 ცალი). მათი სიგრძე 4—6 სმ შორის მერყეობს. კიდევ უფრო ცოტაა დიდი ზომის ანატკეცები (16 ცალი), რომელთა სიგრძე 6—8 სმ-მდეა. ანატკეცების 80%-ს ეტყობა გამოყენების კვალი. 42 ანატკეცს სხვადასხვა ადგილას ეტყობა ნაწილობრივ რეტეში, რომელიც ხშირად მკრთალია. 19 ანატკეცის დარტყმის სიბრტყე შესწორებულია.

3. ნუკლეუსების განახლებისა და შესწორების შედეგად მიღებული ანატკეცები (ტაბ. I, სურ. 13), სულ 58 ცალი (საერთო რაოდენობის 4%). ნუკლეუსების დარტყმის სიბრტყის შესწორების დროს მიიღებოდა განივი ანატკეცები, რომლებსაც აქვთ ნუკლეუსებიდან გამოყოფილი წახნაგები. სულ 15 ცალია, ზოგიერთი განივი ანატკეცი დამატებით მუშავდებოდა და საფხეკებად გამოიყენებოდა. ნუკლეუსების გვერდით შესწორებისას მიიღებოდა სიგრძივი ანატკეცები, რომლებსაც ემჩნევა ლამელების ატკეცვის კვალი. სულ 37 ცალია. მათი სიგრძე 1,5—8 სმ შორის მერყეობს, ხოლო სიგანე 0,8—1,5 სმ-მდეა. ამ ანატკეცებიდან 17 ცალს გვერდი დამუშავებული აქვს ბრტყელი, განიერფაცეტებიანი რეტეშით.

ლამელები ხასიათდება ფორმების მრავალფეროვნებით. სულ 710 ცალი: მათი უმრავლესობა წარმოადგენს ორ ან სამფერდა, იშვიათად ოთხფერდა ვიწრო, სწორ და მჭრელნაპირებიან ლამელებს.

მოყვანილობისა და მეორადი დამუშავების მიხედვით ლამელები შეიძლება შემდეგ ჯგუფებად დავყოთ:

1. დანისებური მოყვანილობის ლამელები, სულ 123 ცალი. მათი უმრავლესობა (100 ცალი) თავბოლოვადამტკრეულია. ამ ლამელებს აქვს სწორი და მჭრელი ნაპირები. მათგან 97 ცალი ვიწრო და თხელია (ტაბ. I, სურ. 5—7), მათი სიგრძე 1,7—6 სმ, სიგანე 0,7—1,2 სმ შორის მერყეობს. 29 ცალი კი განიერი და მსხვილი ლამელაა, რომელთა სიგრძე 2,7—6,5 სმ, სიგანე 1,4—1,7 სმ შორის მერყეობს.

2. მიკროლამელები (ტაბ. I, სურ. 14—17), 25 ცალი. ეს ჯგუფი ხასიათდება მცირე ზომებით და სწორი მოყვანილობით. სიგრძე 1,5—3,5 სმ, სიგანე 0,3—

1 სმ შორის მერყეობს. მათი უმეტესობათაგანობლო გადამტვრეულია და აქვს სწორი, ვიწრო და თხელი ნაპირები.

3. ლამელის განივი ნატეხები (ტაბ. I, სურ. 10—11) მიიღებოდა ვიწრო, სწორწახნაგა ლამელების სწორკუთხა ნაწილებად დამტვრევის შედეგად; სულ 70 ცალია. მათი ერთი ნაწილი გეომეტრიული მიკროლითების ნამზადებს წარმოადგენდა, მეორე ნაწილი კი მეორადი დამუშავების გარეშე ჩასართებად გამოიყენებოდა, რასაც მოწმობს მათზე არსებული გამოყენების კვალი. მათი სიგრძე 1,1—2 სმ-მდეა, სიგანე 1—1,5 სმ-მდე.

4. ლამელის თავები მიიღებოდა ლამელების იმ ნაწილის გადატეხის შედეგად, რომელსაც ჰქონდა დარტყმის სიბრტყე და ატკეცვის ბურცობი. სულ 107 ცალია. ლამელის თავებს მუცლის მხრიდან ეტყობა ტალღისებურად გაშლილი ზედაპირი. თხელი ლამელის თავებს ცალი გვერდი ხშირად რეტუშირებული აქვს. მათი სიგრძე 0,8—2,8 სმ შორის მერყეობს.

5. გვერდრეტუშირებული ლამელები (ტაბ. I, სურ. 14, 19—22) სხვადასხვა მოყვანილობისა და არ გამოირჩევიან ფორმების დახვეწილობით. სულ 47 ცალია. მათი სიგრძე 1,5—5 სმ შორის მერყეობს. რეტუშის ხასიათი და მისი განლაგება ლამელების გვერდებზე სხვადასხვა ხასიათისაა. ზოგჯერ მკაფიო ან მკრთალი რეტუში ლამელის გვერდს მთლიანად გასდევს ზურგის ან მუცლის მხრიდან, ზოგჯერ კი ნაწილობრივ.

6. გვერდამოღარული ლამელები (ტაბ. I, სურ. 19—21), სულ — 19 ცალი. ამოღარვა უმეტესად თავგადამტვრეულ ლამელებზე შეიმჩნევა. მათზე რეტუშის საშუალებით ამოღარულია გვერდის რომელიმე ნაწილი. მათი სიგრძე 1,1—4,5 სმ შორის მერყეობს.

7. ბლაგვზურგა ლამელები (ტაბ. 4, სურ. 6—7), სულ 8 ცალი. მათი ზურგი დამუშავებულია ფაქიზი „პერბენდიკულარული“ რეტუშით. სიგრძე საშუალოდ 1,3 სმ უდრის, სიგანე 0,3—0,5 სმ შორის მერყეობს. დაბლაგვული ზურგის მოპირდაპირე მხარეზე შეიმჩნევა გამოყენების კვალი. ყველა მათგანი ობსიდიანისაა.

8. არასწორი მოყვანილობის ლამელები, სულ 321 ცალი. მათი სიგრძე 1,8—5 სმ, სიგანე 0,6 სმ. ამ ჯგუფში ვაერთიანებთ არასწორი ნაპირების მქონე უხეშ ლამელებს, რომლებიც არ გამოირჩევიან ბეჭითი დამუშავებითა და დახვეწილი ფორმებით:

ლამელები	რაოდენობა	%-ული შეფარდება
დანისებური	97	13
მიკროლაშელები	25	3
ლამელის განივი ნატეხები	70	10
ლამელის თავები	107	15
გვერდრეტუშირებული	47	7
გვერდამოღარული	19	2,7
ბლაგვზურგა	8	1
არასწორი მოყვანილობის	321	45
სულ	710	

ანასეული I-ის კოლექცია ხასიათდება ლამელების სიმრავლით (710 ცალი) და მრავალფეროვნებით. ლამელები მასალის საერთო რაოდენობის 18%-ს შეადგენენ. მათგან 465 ცალი ობსიდიანისაა, 245 ცალი კი კაჟისა. აღნიშნული შეფარდებიდან ჩანს, რომ ლამელების 66% ობსიდიანისაგანაა ნაკეთები. ლამე-

ლების 45% არასწორი მოყვანილობისაა, რაოდენობის მიხედვით შემდეგი ადგილი უჭირავს ლამელების თავებს (15%), დანისებურ ლამელებს (13%) და ლამელის განივ ნატეხებს (10%). სხვა სახის ლამელები შედარებით ცოტაა (გვერდებრეტუშირებული 7%, მიკროლითური 3% და სხვები). ჭარბობს თავბოლო და თავგადამტვრეული ლამელები. მთელი ცალები ძალიან ცოტაა. ლამელები წნევის ტექნიკითაა ატკეცილი. მეორადი დამუშავების კვალი 74 ცალს ემჩნევა, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ დიდ ნაწილს რეტუში არ აქვს, თხელი და ბასრ-გვერდებიანი ლამელები მეორადი დამუშავების გარეშე გამოიყენებოდა სხვადასხვა სახის იარაღებად. თითქმის ყველა ლამელას ერთ ან ორივე გვერდზე ეტყობა გამოყენების კვალი წვრილი ანამტვრევების სახით. სწორწახნაგა ლამელების სიმრავლე მიუთითებს მათი ატკეცივის ტექნიკის გაუმჯობესებაზე. ლამელების ერთი ნაწილი იხმარებოდა იარაღების დასამზადებლად, მეორე ნაწილი კი დამოუკიდებელ იარაღებს წარმოადგენდა. მათი სიგრძე 1,1—6,7 სმ-ია, სიგანე კი 0,5—1,7 სმ-მდე.

ს ა ჳ რ ი ს ე ბ ი. ანასეული I-ის იარაღებს შორის საჭრისებს ყველაზე დიდი ადგილი უჭირავს. 165 ცალია. ყველა მათგანი დამზადებულია ვიწრო, სწორი და თხელი ლამელების ბოლოზე, ვიწრო და მოკლე სასაჭრისე ჩამონატეხის მეშვეობით. გამონაკლის შეადგენს ანატკეცზე დამზადებული ერთი საჭრისი. სასაჭრისე ჩამონატეხი გვხვდება სწორი, კუთხის, ირიბი და ხიწვიანი. სასაჭრისე ჩამონატეხის ამგვარი მოყვანილობა წინასწარ განსაზღვრული არ უნდა ყოფილიყო. თითქმის ყველა საჭრისის სამუშაო პირზე ეტყობა მუშაობის კვალი. აღნიშნულ კოლექციაში მხოლოდ 5 საჭრისია თავრეტუშიანი (ტაბ. II, სურ. 20—22), ყველა დანარჩენი კი მარტივია. მარტივ საჭრისებს ვაკუთვნებთ ისეთ საჭრისებს, რომელთა სამუშაო პირი შექმნილია ლამელისა თუ ანატკეცი (იმის მიხედვით, თუ რაზეა იარაღი დამზადებული) თავის გადატეხვისა და სასაჭრისე ჩამონატეხის მეშვეობით, მათი გადაკვეთის კუთხეზე. ამ საჭრისებს თავი დამუშავებული არა აქვთ. ყველა საჭრისს ცალ ან ორივე გვერდზე აქვს თითო სასაჭრისე ჩამონატეხი. გამონაკლისია სამი საჭრისი, რომელთაც ცალ ან ორივე გვერდზე აქვს ორი სასაჭრისე ჩამონატეხი. ამგვარ საჭრისებს ორწახნაგას უწოდებენ (ტაბ. II, სურ. 21, 22, 24). საჭრისების დიდი ნაწილი დამზადებულია თავბოლოგადამტვრეულ ლამელებზე. მათი საშუალო სიგრძე მერყეობს 1,3—6 სმ-მდე, სიგანე კი 0,7—1,8 სმ-მდე.

მარტივი საჭრისების ერთ ნაწილს სასაჭრისე ჩამონატეხი აქვს ცალ გვერდზე (ტაბ. II, სურ. 1—6), მეორეს კი ორივე გვერდზე (ტაბ. II, სურ. 7—17). ამის მიხედვით გამოვყოფთ მარტივ ცალმხრივ და მარტივ ორმხრივ საჭრისებს. კოლექციაში 78 ცალი (47%) მარტივი და 82 ცალი (51%) მარტივი ორმხრივი საჭრისია. სასაჭრისე ჩამონატეხის მოყვანილობის მიხედვით საჭრისებს არ გამოვყოფთ ცალკე ჯგუფად. აღნიშნავთ მხოლოდ მათ რაოდენობას და პროცენტულ შეფარდებას. მარტივ ცალმხრივ საჭრისებში: სწორი 29 ც. (18%), ირიბი — 21 ც. (13%), ხიწვიანი — 27 ც. (17%). მარტივ ორმხრივ საჭრისებში: სწორი — 41 ც. (25%), ხიწვიანი — 7 ც. (4%), სწორი და ირიბი — 7 ც. (4%), სწორი და ხიწვიანი — 16 ც. (10%), ირიბი და ხიწვიანი — 11 ც. (7%).

საჭრისები მასალის საერთო რაოდენობის 4%-ს შეადგენენ. საჭრისების 82% (131 საჭრისი) ობსიდიანის ლამელაზეა დამზადებული, 18% (29 საჭრისი) კი კაყისაზე. აღნიშნული შეფარდება მოწმობს, რომ საჭრისების უმრავლესობა ობსიდიანისაგან მზადდებოდა.

საფხეკები. ანასეული I-ის კოლექციას ახასიათებს საფხეკების სიმრავლე, ფორმების მრავალფეროვნება და დახვეწა. სულ 120 ცალი. ყველა მათგანს ეტყობა გამოყენების კვალი წვრილი ანამტვრევებისა თუ გაპრაილების სახით. საფხეკების დიდი ნაწილი წარმოდგენილია მთელი იარაღებით, თუმცა არის მუშაობის პროცესში გადატეხილებიც.

აღნიშნული საფხეკები ნაშაღის ხასიათისა და მოყვანილობის მიხედვით შეიძლება შემდეგ ჯგუფებად დაიყოს:

1. ოვალურ სამუშაოპირიანი საფხეკები, ჩამოყალიბებული ანატკეცების ბოლოზე (ტაბ. III, სურ. 1—4), სულ 24 ცალი. ამ ჯგუფის საფხეკების ერთ ნაწილს სამუშაო პირი მკაფიოდ აქვს გამოხატული, რეტუში კი ზოგჯერ ცალ ან ორივე გვერდზე გადადის. მეორე ნაწილს სამუშაო პირი შედარებით უფრო მკრთალად აქვს გამოსახული, ხოლო რეტუში არ გადადის გვერდებზე. მათი სიგრძე 2,2—5 სმ, ხოლო სიგანე 2—3 სმ შორის მერყეობს. ამ ჯგუფში განსაკუთრებით გვინდა აღვნიშნოთ ორი საფხეკი ჩამოყალიბებული ნუკლეუსის განივ ანატკეცებზე (ტაბ. III, სურ. 15). ნუკლეუსებიდან მიღებულ განივ ანატკეცებს მეორადი დამუშავების შედეგად საფხეკებად ხმარობდნენ. სამუშაო პირი კეთდებოდა იმ ადგილას, სადაც შეიმჩნევა ნუკლეუსიდან გამოყოფილი წახნაგები.

2. ოვალურ სამუშაოპირიანი საფხეკები, ჩამოყალიბებული ლამელების ბოლოზე. ამ ჯგუფში ორი ქვეჯგუფი გამოიყოფა:

ა) ოვალურ სამუშაოპირიანი საფხეკები დამზადებული ვიწრო ლამელების ბოლოზე (ტაბ. III, სურ. 19), სულ 11 ცალი. ყველა მათგანი ნაკეთებია სწორ და თხელ ლამელაზე და აქვს ფრჩხილისებური სამუშაო პირი. ზოგიერთ საფხეკზე რეტუში სამუშაო პირიდან გვერდზე გადადის. ამ საფხეკების ნაწილი დაზიანებულია. მთელი ცალის სიგრძე 3,3 სმ-ს უდრის, სამუშაო პირის სიგანე 1,5 სმ-ია.

ბ) ოვალურ სამუშაოპირიანი საფხეკები, ჩამოყალიბებული განიერ, მსხვილ ლამელებზე (ტაბ. III, სურ. 20—21), სულ 4 ცალი. ამ იარაღებზე რეტუში სამუშაო პირიდან გვერდებზე გადადის და მათი მოყვანილობა ზოგჯერ ოვალს უახლოვდება. ეს საფხეკები დამზადებულია 2—4 სმ სიგრძის ლამელებზე, სამუშაო პირის სიგანე 2 სმ-ია. ერთ საფხეკს ჩამოტეხილი გვერდი დაბლაგველი აქვს, შესაძლოა ხელის დაცვის მიზნით.

3. მომრგვალო საფხეკები (ტაბ. III, სურ. 11—14), სულ 3 ცალი. ეს საფხეკები ჩამოყალიბებულია თხელ, მომრგვალო ანატკეცებზე. მათ ერთ ნაწილს აქვს ირგვლივ რეტუში, მეორეს კი ნაწილობრივ, ერთ-ერთი საფხეკის შუა ნაწილში არსებული ხიფვი რეტუშირებულია. ხელის დაზიანებისაგან დაცვის მიზნით. მათი დიამეტრი 3—5 სმ შორის მერყეობს.

4. მაღალი ფორმის საფხეკები (ტაბ. III, სურ. 6—9), სულ 14 ცალი. ყველა მათგანი ჩამოყალიბებულია სქელ, მაღალ, მომრგვალო მოყვანილობის ანატკეცებზე. ამ საფხეკებს ირგვლივ აქვს მაღალი რეტუში, რომელიც ადის საფხეკის მსხვილ ზურგზე. ეს რეტუში უმეტეს შემთხვევაში მთლიანად ფარავს მას. მათი დიამეტრი 1,5—4,5 სმ შორის მერყეობს.

5. ამოღარული საფხეკები (ტაბ. III, სურ. 22) 7 ცალია. ამ იარაღებს გვერდის ესა თუ ის ნაწილი რეტუშით აქვთ ამოღარული. ოთხი მათგანი ანატკეცზეა ჩამოყალიბებული, სამი კი ლამელაზე. მათი სიგრძე 2,2—4 სმ-ია, სიგანე კი, — 1—2 სმ შორის მერყეობს.

6. მიკროლითური საფხეკები (ტაბ. III, სურ. 16—17) 34 ცალია, აქ ძირითადად ორი სხვადასხვა ჯგუფის საფხეკებია, რომლებსაც მცირე ზომები აერთიანებს:

ა) ფრჩხილისებური მოყვანილობის სამუშაოპირიანი საფხეკები, სულ 20 ცალი. ისინი ჩამოყალიბებულია მცირე ზომის ანატკეცების ბოლოზე. მათი სიგრძე 1,2—1,5 სმ შორის მერყეობს, სიგანე კი 1—1,5 სმ-მდეა.

ბ) მრგვალი საფხეკები, ირგვლივ რეტუშირებული, 14 ცალია, ისინი დამზადებულია მცირე ზომის ანატკეცებზე. მათი დიამეტრი 1—2 სმ-მდე მერყეობს.

7. ორმაგი საფხეკები (იბ. III, სურ. 23) მხოლოდ 2 ცალია. ერთი მათგანი ჩამოყალიბებულია 2,6 სმ სიგრძის ობსიდიანის ვიწრო, მაღალ, ორფერდა ლამელაზე, რომლის ერთი სამუშაო პირი ფრჩხილისებურია, მეორე კი ირიბი. მეორე საფხეკი ჩამოყალიბებულია ობსიდიანის ანატკეცზე. მას ორივე მხრიდან აქვს ოვალური სამუშაო პირი, მისი სიგრძე 2,5 სმ-ია, სიგანე — 2 სმ.

8. ამ ჯგუფში ვაერთიანებთ ისეთ საფხეკებს, რომლებსაც სამუშაო პირი არა აქვთ საგანგებოდ და ბეჭითად დამუშავებული და არ ტოვებენ სრულყოფილი იარაღის შთაბეჭდილებას. ისინი ჩამოყალიბებულია არაწესიერი მოყვანილობის ანატკეცებზე, რომლებსაც გვერდის ამა თუ იმ მხარეს აქვს სუსტად გამოხატული სამუშაო პირი. სულ 21 ცალი, მათი სიგრძე 2—5 სმ-მდეა, სიგანე კი 3—5 სმ-მდე მერყეობს.

ცხრილი 1

ს ა ფ ხ ე კ ე ბ ი	რაოდენობა	%-ლი შეფარდება
ანატკეცის ბოლოზე ჩამოყალიბებული ოვალურ სამუშაოპირიანი საფხეკები	24	20%
ლამელის ბოლოზე ჩამოყალიბებული ოვალურ სამუშაოპირიანი საფხეკები	15	13%
მომრგვალო საფხეკები	3	2,5%
მაღალი საფხეკები	14	12%
ამოღარული	7	5%
მიკროლითური	34	28%
ორმაგი საფხეკები	2	1,5%
შემთხვევითი მოყვანილობის ანატკეცებზე დამზადებული საფხეკები	21	17%
ს უ ლ	120	

ანასეული I-ის გათხრის დროს 120 სხვადასხვა მოყვანილობის საფხეკია აღმოჩენილი. ისინი მასალის საერთო რაოდენობის 3%-ს შეადგენენ. მათგან 85 საფხეკი ობსიდიანისაა, 35 კი კაჟისა, მოცემული შეფარდებიდან ჩანს, რომ მათი 71% ობსიდიანის მასალისაგან მზადდებოდა. წამყვანი ადგილი მიკროლითურ საფხეკებს უჭირავს, ისინი საფხეკების საერთო რაოდენობის 28%-ს შეადგენენ. ამ საფხეკების სიმრავლე მიკროლითური ტექნიკის დიდი განვითარების მაჩვენებელი უნდა იყოს. რაოდენობის მიხედვით შემდეგი ადგილი უჭირავს ანატკეცზე ჩამოყალიბებულ ოვალურ სამუშაოპირიან (20%), შემთხვევითი მოყვანილობის ანატკეცებზე დამზადებულს (17,5 %) და ლამელაზე დამზადებულ ოვალურ სამუშაოპირიან (13%) საფხეკებს. საკმაოდ მკაფიო ჯგუფს წარმოადგენენ მაღალი ფორმის საფხეკები (12%). უნდა ვიფიქროთ, რომ მათი სახით საქმე გვაქვს ზედაპალეოლითური ტრადიციების გაგრძელებასთან. სწვა ტიპის საფხეკები შედარებით ცოტაა (მომრგვალო 2,5%, ამოღარული 5%, ორმაგი 1,5%).

ანასეული I-ის საფხეკების უმრავლესობა ჩამოყალიბებულია მოკლე, განიერ, მომრგვალო ფორმის ანატეკეცებზე. ლამელებზე ნაკეთები საფხეკები შედარებით ცოტაა. მათ დიდ ნაწილს აქვს ბეჭითად დამუშავებული სამუშაო პირი. არის ისეთი საფხეკებიც, რომელთა სამუშაო პირი მკაფიოდ არ არის გამოყვანილი. ეს განსაკუთრებით ითქმის შემთხვევით მოყვანილობის ანატეკეცებზე ჩამოყალიბებულ და ამოღარულ საფხეკებზე. ლამელაზე დამზადებულ საფხეკებს ზოგჯერ გვერდებიც უმუშავდებოდა.

კოლექციაში არის ერთი სწორ-სამუშაოპირიანი საფხეკი, ჩამოყალიბებული განიერი ლამელის ბოლოზე (ტაბ. III, სურ. 18) და ანატეკეცზე დამზადებული ერთი სწორ-სამუშაოპირიანი საფხეკი (ტაბ. III, სურ. 5). იმის გამო, რომ ამგვარი იარაღი ერთადერთია, მას ცალკე ჯგუფად არ გამოვყოფთ.

კომპინირებული იარაღები სხვადასხვა სახის სამუშაოს შესასრულებლად უნდა ყოფილიყო განკუთვნილი (ტაბ. IV, სურ. 10, 16—18). სულ 13 ცალია. ისინი წარმოდგენილია შემდეგი სახეებით:

1. ოვალურ სამუშაოპირიანი საფხეკი და თავგადამტვრეული სწორი საჭრისი, სულ 2 ცალი. ჩამოყალიბებულია 2,7 სმ სიგრძის და 0,8—1,8 სმ სიგანის ობსიდიანის ლამელებზე.

2. ოვალურ სამუშაოპირიანი საფხეკი და ორმხრივი სწორი საჭრისი, რომელიც ჩამოყალიბებულია ობსიდიანის სამფერდა ვიწრო ლამელაზე, სიგრძე — 4 სმ, სიგანე 1 სმ უდრის.

3. თავსწორრეტეშიანი საფხეკი და თავგადამტვრეული სწორი საჭრისი. სულ 3 ცალი. ორი მათგანი დამზადებულია ობსიდიანის 2,3—2,8 სმ სიგრძის ორფერდა ლამელაზე. მესამე კი დამზადებულია კაჟის განიერი, ორფერდა ლამელის ბოლოზე.

4. გვერდამოღარული საფხეკი და სწორი საჭრისი. სულ 2 ცალი. დამზადებულია 1,5—4,8 სმ სიგრძის ობსიდიანის ლამელებზე. მათგან ერთს გვერდი მუცლის მხრიდან აქვს რეტეშირებული.

5. ორმაგი საფხეკი და თავგადამტვრეული ირიბი საჭრისი, დამზადებულია 1 სმ სიგრძის ობსიდიანის სამფერდა ლამელაზე.

6. ამოღარული საფხეკი და თავგადამტვრეული ხიწვიანი საჭრისი, დამზადებულია 2,3 სმ სიგრძის ობსიდიანის სამფერდა ლამელაზე.

7. ამოღარული საფხეკი და სწორი საჭრისი დამზადებულია 1,5 სმ სიგრძის ობსიდიანის უხეშ ლამელაზე.

8. სახვრეტი და სწორი საჭრისი, 2 ცალი. მათგან ერთი დამზადებულია კაჟის ლამელისებურ ანატეკეცზე, მეორე კი ობსიდიანის თხელ, მოკლე ლამელაზე. სიგრძე 1,5 სმ-ია, სიგანე კი 0,8 სმ.

გერმეტრიული მოყვანილობის მიკროლითები (ტაბ. IV, სურ. 12—15). სადგომზე ნაპოვნია მხოლოდ 8 ტრაპეცია. მათ დასამზადებლად გამოიყენებოდა თხელი და ვიწრო ლამელის განივი ნატეხები, შემდგომი დამუშავებით — თხელი, დამრეცი რეტეშით იღებდნენ სასურველ ფორმას.

ანასეული I-ის ტრაპეციები ხასიათდებიან სიმეტრიული ფერდებითა და ფუძეებით. 7 ტრაპეციას დამუშავებული აქვს მხოლოდ ორი ფერდი. ზედა ფუძე არ არის დამუშავებული. ქვედა კი ემთხვევა ლამელის ნაპირს და ვტყობა გამოყენების კვალი. გამონაჯლის შეადგენს ერთი ტრაპეცია, რომლის ორი ფერდი და ზედა ფუძე დამუშავებულია. მათი სიგრძე და სიმაღლე დაახლ. 1 სმ უდრის.

სახვრეტები (ტაბ. IV, სურ. 1—3), სულ 4 ცალი. მათი სამუშაო წვერი დამუშავებულია სხვადასხვა სიბრტყეზე მდებარე რეტუშით, ე. ი. წვერის ერთი მხარე რეტუშირებულია ზურგიდან, მეორე კი მუცლის მხრიდან. ორი სახვრეტი ჩამოყალიბებულია ობსიდიანის თხელ ორფერდა ლამელაზე, ორი კი კაჟის ანატკეცზე. მათი სიგრძე 3,2—5,4 სმ შორის მერყეობს, სიგანე კი 1—3 სმ-ს უდრის.

ხერხისებური იარაღები (ტაბ. IV, სურ. 19—20), სულ 2 ცალი. მათგან ერთი ჩამოყალიბებულია ობსიდიანის განიერ ლამელაზე, კბილები კარგად აქვს გაფორმებული რეტუშით. მეორე დამზადებულია ობსიდიანის ვიწრო ლამელაზე, კბილები ერთმანეთთან ახლოსაა განლაგებული. სიგრძე 2,3 სმ უდრის, სიგანე — 2 სმ.

დანები (ტაბ. IV, სურ. 9), სულ 2 ცალი. დამზადებულია თხელ ლამელაზე. ერთ-ერთი გვერდის დაბლაგვების მიზნით და საჩვენებელი თითის მოხერხებული დაჭერისათვის დანის წვერიდან დაწყებული მთელ ზურგს გასდევს გვერდის ჩამონატეხი. სამუშაო პირზე ეტყობა გამოყენების კვალი. სიგრძე — 3,5 სმ-ია, სიგანე — 1,5 სმ. ამგვარი დანები, როგორც ჩანს, უტაროდ იხმარებოდა. იარაღის ზურგის დაბლაგვების მსგავსი შემთხვევები დადასტურებულია კოსტენკი I და IV სადგომზე.

წვეტანა (ტაბ. IV, სურ. 8). დამზადებულია 5,2 სმ სიგრძის და 4 სმ სიგანის კაჟის ანატკეცზე და აქვს წაგრძელებული ფოთლის ფორმა; იარაღი დაფარულია მოთეთრო-მოვარდისფრო პატინით. ზურგის მხარე მთლიანად დამუშავებულია, მუცლის მხარე კი მხოლოდ ფუძესთან; დამუშავება საკმაოდ უხეშია. ამგვარი იარაღი ჩვენს მასალებში ერთადერთია. დ. თუშაბრამიშვილის აზრით, იგი მუსტიეურია და შემთხვევით უნდა იყოს მოხვედრილი სადგომზე.

ისრისპირი (ტაბ. IV, სურ. 11), ცალფრთიანია. ყუნწი და ცალა ფრთა გაფორმებული აქვს ცალმხრივი გვერდითი ამოღარვით. რეტუში დამრეცია. წვერი არ არის რეტუშირებული. იგი ლამელაზეა დამზადებული. სიგრძე უდრის 3 სმ, სიგანე — 1,5 სმ.

რეტუშორები დამზადებულია კაჟისა და ობსიდიანის ნატეხებზე, რომლებსაც მოგრძო ფორმა და წვეტიანი ბოლო აქვთ. სამუშაო პირზე შეიმჩნევა გამოყენების კვალი, სულ 2 ცალია.

რიყისქვის იარაღები. ანასეული I-ის მასალებში, ობსიდიანისა და კაჟის იარაღების გარდა, არის რიყის ქვის სხვადასხვა ქანებისაგან დამზადებული იარაღებიც; მათი ნაწილები და წარმოების ნარჩენები.

ცული (ტაბ. V, სურ. 2) ორმხრივლესილი, თხელი, ოვალური სამუშაო პირით. განიკვეთში ოვალურია. იარაღი მთლიანადაა გაპრიალებული. გვერდითი წიბოები არა აქვს. ყუა მოტეხილია. ცული დამზადებულია მაგარი ქანის რიყის ქვისაგან. სიგრძე 8 სმ-ია, სიგანე — 3,4 სმ.

კოლექციაში არის აგრეთვე რიყის ქვის ორი სხვადასხვა ცულის ნატეხი. მისი ყუა ნაწილის სიგრძე 5 სმ-ია, სიგანე კი 3 სმ, მეორე კი გახეხილ-გაპრიალებული სამუშაო პირია. სიგრძე უდრის 5,8 სმ-ს, სიგანე — 3,5 სმ.

სათლელები (ტაბ. V, სურ. 3—4), სულ 3 ცალია. ორი მათგანი დამზადებულია რიყის ქვის მაგარი ქანისაგან. საშუალო სიგრძე 7,5 სმ-ია, სიგანე — 3,5 სმ. აქვს ბრტყელი და მოგრძო ფორმა. ერთის ზედაპირი ცალი მხრიდან გაპრიალებულია, მეორე მხრიდან კი ნაწილობრივ ამოტეხილი. მეორის ზედაპირი ცეცხლში ყოფნის შედეგად დაზიანებულია. მესამე სათლელი დამზა-

დებულობა ქვიშაქვისაგან (ტაბ. VI, სურ. 5). სიგრძე 10 სმ, სიგანე 4 სმ-ია. ზედაპირი ხაოიანია, ნახევრადოვალური; სამუშაო პირი გაპრიალებული არაა. აქვს მოგრძო ფორმა, ოდნავ გაღუნული.

ხელჩაქუჩი (ტაბ. V, სურ. 1). დამზადებულია რიყის ქვის მაგარი ქანისაგან. სიგრძე 12,5 სმ-ს უდრის, სიგანე 3,9 სმ. ვიწრო სამუშაო პირი ზედა ნაწილში განიერდება. განიკვეთი ოვალურია, ზედაპირი ხაოიანი. სამუშაო პირზე ეტყობა გამოყენების კვალი. იარაღის ზედა ნაწილი ათლილია.

ოთხისმაგვარი იარაღი (ტაბ. VI, სურ.) 2. დამზადებულია მომწვანო ფერის ქანისაგან. ოვალური სამუშაო პირი ბოლოსაკენ ვიწროვდება. სიგრძე 8 სმ-ია, სიგანე 6 სმ, ამგვარი იარაღი შესაძლოა მიწის გასაფხვიერებლად ყოფილიყო გამოყენებული.

სახეხებად (ტაბ. VI, სურ. 4, 6) გამოიყენებოდა სხვადასხვა ზომის, მომრგვალო, ოვალური და იშვიათად მოგრძო ფორმის რიყის ქვები. სადგომზე ნაპოვნია 14 ცალი მცირე ზომის მომრგვალო რიყის ქვისაგან დამზადებული სახეხი, ძლიერ ნახეხი გვერდებით. დიამეტრი საშუალოდ 5 სმ უდრის. ოთხ სახეხს მოგრძო ოვალის მოყვანილობა აქვს, მათგან სამი ერთი მხრიდანაა ნახეხი, ერთი კი ორი მოპირდაპირე მხრიდან.

კოლექციაში არის 7 რიყის ქვის სახეხი, რომელთა ცალი მხარე ბრტყელია და ნახეხი, მეორე კი ამობურცული. მათი დიამეტრი 5—7,5 სმ შორის მერყეობს. სახეხებს ხაოიანი ზედაპირი და ინტენსიური გამოყენების კვალი აქვს. ზოგიერთი მათგანი შესაძლოა ერთდროულად ხელჩაქუჩის მაგივრობასაც ასრულებდა, რასაც უნდა მოწმობდეს მათი დაჩეჩქილი გვერდები.

საფიქრებელია, რომ აღნიშნული სახეხები გამოიყენებოდა მარცვლეულისა და შემგროვებლობის პროდუქტების დასამუშავებლად. ასევე მაგარი ნაყოფის დასამტვრევად და საღებავების სასრესად.

შურდულის ქვები წარმოადგენენ სხვადასხვა ზომის მრგვალ რიყის ქვებს, რომლებსაც ზედაპირზე ემჩნევათ დარტყმის კვალი და ამოტეხილი ნაწილები. ამგვარ ქვებს საბრძოლო იარაღის როლი უნდა ჰქონოდათ და შორ მანძილზე სატყორცნად გამოიყენებოდა. მათი დიამეტრი 3—6 სმ შორის მერყეობს. სულ 17 ცალია.

საპრიალებლად გამოიყენებოდა მოგრძო და ვიწრო რიყის ქვები, რომლებსაც ოთხკუთხა, ან მომრგვალო განიკვეთი ჰქონდა. სულ 5 ცალია. ამ იარაღებს გვერდებზე აქვს გამოყენების კვალი. ისინი, შესაძლოა, რიყის ქვის იარაღების საპრიალებლად გამოიყენებოდა. სიგრძე 6—8 სმ, სიგანე 3—4 სმ შორის მერყეობს.

სახეხ-საპრიალებელი (ტაბ. VI, სურ. 1), დამზადებულია დიდი ზომის (22 სმ×17 სმ) ბრტყლი, ოთხკუთხა რიყის ქვისაგან. იარაღს მთელ სიგრძეზე გასდევს 6 სმ სიგანის ნახეხი ღარი. ამგვარი იარაღი იხმარებოდა რიყის ქვის იარაღების საპრიალებლად.

გრდემლები. კოლექციაში გვაქვს 3 ცალი დიდი ზომის, ოთხკუთხა და ოვალური განიკვეთის მქონე გრდემლი. მათი ზედაპირი დაჩეჩქილია და ეტყობა დარტყმების კვალი, მიღებული მაგარი მასალის დამტვრევის შედეგად. მიწაზე მოხერხებულად დადების მიზნით გრდემლებად უმეტესად არჩევდნენ ბრტყელძირა დიდი ზომის რიყის ქვებს. ამობურცულებს კი ზოგჯერ შუაზე აპობდნენ ბრტყელი ძირის მისაღებად.

სადგომზე მრავლად აღმოჩნდა რიყის ქვის იარაღების დამზადების შედეგად მიღებული სხვადასხვა ზომისა და ფორმის ანატექცები. ზოგიერთ მათგანს დამუშავების კვალი ეტყობა.

ანასეული I-ის იარაღებისა და წარმოების ნაშთებს რაოდენობა და %-ული შეფარდება¹³

ცხრილი 2

წარმოების ნაშთები და იარაღები	რაოდენობა	%-ული შეფარდება
კაჭრები	3	0,075
ნუკლეუსები და მათი ნაწილები	28	0,69
ანამტვრევები	1700	42
ანატექცები	1200	30
ლამელები	710	18
საჭრისები	160	35,5
საფხეკები	120	26,6
სახერეტები	4	0,88
კომბინირებული იარაღები	13	2,8
ტრაპეციები	10	2,2
ხერხისებური იარაღები	2	0,44
დანები	2	0,44
რეტუსორები	3	0,66
შალაშინები	2	0,44
ცულები	3	0,66
სათელ-სატეხები	3	0,66
ჩაქუჩი	1	0,22
თოხისებური იარაღი	1	0,22
სახეხები	25	5,5
შურდულის ქვები	17	3,7
საპრაილებელი	5	1,1
სახეხ-საპრაილებელი	1	0,22
გრდემლები	3	0,66
ნამზადები	30	0,74
ს უ ლ	4044	

ანასეული I-ლის კაეისა და ობსიდიანის მასალის %-ლი შეფარდება

ცხრილი 3

წარმოების ნაშთები და იარაღები	საერთო რაოდენობა	ობსიდიანი	კაეი	ობსიდიანის მასალის % შეფარდება	კაეის მასალის % შეფარდება
ნუკლეუსები	26	14	14	50 %	50%
ანატექცები	1200	720	480	60 %	40%
ანამტვრევები	1700	1450	250	85 %	15%
ლამელები	710	465	245	65 %	35%
საჭრისები	160	131	29	82 %	18%
საფხეკები	120	85	35	71 %	89%
სახერეტები	4	2	2	50 %	50%
კომბინირებული იარაღები	13	12	1	99 %	1%
ტრაპეციები	10	5	5	50 %	50%
ხერხისებური იარაღები	2	2	—	100 %	—
რეტუსორები	3	3	—	100 %	—
დანები	2	2	—	100 %	—
შალაშინები	2	—	2	—	100%
ისრისპირები	1	1	—	—	—
ს უ ლ	3955	2892	1063		

¹³ ცხრილებში იარაღების %-ული შეფარდება გამოანგარიშებულია იარაღების საერთო რაოდენობიდან, წარმოების ნაშთებისა კი მასალის საერთო რაოდენობიდან.

ანასეული II. ანასეული II-ის ნეოლითური კოლექცია ანასეულ I-თან შედარებით გაცილებით მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანია. მისგან განსხვავებით აქ უკვე გვაქვს სამეთუნეო ნაწარმი, დაახლოებით 3700 ფრაგმენტის სახით. მოპოვებული ნაშთების საერთო რაოდენობა 12310 ერთეულს უდრის. აქედან ქვის მასალა სულ 8610 ერთეულია. მასში 7252 ერთეული კაჟისაა, 1090 ერთეული ობსიდიანის და 168 ერთ. რიყის ქვის. კაჟის მასალას საერთო რაოდენობის 77%-ია, ობსიდიანი — 20%, რიყის ქვა კი 2%-ია.

ქვის მასალის დიდი ნაწილი წარმოდგენილია იარაღების დამზადების შედეგად მიღებული წარმოების ნარჩენებით.

დანაშნულებისა და მოყვანილობის მიხედვით აღნიშნული მასალა შეიძლება დაიყოს შემდეგ ჯგუფებად და ქვეჯგუფებად:

კაჭრები. სადგომზე ნაპოვნია კაჟის 11 კაჭარი. მათ შორის არის როგორც ხელუხლებელი ცალები, ასევე თავგადამტვრეული და სამუშაოდ მომზადებულიც. ისინი მომრგვალო მოყვანილობისაა და მათი დიამეტრი კი 5 სმ უდრის.

ნუკლეუსები. კოლექციაში 15 მთელი ნუკლეუსია, 1 მათგანი ობსიდიანისაა, დანარჩენი კი კაჟისა. უკლებლივ ყველას ემჩნევა ლამელებისა ან ანატკეცების ატკეცვის კვალი. მათი უმრავლესობა ძალიან დაზიანებულია და ჭირს თავდაპირველი მოყვანილობის დადგენა (33 ცალი). სიგრძე საშუალოდ 3 სმ-ია, სიგანე — 2 სმ. არის ბოლომდე გამოყენებული ნუკლეუსები — ნალევები. სულ 21 ცალია. მათი სიგრძე 1—2 სმ შორის მერყეობს, სიგანე კი დაახლოებით 1 სმ-ია.

ანასეული II-ის ნუკლეუსები შეიძლება სამ ძირითად ჯგუფად დაიყოს:

1. კონუსის მოყვანილობის ნუკლეუსები (ტაბ. VII, სურ. 3). მათ აქვთ კარგად შემზადებული ერთი დარტყმის სიბრტყე, გარშემო კი ემჩნევა ლამელების ან ანატკეცების ატკეცვის კვალი. სულ 7 ცალია, რაც ნუკლეუსების საერთო რაოდენობის 10%-ს შეადგენს. სიგრძე 2,5—6 სმ შორის მერყეობს, ფუძის დიამეტრი კი 3—4 სმ-მდეა.

2. პრიზმის მოყვანილობის ნუკლეუსები (ტაბ. VII, სურ. 1—2). ყველა მათგანი ორფუძიანია და აქვს ორი კარგად შემზადებული დარტყმის სიბრტყე, ხოლო გარშემო ემჩნევა ვიწრო და სწორი ლამელების ატკეცვის კვალი. სულ 3 ცალია, რაც ნუკლეუსების 4,3%-ს შეადგენს. სიგრძე 6—8 სმ-მდეა, სიგანე 2,5—5 სმ შორის მერყეობს. მათგან სამის გარდა ყველა დაზიანებულია.

3. ფანქრისებური მოყვანილობის ნუკლეუსები, სულ 4 ცალია, რაც ნუკლეუსების 5,7%-ს შეადგენს. ყველა მათგანი დაზიანებულია. სიგრძე 2—3 სმ-მდეა, სიგანე 1—2 სმ-მდე.

კოლექციაში არის ერთი ბრტყელი ნუკლეუსი, რომლის ცალი მხარე გამოყენებულია, მეორე კი კაჭრის კანიტაა დაფარული. მომრგვალო ფორმისაა, მისი დიამეტრი 4 სმ-ია.

ანამტვრევეები. მასალებში 1000-მდე ანამტვრევეია, მათგან 800 კაჟისაა, 200 კი ობსიდიანისა. მათ არ ეტყობათ დარტყმის სიბრტყე და ატკეცვის ბურცობი. ასევე არ გააჩნიათ დამუშავების კვალი. გამოყენების კვალი იშვიათად შეინიშნება. ანამტვრევეებში ჭარბობს მცირე ზომისანი (600 ერთ.), რომელთა სიგრძე 1—3 სმ-მდეა. დანარჩენი 400 ანამტვრევეი საშუალო ზომისაა, რომელთა სიგრძე 3—5 სმ-მდეა, სიგანე კი 2—4 სმ-მდე. დიდი ზომის ანამტვრევეი თითო-ორიოლა.

ანატკეცები. ანასელი II-ის მასალებში დიდი ადგილი უჭირავს ანატკეცებს. სულ 5260 ერთეულამდეა, რაც ქვის მასალის საერთო რაოდენობის 56%-ს შეადგენს. აქედან 250 ობსიდიანისაა, დანარჩენი კი კაყისა. ე. ი. კაყის ანატკეცები ანატკეცების საერთო რაოდენობის 95%-ს შეადგენს.

ხასიათის მიხედვით ეს ანატკეცები დაიყოფა შემდეგ ჯგუფებად:

1. კაჭრის გათლის შედეგად მიღებული ანატკეცები, სულ 200 ცალია. ისინი ანატკეცების საერთო რაოდენობის 5%-ს შეადგენენ. მათი ზედა ნაწილი ამობურტულია და ბუნებრივი ქერქითაა დაფარული. ქვედა ხან სწორია, ხან კი შეზნეილი და დაფარულია ტალღისებური წრეებით. სიგრძე—3—6 სმ-მდეა, სიგანე კი 2—4 სმ-მდეა.

2. ნუკლეუსებიდან მიღებული ანატკეცები. მათ კოლექციაში რიცხობრივი უპირატესობა ენიჭება. სულ 3600 ცალია, საერთო რაოდენობის 68%-ს შეადგენს. მათ შორის ჭარბობს მცირე ზომის ანატკეცები (3000 ცალი), რომელთა სიგრძე საშუალოდ 1—3 სმ-მდეა, სიგანე კი 1—2 სმ შორის მერყეობს. შედარებით ნაკლებია საშუალო ზომის ანატკეცები (465 ცალი), რომელთა სიგრძე 4—7 სმ-მდეა, სიგანე კი 3—5 სმ-მდე. დიდი ზომის ანატკეცები კოლექციაში არ არის. ანატკეცებს შორის გვხვდება როგორც მოგრძო, ასევე მომრგვალო და სამკუთხედისებური მოყვანილობის ანატკეცები, რომლებსაც არასწორი გვერდები და მჭრელი ნაპირები აქვს. მცირე ნაწილს ეტყობა მეორადი დამუშავების კვალი. ზოგ შემთხვევაში რეტუში ფაქიზი და მერთალია, ზოგჯერ კი მსხვილფაცეტიანი და მკაფიო. ანატკეცების დიდი ნაწილი დამუშავების გარეშე გამოიყენებოდა, რასაც მოწმობს გამოყენების კვალი.

3. ნუკლეუსების განახლების და შესწორების შედეგად მიღებული ანატკეცები, სულ 38 ცალია, საერთო რაოდენობის 1%-ს შეადგენს. აღნიშნულ ანატკეცებში გამოვყოფთ განივსა და სიგრძივს. კოლექციაში გვაქვს ნუკლეუსის 14 განივი ანატკეცი, რომლებიც ნუკლეუსების „განახლებისას“ მიიღებოდა. მათ მოღუნული მოყვანილობა აქვთ, ხოლო გვერდებზე ემჩნევათ ნუკლეუსიდან გამოყოფილი წახნაგები. მათი ნაწილი მეორადი დამუშავების შემდეგ საფხეკებად გამოიყენებოდა. სიგრძივი ანატკეცი 24 ცალია. ისინი მიიღებოდა ნუკლეუსის გვერდების შესწორებისას, უხარისხო, არასწორი ნაწილების მოშორებისას, ეს ანატკეცები ხშირად სამწახნაგია.

ლამელები. კოლექციაში 1240 ცალი სხვადასხვა ფორმისა და ზომის ლამელაა, რაც მასალის საერთო რაოდენობის 13%-ს შეადგენს. აქედან 1025 ლამელა კაყისაა, 220 კი ობსიდიანისა. ლამელების უმრავლესობა ორ ან სამფერდაა, იშვიათად ოთხფერდა. მათ სწორი, თხელი და მჭრელი ნაპირები ახასიათებთ. სიგრძე 1—7 სმ შორის მერყეობს, ხოლო სიგანე 0,5—2 სმ-მდეა. 218 ლამელას აქვს სხვადასხვა სახის მეორადი დამუშავება.

მოყვანილობისა და მეორადი დამუშავების მიხედვით ლამელები შეიძლება შემდეგ ჯგუფებად დავყოთ:

1. დანისებური ლამელები (ტაბ. VII, სურ. 4—7), სულ 430 ცალია. ლამელების ეს ჯგუფი ხასიათდება თხელი, ვიწრო და სწორი ნაპირებით, მათ უმრავლესობას გვერდებზე აქვს გამოყენების კვალი. დანისებურ ლამელებში ყველაზე დიდი ადგილი უჭირავთ ბოლოგადამტვრეულ ლამელებს (270 ცალი). ბევრია აგრეთვე თავ-ბოლოგადამტვრეული ლამელები (150 ცალი), მთელი ლამელა მხოლოდ 10 ცალია. ლამელების სიგრძე 2—5 სმ შორის მერყეობს, სიგანე კი 0,8—1,1 სმ-მდეა.

2. ლამელის განივი ნატეხები (ტაბ. VII, სურ. 13—15), სულ 277 ცალია. განივი ნატეხები მიიღებოდა სწორი და თხელი ლამელების დანაწილების შედეგად. ისინი მოგრობო სწორკუთხედის ფორმისაა. მათ უმრავლესობას გვერდებზე ეტყობა გამოყენების კვალი. როგორც ჩანს, მათი ერთი ნაწილი დამუშავების გარეშეც გამოიყენებოდა, მეორე კი შესაძლოა გეომეტრიული მიკროლითების ნამზადები იყო. სიგრძე 1—1,5 სმ-მდეა.

3. ლამელის თავები (ტაბ. VII, სურ. 34), სულ 258 ცალია, ისინი მიიღებოდა ლამელის თავის გადატეხის შედეგად. მათ კარგად ემჩნევათ დარტყმის სიბრტყე და ატკეცვის ბურცობი. ლამელის თავებს რეტუში და გამოყენების კვალი იშვიათად აქვს. სიგრძე 0,5—1,5 სმ-მდე მერყეობს, სიგანე კი საშუალოდ 1 სმ-ია.

4. მიკროლითური ლამელები (ტაბ. VII, სურ. 9—12), სულ 63 ცალი. ამ ჯგუფში შედის მცირე ზომის თხელი და ვიწრო ლამელები, რომელთა სიგრძე 1—2,5 სმ შორის მერყეობს. მათ მცირე ნაწილს ცალ გვერდზე აქვს ფაქიზი რეტუში.

5. თავრეტუშირებული ლამელები (ტაბ. VII, სურ. 22—23). დამუშავებულ ლამელებს შორის ეს ჯგუფი ყველაზე დიდია. სულ 145 ცალია. ისინი რეტუშირებული ლამელების 68%-ს წარმოადგენენ. მათში ორი ქვეჯგუფი გამოიყოფა: ა) თავსწორრეტუშირებული ლამელები, სულ 73 ცალია. ისინი თავრეტუშირებული ლამელების 50%-ს შეადგენენ და ბ) თავირიბრეტუშირებული, სულ 72 ცალი, რაც თავრეტუშირებული ლამელების 50%-ია, თავსწორრეტუშიან ლამელებს უმეტესად მსხვილფაცეტიანი რეტუში აქვთ, თავირიბრეტუშიანს კი დამრეცი და თხელი, ლამელების ეს ჯგუფი წარმოადგენილია ორ ან სამფერდა ვიწრო, თხელი დანისებური ლამელებით. ყველა მათგანს ეტყობა გამოყენების კვალი. სიგრძე 2—7,5 სმ შორის მერყეობს.

ლამელების ეს ჯგუფი ანასეული I-ის მასალებში არ არის. ამგვარ ლამელებს დანა-საფხეკების დანიშნულება უნდა ჰქონოდა.

6. გვერდრეტუშირებული ლამელები (ტაბ. VII, სურ. 8, 16, 17). სულ 49 ცალი. ეს ლამელები ერთმანეთისაგან განსხვავდება რეტუშის ხასიათით და განლაგებით, რეტუში ზოგჯერ თანმიმდევრულია და მთლიანად ვასდევს ლამელის გვერდს, ზოგჯერ კი ნაწილობრივია. იგი ხან მსხვილფაცეტიანია, ხან კი თხელფაცეტიანი. ამ ლამელებში გამოიყოფა შემდეგი ქვეჯგუფები:

ა) ლამელები, რომელთა გვერდები დამუშავებულია ზურგის მხრიდან, ასეთია 34.

ბ) ლამელები, რომელთა გვერდები დამუშავებულია მუცლის მხრიდან, სულ 10.

გ) ლამელები, საწინააღმდეგო სიბრტყეზე მდებარე რეტუშით, სულ 5 ცალია. ამ ჯგუფის ლამელების სიგრძე 1,5—4,5 სმ შორის მერყეობს.

7. გვერდამოღარული ლამელები (ტაბ. VII, სურ. 18). სულ 16 ცალი, ამ ჯგუფის ლამელებს რეტუშის საშუალებით ამოღარული აქვთ გვერდის რომელიმე ნაწილი. სიგრძე 1—5,5 სმ-მდე მერყეობს.

8. ბლავგეზურა ლამელები (ტაბ. VII, სურ. 19—21). სულ 2 ცალი, ეს ლამელები გამოირჩევა ფაქიზი რეტუშით და მცირე ზომებით. სიგრძე 1—2,5 სმ შორის მერყეობს.

ლ ა მ ე ლ ე ბ ი	რაოდენობა	% შეფარდება
დანისებური ლამელები	430	36%
ლამელის განივი ნატივები	277	22%
ლაჭლის თავები	258	21%
მიკროლითური ლამელები	63	5%
თავრეტუშირებული ლამელები	145	12%
გვერდრეტუშირებული ლამელები	49	4%
გვერდამოღობული ლამელები	16	1,3%
ბლაგვებურა ლამელები	2	0,16%
ს უ ლ	1240	

ს ა ჯ რ ი ს ე ბ ი. ანასეულ II-ში იარაღებს შორის საჯრისები ყველაზე მეტია. სულ 147 ცალია, ამ კოლექციაში საჯრისები საკმაოდ დახვეწილი ფორმისაა, ისინი ჩამოყალიბებულია ვიწრო, თხელ და სწორ ლამელებზე, რომლებსაც ხშირად თავი აქვთ რეტუშირებული. გამონაკლისს შეადგენს ერთი შუალა საჯრისი, დამზადებული მსხვილ მასიურ ლამელაზე. ერთის გამოკლებით ყველა საჯრისი ცალწახნაგაა. თითქმის ყველას ეტყობა გამოყენების კვალი.

სამუშაო პირის ხასიათის მიხედვით საჯრისებში გამოვყოფთ შემდეგ ჯგუფებს და ქვეჯგუფებს:

1. მარტივი საჯრისები. სულ 104 ცალია. ამ ჯგუფში ვაერთიანებთ ისეთ საჯრისებს, რომლებიც ჩამოყალიბებულია თავ ან თავბოლოგადამტერეულ ლამელაზე, თავი არა აქვთ დამუშავებული, სამუშაო პირი შექმნილია ლამელის ცალ ან ორივე მხარეს სწორი, ირიბი, კუთხის ან ხიწვიანი სასაჯრისე ჩამონატეხის საშუალებით. ამ საჯრისებში გამოიყოფა ორი ქვეჯგუფი:

ა) მარტივი ცალმხრივი საჯრისები. სულ 83 ცალი (ტაბ. VIII. სურ. 1—6). მარტივ ცალმხრივ საჯრისებში 28 საჯრისს აქვს სწორი სასაჯრისე ჩამონატეხი (ტაბ. VIII. სურ. 1—2), 14 ცალს — ირიბი (ტაბ. VIII. სურ. 3), 41 ცალს კი ხიწვიანი (VIII. სურ. 4—6). მათი სიგრძე 1,5—5,2 სმ შორის მერყეობს, სივანე 0,5—1,6 სმ შორის.

ბ) მარტივი ორმხრივი საჯრისები. 25 ცალია (ტაბ. VIII, სურ. 14—25). საჯრისების ამ ქვეჯგუფში 7 საჯრისს აქვს სწორი სასაჯრისე ჩამონატეხი (ტაბ. VIII. სურ. 14—15), ერთი საჯრისი ირიბია (ტაბ. VIII. სურ. 16), 3 საჯრისი — ხიწვიანი (ტაბ. VIII. სურ. 18—21), არის ისეთი საჯრისებიც, რომლებსაც ცალ გვერდზე აქვს სწორი, მეორეზე კი ირიბი ან ხიწვიანი სასაჯრისე ჩამონატეხი (ტაბ. VIII, სურ. 17, 19). მათი სიგრძე 1,7—5,5 სმ-მდეა, სივანე კი 0,8—1 სმ-მდე.

2. თავრეტუშიანი საჯრისები. 34 ცალია. ამ ჯგუფში ვაერთიანებთ ისეთ საჯრისებს, რომლებსაც სასაჯრისე ჩამონატეხი აქვთ იარაღის ცალ ან ორივე მხარეს, ხოლო თავი სწორად ან ირიბად აქვთ რეტუშირებული. ამ ჯგუფში გამოვყოფთ: ა) თავრეტუშიან ცალმხრივ (ტაბ. VIII, სურ. 7—17) და ბ) თავრეტუშიან ორმხრივ საჯრისებს (ტაბ. VIII. სურ. 22—27). თავრეტუშიანი ცალმხრივი საჯრისი 23 ცალია, თავრეტუშიანი ორმხრივი კი 11. თავრეტუშიან ცალმხრივ საჯრისებში არის 6 საჯრისი სწორი სასაჯრისე ჩამონატეხით, 2 საჯრისი — ირიბი ჩამონატეხით და 15 ცალი — ხიწვიანით.

თავრეტუშთან ორმხრივ საქრისებში კი 2 საქრისს აქვს სწორი, 2 — ხიწვიანი და ერთს — ირიბი სასაქრისე ჩამონატეხი. არის ისეთი ცალეტიც, რომლებზედაც გვხვდება ირიბი და ხიწვიანი ან ირიბი და სწორი სასაქრისე ჩამონატეხები.

შუალა საქრისები (ტაბ. VIII, სურ. 26—27), სულ 7 ცალია, ხუთი მათგანი ლამელაზეა დამზადებული, 2 კი ანატკეცზე. სიგრძე 1,5—2,2 სმ, სიგანე 1 სმ უდრის.

ს ა ფ ხ ე კ ე ბ ი. მიუხედავად იმისა, რომ ანასეული II-ის კომპლექსი სამჯერ აღემატება ანასეული I-ის კოლექციას, მასში საფხეკების რაოდენობა კლებულობს. სულ 66 ცალია. უნდა აღინიშნოს, რომ ეს საფხეკები არ გამოირჩევა ფორმების მრავალფეროვნებითა და ბეჭითი დამუშავებით. მათი უმრავლესობა ჩამოყალიბებულია საშუალო ზომის მოკლე ანატკეცების ბოლოებზე. საფხეკების უმრავლესობა მთელ იარაღს წარმოადგენს, თუმცა არის მუშაობის პროცესში დაზიანებულებიც.

სამუშაო პირის მოყვანილობისა და ნამზადის ხასიათის მიხედვით აღნიშნული საფხეკები შეიძლება დაიყოს შემდეგ ჯგუფებად:

1. ოვალურ სამუშაოპირიანი საფხეკები, ჩამოყალიბებული ანატკეცების ბოლოზე (ტაბ. IX, სურ. 1—4). სულ 18 ცალია. ისინი დამზადებულია განიერი ანატკეცების ბოლოზე. სიგრძე 2,5—3,5 სმ შორის მერყეობს, სამუშაო პირის სიგანე კი 2,3—3 სმ შორის.

2. ოვალურ სამუშაოპირიანი საფხეკები, ჩამოყალიბებული ვიწრო ლამელების ბოლოზე (ტაბ. IX, სურ. 3—6), სულ 4 ცალია. სიგრძე 1—3 სმ შორის მერყეობს, სამუშაო პირის სიგანე კი 1—1,5 სმ-მდე. მათგან სამი საფხეკი დაზიანებულია.

3. მიკროლითური საფხეკები (ტაბ. IX, სურ. 7), სულ 16 ცალია. ისინი წარმოდგენილია ოვალურ სამუშაოპირიანი საფხეკებით, რომლებიც ჩამოყალიბებულია 1—3 სმ სიგრძის თხელ ანატკეცებზე ან იმავე ზომის ლამელებზე.

4. ამოღარული საფხეკები (ტაბ. IX, სურ. 8), სულ 11 ცალია. ისინი დამზადებულია სხვადასხვა ფორმისა და ზომის ანატკეცებზე, რომლებსაც რეტუშის საშუალებით ამოღარული აქვთ ერთ-ერთი გვერდი. მათი სიგრძე 2—5,5 სმ-მდე მერყეობს.

5. ნისკარტისმაგვარი საფხეკები, სულ 2 ცალია. ისინი ჩამოყალიბებულია დიდი ზომის, მასიურ ანატკეცებზე. მათ აქვთ ოვალური, ოდნავ მოხრილი, მკაფიოდ გამოხატული სამუშაო პირი. სიგრძე 4,7 სმ, სამუშაო პირის სიგანე 3,7 სმ-ია.

ცხრილი 5

ჯგუფები	ს ა ფ ხ ე კ ე ბ ი	რაოდენობა	%-ლი შეფარდება
I	ანატკეცების ბოლოზე დამზადებული ოვალურსამუშაოპირიანი ლამელების ბოლოზე დამზადებული ოვალურსამუშაოპირიანი	18	27 %
II	მიკროლითური	4	6 %
III	ამოღარული	16	24 %
IV	ნისკარტისმაგვარი	11	17 %
V	შემთხვევითი მოყვანილობის ანატკეცებზე დამზადებული საფხეკები	2	3 %
VI		15	24 %

6. ამ ჯგუფში ვაერთიანებთ შემთხვევითი მოყვანილობის, უწყსო ანატკეცებზე დამზადებულ საფხეკებს. მათ არა აქვთ კარგად გაფორმებული სამუშაო პირი და არ ტოვებენ სრულყოფილი იარაღების შთაბეჭდილებას. სულ 15 ცალია.

სახერტები ანასეული II-ის მასალებში დიდი სერიებითაა წარმოდგენილი, სულ 79 ცალია. მათი ერთი ნაწილი ჩამოყალიბებულია ლამელებზე, მეორე კი ანატკეცებზე. მოყვანილობისა და სამუშაო პირის დამუშავების მიხედვით, სახერტები შეიძლება ორ ძირითად ჯგუფად დაიყოს:

1. წვეტანისებური სახერტები (ტაბ. IX, სურ. 9—19). ისინი დამზადებულია თხელ, ვიწრო, ორ ან სამფერდა ლამელებზე, სულ 66 ცალია. მათგან 18 სახერტი ირგვლივ რეტუშირებულია, 14 კი წვერრეტუშირებული. რეტუში ამ იარაღებზე უმეტესად დამრეცია. გვხვდება აგრეთვე მოპირდაპირე სიბრტყეზე მდებარე რეტუშით გაფორმებული ცალებიც (ტაბ. IX, სურ. 10). მათი უმეტესობა მთელია და გამოირჩევა მცირე ზომებით.

სიგრძე საშუალოდ 1—3,5 სმ შორის მერყეობს. აღსანიშნავია ერთი სახერტი (ტაბ. IX, სურ. 23). იგი დამზადებულია 5,3 სიგრძის ორფერდა ლამელაზე, მისი წვერი დამრეცი რეტუშითაა გაფორმებული, ხოლო იარაღის ცალ მხარეს ასდევს სასაჭრისე ჩამონატეხი. ს. სემიონოვმა ამგვარი სასაჭრისე ჩამონატეხების შესწავლის შედეგად დაასკვნა, რომ მათ საჭრისის ფუნქცია არ ჰქონდა¹⁴. საფიქრებელია, რომ ამგვარი ჩამონატეხი იარაღს უკეთდებოდა ტარში მოხერხებული ჩასმის მიზნით.

2. წვერგამოყვანილი სახერტები (ტაბ. IX, სურ. 20), სულ 13 ცალია. მათი სამუშაო წვერი რეტუშის საშუალებითაა გაფორმებული, ისინი ანატკეცებზეა დამზადებული. ზოგიერთ სახერტს სამუშაო წვერი საწინააღმდეგო სიბრტყეზე მდებარე რეტუშით აქვთ გაფორმებული. მათი სიგრძე 1,5—5 სმ შორის მერყეობს.

დანები (ტაბ. IX, სურ. 24—27), სულ 31 ცალი. ისინი ჩამოყალიბებულია კაჟის თხელ, ვიწრო ან ორფერდა ლამელაზე.

კომბინირებული იარაღებიდან კოლექციაში მხოლოდ ორი დანა-საჭრისია. ორივე დამზადებულია თავბოლოგადამტვრეულ ლამელებზე. მათი ცალი გვერდი დაბლაგვების მიზნით ათლილია, ხოლო მეორე გვერდზე აქვთ სასაჭრისე ჩამონატეხი. ამ იარაღს ერთ-ერთ გვერდზე აქვს ბრტყელი სასაჭრისე ჩამონატეხი, რომელიც ლამელის მთელ გვერდს გასდევს, ბოლოში კი მოხრილად უერთდება გამოყენების კვალის მქონე მეორე გვერდს. ამ იარაღების მეორე ბოლო რეტუშირებულია მსხვილფაცეტიანი დამაბლაგვებელი რეტუშით. სამუშაო პირთან ამ იარაღებს აქვს ან სასაჭრისე ჩამონატეხი ან კბილანები. ზურგის დაბლაგვება სასაჭრისე ჩამონატეხის მეშვეობით ს. სემიონოვის მიერ დადგენილია მთელ რიგ სხვა იარაღებზეც. სიგრძე 3 სმ-ია, სივანე 0,9 სმ. მათგან მხოლოდ ოთხი ცალია მთელი.

ისრისპირები. ანასეული II-ში სულ ოთხი ისრისპირია ნაპოვნი, ისინი ძირითადად ორ სხვადასხვა ტიპს ეკუთვნიან.

1. სამკუთხა მოყვანილობის, ყუნწიანი, სწორფრთიანი ისრისპირები, ჩამოყალიბებულია ვიწრო, თხელ ლამელებზე (ტაბ. IX, სურ. 28—29). სულ 2 ცალია. მათი ყუნწი ორივე მხრიდანაა დამუშავებული. ერთი მათგანი წვერწა-

14 С. А. Семенов, Первобытная техника. МИА СССР, 34, 1957, стр. 86.

ტეხილია, მეორე კი მთელი. მთელ ცალს წვერა მუცლის მხრიდან აქვს წამახვილებული. მათი სიგრძე 2 სმ-ია, სიგანე კი 1,2 სმ-ს უდრის.

2. ფრთადაშვებულნი ისრისპირები (ტაბ. IX, სურ. 30). ისინი ანატექეცხეა ჩამოყალიბებული და ორმხრივდამუშავებულია. 2 ცალია. ერთი მათგანი მთელია, მისი სიგანე 2,7 სმ უდრის. მაქსიმალური სიგანე 1,5 სმ-ია. მეორე ისრისპირი ყუნწმოტეხილია. მისი სიგრძე 3 სმ-ია, სიგანე კი 1,8 სმ უდრის.

ანასეული II-ის მასალებში არის დაუმთავრებელი მცირე ზომის ისრისპირი, რომლის გაკეთება უცდიათ კაყის ორფერდა ლამელაზე. მისი სიგრძე 2 სმ უდრის, სიგანე 1 სმ-ია.

კოლექციაში გვხვდება რეტუსირებული ლამელების ნაწილები, რომლებიც მოყვანილობით დაზიანებული ისრისპირების ნაწილებს წააგავს.

ხერხისებური იარაღი (ტაბ. IX, სურ. 21). კოლექციაში ერთადერთია. იგი დამზადებულია ობსიდიანის თხელ, განიერ ლამელაზე, რომლის სამუშაო პირი მსხვილადაა დაკბილული. იარაღი დაზიანებულია, სიგრძე 5 სმ-ია, სიგანე 2,5 სმ.

გეომეტრიული მიკროლითები. ანასეული II-ის კოლექციას ახასიათებს გეომეტრიული ფორმის ჩასართების სიჭარბე და მრავალფეროვნება. ისინი წარმოდგენილია ტრაპეციებით, სეგმენტებით, მათ შორის გარდამავალი ფორმებითა და მალაღი, ზურგათილი სწორკუთხედებით. გეომეტრიული მიკროლითები, როგორც წესი, მზადდებოდა თხელი ლამელების განივი ნატეხებისაგან.

ტრაპეციები გეომეტრიულ მიკროლითებს შორის რიცხობრივად ყველაზე მეტია. სულ 92 ცალია. ტრაპეციები ერთმანეთისაგან განსხვავდება დამუშავების ხერხებით, მოყვანილობითა და ზომებით, რის მიხედვითაც მათში შემდეგი ჯგუფები გამოიყოფა:

1. ორგვერდდამუშავებული ტრაპეციები (ტაბ. X, სურ. 1—5). ამ ტრაპეციებიდან 17 ცალი მცირე ზომებით ხასიათდება. მათი სიგრძე საშუალოდ 1,3 სმ, სიმაღლე კი 1—1,5 სმ შორის მერყეობს. 4 ცალი კი დიდი ზომისაა, მათი სიგრძე საშუალოდ 2,1 სმ, სიმაღლე კი 2,3 სმ უდრის, ორ მათგანს გვერდები დამუშავებული აქვს სხვადასხვა სიბრტყეზე მდებარე რეტუსით.

2. სამგვერდდამუშავებული ტრაპეციები (გვერდებ და ზედა ფუძედამუშავებული ტრაპეციები (ტაბ. X, სურ. 7—18). სულ 71 ცალია. ამ იარაღებს ე. წ. „პერპენდიკულარული“ რეტუსით დამუშავებული აქვთ ორი გვერდი და ზედა ფუძე. ქვედა ფუძეზე მათ ეტყობა გამოყენების კვალი. ეს ჯგუფი ხასიათდება მოგრძო და დაბალი მოყვანილობით, მცირე ზომებითა და ბეჯითი დამუშავებით. მათი სიგრძე 1—2 სმ-მდეა, სიმაღლე კი 0,5—1,1 სმ შორის მერყეობს. ერთ-ერთ ტრაპეციას ორი გვერდი დამუშავებული აქვს ზურგიდან, ზედა ფუძე კი მუცლის მხრიდან. მეორე ტრაპეციას გვერდი და ზედა ფუძე მუცლის მხრიდან აქვს დამუშავებული.

სეგმენტები (ტაბ. X, ნახ. 19—33). სულ 76 ცალია. მათი რკალი მთლიანად დამუშავებულია რეტუსით. ქორდა დაუმუშავებელია და ეტყობა გამოყენების კვალი. სეგმენტების მცირე ნაწილს (8 ცალი) რკალზე აქვს დამრეცი რეტუსი, დიდ ნაწილს (68 ცალი) კი რკალი „პერპენდიკულარული“ რეტუსით აქვს დამუშავებული. გამოჩანისს შეადგენს ორი სეგმენტი, რომელთა რკალი დამუშავებულია (ტაბ. X, სურ. 33). მათი საშუალო სიგრძე 1—2 სმ, სიმაღლე 0,5—1 სმ-მდე მერყეობს.

მაღალი, ზურგათილი სწორკუთხედები (ტაბ. X, სურ. 38—54), სულ 40 ცალი. მათი ზურჭი მთლიანად დაფარულია „მცოცავი“, წნეითი რეტუმით. ერთის გარდა, ყველა ობსიდიანისა და აქვთ მომადლო სწორკუთხედის ფორმა. ქვედა ფუძე დაუმუშავებელია, წარმოადგენს სამუშაო პირს და ეტყობა გამოყენების კვალი. ამ იარაღების დიდ ნაწილზე (33 ცალი) შეინიშნება ორმხრივი დამუშავება.

ჩასართისებური იარაღი (ტაბ. IX, სურ. 22), სულ 3 ცალია. ისინი დამზადებულია ობსიდიანის მთელ ანატეცებზე და აქვთ ოთხკუთხედის ფორმა. დარტყმის ბურცობი ათლილია. შუა ნაწილი ოდნავ მსხვილია, ნაპირები კი საგანგებოდაა გათხლებული. მათ შორის ერთ-ერთს ცალი მხარე მთლიანად დაფარული აქვს მსხვილი მცოცავი რეტუმით. სიგრძე კე 3 სმ-ია, სიგანე 2 სმ უდრის.

ეს იარაღები წააგავს გვიან პერიოდებში ცნობილ ნამგლის ჩასართებს, თუმცა მათ მეტად მარტივი სახე აქვთ. შესაძლოა, ამ იარაღების სახით საქმე გვქონდეს მოგვიანო პერიოდებში ფართოდ გავრცელებულ ნამგლის ჩასართების პროტოტიპთან.

შალაშინები. კოლექციაში გვაქვს კაჟის ორი შალაშინი. ისინი დამზადებულია ნახშირი ნუკლეუსებიდან. იარაღს აქვს ოვალური სამუშაო პირი, ბრტყელი ძირი და ამალელებული ზურგი. ნაპირი დამატებითაა შესწორებული.

რეტუმორები გაფორმებულია კაჟის მოგრძო, ოთხკუთხა ან მომრგვალოგანივეკეთიან ანამტრევეებზე, რომელთა ერთი ბოლო ვიწროა და წვერით მთავრდება. წვერზე ეტყობა გამოყენების კვალი. სულ 2 რეტუმორია.

კოლექციაში გვაქვს კაჟის ორი იარაღი, დამზადებული მაკროლითური ტექნიკით, მათ აქვთ მოგრძო ფორმა და მრგვალი განივეკვითი. ძნელი სათქმელია, რა დანიშნულება უნდა ჰქონოდა მათ. ამგვარი იარაღი ცნობილია აგრეთვე ოდიშისა და კისტრიკის კოლექციებიდან. საფიქრებელია, რომ ისინი რეტუმორებად ყოფილიყო გამოყენებული. მათი სიგრძე 3—5,5 სმ შორის მერყეობს, სიგანე კი საშუალოდ 1 სმ-ს უდრის.

გაურკვეველი დანიშნულების ნივთები (ტაბ. IX, სურ. 31—33). ანასეულ II-ში ნაპოვნია კაჟის ანატეცები, რომლებსაც რეტუმის საშუალებით მიცემული აქვთ სხვადასხვა ფორმა; ერთი შეხედვით, ისინი ადამიანის სხეულის ნაწილებისა და ცხოველების გამოსახულებებს მოგვაგონებენ. მაგ., ერთი მათგანი წააგავს ძალღს თუ ცხვარს. შესაძლოა ამ ნივთების სახით საქმე გვქონდეს პირველყოფილ ზოომორფულ გამოსახულებებთან. მითუმეტეს, რომ ამგვარი რამ უკვე პალეოლითიდანაა ცნობილი.

ნამზადები. ანასეულ II-ზე მრავლადაა სხვადასხვა იარაღების (საფხეკების, სახვრეტების, დანების, გეომეტრიული მოყვანილობის იარაღების) ნამზადები. ლამელებისა და მათი განივი ნატეხების მეორადი დამუშავების შედეგად იღებდნენ წინასწარ განსაზღვრული ფორმის იარაღებს. ნამზადების დიდი ნაწილი სხვადასხვა ფორმის ანატეცებითაა წარმოდგენილი. მარტო 22 ცალი სხვადასხვა სახის საფხეკის ნამზადია.

რიყის ქვის მასალა. ანასეული II-ის მოსახლეობა კაჟისა და ობსიდიანის გარდა ფართოდ იყენებდა რიყის ქვის სხვადასხვა ქანებს. სადგომზე დიდი რაოდენობითაა ნაპოვნი რიყის ქვისაგან დამზადებული იარაღები და მათი წარმოების ნარჩენები. სულ 170 ერთეული.

ცულები. კოლექციაში მრავლადაა სხვადასხვა ფორმისა და ზომის,

რიყის ქვისაგან დამზადებული ცულები და მისი ნაწილები. სულ 75 ცალია. მათგან მხოლოდ 53 ცულის თავდაპირველი ფორმის გარკვევაა შესაძლებელი. დანარჩენი 22 ფრაგმენტი კი მუშაობის პროცესში დაზიანებულ ცულებს ეკუთვნის, რომელთა ფორმის გარკვევა ჭირს.

მოყვანილობის მიხედვით მათში შემდეგი ჯგუფები გამოიყოფა:

1. ორმხრივლესილი გვერდწახნაგიანი ცულები (ტაბ. XI, ნახ. 1). სულ 29 ცალია. ისინი წარმოადგენენ მოგრძო და ვიწრო ფორმის ცულებს, ოვალური მოყვანილობის, გაპრიალებული სამუშაო პირით და ოვალური განივკვეთით. იარაღი ყუისაკენ თანდათანობით ვიწროვდება, ხოლო ორივე გვერდზე ხშირად ყუამდე ვიწრო, გაპრიალებული წახნაგები გასდევს. ცულების ზედა ნაწილი „წერტილიანი“ ტექნიკითაა დამუშავებული.

ამავე ჯგუფს ვაკუთვნებთ ორ ცულს, რომელთაგან ერთს წახნაგები მხოლოდ იარაღის ქვედა ნახევარში აქვს, მეორეს კი — ერთი წახნაგი ყუამდე გასდევს, მეორე წახნაგი კი შუა წელამდე. კოლექციაში არის გადატეხილი ცულების ზედა ნაწილები, რომლებიც ამავე ჯგუფის იარაღებს უნდა ეკუთვნოდნენ. ხანგრძლივი ხმარების გამო ცულებს სამუშაო პირი დაჩქეპილი აქვთ და ცალკეული ადგილები ამოტეხილი. მათ უმეტესობას ყუაზე ეტყობა დარტყმების კვალი. სამუშაო პირის სიგანე 4—6 სმ-მდე მერყეობს, სიგრძე 8—12 სმ-მდე. სამუშაო პირის დაზიანების შემდეგ ეს იარაღები ჩაქუჩებად, სახეხებად ან სანაყებად უნდა ყოფილიყო გამოყენებული, რასაც მოწმობს გამოყენების კვალი.

2. ორმხრივლესილი, უწახნაგო ცულები (ტაბ. XI, სურ. 2—5; ტაბ. XII, 1), სულ 8 ცალი. მოყვანილობით მოგვაგონებენ I ჯგუფის ცულებს, იმ განსხვავებით, რომ მათ არა აქვთ გვერდითი წახნაგები. ისინი ხასიათდებიან ოვალური, კარგად გაპრიალებული სამუშაო პირით, იარაღის ზედა ნაწილი „წერტილოვანი“ ტექნიკითაა დამუშავებული. სამუშაო პირის სიგანე 4—6 სმ-მდე მერყეობს. ცულები სამუშაო პირიდან თანდათან ვიწროვდება ყუისაკენ. მათი სიგრძე 8—12 სმ შორის მერყეობს. გადატეხილი ცულების სამუშაო პირი გამოუყენებელია, ხოლო ტანი ჩაქუჩებად ან სანაყებად უხმარიათ.

ამ ჯგუფში თავისი სიდიდით გამოირჩევა 3 ცული (ტაბ. XII, სურ. 1), რომელთა სიგრძე 18—20 სმ შორის მერყეობს, სამუშაო პირის სიგანე კი 5,5 სმ უდრის. ეს ცულები სხვებთან შედარებით უფრო მკვრივი ქანებისაგანაა ნაკეთები.

3. „წაკვეთილი“ ცულები (ტაბ. XI, სურ. 4), სულ 9 ცალი. ამ ცულებს განიერი, ოვალური, ორმხრივგაპრიალებული სამუშაო პირი და ოვალური განივკვეთი აქვს. ზოგიერთ მათგანს გააჩნია გვერდითი წახნაგიც. მათი სიგრძე საშუალოდ 9 სმ-ია, სიგანე — 6 სმ. ერთი შეხედვით ისინი „წაკვეთილ“ ცულებს გვანან.

გახვრეტილი იარაღები. ანასეულ II-ზე იარაღების გახვრეტის სულ ორი შემთხვევაა დადასტურებული. ორივე იარაღი სატარე ხვრელის ადგილზეა გადატეხილი. ერთი მათგანი ცულის ნაწილია, მეორე კი ჩაქუჩისა. ეს იარაღები კარგადაა გაპრიალებული. ჩაქუჩზე სატარე ხვრელი მრგვალია, ცულზე კი კონუსისებური. მათი სიგრძე 8—9 სმ შორის მერყეობს, სიგანე კი 4 სმ უდრის.

იმის გამო, რომ ანასეული II-ის არც ერთი ცული და ჩაქუჩი არაა გახვრეტილი, ამასთანავე აღნიშნული გახვრეტილი იარაღები მეტად განსხვავებული ფორმისაა, მათ ჩვენ ნეოლითურ კომპლექსს არ ვაკუთვნებთ.

სათლეღბეი. კომპლექსში გვაქვს რიყის ქვისაგან დამზადებული სხვა-დასხვა ფორმისა და ზომის სათლეღები. სულ 16 ცალი. მათში ორი განსხვავებული ჭკუფი გამოიყოფა:

1. ზურგამობურცული სათლეღები (ტაბ. XII, სურ. 4—5), სულ 8 ცალია. მათ ახასიათებს ოვალური სამუშაო პირი და ამობურცული ზურგი, ზედაპირი ნახეხია, გვერდები კი შუა ნაწილში ოდნავ ათლილი. მათი განივკვეთი ოვალურია. სიგრძე დაახლოებით 9 სმ უდრის, სიგანე კი 3 სმ-ია.

2. ბრტყელი სათლეღები (ტაბ. XII, სურ. 6—8), სულ 8 ცალი. მათ ბრტყელი მუცელი და შემადღებული ზურგი აქვთ. განივკვეთი ოთხკუთხედის ან ტრაპეციის ფორმისაა. იარაღი ყუისაკენ ვიწროვდება. სწორი სამუშაო პირი ორივე მხრიდანაა გაპრიალებული. ყველა მათგანი მთელია. ამ სათლეღებში ორი ქვეჯგუფი გამოიყოფა: 1) მცირე ზომის ბრტყელი სათლეღები. 3 ცალი; სიგრძე 4,5 სმ-ია, სიგანე 1,5 სმ. მათი გვერდები მკვეთრადაა გამოყოფილი წახნაგების სახით. 2) დიდი ზომის ბრტყელი სათლეღი 5 ცალი. მათი სიგრძე 11 სმ-ია, სიგანე 5 სმ, სისქე 1,5 სმ.

ხელჩაქუჩები (ტაბ. XIV, სურ. 1), სულ 15 ცალია. მათ მოგრძო ფორმა და მომრგვალო განივკვეთი აქვთ. მათი თავი და ბოლო ერთი სიგანისაა. მათ შორის არის წახნაგიანი და უწახნაგო. გაპრიალებული და ხაოიანი ცალეღები. უშუალოდ ხელჩაქუჩებად დამზადებული იარაღი ცოტაა. მათი სიმცირე უნდა აიხსნას იმით, რომ ხელჩაქუჩების მაგივრობას წარმატებით ასრულებდა პირდაზიანებული ცულეღები, რასაც მოწმობს მათზე არსებული გამოყენების კვალი. ხელჩაქუჩის საშუალო სიგრძე 12 სმ-ია, სიგანე — 4 სმ უდრის.

წერაქვისებური იარაღი კოლექციაში ორი ცალია. ორივე დაზიანებულია და წარმოადგენს ამ იარაღის სამუშაო პირის ნაწილებს — წვერებს, ერთი მათგანის ზედაპირი ხაოიანია და მაკროლითური ტექნიკითაა დამუშავებული, მეორეს კი გვერდები ნაწილობრივ გაპრიალებული აქვს და იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს იგი დაზიანებული ცულის გადაკეთების შედეგადაა მიღებული. სიგრძე 6 სმ-ია, სიგანე — 4 სმ.

სახეხეღები (ტაბ. XIII, სურ. 1—5), სულ 31 ცალი. სახეხებად გამოიყენებოდა სხვადასხვა ზომისა და ფორმის რიყის ქვები; მათი ზედაპირი ნახეხია. დიდი ნაწილი მომრგვალო ან ოვალური მოყვანილობისაა და აქვს ხაოიანი ზედაპირი. მათგან 20 ცალი მომრგვალო ფორმისაა, 11 ცალი კი ოვალურია.

მომრგვალო სახეხებს ხეხვის კვალი ხშირად ორ მოპირდაპირე მხარეს ეტყობა, ოვალურს კი მხოლოდ ცალ მხარეს. სახეხებს გვერდებზე დარტყმების კვალიც აქვს. როგორც ჩანს, მათ ზოგჯერ სხვა დანიშნულებითაც იყენებდნენ. მომრგვალო სახეხების დიამეტრი 2,5—3 სმ შორის მერყეობს. ოვალურის კი 5×3 სმ შორის. სახეხადაა გამოყენებული დიდი ზომის ბრტყელი რიყის ქვა. სიგრძე 11,5 სმ-ია, სიგანე 9 სმ. ამ იარაღს ცალ მხარეს აქვს ძლიერი ხეხვის კვალი, მეორე გვერდი კი გრდემლად ყოფილა გამოყენებული, რასაც მოწმობს მისი დაჩეჩქვილი ზედაპირი.

გრძელი სახეხი კოლექციაში ერთადერთია. მისი განივკვეთი ოვალურია. ცალი მხარე მომრგვალო ბოლოთი მთავრდება, მეორე კი ათლილია ხელში მოხერხებული დაჭერის მიზნით. ორივე გვერდი ნახეხია. სიგრძე უდრის 15 სმ-ს, სიგანე 7 სმ, სისქე 5 სმ.

სანაყი მხოლოდ ერთი ცალია (ტაბ. XIV, სურ. 3). იგი წარმოადგენს ოთხკუთხა, ბრტყელ, ბუნებრივ რიყის ქვას, რომლის შუა ნაწილი ჩაღრმავე-

ბულია და ეტყობა გამოყენების კვალი. მის მახლობლად ნაპოვნი იყო დიდი ზომის, მრგვალი ნახეხი რიყის ქვები.

შურდულის ქვები (ტაბ. XIV, სურ. 4). კოლექციაში გვაქვს მრგვალი რიყის ქვები, რომელთა გვერდებზე შეინიშნება დარტყმის კვალი. სულ 14 ცალია. ისინი შურდულის ქვებად უნდა ყოფილიყო გამოყენებული. აღსანიშნავია, რომ სახეხებთან შედარებით, მათ ქვის უფრო მაგარი ჯიშისაგან არჩევდნენ. მათი დიამეტრი 4—5 სმ-მდეა.

სახეხსაპრიალებელი (ტაბ. XV, სურ. 1) ერთადერთი ცალია ნაპოვნი იგი ოვალური ფორმის, დიდი ზომის რიყის ქვაა, რომელსაც შუა ნაწილში დარი გასდევს. დარი იარაღს მხოლოდ ერთ მხარეს აქვს, ზომები 9×6 სმ.

საპრიალებლად გამოყენებულია მოგრძო, ვიწრო და ბრტყელი რიყის ქვები (ტაბ. XV, სურ. 2). გვერდებზე მათ ძლიერი ხეხვის კვალი ეტყობა. ამ იარაღებს შესაძლოა ლესვა, ხეხვა და იარაღის გაპრიალეზაც ეკისრებოდა, მათი სიგრძე 4—5 სმ-მდე მერყეობს. სულ 5 ცალია.

ნამზადები (ტაბ. XV, სურ. 3—6). კოლექციაში არის სხვადასხვა სახის იარაღების (ცულების, სათლელების) ნამზადები, სულ 8 ცალია. მათი ზედაპირი ორმხრივია ათლილი. ზოგიერთ ცალზე ნაწილობრივი გაპრიალეზაც კი შეიმჩნევა.

სადგომზე მრავლად იყო ნაპოვნი სხვადასხვა ზომისა და მოყვანილობის რიყის ქვა, ანატკეცები და ნატეხები, რომლებსაც ეტყობა გამოყენების კვალი.

გადმოცემის თანახმად, ანასეული II-ის ტერიტორია სათეს ფართობად გამოყენებისას გაუშემენდით რიყის ქვებისაგან. საფიქრებელია, რომ ამ მასალისაგან დამზადებული იარაღები გაცილებით მეტი იყო.

კერამიკა. ანასეული II-ის კერამიკულ კომპლექსს მრავალფეროვნებისა და რაოდენობის თვალსაზრისით, კავკასიის ნეოლითურ ძეგლებს შორის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება. მისი რაოდენობა 3700 ერთეულით განისაზღვრება. მიუხედავად ფრაგმენტების სიმრავლისა, ჭურჭლის მთლიანი აღდგენა ან ნატეხების ერთი ჭურჭლისათვის მიკუთვნება და ასეთ ჯგუფებად აღწერა არ ხერხდება. ამიტომ მთელ კერამიკას აღწერთ ჭურჭლის ცალკეული ნაწილებისა (პირის, კედლის, ძირის) და ორნამენტის მიხედვით დაყოფილ ჯგუფებად.

ანასეული II-ის კოლექციაში 285 სხვადასხვა ჭურჭლის პირის ნატეხია. ყველა ისინი პირგადაუშლელია; გამოჩაკლისს შეადგენს ერთი ჭურჭლის ფრაგმენტი შიგნით შეღუწული პირით და მასზე ირიბი ჭდეებით, რომელიც შესაძლოა ჯამისმაგვარ ნაკეთობას ეკუთვნოდა.

ჭურჭლის პირების ერთი ნაწილი სწორი და სადაა, მეორე კი ტალღისებურია ან შემკულია სხვადასხვა მოყვანილობისა და ზომის ჭდეებითა და ღრმულეებით. ასეთ ჭურჭლის პირებს შევეხებით ორნამენტის დახასიათებისას.

კოლექციაში 100 პირის ფრაგმენტია, რომლებსაც აქვთ სადა და სწორი პროფილი (ტაბ. XVIII, სურ. 1). მათგან მხოლოდ 15 ჭურჭლის კედელზე შეიმჩნევა ორნამენტი. მათი სისქე 0,7—1,2 სმ შორის მერყეობს. ფრაგმენტების დიდ ნაწილს, კედლებთან შედარებით პირი თხელი აქვს. აღსანიშნავია, რომ სწორპირიანი ნატეხები გაცილებით უფრო მასიურია, ვიდრე ტალღისებური და ჭდეულობრიანი. ისინი დიდი ზომის ჭურჭლის ნატეხებია და შესაძლოა მარაგის შესანახად იყო განკუთვნილი.

ანასეული II-ში დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი სხვადასხვა სისქისა და

ზომის ჭურჭლის ძირები (122 ფრ.), მათი დიდი ნაწილი დაზიანებულია და აღდგენა არ ხერხდება. მცირე ნაწილის საშუალებით შესაძლებელი ხდება ძირის თავდაპირველი დიამეტრის გავება. გამოიჩინა, რომ მათი უმრავლესობა დიდი ზომის ჭურჭლისაა, ასეთი ძირების დიამეტრი საშუალოდ 40 სმ უდრის. საშუალო ზომის ჭურჭლების ძირის დიამეტრი დაახლ. 15 სმ-ია, ყველაზე მცირე ძირებისა კი საშუალოდ 6 სმ. როგორც ჩანს, ჭურჭლების უმრავლესობა დიდი ზომისაა, ამას მოწმობს აგრეთვე მათი პირის დიამეტრიც. ძირების დიდი ნაწილი გადანატეხში სამფენიანია. შიდაპირი და ზედაპირი ხშირად მოვარდისფროა. იშვიათად მონაცრისფრო, შუა ნაწილი კი მოშავო-მონაცრისფრო. ყველა ძირი ბრტყელია.

მოყვანილობის მიხედვით ძირები შემდეგ ჯგუფებად დაიყოფა:

1. ძირები კედელზე მკვეთრი კუთხოვანი გადასვლით. ამ ჯგუფის ძირებში ორი ქვეჯგუფი გამოიყოფა:

ა) ძირები, რომელთა კედლის ხაზი ოდნავ გადახრილია, ხოლო ძირისა და კედლის საზღვარზე ბლაგვი კუთხე იქმნება (ტაბ. XVI, სურ. 5—6, 8). ჩვეულებრივ კედლები ძირზე უფრო თხელია. ამ ქვეჯგუფის ძირების უმრავლესობა არათანაბარი სისქისაა; ნაპირთან მსხვილია — დაახლოებით 3 სმ, ცენტრისაკენ კი სისქე კლებულობს და 2 სმ-ია ან უფრო ნაკლები, ხან კი იმდენად მცირდება, რომ ძირის შუა ნაწილი კედელზე თხელია. სულ 80 ფრაგმენტი.

ბ) ძირები სწორი კედლებით. ძირსა და კედლებს შორის მართი კუთხე იქმნება (ტაბ. XVI, სურ. 7), სულ 25 ფრაგმენტი. ძირები და კედლები თითქმის ერთი სისქისაა. ძირი თანაბარი სისქისაა. ამგვარი ძირები შედარებით უფრო თხელკეციანია, ვიდრე პირველი ქვეჯგუფისა. სისქე საშუალოდ 1,1 სმ-ია. ამავე ქვეჯგუფშია ძალიან თხელკეციანი ძირებიც (13 ც.), რომელთა სისქე საშუალოდ 0,5—0,8 სმ შორის მერყეობს. აღსანიშნავია, რომ თხელკეციანი ჭურჭლების უმეტესობა მცირე ზომისაა. ამ ქვეჯგუფის ძირები ცნობილია ოდიშიდან¹⁵, გურიანთიდან¹⁶, მამათიდან¹⁷, კისტრიკიდან¹⁸, ქვ. შილოვკიდან¹⁹.

2. ძირები, ქუსლიანი გადასვლით კედელზე (ტაბ. XVI, სურ. 1—3; ტაბ. XXII, სურ. 3—5), სულ 47 ფრაგმენტი. ქუსლი სხვადასხვა სიმკვეთრითაა გამოსახული. კედლების ხაზი ოდნავ გადახრილია (უფრო მეტად, ვიდრე I ჯგუფისა ქვეჯგუფშია), ძირისა და კედლის საზღვარზე ბლაგვი კუთხე იქმნება. ამ ჯგუფშიც არის თანაბარი და არათანაბარი (ნაპირთან მსხვილი, შუაში თხელი) სისქის, აგრეთვე მეტად თხელკეციანი, მცირე ზომის ძირები. მსგავსი ძირები, კარგად გამოკვეთილი ქუსლით, ცნობილია კისტრიკიდან, გურიანთიდან, მამათიდან და ქვ. შილოვკიდან. აღნიშნულ ძეგლებში ამგვარი ძირები ჭარბობს, ხოლო პირველი ჯგუფის ძირები შედარებით ნაკლებია. ზოგიერთ ძირს ნაპირზე პატარა ნათითურები ატყვია. ნათითურები დასავლეთ საქართველოს ნეოლითური ჭურჭლის ძირების უმრავლესობაზე შეიმჩნევა.

15 ს. ჯანაშიას სახ. საქ. სახ. მუზეუმის არქეოლოგიის განყოფილების ფონდები, კოლექცია № 6—58.

16 ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ქვის ხანის არქეოლოგიის განყოფილების ფონდები.

17 ლ. ნებეიერიძე, მამათი, ნეოლითური ხანის ძეგლები, ანოტაცია მოხსენებისა, წაკითხული ასპირანტთა და ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა XIV სამეცნიერო კონფერენციაზე, 1964, თბილისი, გვ. 43.

18 А. А. Лукин, დასახ. ნაშრომი, გვ. 180—181.

19 А. А. Формозов и А. Д. Столяр, დასახ. ნაშრომი, გვ. 107, ნახ. 3.

3. შეზნეკილი ძირები (ტაბ. XVI, სურ. 4). კოლექციაში გვაქვს ორი სხვადასხვა ჭურჭლის ძირის ფრაგმენტები, რომელთა შუა ნაწილი ოდნავ შეზნეკილია, ნაპირი კი დაშვებული. მათგან ერთი მთელი ძირის დიამეტრი 15 სმ უდრის (ტაბ. XVI, სურ. 4). ამ ძირს შიგნითა მხრიდან აქვს გაურკვეველი მოყვანილობის ნაკაწრები, წარმოდგენილი ტეხილი ხაზებით. მსგავსი ნაკაწრები გარედან შეიმჩნევა აგრეთვე სხვა ჩვეულის ძირებზედაც. ამგვარი ძირები ცნობილია მხოლოდ გურიანთიდან.

როგორც ჩანს, შეზნეკილი ძირები კავკასიაში გვიან ნეოლითში ჩნდება, ხოლო მომდევნო პერიოდის ძეგლებში ფართო გავრცელებას პოულობს (აგუბეკოვოს ნამოსახლარი²⁰, ზღუდრისგვერდი²¹, კიკეთი²², ქვაცხელები²³, გუდაბერტყა)²⁴. წინა აზიაში ამგვარი ჭურჭლები უკვე ტელ-პალაფის პერიოდში იყო ცნობილი²⁵.

4. დაკუთხული ძირები. ანასეული II-ის კოლექციაში ყურადღებას იქცევს ოთხი სხვადასხვა ჭურჭლის დაკუთხული ძირის ნაწილები, როგორც ჩანს, ეს ჭურჭლები დაკუთხულძირიანი (შესაძლოა ოთხკუთხა ან მრავალკუთხა) უნდა ყოფილიყო (ტაბ. XVII, სურ. 2—4). მათ დაახლოებით 2 სმ-ის სიმაღლის კედლები უნდა ჰქონოდა, რასაც მოწმობს ერთ-ერთ ძირზე შემორჩენილი მთელი კედელი. ამგვარი ძირები ცნობილია აგრეთვე კისტრიკის ნეოლითური კოლექციიდან. სხვა ნეოლითურ კომპლექსებში ამგვარი რამ ჯერჯერობით უცნობია. ა. ლუკინი მათ საკულტო დანიშნულებას მიაწერს²⁶. საფიქრებელია, რომ მათ ტაფისმაგვარი დანიშნულება ჰქონდათ, ამგვარი ტაფები (კეცი) დღესაც ფართოდაა გავრცელებული დასავლეთ საქართველოში. შემორჩენილია ამგვარი ჭურჭლის კუთხის ნაწილი 2 სმ სიმაღლის მთელი კედლით. იგი მოშავო-მონაცრისფროდ ყოფილა გამომწვარი, ძირის სისქე არათანაბარია და 0,6—0,9 სმ შორის მერყეობს. კედლების სისქე ძირთან დაახლოებით 1 სმ უდრის, პირთან კი კლებულობს და 0,5 სმ-ია.

კოლექციაში გვაქვს აგრეთვე ამგვარივე ნაკეთობის კიდევ ორი ფრაგმენტი. ისინი უფრო მსხვილძირიანი და მსხვილკედლიანია. ძირის მაქსიმალური სისქე ნაპირთან 2 სმ უდრის. ჭურჭლის შუა ნაწილისაკენ სისქე კლებულობს დაახლოებით 1 სმ-მდე, კედლების სისქე კი დაახლოებით 1,6 სმ-ია.

ანასეული II-ის სამეთუნეო ნაწარმიდან ყველაზე ჭარბად თიხის ჭურჭლის კედლის ნატეხებია წარმოდგენილი (3000-მდე). ისინი ეკუთვნიან ქილისებურ ჭურჭლებს და ჯერ არ ემჩნევათ მუცლის ან ყელის გამოყოფა. ამ ფრაგმენტების სისქე საშუალოდ 6—16 მმ მერყეობს. ცოტაა სქელ და თხელ კეციანი ნატეხები. ჭარბობს საშუალო სისქის ფრაგმენტები (დაახლოებით 9—12 მმ-ს შორის). ცალკეული ნატეხების გამოწვის ხარისხი სხვადასხვაა.

20 Е. Ю. Кричевский, А. П. Круглов, Неолитическое поселение близ Наличика, МИА, 1941, 63, 34, სურ. 25.

21 ო. ჯაფარიძე, ქართველი ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე, თბ., 1961, გვ. 51, სურ. 8, 5.

22 გ. ფხაკაძე, ქვემო ქართლს ენეოლითი, 1963, თბლისი, გვ. 83.

23 ალ. ჯაფარიძე, ლ. ლლონტი. ურბნისი, ტ. I, თბ., 1962, გვ. 38.

24 С. Надимашвили, Раскопки одного из древнейших поселений городища на территории Внутр. Каргли, Юго-Осетии, Триаветии, Гудабертка-Цихиагора, 1956 (Тезисы докл.).

25 Г. Чайлд, Древнейший Восток в свете новых раскопок, 1956, М., стр. 77.

26 А. Л. Лукин, დასახ. ნაშრომი, გვ. 181.

ჭურჭლის კედლების შიგნით ნაწილი გახვრეტილია, ხოლო დიდი ნაწილი ორნამენტირებული.

გახვრეტილი კედლის ფრაგმენტი (ტაბ. XXI, სურ. 1—2). კოლექციაში სულ 16-ია. მათ უმრავლესობას ნახვრეტი პირის მახლობლად აქვს. მათგან 8 ფრაგმენტის პირი ჭდეებიანია, დანარჩენისა კი სადა. ასე, რომ ხვრელი ჰქონდა როგორც ორნამენტირებულ, ისე უორნამენტო ჭურჭლებს, ზოგიერთ ნაკეთობაზე გახვრეტა დამთავრებული არ არის. ხვრელებს ძაბრის ფორმა აქვს. მათი დიამეტრი დაახლოებით 5 მმ უდრის. ზოგს სწორი მიმართულება აქვს, ზოგს კი ირიბი, ნახვრეტების კედლებზე გახვრეტის შედეგად დარჩენილი წრიული ხაზები შეიმჩნევა. გახვრეტა ჭურჭლის გამოწვის შემდეგ უნდა მომხდარიყო. ხვრელებს ორნამენტის დანიშნულება არ უნდა ჰქონოდა, რადგან მაშინ ასეთი ხვრელი რამდენიმე უნდა ყოფილიყო, გარკვეული წესით განლაგებული ჭურჭლის ზედაპირზე. ამასთანავე ორნამენტი გამოწვამდე უნდა დატანილიყო. ამ ნახვრეტებს ვერც ჩამოსაკიდის დანიშნულებას მივაწერთ, რადგან მაშინ ისინი ჭურჭლის გამოწვამდე სველ თიხაზე უნდა გაკეთებულიყო. ის ფაქტი, რომ იგი ჭურჭლის გამოწვის შემდეგ კეთდებოდა, გვაფიქრებინებს, რომ შესაძლოა ისინი ჭურჭლის შეკავშირების მიზნით გაკეთებულიყო. აღნიშნული მოსაზრების სასარგებლოდ ლაპარაკობს ქიულ-თეფე I-ის ქვედა ფენებში აღმოჩენილი ჭურჭელი²⁷, რომელიც კარგად მოწმობს, რომ ხვრელები კეთდებოდა შეკავშირების მიზნით, ვადანატების ორივე მხარეს. ამგვარივე ნახვრეტები აქვს ტაშაირ I²⁸ და კაია-არასის²⁹ ნეოლითურ კერამიკას.

ორნამენტირებული ფრაგმენტები. ანასეული II-ის კერამიკის მნიშვნელოვანი ნაწილი შემკული იყო სხვადასხვა სახეებით. ორნამენტი გვხვდება როგორც ჭურჭლის კედლებზე, ასევე მის პირზე. ამიტომ ჩვენ მათ ცალცალკე განვიხილავთ. პირველ რიგში შევეხებით ჭურჭლის პირის შემკულობას.

ჭურჭლის პირის განსხვავებული მოყვანილობა, მათზე სხვადასხვა ფორმის ჭდეებისა და ღრმულების სხვადასხვაგვარი მანძილით განლაგება, იძლევა პირის ნატეხების ნაირგვარობას.

პირის ნატეხებს შემკულობის მიხედვით შემდეგ ჯგუფებად ვყოფთ:

1. ტალღისებური პირი (ტაბ. XVIII, სურ. 1—6). სულ 40 ცალია. ამ ჯგუფში ვაერთიანებთ ისეთი ჭურჭლის პირებს, რომლებსაც აქვთ ტალღისებური, დაკლანილი ნაპირი. მიუხედავად იმისა, რომ ამ ფრაგმენტებს ერთი საერთო ნიშანი ახასიათებს, მათ შორის იშვიათად გვხვდება ერთმანეთის მსგავსი ნიმუშები. განსხვავება შეინიშნება ტალღების მოყვანილობაში, ზომებში და მათ შორის მანძილში. მაგრამ ყველაზე არსებითი განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ ჭურჭლის პირების ერთ ნაწილს (20 ცალი) ტალღისებური პირი ხელითა აქვს გაფორმებული (ამათზე აშკარად შეინიშნება ნათითურები), მეორე ნაწილს (20 ც.), პირველისაგან განსხვავებით, პირი გამოყვანილი აქვს ხისა ან ძვლის იარაღით. როგორც ფრაგმენტები გვიჩვენებენ ზოგიერთ ჭურჭელზე პირი არათანაბრად, სხვადასხვა სიმაღლეზე მიმართება (ტაბ. XVIII, სურ. 2, 5). აღსანიშნავია ფრაგმენტების ერთი ჯგუფი,

27 იხ. ანტრბაიჩანის სახ. ისტორიული მუზეუმის ფონდები, № 138, 207.

28 Д. А. Крайнов. Дасახ. ნაშრომი, გვ. 161, ტაბ. XIV, სურ. 2—4.

29 А. А. Формозов, Неолит Крыма..., გვ. 111. ნახ. 10

რომლებიდანაც ჩანს, რომ ჭურჭელს ერთდროულად ჰქონია როგორც სწორი, ასევე ტეხილი პირი (ტაბ. XVIII, სურ. 4; ტაბ. XIX, 3). ტალღისებური პირის ნატეხების საშუალო სისქე 0,5—1 სმ შორის მერყეობს. პირის დიამეტრის გაზომვამ გვიჩვენა, რომ იგი საშუალოდ 20 სმ უდრიდა. ამ ნატეხებს ორნამენტი არ ახასიათებს.

2. ფოსფორიანი პირი. ამ ჯგუფის ნატეხებს პირზე გაკეთებული აქვს სხვადასხვა სიღრმის, ფორმისა და ზომის ფოსფები (ტაბ. XIX, სურ. 7, 9, 10), სულ 16 ცალია. ფოსფები უმეტესად მრგვალია, თუმცა არის მოგრძო და ოვალურიც. ნატეხების სისქე 0,5—1,2 სმ შორის მერყეობს. ერთის გარდა ყველა ფრაგმენტი უორნამენტოა. აღნიშნული ნატეხები დიდი ზომის ჭურჭლებისაა, რომელთა დიამეტრი საშუალოდ 30 სმ უდრიდა. ნატეხები თანაბარი სისქისაა.

3. ჭდეებიანი პირი. ამ ფრაგმენტებს პირზე გაკეთებული აქვს სხვადასხვა ფორმისა და სიხშირის ჭდეები, რომლებიც ხისა ან ძვლის იარაღით კეთდებოდა. სულ 110 ცალია. მათგან 60 ფრაგმენტი უორნამენტოა, 50 კი ორნამენტირებული. მათი სისქე 0,7—0,9 სმ შორის მერყეობს. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ორნამენტი ძირითადად ამ ჯგუფის ფრაგმენტებზე შეინიშნება.

ჭდეების მოყვანილობის მიხედვით ამ ჯგუფში შეიძლება შემდეგი ქვეჯგუფები გამოიყოს:

ა) პირის ნატეხები, რომელთა ნაპირი ჭურჭლის შიგნითაა დაქანებული, ხოლო ჭდეები დამრეცია (ტაბ. XX, სურ. 1—4). ნატეხების სისქე 0,4—1,2 სმ შორის მერყეობს. ჭურჭლების პირის დიამეტრი, რომლებსაც ეს ფრაგმენტები ეკუთვნოდა, საშუალოდ 15—30 სმ შორის მერყეობდა.

ბ) სწორნაპირიანი პირის ნატეხები, რომლებიც შემკულია სწორი და ირიბი, სხვადასხვა სიხშირით განლაგებული ჭდეებით (ტაბ. XX, სურ. 5—8).

გ) პირი „წიწვისებური“ ჭდეებით (ტაბ. XX, სურ. 9). ჭდეები მსხვილი ხაზებითაა გაკეთებული. ამგვარი ფრაგმენტი სულ სამია ჩვენს კოლექციაში. მსგავსი ნიმუში ცნობილია ოდიშიდან.

ანასეული II-ის თიხის ჭურჭლის კედლებზე შეიძლება სხვადასხვა სახის ორნამენტი შეინიშნება: 1. „წიწვისებური“ თუ „თავთავისებური“ 2. ღრმულებიანი, 3. ტალღისებური, 4. ტეხილხაზიანი, 5. ირიბჭდეებიანი, 6. რელიეფური, 7. კოპები.

ორნამენტების ელემენტების სხვადასხვაგვარი განლაგება, სიხშირე, მანძილი მათ შორის ქმნის ვარიანტებსა და ერთი შეხედვით ახალ სახეს.

1. „წიწვისებური“ თუ „თავთავისებური“³⁰ ორნამენტი წარმოადგენს ყველაზე გავრცელებულ სახეს (ტაბ. XXI, სურ. 3—7). სულ 100-მდე ფრაგმენტი. ეს ორნამენტი ხშირად ჰორიზონტალურადაა განლაგებული ჭდეებიანი პირის მიმართ. ზოგჯერ იგი ვერტიკალურად მიიმართება. სადაპირიანი ნატეხები იშვიათადაა ორნამენტირებული. სულ სამი შემთხვევაა. ამგვარი „წიწვიები“ თუ „თავთავები“ სხვადასხვა სიგანის ზოლებს ქმნიან. არის შემთხვევები, როდესაც ისინი ერთმანეთს კვეთენ და კუთხეს ქმნიან (ტაბ. XXI, სურ. 3, 6, 7). იშვიათად იკვებება „წიწვიების“ თუ „თავთავების“ სხვა ელემენტებთან (მაგ., ღრმულებთან) შერწყმა (ტაბ. XXI, სურ. 3, 6, 7). ფრაგმენტების დიდ

ნაწილზე „წიწვები“ თუ „თავთავეები“ ერთმანეთთან მჭიდროდაა მიჯრული, მცირეზე კი მათი ხაზები საკმაოდ თავისუფლადაა გაშლილი და ერთი შეხედვით არ ტოვებს „წიწვის“ და „თავთავის“ შთაბეჭდილებას. სინამდვილეში ხაზებს იგივე განლაგება აქვს, მხოლოდ სხვადასხვა შუალედებით.

2. ფოსფორიანი ორნამენტი ჭურჭლებზე უმეტესად ვერტიკალური მწკრივების სახითაა განლაგებული, თუმცა იშვიათად არის ჰორიზონტალურიც (ტაბ. XXI, სურ. 8—10, 13). ღრმულები ოვალური, მრგვალი, მოგრძო ან ოთხკუთხედის ფორმისაა. მათი დიდი ნაწილი ღრმა და მკაფიოა, საერთოდ კი უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი ორნამენტი იშვიათია. სულ 27 ფრაგმენტი. ღრმულებიანი ორნამენტის თითო ფრაგმენტი ცნობილია ოდიშიდან და მამათიდან.

3. ტალღისებური ორნამენტი იწყება ჭურჭლის პირთან და მიემართება ან მის გასწვრივ, ვერტიკალურად. ზოგჯერ ტალღისებური ხაზები ცალკეულ მწკრივებს ქმნის, ხან კი ჭურჭლის საკმაოდ დიდ მონაკვეთს ფარავს (ტაბ. XXII, სურ. 3—6). სულ 17 ცალია, აქედან 4 კოპიანია.

4. ტეხილხაზიანი ორნამენტი უმეტესად ჭურჭლის პირის გასწვრივაა განლაგებული. იშვიათად ვერტიკალურადაც ეშვება ჭურჭლის კედლებზე (ტაბ. XXII, სურ. 6—8). სულ 17 ცალია. მათგან 14 ცალი ჭდეულპირიანია. არის რამდენიმე შემთხვევა წიწვიან ორნამენტთან შერწყმისა.

5. ირიბჭდეებიანი ორნამენტი გვხვდება ჭურჭლის პირის გასწვრივ. სულ 6 ფრაგმენტი.

6. რელიეფური ორნამენტი იშვიათია ანასეული II-ის კერამიკაზე. სულ ხუთიოდე შემთხვევაა. საინტერესოა პირის ფრაგმენტი შემკული რელიეფური „წიწვიანი“ ორნამენტით, რომელიც მთავრდება ჭურჭლის შიგნით მიმართული შვერილით (ტაბ. XXII, სურ. 14). „წიწვიანი“ ორნამენტის რელიეფური გამოსახულება შეინიშნება კიდევ ორ ფრაგმენტზე. აღსანიშნავია ერთი ნატეხი „წიწვიანი“ ორნამენტით, რომელსაც ზემოდან მთვარის ფორმის მინაძერწი აქვს (ტაბ. XXII, სურ. II). ამგვარი ნიმუში ერთადერთია, ამიტომ ძნელია თქმა, შემთხვევითაა დაღვენთილი თიხის ცომი, თუ ორნამენტს მიეკუთვნება. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ „ცხვირის“ ფორმის ასეთივე მინაძერწი ცნობილია ოდიშის ერთი ფრაგმენტიდან.

გამორიცხული არ არის, რომ სხივებიანი კოპებისა და მთვარისმაგვარი მინაძერწის სახით საქმე გვქონდეს პირველ ასტრალურ გამოსახულებებთან.

საინტერესოა ჭდეებიანი პირის ფრაგმენტი ორი დაკლანკილი გველის რელიეფური გამოსახულებით. გველების თავები ჭურჭლის პირთანაა მიტანილი (ტაბ. XXII, სურ. 9). რელიეფი დაჭდევის ტექნიკითაა შესრულებული. გვაქვს გველის გამოსახულებიანი კიდევ ერთი დაზიანებული ფრაგმენტი.

რელიეფური ორნამენტი ანასეული II-ის გარდა არც ერთ სხვა ნეოლითურ კომპლექსში არ გვხვდება, ხოლო უფრო გვიან ენეოლითისა და ბრინჯაოს ხანაში იგი ფართოდ ვრცელდებოდა.

7. კოპებიანი ორნამენტი წარმოდგენილია სხვადასხვა მოყვანილობის მცირე ზომის კოპებით, რომლებითაც შემკულია ჭურჭლის კედლები და პირი (ნახ. XXII, სურ. 1, 5), სულ 26 ცალია. კოპები აქვს როგორც ორნამენტირებულ, ისე სრულიად სადა ფრაგმენტებს. ნატეხების ერთჯგუფზე მიძერწილია მცირე ზომის კოპები. ამათგან ერთია მხოლოდ რქისებური. კოპებიან ფრაგმენტებზე გვხვდება ზემოთ დასახელებული ორნამენტის

ყველა სახე. ზოგიერთი ფრაგმენტის აღწერა საჭიროდ მიგვაჩნია მისი თავისებურების გამო.

ა) პირის ნატეხი, შემკული რელიეფური „წიწვიანი“ ორნამენტით, რომელიც ჭურჭლის შიგნით მოქცეული შვერილით მთავრდება (ტაბ. XXII, სურ. 14).

ბ) რქისებური შვერილი. მოთავსებულია ჭდეებიანი პირის ნატეხზე (ტაბ. XXII, სურ. 13). ამ ფრაგმენტზე ჭდეების ორი მწკრივი შეიმჩნევა. შვერილის მახლობლად ღრმულებიანი ორნამენტია. კეცის სისქე 1,3 სმ უდრის.

გ) ორმაგი შვერილი ჭურჭლის პირზე (ტაბ. XXII, სურ. 10). შვერილი უშუალოდ პირზეა მოთავსებული. იგი გადადის როგორც პირის შიგნით, ასევე გარეთ: კეცის სისქე — 0,8 სმ.

კოპებსა და შვერილებს პრაქტიკული დანიშნულება არ უნდა ჰქონოდათ. ჭურჭლის კედლებზე მოთავსებული პატარა კოპები და შვერილები ყურის მაგივრობას ვერ გასწევდნენ, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ისინი პირზე, ჭდეებს შორის იმყოფებოდნენ ან ჭურჭლის შიგნით იყვნენ მიმართულნი. კოპებისა და შვერილების უმეტესობა ორნამენტს ერწყმის და მის ელემენტებად გვევლინება. კოპები გვხვდება აგრეთვე ოდიშის კერამიკაზეც.

კოპებიან ფრაგმენტებზე შეიმჩნევა ორნამენტის ახალი სახეების — ღრმულების, ტეხილი და ტალღისებური ხაზების გაჩენა. „წიწვიანი“ თუ „თავთავიანი“ ორნამენტი მათზე ოდნავ შეცვლილია. მას აშკარად ეტყობა განვითარება, ხაზები უფრო თავისუფალია და ნებისმიერი, კომბინაციები მატულობს. კოპების გარშემო, ზოგჯერ კი უშუალოდ მისგან, გამოდის ღრმა და განიერი, ხან კი წვრილი და მქრქალი ტალღისებური და ტეხილი ხაზები. უნდა აღინიშნოს, რომ ტალღისებური და ტეხილხაზიანი ორნამენტი კოლექციაში საერთოდ იშვიათია და მათი უმეტესობა კოპებთანაა დაკავშირებული. საფიქრებელია, რომ ტალღისებური, ტეხილხაზიანი და რელიეფური ორნამენტი, კოპებთან და შვერილებთან ერთად, ანასეული II-ის კერამიკის ორნამენტის ყველაზე მოგვიანო ელემენტებია. მას წინ უნდა უსწრებდეს „წიწვიანი“ თუ „თავთავიანი“ ორნამენტის წარმოქმნა, რომელიც თავის მხრივ ირიბჭდეებიანი სახეების განვითარებას უნდა წარმოადგენდეს. ამ ფრაგმენტებზე კარგად ჩანს „წიწვიანი“ თუ „თავთავიანი“ ორნამენტის წიაღში როგორ ჩნდება შემკულობის ახალი სახეები და შვერილები. რამდენიმე ნიმუშზე კოპები და „წიწვივები“ ერთ მთლიან სახეს ქმნიან. კოპები რომ ამ ორნამენტის ყველაზე გვიანდელი ელემენტია, ამას მოწმობს აგრეთვე მათი რიცხვის სიმცირე. მათ ჯერ არა აქვთ მოპოვებული ისეთი მნიშვნელობა, როგორც ეს ენეოლითურ და ბრინჯაოს ხანის ძეგლებშია. კოპებთან ერთად მყოფი „წიწვივები“ უფრო განვითარებულია, ვიდრე მათ გარეშე შესრულებული.

აღსანიშნავია კოპის მახლობლად ტეხილი ხაზებით შედგენილი რომბები. ამგვარი ნიმუში ერთადერთია. რქისმაგვარი ორნამენტი მხოლოდ ერთ ფრაგმენტზეა და ისიც კოპთან ერთად.

საინტერესოა ორი ფრაგმენტი, რომლებზედაც კოპი მზისმაგვარ გამოსახულებას წააგავს. ერთზე კოპის გარშემო სხივების მაგვარად ვაკეთებულია ირიბი ჭდეები. მეორეზე კი კოპი ჩასმულია სწორი ხაზებისაგან წარმოდგენილ ოთხკუთხედისებურ ჩარჩოში, რომლის შიგნით კოპიდან მიიპართება სხივისმაგვარი ჭდეები. ამგვარი გამოსახულებები სხვა ფრაგმენტებზე არ შეინიშნება.

კოპებიანი ფრაგმენტები დასავლეთ საქართველოს ნეოლითურ კერამიკაზე

ცოტა. ისინი ამ პერიოდში ისახებიან და იკიდებენ ფეხს, ხოლო მომდევნო საფეხურებზე უკვე შეიმჩნევა მათი ფართო ტერიტორიული და ქრონოლოგიური გავრცელება.

ანასეული II-ის თიხის ნაკეთობების ცალკეული ნაწილების აღწერიდან ჩანს, რომ თითოეული მათგანი ხელით ნაძერწი, ბრტყელძირა, სწორკედლა, უყურო, პირგადაუსვლელი, ქილისებური მოყვანილობის ჭურჭელია, ზოგჯერ ზედაპირზე სუსტი გაპრიალების კვალით. საშუალოდ ფორიანი კეცი სუსტად და არათანაბრადაა გამომწვარი. იგი გადანატეხში მოშავო, ხოლო შიდაპირზე და ზედაპირზე მოვარდისფრო-მონაცრისფროა, ხშირად რუხი ლაქებით. ზოგჯერ ერთი და იგივე ნატეხის ცალკეული ადგილები სხვადასხვა ფერისაა. ფრაგმენტების ერთი ნაწილის შიდა და გარეთა მხარეზე კარგად შეიმჩნევა თხელი, შავი ნაწივი. საფიქრებელია, რომ შიდაპირზე იგი საკვების გადაწვის შედეგი იყოს, ხოლო ზედაპირზე — ცეცხლზე ხმარების. ფრაგმენტების მეორე ნაწილს არ ემჩნევა ცეცხლის კვალი. თიხის ჭურჭლის ნატეხების სისქე 6—16 მმ შორის მერყეობს.

ანასეულ II-ზე მოპოვებული კერამიკის შესწავლა გვიჩვენებს, რომ ამ კომპლექსში შეინიშნება ორი განსხვავებული ჯგუფის ფრაგმენტი.

პირველი ჯგუფი ხასიათდება უხეში და სქელკეციანი კერამიკით. მასზე არ შეიმჩნევა ორნამენტი. ეს ფრაგმენტები დიდი ზომის ჭურჭლებისაა, რომლებსაც ცეცხლზე ხმარების კვალი არ ეტყობათ.

მეორე ჯგუფის ნატეხები უფრო თხელკეციანია, მათი უმრავლესობა ორნამენტირებული და ჭდეულპირიანია. გარედან მათ ეტყობათ ცეცხლზე ხმარების კვალი, შიგნიდან კი — თხელი, შავი ნაწივი.

ამ ორი ჯგუფის თიხის ჭურჭლებს შორის ქრონოლოგიური განსხვავება არ შეინიშნება. თიხის სტრუქტურა, ძერწვის ტექნიკა, ფორმები ძირითადად ერთნაირია. აღნიშნული განსხვავება შეიძლება აიხსნას მხოლოდ ამ ჭურჭლების სხვადასხვა დანიშნულებით. საფიქრებელია, რომ პირველი ჯგუფის ჭურჭელი გამოიყენებოდა წყლისა და საკვები მარაგის (ნანადირვეისა თუ შემგროვებლობის პროდუქტების) შესანახად და გაცილებით უფრო დიდი ზომისა იყო, ვიდრე მეორე ჯგუფისა. მას ორნამენტი არ უკეთდებოდა. მეორე ჯგუფის ჭურჭელი კი ყოველდღიურ ცხოვრებაში უნდა ყოფილიყო გამოყენებული.

ანასეული II-ის კერამიკის ქიმიური ანალიზი (%-ით);

სინესტე — 5,09

ხვ. წ. — 8,90

SiO₂ — 48,62

Al₂O₃ — 23,24

FeO₃ — 7,36

CaO — 1,72

MgO — 2,29

SO₃ — 0,12

Na₂O₃ + K₂O — 2,8

ანასეული II-ის კერამიკის სპექტრალური ანალიზი:

Si, Al, Mg, Ca, Fe, Mn, — დიდი რაოდენობით.

Zn — ცოტა.

Na — არის.

ფიზიკურ-კერამიკულ გამოცდათა მაჩვენებლები:

ცეცხლგამძლეობა — 1140
 წყლის შთანთქმის უნარი — 22,8%
 ფორიანობა — 31,8%
 მოცულობითი წონა — 1,68 გრ.

კეცში ფაზები შემდეგნაირადაა განაწილებული:

თიხა-ნივთიერება — 80—90%
 კვარცი და მინდვრის შპატი 10—20%.

კვარცისა და მინდვრის შპატის მსხვილი ნაწილაკების მონაწილეობა უმნიშვნელოა კეცის ჩამოყალიბებისას მიმდინარე რეაქციებში³¹.

ცხრილი 6	
ქ ე რ ა მ ი კ ა	რაოდენობა
ძირები კუთხოვანი გადასვლით კედლებზე	105 ფრ.
ძირები ქუსლიანი გადასვლით კედლებზე	47
დაკუთხული ძირები	4
შეზნექილი ძირები	2
კედლის ფრაგმენტება (უორნამენტი)	3062
კედლის ფრაგმენტები (ვაზერტელი)	16
საღა, სწორი პირები	100
ტალოსებური პირები	40
ფოსფორიანი პირები	16
ქდეებიანი პირები	
„წიწვისებრი“ თუ „თავთაყისებრი“ ორნამენტი	110
ფოსფორიანი ორნამენტი	100
ტალოსებური ორნამენტი	27
ტეხილნაზიანი ორნამენტი	17
ირიბჭდეებიანი ორნამენტი	17
კოპებიანი ორნამენტი	6
რელეფური ორნამენტი	26
	5
ს უ ლ	3700

ო დ ი შ ი. ს. ოდიში (ყოფ. ლედგებია) მდებარეობს ზუგდიდის ჩრდილო-აღმოსავლეთით, 6 კმ მანძილზე მდ. ჯუმას მარჯვენა ნაპირის შემადგენელზე, ზეგანს ჩრდილო-დასავლეთიდან ზევი აკრავს, სამხრეთ-დასავლეთით კი იგი ეშვება მდ. ენგურის მარცხენა ნაპირის რისის ტერასისაკენ და ერწყმის მას. სადგომი მდებარეობს სოფლის ბოლოს, სოფ. კორცხელის საზღვართან თავსწორ ზეგანზე, რომლის სიმაღლე ზღვის დონიდან 273 მეტრია, აღნიშნულ სადგომზე გათხრებისა და ზედაპირული მასალის შეგროვების შედეგად მრავალრიცხოვანი ნაშთები იყო მოპოვებული.

დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითურ ძეგლებს შორის ოდიში ერთ-ერთი მკაფიო, მრავალმხრივი და დიდი კომპლექსია. კოლექციის საერთო რაოდენობა 5050 ერთეულს უდრის. იარაღების ძირითადი ნაწილი დამზადებულია კაყისა და რიყის ქვის სხვადასხვა ქანებისაგან. უმნიშვნელო რაოდენობითაა გამოყენებული ობსიდიანი — დაახლოებით 300 ერთეული, მასალის ურთი-

³¹ ი. გ ძ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, ლ. ა. ს. ა. თ. ი. ა. ნ. ი. ფ. ი. ც. ხ. ე. ლ. ა. უ. რ. ი., კერამიკული წარმოების ისტორიისათვის ძველ საქართველოში, ხელნაბეჭდი, 1963.

ერთშეფარდება ასეთია: კაჟი—4200 ერთ., რიყის ქვა—380, კერამიკა—480 ფრაგმენტი.

იარაღების გარდა კოლექციაში დიდი ადგილი უჭირავს წარმოების ნარჩენებს. მათგან პირველ რიგში აღსანიშნავია სხვადასხვა ფორმისა და ზომის ნუკლეუსი (219 ცალი). მათი უმრავლესობა პრიზმის მოყვანილობისაა (ტაბ. XXIII, სურ. 1—3), სულ 55 ცალი. არის ისეთი ნუკლეუსებიც, რო-

ანსეული II-ის იარაღებისა და წარმოების ნაშთების რაოდენობა და %-ლო შეფარდება

ცხრილი 7

წარმოების ნაშთები და იარაღები	რაოდენობა	%
კაჭრები	11	0,13
ნუკლეუსები	47	0,56
ნუკლეუსის ნაღვეები	21	0,24
ანატორეები	1000	10
ანატორეები	5260	59
ლამელები	1240	1,3
საჭრისები	147	15,7
საფხეები	66	7,05
სახვრეტები	79	8,44
დანები	31	3,3
ტრაპეციები	92	9,8
სეგმენტები	76	8,12
მალალი სწორკუთხედები	40	4,26
ისრისპირები	4	0,42
კომბინირებული იარაღი	2	0,21
ჩასართისმაგვარი იარაღი	3	0,21
ხერხისებური იარაღი	1	0,32
შალაშინები	2	0,10
რეტუსორები	2	0,21
მაკროლითი (კაჟის)	2	0,21
გაურკვეველი დანიშ. ნივთები	5	0,21
ნაშვადები	40	0,5
ცულები	75	4,26
სათლელ-სატეხები	16	8,01
ჩაქუჩები	15	1,7
წერაქვისებური იარაღი	2	1,6
გახვრეტილი იარაღი	2	0,21
სახეხები	31	3,3
საპრიალებელი	5	0,5
სანაყი	1	0,10
სახეხ-საპრიალებელი	1	0,10
შურდულის ქვეები	14	1,15
დაზიანებული იარაღების ნაწილები	15	1,6
სულ	8610	

მელთა ცალ მხარეზე ლამელებია ატკეცილი, მეორე მხარე კი დაფარულია ბუნებრივი ქერქით. პრიზმის მოყვანილობის ნუკლეუსებში გამოირჩევა ერთფუძიანი (22 ცალი) და ორფუძიანი (33 ცალი). ორფუძიანებს, ერთფუძიანებთან შედარებით, უფრო კარგად შემზადებული დარტყმის სიბრტყე და წესიერი პრიზმის ფორმა აქვს, მათი სიგრძე 3—7 სმ შორის მერყეობს. ლამელების ატკეცვა დარტყმის ორივე სიბრტყიდან ხდებოდა.

კონუსის მოყვანილობის ნუკლეუსები 23 ცალია (ტაბ. XXIII, სურ. 4—5, 11). პრიზმისებური ნუკლეუსების მსგავსად, მათ შორისაც არის ისეთი ცა-

ლები, რომლებზედაც ლამელები მხოლოდ ერთ მხარესაა ატკეცილი, მეორე მხარეზე კი ბუნებრივი ქერქი აქვთ შერჩენილი. დარტყმის სიბრტყე ხშირად დაქანებულია. სიგრძე 3,5—7,5 სმ შორის მერყეობს, ფუძის სიგანე კი 2—6 სმ-მდეა.

ანასეული II-ის კაეისა და ობსიდიანის მასალის %-ული შეფარდება

ცხრილი 8

წარმოების ნაშთები და იარაღები	საერთო რაოდენობა	კაეის რაოდენობა	ობსიდიანი რაოდენობა	კაეის %	ობსიდიანის %
კაჭრები	11	11	—	100%	—
ნუკლეუსები	48	44	4	91,7%	8,3%
ნუკლეუსის ნალევები	21	18	3	85,7%	14,3
ანამტერევეები	1000	800	200	80%	20%
ანატკეცები	5260	4810	450	91,6%	8,4%
ლამელები	1240	1024	216	82,6%	17,4%
საჭრისები	147	115	32	78,2%	21,8%
საფხეები	66	49	17	74,2%	25,8%
სახვრეტები	79	79	—	100%	—
დანები	31	31	—	100%	—
ტრაპეციები	92	91	1	99%	1%
სეგმენტები	76	76	—	100%	—
მაღალი სწორკუთხედები	40	—	40	100%	—
ისრისპირები	4	3	1	75%	25%
კომბინირებული იარაღები	2	2	—	100%	—
ჩასართისმაგვარი იარაღები	3	—	3	—	100%
ხერხისებური იარაღი	1	—	1	100%	—
შალაშინები	2	2	—	100%	—
რეტულშორები	2	2	—	100%	—
მაკროლითი (კაეის)	2	2	—	100%	—
გაურკვეველი დანიშნულების ნივთები	5	5	—	100%	—
ნაშაღები	40	35	5	87,5%	12,5%

ანასეული I-ისა და ანასეული II-ის იარაღების %-ული შეფარდება

ცხრილი 9

იარაღები	ანასეული I	ანასეული II
საჭრისები	35,5	15,7
საფხეები	26,6	7,05
სახვრეტები	0,88	8,44
დანები	0,44	3,3
ტრაპეციება	2,2	9,8
სეგმენტები	—	8,12
მაღალი სწორკუთხედები	—	4,26
ისრისპირები	0,22	0,42
კომბინირებული იარაღი	0,28	0,21
ჩასართისმაგვარი იარაღი	—	0,32
ხერხისებური იარაღი	0,44	0,10
შალაშინები	0,44	0,21
რეტულშორები	0,66	0,21
ტულები	0,66	8,01
სათლელ-სატეხები	0,66	1,7
ჩაქუჩები	0,22	1,6
წვრთქვისებური იარაღი	—	0,21
თხისებური იარაღი	0,22	—
სახეხები	5,5	3,3
სანაყი	—	0,10
სახეხ-საპრაღებელი	0,22	0,10
გახვრეტილი იარაღი	—	0,21
შურდულის ქეები	3,7	0,15
საპრაღებელი	1,1	0,5

ფანქრისებური ნუკლეუსები 9 ცალია (ტაბ. XXIII, სურ. 6—10). აქვთ დარტყმის ორი მოედანი, ირგვლივ კი ლამელების ატკეცვის კვალი ატყვია, სიგრძე 3,5—6 სმ შორის მერყეობს.

კოლექციაში არის აგრეთვე თითო-ორი სხვადასხვა ფორმის ნუკლეუსი: ბრტყელი, სწორკუთხა, დისკოსებური. ბევრია აგრეთვე დაზიანებული (70 ცალი) და მათი ნალევები (15 ცალი). არის შუაზე გაპობილი ნუკლეუსებიც (25 ცალი). მათი ცალი მხარე ბრტყელია, მეორეზე კი ლამელების ატკეცვის კვალია, სიგრძე 3—9 სმ-მდეა.

კოლექციაში დიდი რაოდენობითაა სხვადასხვა ზომისა და ფორმის კაეის ანატკეცები (1820 ცალი). თითქმის ყველა მათგანს გვერდის ამა თუ იმ ნაწილზე აქვს გამოყენების კვალი. ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ზომებით: დიდი ანატკეცები 198 ცალია, მათი სიგრძე 6—9 სმ-მდეა, მათ შორის 70 ცალს ეტყობა ნაწილობრივი რეტუში. საშუალო ზომის ანატკეცები, რომელთა სიგრძე 4—6 სმ შორის მერყეობს, 1020 ცალია, მცირე ზომის ანატკეცები დაახლოებით 600-ია, მათი სიგრძე უდრის 1—4 სმ-ს. არის აგრეთვე ქერცლისებური ანატკეცები (44 ცალი), რომლებსაც აქვს ტალღისებური ზედაპირი, დარტყმის სიბრტყე და შესაბამისი ბურცობი.

მასალის ძირითად ნაწილს შეადგენენ ლამელები (1542 ცალი), რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან დამუშავებით, მოყვანილობითა და ზომებით (ტაბ. XXVI, სურ. 22—27). ყველაზე დიდ ჯგუფს დანისებური ლამელები შეადგენენ, ისინი ხასიათდებიან სწორი, თხელი და ვიწრო ნაპირებით, თითქმის ყველას აქვს გამოყენების კვალი. დანისებური ლამელების უმრავლესობა თავგადამტვრეულია (378 ცალი), მათი სიგრძე უდრის 3—6 სმ, ხოლო სიგანე 1—2 სმ შორის მერყეობს. ბევრია აგრეთვე თავბოლოგადამტვრეული ლამელა (254 ცალი), მათი სიგრძე 3,5—4 სმ-ია, მათგან 123 ცალს აქვს გამოყენების კვალი, ხოლო 34 ცალს — ნაწილობრივი რეტუში. შედარებით ნაკლებია მთელი ცალები (106 ცალი). მათი სიგრძე 5—7 სმ შორის მერყეობს, სიგანე კი 1 სმ-ია. დანისებურ ლამელებთან ერთად არის აგრეთვე არასწორი მოყვანილობის ლამელები (103 ცალი), მათი დიდი ნაწილი მთელია. სიგრძე 5—7 სმ-მდეა, სიგანე 1—1,5 სმ შორის მერყეობს.

კოლექციაში 30 მიკროლამელაა, მათ შორის 10 ცალი რეტუშირებულია. სიგრძე 1—2 სმ-მდეა, სიგანე 0,3—0,7 სმ შორის მერყეობს. ლამელის განივი ნატეხები 33 ცალია, მათი სიგრძე 0,8—1,7 სმ-მდეა. ბევრია ლამელის თავები (375 ცალი), მათ შორის ბევრს აქვს გამოყენების კვალი. თითო-ორილას რეტუში ეტყობა, 21 ცალს კი ემჩნევა ცეცხლის კვალი.

რეტუშირებული ლამელებიდან აღსანიშნავია გვერდრეტუშირებულები (57 ცალი), რომლებსაც გვერდის ამა თუ იმ მხარეს აქვთ თანამიმდევრული ან ნაწილობრივი რეტუში. არის აგრეთვე გვერდამოღარული (41 ცალი) ლამელები. მათი უმრავლესობა თავბოლო ან თავგადამტვრეულია. სიგრძე 2—6 სმ შორის მერყეობს. თავრეტუშირებულ ლამელებში სამი სხვადასხვა სახის ლამელა გამოიყოფა: ა) თავსწორრეტუშიანი (68 ცალი), ბ) თავ-ირიბრეტუშიანი (25 ცალი) და გ) თავამოღარული (57 ცალი). ისინი წარმოადგენენ ორ ან სამფერდა ვიწრო, თხელ ლამელებს. მათი სიგრძე 4—6 სმ-მდეა.

იარაღებს შორის რაოდენობის მიხედვით წამყვნი ადგილი საჭრისებს (ტაბ. XXIV, სურ. 1—18) უჭირავთ (103 ცალი). მათი ძირითადი ნაწილი ლამელებზეა ჩამოყალიბებული, მაგრამ არის ანატკეცებზე დამზადებულიც. სა-

საჭრისე ჩამონატეხის განლაგების მიხედვით არის ცალმხრივი და ორმხრივი საჭრისეები. ორმხრივი საჭრისეები ბევრად უფრო ნაკლებია, ვიდრე ცალმხრივი. ლამელეებზე ჩამოყალიბებულ საჭრისეებში შემდეგი ჯგუფები გამოიყოფა:

1. მარტივი საჭრისეები. სულ 23 ცალი. ზოგიერთ მათგანს აქვს სწორი სასაჭრისე ჩამონატეხი, ზოგიერთს კი ხიწვიანი. მათ შორის არის ცალმხრივი და ორმხრივი საჭრისეები. მათი სიგრძე 2—4,5 სმ შორის მერყეობს, სიგანე კი 1—1,5 სმ შორის.

2. თავრეტუშიანი საჭრისეები. სულ 32 ცალი. მათი სიგრძე 3,5—6 სმ შორის მერყეობს, სიგანე კი 1—2 სმ-მდე. ამ ჯგუფში გამოიყოფა თავსწორრეტუშიანი საჭრისეები (5 ცალი) და თავირიბრეტუშიანი საჭრისეები (17 ცალი).

ანატკეცებზე ჩამოყალიბებული საჭრისეები. სულ 31 ცალი (ტაბ. XXIV. სურ. 14, 16, 18). ამ ჯგუფში შეიძლება გამოიყოს შემდეგი ქვეჯგუფები: 1. მარტივი საჭრისეები, 21 ცალი. სიგრძე 3—6 სმ-მდეა, სიგანე 2—3 სმ-მდე. 2. თავრეტუშიანი საჭრისეები., 14 ცალი. მათ შორის 10 თავირიბრეტუშიანია. 4 კი თავსწორრეტუშიანი. სიგრძე 3—6 სმ-მდეა, სიგანე 2—3 სმ-მდე. 3. შუალა საჭრისეები 8 ცალია. სიგრძე საშუალოდ 4-სმ-ია, სიგანე კი 2,5 სმ. 4. მრავალფაცეტიანი საჭრისეები, 2 ცალი. სიგრძე 4 სმ-ია, სიგანე კი 15 სმ.

ოდისის საფხეკები არ ხასიათდებიან დახვეწილი ფორმებითა და ბეჯითი დამუშავებით (ტაბ. XXV, სურ. 1—12). მათი უმრავლესობა ჩამოყალიბებულია დიდი ზომის, მასიური ანატკეცების ბოლოზე (75 ცალი), რომლებსაც სამუშაო პირი ვაფორმებული აქვთ მსხვილფაცეტიანი რეტუშით. საფხეკების დიდი ნაწილის სამუშაო პირი ოვალურია. სწორი სამუშაო პირი აქვს მხოლოდ 12 საფხეკს. ოდისის საფხეკების ერთი ნაწილი (30 ცალი) დიდი ზომისაა, მათი სიგრძე 3,5—6,5 სმ-მდეა, სიგანე 3,5 სმ-მდე მერყეობს, საშუალო ზომის საფხეკები 29 ცალია. მათი სიგრძე 2,5—3,5 სმ-ია.

კოლქციაში არის აგრეთვე ამოღარულპირიანი საფხეკები (16 ცალი), რომლებიც საშუალო ზომის ანატკეცებზეა ჩამოყალიბებული. მათი სიგრძე 2—4 სმ შორის მერყეობს.

სახვრეტები ძირითადად ორი სახისაა: ლამელაზე და ანატკეცზე ჩამოყალიბებული. სულ 31 ცალია.

ლამელაზე ჩამოყალიბებულ სახვრეტებში (19 ცალი) ორი ჯგუფი გამოიყოფა: 1) მიკროსახვრეტები (ტაბ. XXVI, სურ. 28, 30), დამზადებული მცირე ზომის ორ ან სამფერდა ლამელაზე. მათი სამუშაო სიგრძე 2 სმ-ია, სიგანე კი 1 სმ. აღსანიშნავია, რომ თითქმის ყველა მათგანი მთელია, რაც შესაძლოა მათი მცირე ზომებით იყოს გაპირობებული.

2) გრძელი სახვრეტები (ტაბ. XXVI, სურ. 31), დამზადებული მოგრძო, თხელ, ვიწრო, ორ ან სამფერდა ლამელაზე. წვერი ორივე მხრიდან რეტუშირებულია. რეტუში იარაღს ზოგჯერ ბოლომდე მასდევს, ზოგჯერ კი მხოლოდ წვერზეა. ამ იარაღების უმრავლესობა დაზიანებულია. მათი საშუალო სიგრძე 4,5 სმ-ია, სიგანე — 1 სმ.

ანატკეცებზე ჩამოყალიბებული სახვრეტები. სულ 12 ცალია. მათში ორი ჯგუფი გამოიყოფა:

1. თხელ, ლამელისებურ ანატკეცებზე დამზადებული სახვრეტები (ტაბ. XXVI, სურ. 32). ისინი მცირე ზომებით გამოირჩევიან. მათი უმეტესობა მთელია, წვერი დამრეცი რეტუშითაა ვაფორმებული, რომელიც ზოგჯერ ორივე კვერდს ბოლომდე გასდევს.

2. განიერ, მსხვილ ანატკეცებზე დამზადებული სახვრეტები (ტაბ. XXVI, სურ. 33). სამუშაო წვერი დამრეცი რეტუშითაა გამოყვანილი. ზოგიერთ ცალზე სამუშაო წვერი გაფორმებულია მოპირდაპირე სიბრტყეზე მდებარე რეტუშით. სიგრძე 2—4 სმ შორის მერყეობს.

დაკბილული იარაღები (ტაბ. XXVI, სურ. 35—36), სულ 47 ცალია. დიდი ნაწილი (42 ცალი) ლამელაზეა დამზადებული. მათ შორის არის ცალმხრივდაკბილული და ორმხრივდაკბილულიც. ცალმხრივდაკბილულების უმეტესობა ოდნავ მოხრილ ლამელაზეა დამზადებული, ორმხრივდაკბილული კი სწორ ლამელაზეა ჩამოყალიბებული. ამ იარაღების სიგრძე 4,5—6 სმ შორის მერყეობს.

დანისებური იარაღები დამზადებულია ვიწრო, გრძელ ანატკეცებზე, რომლებიც ზოგჯერ სამწახნაგაა. ცალ გვერდზე მათ გამოყენების კვალი აქვს, მეორე კი დაბლაგვებულია უხეში მსხილფაცეტიანი რეტუშით. სულ 28 ცალია. მათი სიგრძე 4—10 სმ შორის მერყეობს.

ისრისპირები. ოდიშის კოლექციაში ორი ისრისპირია. ორივე ანატკეცზეა დამზადებული და ორმხრივ დამუშავებულია. ერთ-ერთი მათგანი ფრთადაშვებულია (ტაბ. XXXIX, სურ. 4) და დიდი ზომისაა. მეორე კი სამკუთხედისებურია, სუსტად გამონატული ყუნწით (ტაბ. XXVI, სურ. 21).

კომპინირებული იარაღები კოლექციაში ცოტაა. ისინი ძირითადად ლამელაზეა ჩამოყალიბებული და წარმოდგენენ მის ორ მოპირდაპირე ბოლოზე გაფორმებულ სხვადასხვა იარაღებს: დანა-საფხეკი (2 ცალი), სახვრეტ-საფხეკი (2 ცალი), საჭრის-სახვრეტი (1 ცალი) და ხერხ-საფხეკი (1 ცალი).

გეომეტრიული იარაღებიდან ყველაზე მეტია ტრაპეციები (ტაბ. XXVI, სურ. 1—10), სულ 18 ცალია. ისინი წარმოდგენილია მხოლოდ ორგვერდდამუშავებული დიდი ზომის ტრაპეციებით. მათი სიგრძე 0,7—2 სმ შორის მერყეობს. ყველა მათგანს განიერ ფუძეზე აქვს გამოყენების კვალი.

კოლექციაში არის ტრაპეციის ფორმის მოგრძო, ორმხრივ თავირბრეტუშიანი ლამელები (4 ცალი), გვერდებზე გამოყენების კვალით.

სეგმენტები (ტაბ. XXVI, სურ. 11—14), სულ 5 ცალია. მათი რკალი ათლილია დამრეცი რეტუშით. მათგან 4 ცალი ორმხრივდამუშავებულია. ქორდაზე აქვს გამოყენების კვალი.

ზურგათლილი, მაღალი სწორკუთხედები (ტაბ. XXVI, სურ. 15—17), ანასეული II-ის ტიპისა, სულ 3 ცალია. ყველა მათგანი ობსიდინისაა და დაფარულია „მცოცავი“ რეტუშით. სამუშაო პირზე აქვს გამოყენების კვალი.

რიყის ქვის იარაღები ოდიშის კომპლექსის ერთერთი მთავარი ნაწილია. სულ 671 მთელი და დაზიანებული იარაღია. მათ შორის არის როგორც ვახეხილ-ვაპრიალებული, ასევე ორმხრივ ათლილი, ტლანქად ნახეხი იარაღები. აღსანიშნავია, რომ უკანასკნელები უფრო მეტია. რიყის ქვის იარაღებს შორის ყველაზე მრავლადაა ცულები (ტაბ. XXVII, სურ. 1—5). სულ 64 ცალია. თითქმის ყველა მათგანი დაზიანებულია, მაგრამ მათი თავდაპირველი ფორმის წარმოდგენა შეიძლება. ამას გარდა არის 52 ცულის პირის ნაწილი. მათი უმრავლესობის მიხედვით შეუძლებელია ზუსტი მოყვანილობის გარკვევა.

მოყვანილობის მიხედვით ცულებში შეიძლება გამოიყოს შემდეგი ძირითადი ჯგუფები:

1. ორმხრივლესილი, გვერდწახნაგიანი ცულები, ისინი ხასიათდებიან გახეხილ-გაპრიალებული ოვალური სამუშაო პირით და ოვალური განივკვეთით, გვერდებზე კი მათ აქვთ გაპრიალებული ვიწრო წახნაგები. ამ ცულების სამუშაო პირის სიგანე 4—6 სმ-მდეა, ხოლო სიგრძე 14—16 სმ-მდე მერყეობს.

2. ორმხრივლესილი, უწახნაგო ცულები. მათი სიგრძივი ჰრტილი სოლს წაავას, განივკვეთი ოვალურია, ოვალური სამუშაო პირი სხვადასხვა სიმაღლეზეა გაპრიალებული, მისი სიგანე 5 სმ-ია. იარაღის შუა ნაწილი მკვეთრად შემალლებულია, ყუა კი „წერტილოვანი“ ტექნიკითაა დამუშავებული. მთელი ცულის სიგრძე 14 სმ-ია, მათი დიდი ნაწილი დაზიანებულია.

3. „წაკვეთილი“ ცულები. მათი ოვალური სამუშაო პირი გახეხილ-გაპრიალებულია. განივკვეთი ოვალურია. შუა ნაწილი პირველი ჯგუფის ცულების მსგავსად არ არის მკვეთრად შემალლებული. მათ შორის არის ვიწრო (4,5 სმ) და განიერი (6 სმ) სამუშაო პირიანი ცულები. მათი სიგრძე საშუალოდ 7 სმ უდრის, სისქე 3 სმ-ია.

სათლელ-სატეხები (ტაბ. XXVIII, სურ. 1, 2; 4—7,9), სულ 21 ცალია. მათი უმრავლესობა (16 ცალი) წარმოდგენილია ზურგამობურცული, ძირბრტყელი, ოვალურ სამუშაოპირიანი სათლელ-სატეხებით. სიგრძე 6—7 სმ შორის მერყეობს, მათი დიდი ნაწილი გახეხილია და აქვს გამოყენების კვალი. მცირე რაოდენობით არის ტრაპეციის ფორმის, სწორ სამუშაოპირიანი, გვერდწახნაგიანი სატეხ-სათლელებიც (5 ცალი).

ხელჩაქუჩების (ტაბ. XXX, სურ. 1—5) ფუნქცია უნდა ჰქონოდა მომრგვალო განივკვეთის მქონე, გახეხილ-გაპრიალებულ, თავსწორ იარაღებს, რომელთა ორივე მხარე დაჩეჩქვილია დარტყმებისაგან, სულ 33 ცალია. ამ იარაღების სიგრძე 8—10 სმ შორის მერყეობს, ხოლო მათი განივკვეთის დიამეტრი 4 სმ-ია. გამოყენების კვალი მოწმობს, რომ ხელჩაქუჩებად გამოუყენებიათ აგრეთვე დაზიანებული რიყის ქვის იარაღები.

სახეხებად (ტაბ. XXXI, სურ. 1—5) გამოიყენებოდა სხვადასხვა ზომისა და მოყვანილობის რიყის ქვები. 81 ცალია. ყველა მათგანს აქვს ძლიერი ხეხვის კვალი. ხშირად ორი მოპირდაპირე გვერდია ნახები, იშვიათად ცალი. ფორმის მხრივ შემუშავებული სტანდარტი არ არსებობს. მაქსიმალური სიგრძე 8 სმ-ია, მათი უმრავლესობა მცირე ზომისაა. სახეხების განივკვეთი ხან ოვალურია, ან კი ოთხკუთხა. არის მომრგვალო, ვიწრო და გრძელი სახეხებიც. ამავე დანიშნულებით გამოუყენებიათ აგრეთვე დაზიანებული ცულებისათუ ხელჩაქუჩების ნაწილები. არის მრგვალი რიყის ქვებიც ხეხვის კვალის გარეშე. ისინი შესაძლებელია შურდულებად ყოფილიყო გამოყენებული:

საპრიალებელი სულ სამი ცალია. ორი მათგანი წარმოადგენს მომრგვალო რიყის ქვას, რომელთაც ეტყობათ ხეხვის კვალი. მათი სიგრძე 19 სმ-ია, სიგანე 10—13 სმ, სისქე 7—9 სმ-მდე მერყეობს. მესამე ცალს აქვს ოთხკუთხა განივკვეთი. მისი სიგრძე 25 სმ, სიგანე — 15 სმ, სისქე — 4,5 სმ.

სანაყები. კოლექციაში გვაქვს რამდენიმე ფრაგმენტი დიდი ზომის, ბრტყელი სანაყებისა, რომლებიც შუაში ხეხვისაგან ჩაღრმავებულია. სულ 5 სხვადასხვა სანაყის ნაწილია. გარდა ამისა, არის ორი მთელი სანაყი, ერთ-ერთი მათგანი დიდი ზომის მრგვალი რიყის ქვისაა, განივკვეთში ოვალური, შუაში ღრმულით, რომლის დიამეტრი 10 სმ-ია.

ხელსაფქვავეი წარმოადგენს გრძელ, ვიწრო რიყის ქვას, რომლის შუა ნაწილი, ერთი მხრიდან შეზნექილია, მეორე კი ამობურცული. შეზნექილ მხარეს ეტყობა ხეხვის კვალი. სიგრძე 36 სმ, სისქე 14 სმ (ტაბ. XXVIII, სურ. 8).

მაკროლითები მიიღებოდა რიყის ქვის სხვადასხვა ქანების ორმხრივი გათლით და ტლანქად ხეხვის საშუალებით. მათ შორის არის როგორც სხვადასხვა სახის დამოუკიდებელი იარაღები, ასევე ცულების ნამზადები და მათი ნახევარფაბრიკატები. მთელი მაკროლითები ცოტაა. მათი სიგრძე 6—19 სმ შორის მერყეობს, სიგანე საშუალოდ 6 სმ-ია, სისქე 4 სმ. მათში გამოიყოფა განიერ და ვიწროპირიანი მაკროლითები. განიერპირიანი მთელი მაკროლითი 6 ცალია. მათი პირის სიგანე 6—7 სმ შორისაა, ვიწროპირიანი მაკროლითების სიგანე 4—5 სმ-მდეა. განიერ მაკროლითებში ორი წახნაგია, ხუთი — უწახნაგო, ერთზე კი გაპრიანების კვალია. ზოგიერთ მაკროლითს ერთი მხარე დამუშავებული აქვს მოკოდვის ტექნიკით. მეორე მხარე კი დაუმუშავებელია ან ნაწილობრივია დამუშავებული. მაკროლითების დიდი ნაწილი დაზიანებულია, ბევრია პირისა და ყუის ნაწილები. ამ ნატეხების მიხედვით ძნელია თქმა, ისინი დამოუკიდებელ იარაღებს ეკუთვნოდნენ, თუ დამზადების პროცესში დაზიანებულ იარაღებს. კოლექციაში სულ 60 მაკროლითის პირის ნატეხია, მათგან 36 განიერია, 24 კი ვიწრო. ვიწრო პირის ნატეხებიდან ოთხი წახნაგია; ისინი გვერდწახნაგიათა ცულების ნამზადებად უნდა მივიჩნიოთ. ბევრია დაზიანებული მაკროლითების ზედა ნაწილები, სულ 56 ცალი. მათი სიგანე 4—5 სმ შორის მერყეობს. მათგან 4 ცალს აქვს გვერდითი წახნაგები.

მაკროლითების ერთი ნაწილი მოყვანილობით დაუმთავრებელ ცულებს წააგავს და ნაწილობრივია დამუშავებული, რაც იმას მოწმობს, რომ ისინი ცულების ნამზადებია, ხოლო წვერწამახული და წერაქვისებური მაკროლითები დამოუკიდებელ იარაღად უნდა მივიჩნიოთ. დაზიანებული მაკროლითები შემდეგ ჩაქუჩებად და სანაყებად გამოუყენებიათ.

წერაქვისებური მაკროლითები (ტაბ. XXXIII, სურ. 1). ეს იარაღები ორმხრივ ათლილი და უხეშად ნახეხია, ორივე ბოლო ნახევრად ოვალური და გათხელებულია. ერთი ბოლო, ოდნავ განიერია მეორეზე. ამ იარაღებს ორივე ბოლოზე აქვთ გამოყენების კვალი. ისინი დიდი ზომებით ხასიათდებიან. სიგრძე 22—24 სმ-ია, სიგანე—15 სმ, სისქე—6 სმ. წერაქვისებური მაკროლითები დამოუკიდებელ იარაღებს უნდა წარმოადგენდნენ. დიდი ნაწილი დაზიანებულია, მათგან 4 ცალი მთელია.

შუბისებური მაკროლითები (ტაბ. XXXII, სურ. 1—3, 4). მაკროლითური ტექნიკით დამუშავებულ ნაწარმს შორის გამოირჩევა „შუბისებური“ მოყვანილობის იარაღი, რომელიც არქეოლოგიურ ლიტერატურაში ე. წ. „პიკისებური“ იარაღებადაა ცნობილი. ისინი მოთეთრო კირქვიერი კაყისაგანაა დამზადებული. მათ ვიწრო ტანი, წვეტიანი წვერი და განიერი ბოლო აქვთ. 10 მათგანი დაზიანებულია და შერჩენილია მხოლოდ მათი წვერის ნაწილები. მათგან 4 ცალია მთელი. ამ იარაღების სიგრძე 11—15 სმ შორის მერყეობს, სიგანე კი 3,5—4,5 სმ შორისაა.

საპრიანლებელი (ტაბ. XXVIII, სურ. 3) დამზადებულია მოგრძო რიყისქვისაგან, რომლებსაც მომრგვალო ან ოთხკუთხა განივკვეთი აქვთ. გვერდებზე ლესვის კვალი ემჩნევათ, სულ 5 ცალია. სიგრძე 17 სმ-ია, სიგანე—2,5 სმ.

სახნისისებური იარაღი (ტაბ. XXXIV, სურ. I) ორმხრივლენილია, ოვალურ სამუშაოპირიანია, აქვს გვერდითი „ფრთები“. გარეგნულად ეს იარაღი სახნისს წააგავს. ზედმიწევნითაა გახეხილ-გაპრიალებული. სიგრძე — 9,3 სმ, სიგანე — 7,1 სმ, სისქე — 3,5 სმ, არის ამგვარივე იარაღის ნახევარფაბრიკატიც. იგი დამზადებულია მსხვილმარცვლოვანი ქვის ქანისაგან, ტლანქადაა ნახეხი, ოდნავ ეტყობა „ფრთები“.

გახვრეტილი იარაღის ორი ფრაგმენტი გვაქვს კოლექციაში (ტაბ. XXXIV, სურ. 2—3). ორივე სატარე ხვრელთანაა გადატეხილი. არის აგრეთვე ერთი იარაღი (ტაბ. XXIX, სურ. 2) გახვრეტის ნიშნებით. საყურადღებოა, რომ ასეთ დიდ კოლექციაში იარაღის გახვრეტის მხოლოდ ორი შემთხვევა და ერთი ცდაა. ამასთანავე გახვრეტილი იარაღების ფორმა უცხოა კომპლექსისათვის. ის იარაღი კი, რომელზედაც გახვრეტის ნიშნებია, თავისი ფორმით ძირითად კომპლექსს უნდა ეკუთვნოდეს.

სადგომზე დიდი რაოდენობით იპოვნეს რიყის ქვის დაზიანებული იარაღის ნაწილები, რომელთა მიხედვით ჭირს გარკვევა, თუ რომელ იარაღს ეკუთვნოდნენ ისინი (25 ცალი). ბევრია უხეშად გათლილი და ნაწილობრივ გახეხილი სატეხ-სათლელების ნამზადები. არის აგრეთვე გამოყენების კვალის მქონე გაურკვეველი დანიშნულების ანატაკეები, რომლებსაც შერჩენილი აქვთ დარტყმის სიბრტყე და შესაბამისი ბურცობი.

კერამიკა. ოდიშის კერამიკული კომპლექსი დიდი რაოდენობით შეიცავს თიხის ჭურჭლის პირის, ძირისა და კედლის ნატეხებს. ფრაგმენტების

ოდიშის იარაღებისა და წარმოების ნაშთების რაოდენობა და მათი %-ული შეფარდება მასალის საერთო რაოდენობასთან

ცხრილი 10

წარმოების ნაშთები და იარაღები	რაოდენობა	%
ნუკლეუსები	219	4,8
ანატაკე-ანამტვრევები	1820	39,8
ლამელები	1542	33,7
საჭრისები	103	8,04
საფხველები	75	5,88
სახვრეტები	31	2,5
დაკბილული იარაღები	47	3,67
დანისებური იარაღები	28	2,2
კომბინირებული იარაღები	6	0,47
ტრაპეციები	18	1,4
სეგმენტები	5	0,39
მაღალი სწორკუთხედები	3	0,23
ისრისპირები	2	0,15
ცულები	64	5,0
სატეხ-სათლელები	21	1,64
ხელჩაჭეხები	33	2,58
სახეხები	81	6,30
შურდულის ქვები	180	14,0
სანაყები	5	0,39
ხელსაფქვავეები	5	0,39
სახნისისებური იარაღი	2	0,15
მაკროლითები	136	10,6
საპრიალებელი	5	0,39
სახეხ-საპრიალებლები	3	0,23
გახვრეტილი იარაღები	2	0,15
დაზიანებული იარაღის ნაწილები	134	10,47
სულ	4570	

სიუხვის მიუხედავად მათი აღდგენა არ ხერხდება. ამიტომ აღწერა შესაძლებელია მხოლოდ ცალკეული ნაწილების მიხედვით. თიხა მოვარდისფრო-მონაცრისფროა, სუსტადაა გამომწვარი. მასში დიდი რაოდენობითაა შერეული კირი, ქარსი და კვარცი. ყველაზე ქარბად ქარსი ურევია, მისი მბზინავი ნაწილაკები კარგად ჩანს შეუიარაღებელი თვალითაც.

ძირის ფრაგმენტები (ტაბ. XXXV, სურ. 11—14) 44 ცალია. ყველა მათგანი ბრტყელია. დიდი ნაწილი (39 ცალი) ხასიათდება კედლებზე კუთხოვანი გადასვლით, მცირეს (5 ცალი) კი კედელზე ქუსლიანი გადასვლა ახასიათებს. ძირები არათანაბარი სისქისაა. მათი სისქე 0,7—1,5 სმ-მდე მერყეობს. ზოგიერთი ძირი ორჯერ ან სამჯერ უფრო სქელია კედლებზე, ზოგიერთი ძირის სისქე კი რამდენიმე მილიმეტრს უდრის. არის ისეთი ძირები, რომლებიც კედლების მახლობლად მსხვილია, შუა ნაწილისაკენ კი საგრძნობლად თხელდება. ძირის ერთ ფრაგმენტზე შეიმჩნევა ფრჩხილის ნაკვდევები.

პირის ფრაგმენტები (ტაბ. XXXV, სურ. 1, 2; ტაბ. XXXVI, სურ. 1—10), სულ 68 ცალია. მათ ერთ ნაწილს (30 ცალი) გლუვი, სწორი და სადა პირი აქვს, მეორე ნაწილს (38 ცალი) კი პირი შემკული აქვს ღრმულებითა და ჭდეებით. ჭდეები სხვადასხვა მოყვანილობისა და სიხშირისაა. ისინი სახეების მრავალფეროვნებით ხასიათდება. პირის ფრაგმენტების დიდი ნაწილი (19) ორნამენტირებულია. ორნამენტი აქვს როგორც გლუვპირიან ნატეხებს, ასევე ჭდეულობრიანებსაც. სამი პირის ფრაგმენტი ხერელიანია. ხერელი კონუსისებური მოყვანილობისა, მის კედლებზე ჩანს გახვრეტის შედეგად დარჩენილი წრიული ხაზები. ხერელი ჭურჭელზე გამოწვის შემდეგაა გაკეთებული.

კედლის ფრაგმენტები, სულ 368 ნატეხია. ყველა მათგანი სწორია და წარმოადგენს ქილისებური ჭურჭლის ნაწილებს. დიდი ნაწილი (356 ფრ.) უორნამენტოა, 12 — ორნამენტირებულია. რამდენიმე ნატეხს აქვს პაწაწინა კოპი.

ორნამენტი ძირითადად „წიწვისა“ და „თავთავისებური“ სახეებითაა წარმოდგენილი (ტაბ. XXXV, სურ. 4, 6, 10). იგი ჭურჭელზე უმეტესად ვერტიკალურად — მწკრივის სახითაა განლაგებული. შედარებით იშვიათად გვხვდება იგი ჰორიზონტალურად. წიწვიანი ორნამენტის გარდა არის ერთი შემთხვევა ღრმულებიანი სახეებისა, რომლებიც პატარა სწორკუთხა ფოსოებს წააგავს (ტაბ. XXXV, სურ. 5).

ოდიშის კერამიკა თავისი ძირითადი ნიშნებით დიდ სიახლოვეს იჩენს ანასეული II-ისა და გურიანთის კერამიკასთან.

გურიანთა. გურიანთის ნეოლითური ნასახლარი მდებარეობს გურიანთის თემის (მანარაძის რ-ნი) სოფ. ციხისფერდში, მდ. სკურდუმის მარჯვენა ნაპირზე აღმართულ ბორცვზე, რომლის სიმაღლე ზღვის დონიდან 25 მ-ია. მის სამხრეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით მიედინება მდ. სკურდუმი, აღმოსავლეთით და ჩრდილო-დასავლეთით კი ეკვრის ხევები, რომლებიც იკვებებიან ბორცვის ფერდებზე არსებული წყაროებით.

გურიანთის ნეოლითურ ნასახლარზე გათხრებისა და ზედაპირული მასალის შეგროვების შედეგად 1488 ერთეულია მოპოვებული. აქედან ქვის მასალა 1290 ერთეულს უდრის, კერამიკა კი 198 ერთეულია. კოლექციაში წარმოდგენილია როგორც იარაღები, ასევე მათი წარმოების ნარჩენები და კერამიკა.

იარაღების დასამზადებელ ძირითად მასალად კაჟი და რიყის ქვის სხვადასხვა ქანები იყო გამოყენებული. უმნიშვნელო რაოდენობით გამოიყენებოდა ობსიდიანი. კაჟი მასალის საერთო რაოდენობის 38%-ს შეადგენს, რიყის ქვა—3%-ს, ობსიდიანი კი 1%-ს.

დანიშნულებისა და მოყვანილობის მიხედვით გურიანთის მასალა შეიძლება დაიყოს შემდეგ ჯგუფებად:

კოლექციაში ერთი ხელუხლებელი კაჟის კაჭარია. იგი მთლიანად დაფარულია ბუნებრივი ქერქით. აქვს მოგრძო ფორმა და ოვალური განივკვეთი. მისი სიგრძე 5 სმ-ია, სიგანე — 2,5 სმ. არის აგრეთვე ორი გათლილი კაჟის კაჭარი, უხარისხობის გამო თავმინებებული. მათი დიამეტრი 5 სმ-ია.

ნუკლეუსები გურიანთის კოლექციაში ორი სახისაა: 1. კონუსის მოყვანილობის, ცალმხრივგამოყენებული ნუკლეუსები (ტაბ. XXXVII, სურ. 1), 2 ცალი. მათი ერთი მხარე დაფარულია ბუნებრივი ქერქით, მეორე კი გამოყენებულია და ეტყობა ლამელების ატკეცვის კვალი. სიგრძე 4—5 სმ-მდე მერყეობს, სიგანე კი 2,5—3 სმ-მდე.

2. პრიზმის მოყვანილობის ნუკლეუსი შუაზეა გაპოხილი. მისი ცალი მხარე ბრტყელია, მეორეზე კი ლამელებია ატკეცილი. ლამელები ორი საწინააღმდეგო სიბრტყიდან ყოფილა ატკეცილი. სიგრძე 3 სმ-ია, სიგანე კი 2 სმ.

კოლექციაში არის ნუკლეუსის ნატეხები (7 ცალი) და ნალევები (2 ცალი). მათ მიხედვით ჭირს ნუკლეუსის თავდაპირველი ფორმის დადგენა. ნალევების სიგრძე 2—3 სმ-მდეა, სიგანე კი — 1—1,5 სმ-მდე.

ანატკეცები კოლექციაში ცოტაა. სულ 59 ცალია. აქედან 20 კაჭარისკანიანი ანატკეცია. ისინი მიღებულია კაჭრის ნუკლეუსებად მომზადებისას, მისი თავისა და გვერდის ნაწილების მოშორების შედეგად. სიგრძე 2—7 სმ-მდეა, სიგანე კი 2—5 სმ-მდე.

26 ანატკეცი ნუკლეუსებიდანაა ატკეცილი. მათ შორის 6 ანატკეცს გვერდის სხვადასხვა ადგილას აქვს ნაწილობრივი რეტუში. სიგრძე 1—5 სმ-მდეა, სიგანე კი 1—3 სმ-მდე.

კოლექციაში გვხვდება ნუკლეუსების „განახლებისას“ მიღებული 3 განივი და 10 სიგრძივი ანატკეცი. მათგან მხოლოდ ერთია ობსიდიანის, დანარჩენი კაჟისაა. განივი ანატკეცების სიგრძე 3—4 სმ-მდეა, სიგანე 1—3 სმ-მდე. სიგრძივი ანატკეცების სიგრძე 2—8 სმ-მდეა, სიგანე 1—3 სმ-მდე.

ანამტკრევეები გაცილებით მეტია ანატკეცებზე. სულ 302 ცალია. ისინი ქვის მასალის საერთო რაოდენობის 23%-ს შეადგენენ. აქედან 74 ანამტკრევეს ეტყობა ცეცხლში ყოფნის კვალი. ანამტკრევეები ჭარბობს მცირე ზომისანი, სულ 178 ცალია. მათი სიგრძე 1—2 სმ-მდეა. შედარებით ნაკლებია საშუალო ზომის ანამტკრევეები. სულ 50 ცალია. მათი სიგრძე 3—5 სმ-მდე მერყეობს.

ლამელები. კოლექციაში სხვადასხვა სახის 81 ლამელაა. ისინი ქვის მასალის საერთო რაოდენობის 6%-ს შეადგენენ. ყველა ლამელა კაჟისაა. მხოლოდ 4 ცალია ობსიდიანის. 34 ლამელა თავბოლოგადატეხილია, 24 ლამელის განივი ნატეხია, 12 ლამელის თავია, 3 თავგადაამტკრეულია, ხოლო 2 მთელია. მათი სიგრძე 1—3,5 სმ-მდეა, სიგანე კი 0,8—1,8 სმ-მდე. თითქმის ყველა ლამელას ეტყობა გამოყენების კვალი.

რეტუშირებული ლამელები 7 ცალია. ისინი ლამელების საერთო რაოდენობის 8%-ს შეადგენენ. მათგან 1 ლამელა თავსწორრეტუშიანია, ერთს

აქვს საწინააღმდეგო სიბრტყეზე მდებარე რეტუში, ორი გვერდამოღარულია. 3 ლამელას კი გვერდზე აქვს ნაწილობრივი რეტუში.

საფხეკები (ტაბ. XXXVII, სურ. 2—7) 8 ცალია. ოდიშის, კისტრიკის და ანასეული II-ის საფხეკების მსგავსად გურიანთის საფხეკები დამზადებულია უხეში ანატეცის ბოლოზე, რომლებსაც სამუშაო პირი არა აქვთ საგულდაგულოდ გაფორმებული. კომპლექსში გვაქვს შემდეგი საფხეკები:

1. მიკროლითური საფხეკები, დამზადებული ანატეცის ბოლოზე. 2 ცალია. მათგან ერთს აქვს ოვალური სამუშაო პირი, მეორეს კი სწორი. მათი სიგრძე 1—2 სმ-მდეა, სიგანე კი 2 სმ.

2. ფრჩხილისებური მოყვანილობის სამუშაოპირიანი საფხეკი. დამზადებულია ლამელის ბოლოზე. სიგრძე 3 სმ-ია, სიგანე — 1,8 სმ.

3. მაღალი ფორმის საფხეკები, დამზადებული უხეში ანატეცის ბოლოზე. სიგრძე 3 სმ-ია, სიგანე — 2,5 სმ.

4. ნუკლეუს-საფხეკი, პატინირებულია. სიგრძე — 5 სმ-ია, სიგანე — 5 სმ.

5. საფხეკ-სახოკი. დამზადებულია უხეში მასიური ანატეცის ბოლოზე. სამუშაო პირი ოვალურია. მას ნაწილობრივ შერჩენილი აქვს კაჭრის კანი. სიგრძე 5 სმ-ია, სიგანე — 4 სმ.

6. საფხეკისებური იარაღები გორების კვალით. დამზადებულია არაწესიერი ანატეცების ბოლოზე; 2 ცალია. სიგრძე 3 სმ-ია, სიგანე 2,5 სმ. მასალებში არის საფხეკების ნამზადებიც (5 ცალი).

საჭრისები (ტაბ. XXXVII, სურ. 8—11). სულ 9 ცალია, რაც ქვის მასალის საერთო რაოდენობის 0,7%-ს უდრის. ისინი დამზადებულია ორ ან სამფერდა ლამელაზე. ყველა მათგანი თავგადამტვრეულია. მათში გამოიყოფა შემდეგი სახის საჭრისები:

1. მარტივი ცალმხრივი სწორი საჭრისები, 3 ცალია, სიგრძე 2,5—4,5 სმ-მდეა, სიგანე — 1—1,4 სმ-მდე.

2. მარტივი ცალმხრივი ხიწვიანი საჭრისები, 2 ცალია. სიგრძე 3—4 სმ-მდეა, სიგანე — 0,5—1,8 სმ-მდე.

3. მარტივი ცალმხრივი ირიბი საჭრისი, სიგრძე 2,6 სმ-ია, სიგანე — 1,3 სმ.

4. მარტივი ორმხრივი ხიწვიანი საჭრისები, 2 ცალია. სიგრძე 2,5 სმ-ია, სიგანე — 1 სმ.

5. მარტივი ორმხრივი, სწორი საჭრისი, სიგრძე 2 სმ-ია, სიგანე — 1 სმ.

სახვრეტები (ტაბ. XXXVII, სურ. 12—18), სულ 7 ცალია. ისინი ქვის მასალის საერთო რაოდენობის 0,5%-ს შეადგენენ. მათში ორი ჯგუფი გამოიყოფა:

1. წვეტანისებური სახვრეტ-ბურღები, ორივე გვერდრეტუშიანი, სულ 4 ცალია. სიგრძე 2—3 სმ-მდეა, სიგანე — 0,8—1,2 სმ-მდე.

2. ანატეცებზე ჩამოყალიბებული სახვრეტები. სულ 3 ცალია. ერთი მათგანი ნუკლეუსის განივ ანატეცზეა დამზადებული. სიგრძე 2,5—4,3 სმ-მდეა, სიგანე — 1—3 სმ-მდე.

წვეტანისებური სახვრეტ-ბურღები დიდ სერიებად გვხვდება ოდიშში, კისტრიკში, ნიყნაია შილოვკასა და ანასეულ II-ის კომპლექსებში.

კომბინირებული იარაღები კოლექციაში სულ 2 ცალია:

1. საჭრის-სახვრეტი. დამზადებული თხელ ლამელაზე. სიგრძე 3 სმ-ია, სიგანე — 1,6 სმ.

2. საფეკ-საპრისი. მიკროლითური. სიგრძე 2 სმ-ია, სიგანე — 1,2 სმ. გურიანთის მასალებში ერთადერთი დანაა ანასეული II-ის ტიპისა.

გეომეტრიულ მიკროლითებს კოლექციაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს (ტაბ. XXXVII, სურ. 20—24), სულ 10 ცალია. ისინი მასალის საერთო რაოდენობის 0,8%-ს შეადგენენ. აქ გვაქვს შემდეგი სახის გეომეტრიული მიკროლითები:

1. ორგვერდამუშავებული ტრაპეციები,
2. სამგვერდამუშავებული ტრაპეციები,
3. რკალდაბლაგვებული სეგმენტები,
4. მაღალი ზურგათილი სწორკუთხედი.

გურიანთის გეომეტრიული მიკროლითები იმეორებენ ოდიშისა და ანასეული II-ის გეომეტრიული მიკროლითების ფორმებს.

რიყის ქვის იარაღებს გურიანთის კოლექციაში ყველაზე თვალსაჩინო ადგილი უჭირავს. სულ 36 ცალია, რაც ქვის მასალის საერთო რაოდენობის 3%-ს შეადგენს. ამ მასალაში გამოიყოფა შემდეგი ჯგუფები:

ცულები. კომპლექსი ხასიათდება ორმხრივლესილი, ოვალურ განივკვეთიანი ცულებით, რომელთა შორის არის გვერდწახნაგოვანი და უწახნაგო ცულები. მათი ყუა ოდნავ ვიწროვდება და დამუშავებულია „წერტილიანი“ ტექნიკით. კოლექციაში სულ 5 მთელი და 2 დაზიანებული ცულის ნაწილია; რაც რიყის ქვის მასალის 20%-ს შეადგენს. მათში ვარჩევთ ორი სახის ცულებს:

1. ორმხრივლესილი გვერდწახნაგოვანი ცულები, (ტაბ. XXXVIII, სურ. 1—2) სულ 2 ცალია. სიგრძე 10—12 სმ-მდეა, სამუშაო პირის სიგანე 5 სმ-ია.
2. ორმხრივლესილი, უწახნაგო ცულები (ტაბ. XXXVIII, სურ. 3). სულ 3 ცალია. სიგრძე 12—15 სმ-მდეა, სამუშაო პირის სიგანე უდრის 5,5 სმ-ს.

კოლექციაში ერთი დაზიანებული ცულის პირის ნაწილია, მეორე კი გვერდწახნაგოვანი, ორმხრივლესილი ცულის შუა ნაწილი.

გურიანთის ცულები ზედმიწევნით იმეორებენ ოდიში-ანასეული II-ის ცულების ფორმებს.

სათლელ-სატეხები გურიანთის მასალებში ორი სახისაა:

1. ძირბრტყელი, ზურგამობურცული, ტრაპეციის განივკვეთის მქონე ოვალურ სამუშაოპირიანი სათლელ-სეტეხი (ტაბ. XXXIX, სურ. 3). სამუშაო პირი ნახეხი აქვს. სიგრძე 5 სმ-ია, სამუშაო პირის სიგანე — 4 სმ-ია.

2. ორმხრივამობურცული, ოვალურ განივკვეთიანი, ოვალურ სამუშაოპირიანი სათლელ-სატეხი (ტაბ. XXXIX, სურ. 4). მისი სამუშაო პირი ორივე მხრიდან გახეხილ-გაპრიალებულია. ბოლო კი დაჩეჩქვილი. სიგრძე 7 სმ-ია, სამუშაო პირის სიგანე — 3 სმ.

ორივე სახის სათლელი ცნობილია ოდიშიდან, კისტრიკიდან და ანასეული II-დან.

ჩაქუჩები (ტაბ. XXXIX, სურ. 5), სულ 4 ცალია, რაც ქვის მასალის საერთო რაოდენობის 17%-ს შეადგენს. ჩაქუჩებს აქვს მოგრძო ფორმა, მრგვალი განივკვეთი და გახეხილ-გაპრიალებული ზედაპირი. ერთერთ მათგანს, ხელში მოხერხებული დაკერის მიზნით, გვერდების ორივე მხარეს აქვს ორი ოვალური ფოსო თითებისათვის. სიგრძე 9—11,5 სმ-მდეა, სიგანე კი 4,5—5 სმ-მდე.

ამგვარივე ჩაქუჩები ცნობილია ოდიშის, კისტრიკის, ქვ. შილოვკისა და ანასეული II-ის კოლექციებიდან.

სახეხები სამი სხვადასხვა სახისაა:

1. მომრგვალო რიყის ქვები, რომლებსაც ძლიერი ხეხვის კვალი ეტყობათ (ტაბ. X, სურ. 4); 3 ცალია, რაც რიყის ქვის მასალის საერთო რაოდენობის 16%-ს შეადგენს, მათი დიამეტრი 5 სმ-ია.

2. ბრტყელი და მომრგვალო რიყის ქვები, ორივე გვერდნახეხი, სულ 3 ცალია. მათი დიამეტრი 7 სმ-ია.

3. ცალმხრივშეზნექილი, გრძელი რიყის ქვები (ტაბ. X, სურ. 5). შეზნექილ მხარეს ძლიერი ხეხვის კვალი ეტყობა. სულ 3 ცალია. სიგრძე 17—19 სმ-მდეა, სიგანე 6—7 სმ-მდე. სამივე დაზიანებულია.

ამგვარივე სახეხ-სასრესები მრავლადაა ოდიშში, კისტრიკში, ქვ. შილოვკაში, მამათსა და ანასეულ II-ში.

სანაყი გურიანთის კოლექციაში ერთადერთია. იგი წარმოადგენს დიდი ზომის, ბრტყელ ბუნებრივ ქვას, შუაში ღრმულით, რომელსაც კარგად ეტყობა გამოყენების კვალი, მსგავსი სანაყი ნაპოვნია ოდიშში, კისტრიკში და ანასეულ II-ში.

მაკროლითები სახნისისებური მოყვანილობისაა (ტაბ. X, სურ. 1). სულ 2 ცალია. მათგან ერთი მთელია, მისი სიგრძე 14 სმ-ია, სიგანე კი—7 სმ. მეორე იარაღის მხოლოდ სამუშაო პირია შემორჩენილი.

თოხისებური იარაღების დანიშნულება უნდა ჰქონოდა კომპლექსში არსებული გამოყენებისა და დამუშავების კვალის მქონე რიყის ქვის ანატეცებს (ტაბ. X, სურ. 2—3). სულ 5 ცალია, რაც რიყის ქვის მასალის 18%-ია. ორ მათგანს აქვს ოვალური სამუშაო პირი, სამს კი წვეტიანი, სიგრძე 8—12 სმ-მდეა, სიგანე — 6,5—9 სმ-მდე.

შურდულის ქვებად უნდა ყოფილიყო გამოყენებული მრგვალი რიყის ქვები. რასაც მოწმობს მათი დაჩეჩქვილი ზედაპირი და ამოტეხილი გვერდები, სულ 4 ცალია, რაც რიყის ქვის მასალის 17%-ს შეადგენს. მათი დიამეტრი 4,5 სმ-ია.

შურდულის ქვების სიჭარბე აღსანიშნავია ოდიშში, კისტრიკში, ქვ. შილოვკასა და ანასეულ II-ში.

მასალებში გვაქვს ცულისა და ბრტყელი სათლელის ნამზადი (ტაბ. XXXIX, სურ. 6).

გურიანთის კომპლექსის ქვის მასალა დიდ სიახლოვეს იჩენს ოდიშის, კისტრიკის, ანასეული II-ის ქვის ინვენტართან. გურიანთის მასალებში არა გვაქვს იარაღის არც ერთი სახე, დამახასიათებელი რომ არ იყოს აღნიშნული ძეგლებისათვის. ფორმები ხშირად იმდენად ზედმიწევნით მეორდება, რომ იქმნება შთაბეჭდილება მათი ერთ სახელოსნოში შექმნისა, გურიანთის მასალის მსგავსება იმდენად დიდია ოდიშის, კისტრიკისა და ანასეული II-ის კომპლექსებთან, რომ იგი ამ ძეგლების ჯგუფს უნდა მივაკუთვნოთ.

კერამიკა. გურიანთის კომპლექსში მრავლადაა თიხის ჭურჭლის სხვადასხვა ნაწილები. სულ 198 ფრაგმენტი, რაც მასალის საერთო რაოდენობის 15%-ს შეადგენს. აქედან 174 ფრაგმენტი ჭურჭლის კედლებისაა. მათგან 168 ნატეხი უორნამენტოა, რაც კერამიკული მასალის 85%-ია. ჭურჭლის კედლის 4 ფრაგმენტი კი ორნამენტირებულია. მათგან ორს აქვს „წიწვიანი“ თუ „თავთავიანი“ ორნამენტი, ორს კი ფოსფორიანი.

კოლექციაში თიხის ჭურჭლის პირის 11 ფრაგმენტია (ტაბ. XLI, სურ. 1—5). მათგან ხუთს სადა, სწორი პირი აქვს. აქედან მხოლოდ ერთ ნატეხს აქვს „წიწვისებური“ ორნამენტი. 4 ფრაგმენტს პირზე აქვს მრგვალი ფოსოები. ხოლო მათგან ერთი შემკულია „წიწვიანი“ სახეებით. 2 ნატეხს პირზე აქვს ირიბი ჭდეები.

კომპლექსში 15 სხვადასხვა ჭურჭლის ძირის ნაწილია. ძირები ძირითადად ორი სახისაა: 1. კედლებზე კუთხოვანი გადასვლით — 8 ფრაგმ. (ტაბ. XLI, სურ. 1, 11); 2. კედლებზე ქუსლიანი გადასვლით 6 ფრაგმ. (ტაბ. XLI, სურ. 8—9); ძირების დიამეტრი 20—30 სმ შორის მერყეობს, ყველა ძირი ბრტყელია. არის ერთი ოდნავ შეზნექილი ძირი (ტაბ. XLI, სურ. 9).

თიხის ჭურჭლის ფრაგმენტების სიმრავლის მიუხედავად ჭურჭლის აღდგენა არ ხერხდება. თუმცა ცალკეული ნაწილების მიხედვით მაინც შესაძლებელი ხდება მათი ფორმის მიახლოებით აღდგენა. გურიანთისათვის დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო ქილისებური მოყვანილობის, ბრტყელიძირა, პირგადაუშლელი, უყურო ჭურჭელი, რომლის კეცი სუსტად, არათანაბრად იყო ამომწვარი და დიდი რაოდენობით შეიცავდა კირის, კვარცისა და ქარსის მინარევებს. ზოგიერთი ჭურჭლის პირი შემკული იყო ღრმულებითა და ირიბი ჭდეებით, კედლები კი „წიწვისებური“ თუ „ვათავისებური“ ორნამენტით და ფოსოებით.

გურიანთის კერამიკა იმეორებს ოდიშისა და ანასეული II-ის თიხის ჭურჭლის დამახასიათებელ ნიშნებს — დამზადების წესს, ფორმას და ორნამენტს.

კისტრიკი. კისტრიკის ნეოლითური სადგომი მდებარეობს ქ. გუდაუთაში ღელე კისტრიკის მარჯვენა ნაპირზე, მის შესართავთან შავ ზღვაში.

1958—60 წწ. საქართველოს შავი ზღვისპირეთის ქვის ხანის შემსწავლელ არქეოლოგიურ ექსპედიციაში მუშაობისას ჩვენ შეგვირბთ კისტრიკში საკმაოდ მოზრდილი ნეოლითური კოლექცია, მაგრამ მიუხედავად მისი სიდიდისა, იგი არ იძლევა თვისობრივად განსხვავებულ მასალას და ძირითადად წარმოადგენს ა. ლუკინის კოლექციის განმეორებას. იმის გამო, რომ კისტრიკის ძირითადი კომპლექსი ფაქტუალურად გამოქვეყნებულია³², მისი დაწვრილებითი აღწერა მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია. დავახასიათებთ მხოლოდ ზოგადად³³ (ტაბ. XII, ტაბ. XIII).

კისტრიკის ნეოლითური კოლექცია დასავლეთ ამიერკავკასიის ერთ-ერთი ყველაზე დიდი კომპლექსია. მარტო ა. ლუკინის მიერ 1950 წლისათვის უკვე შეკრებილი იყო 13500 ერთეული. აქ არ იგულისხმება 1941 წლის ექსპედიციისა და უკანასკნელ წლებში მოპოვებული მასალები.

კომპლექსი დიდი რაოდენობით შეიცავს კაყის, ოხსიდიანისა და რიყის ქვის სხვადასხვა ქანებისაგან დამზადებულ იარაღ-ხელსაწყოებს და მათი წარმოების ნარჩენებს, სადგომზე მოპოვებულია აგრეთვე კერამიკა.

კაყისა და ოხსიდიანის მასალის განხილვისას პირველ რიგში ყურადღებას იქცევს იარაღის დამუშავების მიკროლითური ტექნიკა. დიდი რაოდენობითაა აგომეტრიული ფორმის მიკროლითები. ისინი წარმოდგენილია ორგვერდდამუშავებული სიმეტრიული და ასიმეტრიული ტრაპეციებით, რკალ-

32 А. Л. Лукин, Неолитическое селище Кистрик близ Гудаут, СА, т. XII, 1950, стр. 247—288.

33 იმის გამო, რომ კისტრიკის კოლექცია გამოქვეყნებულია, ტაბულებზე ვათავსებთ მხოლოდ ჩვენს მიერ კრისტრიკში შეკრებილ, გამოუქვეყნებელ მასალას.

დაბლაგვებული სეგმენტებითა და მაღალი ზურგათლილი ტრაპეციებით, რომელთა ფორმა ზოგჯერ განიერ ოთხკუთხედს უახლოვდება. აღსანიშნავია, რომ გეომეტრიული მიკროლითების უმრავლესობა ორმხრივდამუშავებულია. კისტრიკის კაჟის იარაღებიდან პირველ რიგში აღსანიშნავია ანატკეცზე ჩამოყალიბებული ოვალურ სამუშაობრიანი, მომრგვალო და მიკროლითური საფხეკები, ლამელების გვერდებზე ჩამოყალიბებული ცალმხრივი და ორმხრივი საჭრისების მთელი რიგი ჭკუფები და ქვეჭკუფები, რომლებიც ძირითადად იმეორებენ ოდიშისა და ანასეული II-ის ფორმებს. ბევრია აგრეთვე ლამელებზე და ანატკეცებზე ჩამოყალიბებული ბურღ-სახერეტები, მრავლადაა დანისებური ლამელები, რომელთა შორის ვხვდებით გვერდრეტუმიან, გვერდამოღარულ, თავსწორრეტუმიან, თავიობრეტუმიან და ურეტუშო ლამელებს, რომელთა დიდ ნაწილს ეტყობა გამოყენების კვალი.

საგანგებოდ გვინდა აღვნიშნოთ ისრისპირი³⁴, რომელიც ჩვენს მიერ იყო ნაპოვნი ა. ლუკინის გამოუქვეყნებელ კოლექციაში. ისრისპირი დამზადებულია კაჟის ანატკეცისაგან, აქვს რომბისებური ფორმა, ორმხრივდამუშავებულია, ყუნწი არაა მკაფიოდ გამოყვანილი (ტაბ. XII, სურ. 45).

წარმოების ნარჩენები წარმოდგენილია კონუსისებური და პრიზმისებური ნუკლეუსებით. ბევრია კაჟის კაჭრები და სხვადასხვა ზომისა და ფორმის ანატკეც-ანატეხები.

კისტრიკის კოლექციის წამყვანი და მნიშვნელოვანი ნაწილია რიყის ქვის სხვადასხვა ქანებისაგან გახეხვა-გაპრიალებისა და ორმხრივი ათლით, ე. წ. მაკროლითური ტექნიკით, დამზადებული იარაღები. მათგან აღსანიშნავია გახეხილ-გაპრიალებული ცულები, რომლებიც წარმოდგენილია ორმხრივამობურ-ცული, ბრტყელი, წიბოიანი, უწიბოო, გრძელი და მოკლე ფორმებით. მათ უმრავლესობას სამუშაო პირი გახეხილ-გაპრიალებული აქვს, ყუა კი ხშირად „წერტილოვანი“ ტექნიკითაა დამუშავებული. კოლექციაში ბევრია აგრეთვე სხვადასხვა ფორმისა და ზომის სატეხ-სათლელები, რომლებსაც ხშირად მომრგვალო ან ტრაპეციის მოყვანილობის განივკვეთი აქვს, მრავლადაა საწაფები, ხელჩაქეჩები. ხელსაფქვავის ფრაგმენტები, სახეხები, შურდულის ქეები. ყველა მათგანს ეტყობა გამოყენების კვალი.

კოლექციისათვის დამახასიათებელია ორმხრივი ათლით დამზადებული იარაღები, რომელთა შორის არის როგორც წერაქვისებური და თოხისებური იარაღები, ასევე სხვადასხვა იარაღების ნამზადებიც.

კომპლექსში არის აგრეთვე გაურკვეველი დანიშნულების ბუნებრივი რიყის ქვები, რომლებსაც ეტყობა დარტყმების, ხეხვისა თუ სხვა სახის გამოყენების კვალი. ბევრია აგრეთვე დაზიანებული იარაღების ნაწილები, რომელთა თავდაპირველი ფორმის გარკვევა ჭირს.

კისტრიკის კერამიკა ფრაგმენტების სახითაა წარმოდგენილი, მათი აღდგენა არ ხერხდება. ცალკეული ნაწილები მოწმობენ, რომ ჭურჭელი ხელით ნაქერწი, ბრტყელიძირა, უყურო და ქილისებური ფორმისა უნდა ყოფილიყო, რომლებსაც უმეტესად ვერტიკალური კედლები ჰქონდა, იშვიათად კი ოდნავ გადახრილი. კეცი სუსტად და არათანაბრადაა გამომწვარი, ხოლო ცომში არის სილის მინარევები. ორნამენტი და ჭურჭლის პირის დაჭდევა ამ კერამიკას არ ახასიათებდა. ჭურჭლის ზომები მეტად განსხვავებულია. ძირის დიამეტრი მერყეობს 5—17 სმ-მდე.

³⁴ ისრისპირის ვაჭვეყნებთ კისტრიკში ჩვენს მიერ მოპოვებულ მასალებთან ერთად.

აღსანიშნავია ოთხკუთხა ჭურჭლის ბრტყელი ძირის ნაწილი ვერტიკალურ
რი კედლით. ამ ფრაგმენტს ა. ლუკინი კისტრიკის უძველეს ფენას³⁵ აკუთვ-
ნებს. ამგვარივე ჭურჭლის ძირები ცნობილია ანასეული II-დან.

მამათი. მამათის ნეოლითური სადგომი მდებარეობს ლანჩხუთის რა-
იონში, ს. მამათის ბოლოს, კახას უბანში, მდ. სუფსას პირველ მარჯვენა ტე-
რასაზე.

ნეოლითურ კომპლექსებს შორის მამათის კოლექცია ყველაზე მცირე-
რიცხოვანია (230 ერთეული). იგი წარმოდგენილია ქვის მასალით (63 ერთ.)
და კერამიკით (167 ერთ.).

წარმოების ნარჩენებიდან კოლექციაში გვაქვს კაყის ორი მომრგვალო კა-
ჭარი და კაყის ანატაკეც-ანამტერევეები (45 ცალი). ზოგიერთ ანამტერევეს ცაცხ-
ლის კვალი ატყვია.

კოლექციაში კაყის სულ რამდენიმე იარაღია (ტაბ. X—V, სურ. 3—5.7):

1. ოვალურ სამუშაოპირიანი საფხეკი, დამზადებული მოკლე, განიერ
ანატაკეცის ბოლოზე. სიგრძე 3 სმ-ია, სიგანე 3,5 სმ.

2. სახვრეტები (2 ცალი). ერთი მათგანი ჩამოყალიბებულია მოკლე ანატ-
კეცის ბოლოზე, მეორე კი გრძელ ლამელისებურ ანატაკეცზე.

3. ტრაპეცია — ორგვერდდამუშავებულია.

4. მაღალი, ზურგათილი სწორკუთხედი.

რიყის ქვის იარაღებიდან სადგომზე ნაპოვნია: ორმხრივლესილი ცულის
სამუშაო პირი. იარაღი კარგად ყოფილა გახეხილ-გაპრიალებული. მისი სიგა-
ნე 9 სმ-ია; გახეხილ-გაპრიალებული ცულის ნაწილი. მისი განივკვეთი ოვა-
ლურია. სიგრძე 9 სმ, სიგანე 6 სმ. იარაღი დაზიანების შემდეგ ჩაქუჩად გა-
მოუყენებიათ, რასაც მოწობს მასზე არსებული გამოყენების კვალი (ტაბ.
XIV, სურ. სურ. 1—2). კოლექციაში გვაქვს აგრეთვე ორი მომრგვალო შურ-
დულის ქვა, ორი სახეხ-სასრესი და ოთხი სალესი.

მამათის კოლექციაში 167 თიხის ჭურჭლის ფრაგმენტია. მათი აღდგენა
არ ხერხდება. ცალკეული ნაწილებიდან ჩანს, რომ ისინი ეკუთვნოდნენ ქილი-
სებური ფორმის, ბრტყელძირა, პირგადაუშლელ და უყურო. ხელით ნაძერწ
ჭურჭლებს, კოლექციაში არის კედლის ერთი ფრაგმენტი შემკული ოთხკუთხა
ფოსოებით (ტაბ. XIV, სურ. 6). ჭურჭლები დამზადებული ყოფილა უხეში
თიხისაგან. კეცი შუაში შავია, გარედან კი მოვარდისფრო-მონაცრისფრო. იგი
ოდიშის, გურიანთისა და ანასეული II-ის მსგავსად შეიცავს კირის, კვარცისა
და ქარსის მინარევებს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ კირი აქ უფრო ქარ-
ბადაა შერეული, კეცი სუსტად და არათანაბრადაა გამოძწვარი. კერამიკის
ფრაგმენტებს შორის არის ცხრა სხვადასხვა ჭურჭლის ძირი და მათი ნაწილები.
სამი ძირი მთელია. მათი დიამეტრი 4—11 სმ შორის მერყეობს. მამათში ნა-
პოვნი ჭურჭლის ძირები ოდიშის, გურიანთისა და ანასეული II-ის მსგავსად
ხასიათდება როგორც კუთხოვანი, ასევე ქუსლიანი გადასვლით კედლებზე
(ტაბ. XIV, სურ. 8—10).

მიუხედავად იმისა, რომ მამათის კოლექცია ჯერჯერობით მცირერიცხო-
ვანია, მასალის მოყვანილი დახასიათებიდან ჩანს, რომ ქვის იარაღები და
კერამიკა ახლოსაა ოდიშის, გურიანთისა და ანასეული II-ის კომპლექსებთან.

ნიქნაია შილოვკა პირველი ნეოლითური ძეგლია კავკასიაში, სადაც
ნაპოვნი იყო უძრავი კულტურული ფენა, ამის გამო მას დიდი მნიშვნელობა

35 А. Л. Лукин, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 281.

აქვს კავკასიის ნეოლითური კულტურის შესწავლაში. ნიუნაია შილოვკის კომპლექსი არაერთხელაა გამოქვეყნებული³⁶, ამიტომ ჩვენ აქ ვკმაყოფილებით მხოლოდ მისი მოკლე დახასიათებით, ხოლო ძეგლის ხასიათს და თავისებურებას შევეხებით II და III თავში.

ნიუნაია შილოვკა მდებარეობს ადღერის სამხრეთ-აღმოსავლეთით, მისგან 10 კმ-ის მანძილზე, მდ. ფსოუს მარჯვენა ნაპირზე.

ნიუნაია შილოვკის იარაღები ძირითადად დამზადებულია კაჟისა და ვაკაჟე-ბული ქვიშაქვისაგან, მცირე რაოდენობითაა გამოყენებული ობსიდიანი და რიყის ქვა. სადგომზე ნაპოვნი იყო თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები.

კაჟის ნაწარმიდან პირველ რიგში აღსანიშნავია გეომეტრიული მიკროლითების სერია: 171 ტრაპეცია და 31 სეგმენტი. ტრაპეციებს შორის არის მაღალი, ზურგათლილი ტრაპეციები. გეომეტრიულ მიკროლითებზე შეიმჩნევა ორმხრივი დამუშავება. შილოვკის სადგომზე დიდი რაოდენობითაა ნაპოვნი სწორწახნაგა ლამელებისაგან დამზადებული სხვა მიკროლითური ნაწარმიც. საკმაოდ მრავლადაა სახვრეტ-ბურღები (51 ცალი), რომელთა წვერი დამრეცი, ხშირად კი მოპირდაპირე სიბრტყეზე მდებარე რეტუშითაა გაფორმებული. არის აგრეთვე ანატკეცის ბოლოზე ჩამოყალიბებული ოვალურ სამუშაოპირიანი საფხეკები, მიკროსაფხეკები, ლამელებზე დამზადებული სხვადასხვა ფორმის საჭრისები, გვერდამოღარული და თავიარიბრეტუშირებული ლამელები. ცალკე ჯგუფად გამოიყოფიან ლამელები, რომლებსაც ატკეცვის ბურცობის მანქანობად ორივე გვერდი რეტუშით აქვთ ამოღარული და ლამელის თავი საგანგებოდაა გამოყვანილი.

კოლექციაში მრავლადაა ორმხრივი ათლით დამზადებული მაკროლითები (22 ცალი). მათი ერთი ნაწილი დამოუკიდებელი იარაღები უნდა ყოფილიყო, მეორე კი „ცულების“ ნაშადები. კომპლექსში გვხვდება გახეხილ-გაპარალელებული ცალები (8 ცალი). ზოგიერთ მათგანს აქვს ოვალური განივკვეთი და თხელი სამუშაო პირი, ზოგიერთს კი მომრგვალო განივკვეთი და წვეტიანი სამუშაო პირი. მრავლადაა ნაპოვნი შურღულის ქვები.

ნიუნაია შილოვკის კერამიკა ფრაგმენტებითაა წარმოდგენილი. ჩანს, რომ ჭურჭელი უნდა ყოფილიყო ხელით ნაქერწი, ქილისებური მოყვანილობის, უყურო, ბრტყელიძირა და პირგადაუშლელი, რომელსაც არ ახასიათებდა ორნამენტი და ჭურჭლის პირის დაჭდევა. თიხა შეიცავს კვარცის მინარევებს.

ნიუნაია შილოვკის ნეოლითური ძეგლი თავისი ძირითადი დამახასიათებელი ნიშნებით დიდ სიახლოვეს იჩენს ოდიშის, კისტრიკისა და ანასეული II-ის კომპლექსებთან.

კინტრიშის ნამოსახლარები. მდ. კინტრიშის ნამოსახლარები მდებარეობს ს. ხუცუბანსა და ქ. ქობულეთში. კურორტ ქობულეთის სამხრეთ აღმოსავლეთით, მისგან 6 კმ-ის დაშორებით. ორივე სადგომი მდ. კინტრიშის მარჯვენა ტერასაზეა მოთავსებული. სადგომები უსახელო ხევითაა გათიშული. დღეს ის ტერიტორია, სადაც ნაშთებია ნაპოვნი, ორი სოფლის საზღვარზე მდებარეობს — ს. ხუცუბანისა და ს. ქობულეთის. ამიტომ მასალის ნაწილი ხუცუბანშია ნაპოვნი, ნაწილი კი ქობულეთში. იმის გამო, რომ ნაშთები სრუ-

³⁶ А. А. Формозов, А. Д. Столяр, Неолитические и энеолитические поселения в Краснодарском Крае, СА, т. 2, 1960, 103—107; А. А. Формозов, Неолит Крыма и Черноморского побережья Кавказа. МИА, № 102, 1962, М., стр. 89—149.

ლიად ერთგვაროვანია და ისინი ერთ ტერიტორიაზეა ნაპოვნი, მათ ერთად ვიხილავთ.

ხუცუბანსა და ქობულეთში მოპოვებული ნაშთები მხოლოდ კაყისა და ობსიდიანის მასალითაა წარმოდგენილი. ქვის სხვა ქანებისაგან ნაკეთები ნაშთები კინტრიშის ზემოხსენებულ პუნქტებში არ შეგვხვებოდა. ვნახეთ მხოლოდ რიყის ქვისაგან ნაკეთები ერთი საწაფისმაგვარი იარაღი, რომლის ორივე გვერდს ისე აშკარად ეტყობა ახალი დამუშავების კვალი, რომ მისი ქვის ხანისადმი მიკუთვნება, ვფიქრობთ, გაძნელებოდა.

ხუცუბნისა და ქობულეთის კომპლექსები ჯერჯერობით მეტად მცირერიცხოვანია. სულ დაახლოებით 1200 ერთეულია. ამასთანავე ეს კოლექციები არ ხასიათდებიან იარაღების მრავალსახეობით. აღნიშნულ მასალაში მხოლოდ ოთხი ტიპის იარაღთა ჯგუფი გამოიყოფა: საჭრისები, საფხეკები, სახვრეტები და დაკბილული იარაღები. იარაღებად უნდა ყოფილიყო გამოყენებული აგრეთვე ლამელების დიდი ნაწილი, განსაკუთრებით კი რეტუშიანი ლამელები.

კოლექციაში მრავლადაა წარმოების ნარჩენები — კაყისა და ობსიდიანის ანატაკე-ანატეხები, კაჭრისკანიანი ანატაკეები და ნაწილობრივ გათლილი კაჭრები. ბევრია ნუკლეუსის ნატეხები და შუაზე გაპობილი ნუკლეუსები, რომელთა თავდაპირველი ფორმის დადგენა ჭირს. არის ერთი ფანქრისებური ნუკლეუსიც.

კოლექციაში ყურადღებას იპყრობს საჭრისების (ტაბ. XVI, სურ. 1—17) სიმრავლე (50 ცალი). ისინი დამზადებულია ობსიდიანისა და კაყის თხელი მიკროლამელებისაგან. საჭრისებში ორი ძირითადი ჯგუფი გამოიყოფა: ცალმხრივი (30 ცალი) და ორმხრივი (20 ცალი) საჭრისები. თავის მხრივ ეს ჯგუფები კიდევ იყოფა ქვეჯგუფებად:

ცალმხრივი საჭრისები კოლექციაში წარმოდგენილია მარტივი თავგადამტვრეული და თავრეტუშიანი საჭრისებით:

1. მარტივი თავგადამტვრეული საჭრისებიდან მასალებში გვაქვს მხოლოდ სწორი საჭრისები, 24 ცალი. ყველა მათგანი ობსიდიანის თავგადამტვრეულ ლამელაზეა დამზადებული. მათი სიგრძე 2—5 სმ-მდეა. სიგანე კი 0,7—1,5 სმ შორის მერყეობს.

2. თავრეტუშიანი საჭრისები, 5 ცალი. მათი თავი სწორად ან ირიბადაა რეტუშირებული, ხოლო ერთ გვერდს ბოლომდე გასდევს სწორი სასაჭრისე ჩამონატეხი. სიგრძე 3—5 სმ-მდეა. სიგანე 0,5—1 სმ შორის მერყეობს.

3. ორმხრივი საჭრისები კოლექციაში ერთფეროვანია, რის გამოც მათ ცალკე ქვეჯგუფებად აღარ გამოვყოფთ. ორმხრივი საჭრისები წარმოდგენილია მხოლოდ მარტივი თავგადამტვრეული სწორი საჭრისებით, სულ 20 ცალია. მათი სიგრძე 2—5 სმ-მდეა, სიგანე კი 0,5—1 სმ შორის მერყეობს.

საფხეკები (ტაბ. XV, სურ 1—20). საჭრისების შემდეგ კოლექციაში ყველაზე მეტია საფხეკი, 25 ცალია. აქ ძირითადად ორი სახის საფხეკებია წარმოდგენილი.

1. მომრგვალო, ანატაკეების ბოლოზე ჩამოყალიბებული, ოვალურ-სამუშაოპირიანი საფხეკები, 20 ცალია. მათი დიამეტრი 2—4 სმ-მდე მერყეობს.

2. ლამელების ბოლოზე ჩამოყალიბებული საფხეკები ფრჩხლისებური მოყვანილობის სამუშაო პირით, 5 ცალია. ყველა მათგანი დაზიანებულია. სიგრძე 2 სმ-ია, სიგანე 1 სმ.

კოლექციაში არის ერთ მოგრძო ანატეცზე დამზადებული, ოვალურ-სამუშაობირიანი საფხეკი (ტაბ. XV, სურ. 5).

სახვრეტები (ტაბ. XI, სურ. 26, 29). ეს იარაღები ანასეული I-ის მსგავსად ამ კოლექციაშიც ცოტაა. სულ 3 ცალია. ორი მათგანი დამზადებულია ვიწრო დანისებურ ლამელაზე, ერთი კი — განიერ ლამელაზე. მათი სიგრძე 2—4 სმ-მდეა, სიგანე 1—2 სმ-მდე.

კოლექციისათვის დამახასიათებელია რეტუშიანი ლამელები (ტაბ. XI, სურ. 22—24, 27, 28, 31—35). აქ გვხვდება როგორც ცალგვერდრეტუშირებული, ასევე ორგვერდრეტუშირებული ლამელები. რეტუში ზოგს ზურგის მხრიდან აქვს გაკეთებული, ზოგს მუცლის მხრიდან. არის საწინააღმდეგო სიბრტყეზე მდებარე რეტუშის შემთხვევებიც. აღსანიშნავია აგრეთვე თავსწორ და თავიობრეტუშიანი ლამელები (ტაბ. XV, სურ. 30—33). იარაღებად უნდა ყოფილიყო აგრეთვე გამოყენებული ურეტუშო ლამელები, რასაც მოწმობს მათი დახვეწილი ფორმები, ბასრი ცვერდები და მასზე გამოყენების კვალი. ამ ლამელების უმრავლესობა მიკროლითურია. აღნიშნული ლამელების დიდი ნაწილი შესაძლოა დანების დანიშნულებას ასრულებდა, ხოლო თავრეტუშიან ლამელებს კი შესაძლოა საფხეკის ფუნქციაც ეკისრებოდა.

დაკბილული იარაღები კოლექციაში 4 ცალია (ტაბ. XI, სურ. 20, 25, 36). ყველა მათგანი ჩამოყალიბებულია დანისებურ ლამელაზე.

კინტრიშის კაეისა და ობსიდიანის იარაღები იმეორებენ ანასეული I-ის იარაღების ფორმებს.

დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითური კულტურის დახასიათება
და ქრონოლოგიის საკითხი

§ 1. ადრენეოლითური ძეგლები

შედარებითი ქრონოლოგიის საკითხების დადგენა მეტად მნიშვნელოვანია ამა თუ იმ არქეოლოგიური კულტურის შესწავლისათვის. მის გარეშე შეუძლებელია ლოკალური თავისებურების, გენეტიკური კავშირისა და ეთნოგენეზის საკითხების გარკვევა.

ნეოლითური კულტურის პერიოდიზაციის შესწავლა მთელ რიგ ქვეყნებში არ დგას სათანადო სიმაღლეზე. კავკასიის ნეოლითური ძეგლების პერიოდიზაციის საკითხები ჯერჯერობით არ ყოფილა სპეციალური კვლევის საგანი, უფრო მეტიც, თვით კულტურა არაა დახასიათებული, არაა გამოყოფილი ნეოლითური კულტურის განვითარების ძირითადი საფეხურები.

დასავლეთ ამიერკავკასიაში ჯერჯერობით არა გვაქვს არც ერთი ნეოლითური სტრატეფიცირებული ძეგლი, ამიტომ შედარებითი ქრონოლოგიის საკითხების გარკვევისას ძირითადად ვემყარებით კომპლექსების შემადგენელი იარაღებისა და კერამიკის ტიპოლოგიურ-შედარებით ანალიზსა და გამორიცხვის მეთოდს.

განვიხილოთ ანასეული I-ის კომპლექსში შემავალი იარაღები. მასალის აღწერიდან ჩანს, რომ ეს კომპლექსი დასავლეთ ამიერკავკასიის მეზოლითურ ძეგლებთან შედარებით უფრო მრავალფეროვანია და განვითარებული.

ანასეული I თვისობრივად ახალი ძეგლია. მასში ჩნდება რიგი ახალი ნიშნებისა, რომლებიც უცხოა მეზოლითისათვის; რიყის ქვის სხვადასხვა ქანების გამოყენება; იარაღების დამუშავების ახალი ხერხი — გახეხვა-გაპრიალება, იარაღების ძველი ფორმების დახვეწასთან ერთად იქმნება სრულიად ახალი სახეები; რიყის ქვის ცულები, სატეხ-სათლელები, ჩაქუჩები, თოხისმაგვარი იარაღი, ცულების სახეხ-საპრიალებელი. შემდგომ განვითარებას განიცდის იარაღების ბირველადი და მეორადი დამუშავება, უმჯობესდება ნუკლეუსებიდან ატკეცილი სწორწახნაგა ლამელების ხარისხი, რაც ატკეცვის ტექნიკის განვითარების შედეგია. უმჯობესდება წნეგითი რეტუში, იხვეწება გეომეტრიული მიკროლითები. იარაღების უმრავლესობა ლამელებზე მზადდება.

კოლექციაში დიდი ადგილი უჭირავს საფხეკებს. მათ შორის გვხვდება ზედაპალეოლითური და მეზოლითური ფორმები — ანატკეცების ბოლოზე ჩამოყალიბებული ოვალურ-სამუშაოპირიანი და მალალი ფორმის საფხეკები, უფრო დახვეწილი და საგულდაგულოდ შესრულებული რეტუშით. მათ დამუშავებაში არის ზოგიერთი სიახლე — ანასეულ I-ის მომრგვალო საფხეკებს ზურგი დაფარული აქვთ „მცოცავი“ რეტუშით, რაც არ შეიმჩნევა ზედაპალეო-

ლითურ და მეზოლითურ საფეხეებზე. ანასეული I-ში განსაკუთრებით მკაფიო-დაა წარმოდგენილი მიკროსაფხეეების სერია. დასავლეთ ამიერკავკასიის ზე-დაპალეოლითურ და მეზოლითურ ძეგლებს, აგრეთვე პალესტინის ნატუფიურ კომპლექსებს ამგვარი სერიები არ ახასიათებს. მიკროსაფხეეები ძალიან დამა-ხასიათებელია ყირიმის ძეგლების ადრენეოლითური ფენებისათვის — ტაშ-აირ I-ის მე-ნ ფენა¹, ზამილ-ყოზა I-ის ზედა ფენა², ტაშ-აირ III-ის მე-3 ფე-ნა³, ზამილ-ყოზა II-ის მე-ნ ფენა⁴. კომპლექსი ხასიათდება საჭრისების სიმრავ-ლით და ფორმების მრავალფეროვნებით, ისინი ჩამოყალიბებულია თხელ და ვიწრო დანისებურ ლამელაზე; დასავლეთ ამიერკავკასიისა და წინა აზიის ზე-დაპალეოლითურ და მეზოლითურ ძეგლებში კი საჭრისების უმრავლესობა ანა-ტეკეზეა დამზადებული — დევისხვრელი⁵, საკაეია⁷, გვარჯილას-კლდე⁸, ცივი მღვიმე (დას. ამიერკავკასია); ბელდები⁹, ბელბაზი¹⁰ (ანატოლიის ხმელთაშუა-ზღვის სანაპირო); კეზარა¹¹ (იორდანია); ნატუფიური სადგომები¹² (პალესტინა).

ანასეული I-ის გეომეტრიული მიკროლითები წარმოდგენილია ორგვერდ-დამუშავებული ტრაპეციებით, რომლებიც იმეორებენ მეზოლითისათვის დამა-ხასიათებელ ფორმებს. მსგავსი ტრაპეციები ცნობილია ცივი მღვიმედან¹³, ეძანიდან¹⁴, საგვარჯილეს მეზოლითური ფენიდან¹⁵, სელოსა და ჭერმუ-ხის¹⁶ სადგომებიდან. თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მეზოლითურისაგან განსხვავებით ანასეული I-ის ტრაპეციების ზომები მცირდება, ფორმები — უმ-ჯობესდება. ანასეულ I-ში გეომეტრიული მიკროლითების მცირე რაოდენო-ბით პოვნა მოწმობს, რომ მათ ჯერ არ ჰქონდათ ისეთი ფართო გამოყენება, როგორც ანასეულ II-ში.

¹ Д. А. Крайнов, Пещерная стоянка Таш-Аир I как основа для периодизации послепалеолитических культур Крыма, МИА, № 91, М., 1960.

² Д. А. Крайнов, Пещерная стоянка Замиль-Коза, Т. Труды ГИМ, вып. VIII, М., 1933.

³ მოსკოვის ისტორიული მუზეუმის ზამილ-ყოზა II-ისა და ტაშ-აირ III-ის კოლექციები.

⁴ იქვე.

⁵ გ. ნიორაძე, პალეოლითის ადამიანი დევისხვრელში: საქ. სახ. მუზეუმის შრომები, ტ. VI, თბილისი, 1933, გვ. 49.

⁷ გ. ნიორაძე, ქვისხანის ადამიანის საკაეიას გამოქვაბულში, 1958, თბ., გვ. 66—67, ნახ. 54—63.

⁸ დ. თუშაბრაშიშვილი, გვარჯილას-კლდის პალეოლითური ნაშთები, 1960, თბ., გვ. 65.

⁹ D. E. Y. Bostanci, Researches on the mediterranean coast of Anatolia. A. new palaeolithic site at Beldibi near Anatolia. *Anatolia*, V. IV, 1959, გვ. 148—157.

¹⁰ D. E. Y. Bostanci, A. new upper palaeolithic and mesolithic facies at Belbasi rock shelter on the mediterranean coast of Anatolia. *Türk Tarih Kurumi. Belleten*, cilt. XXVI, sayı, 102, 1962, გვ. 265—266.

¹¹ D. E. W. Kirkbrige, A. Kebaran rock steller in wadi Madamagh, near Petra, Jordan, *Man a monthly record of anthropological science* vol. IV, III, April, 1958, გვ. 55—58.

¹² D. Garrod and D. Bate. *The stone age of mount Carmel*. vol. I, Oxford, 1937, გვ. 31-

¹³ Л. Н. Соловьев, Об итогах археологических раскопок в гроте Хупыниппаха в 1960 году, Тр. Абхаз. ИЯЛИ, XXXII, Сухуми, 1961.

¹⁴ მ. გაბუნია, პალეოლითური ნაშთები ეძანის (ბარმაქსიხის) გამოქვაბულიდან, 1965, „მაცნე“, გვ. 154—163.

¹⁵ მადლობას მოვახსენებთ ისტ. მეცნ. კანდ. ნ. ბერქენიშვილს ამ მასალის ჩვენებისათვის.

¹⁶ აღ. კალანდაძე, 1951 წ. სამხრეთ ოსეთში ჩატარებული დაზვერვითი სამუშაოების შედეგები, თვისები მოხსენებისა წაკითხულია ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო სესიაზე, 1952, თბილისი.

ანასეული I-ის მსგავსი ტრაპეციები ცნობილია ყირიმის ადრენეოლითურ-რი ფენებიდან (ტაშ-აირ I-ის მე-6 ფენა, ტაშ-აირ III-ის მე-3 ფენა, ზამილ-ყოზა I-ის ზედა ფენა, ზამილ-ყოზა II-ის მე-6 ფენა, ალიმოვის ეხი), მაგრამ იმ განსხვავებით, რომ ყირიმის ძეგლების ტრაპეციების გვერდები დამუშავებულია ბრტყელი წნევითი რეტუშით, რომელიც ოდნავ მის ზურგზეც გადადის, ანასეულ I-ის მსგავსი ორგვერდდამუშავებული ტრაპეციები ცნობილია აგრეთვე ყუბანისპირეთის ადრენეოლითური ძეგლებიდან¹⁷.

მეზოლითური ტრადიციების გაგრძელებით უნდა აიხსნას სადგომზე რამდენიმე ბლაგვზურგა ლამელის პოვნა. იარაღების ეს ჯგუფი დამახასიათებელია დას. ამიერკავკასიის, ყირიმის, წინა აზიისა და ხმელთაშუაზღვეთის ზედაპალეოლითური და მეზოლითური ძეგლებისათვის (დევის-ხვრელი, საკაჟია, გვარჯილას-კლდე, ქვაჭარა¹⁸ და შან-ყოზა¹⁹; ფატმა-ყოზა²⁰, ბელღიბი, ბელზაზი, კებარა, კაფსიისა და ნატუფიური სადგომები). ანასეულ I-ში ამგვარი იარაღები თითო-ოროლალა გვხვდება, მათი მოყვანილობა უხეშდება, ზომები მატულობს.

ანასეული I-ის ცალფრთიანი ისრისპირი იმეორებს დასავლეთ ამიერკავკასიის ზედაპალეოლითური და მეზოლითური ძეგლებისათვის დამახასიათებელ ფორმას, თუმცა დამუშავების ხარისხით ჩამორჩება მას. მსგავსი ისრისპირები ცნობილია გვარჯილას-კლდიდან, აცის²¹ მღვიმის ზედაპალეოლითური ფენიდან, საგვარჯილეს მეზოლითური ფენიდან, წყალწითელას დამარხული²² მღვიმისა და ქვაჭარის მეზოლითური ფენებიდან. მათი ანალოგიური ე. წ. ზარხის²³ ტიპის ისრისპირები ცნობილია ერაყიდან.

ანასეულ I-ში რიყის ქვის გახეხილ-გაპრიალებული იარაღები გაცილებით უფრო ცოტაა, ვიდრე ანასეულ II-ში, ხოლო მათი ფორმები მეტად ერთფეროვანია. ცულებზე გვერდითი წახნაგები არ შეიმჩნევა, მაშინ როდესაც ანასეული II-ის ცულებზე უკვე გვაქვს გვერდითი წახნაგები; ამასთანავე ისინი გამოირჩევა ფორმების განვითარებითა და მრავალფეროვნებით.

ანასეულ I-ში ზოგი იარაღი (გეომეტრიული მიკროლითები, ცულები, სატეხ-სათლევები, დანები და სხვ.) ერთეულებითაა წარმოდგენილი, ხოლო ანასეულ II-ში იგივე იარაღები უკვე სერიებად გვხვდება.

ანასეული I-ის ცალკეული ელემენტების განხილვიდან ჩანს, რომ მათ ბევრი საერთო აქვთ დასავლეთ ამიერკავკასიის მეზოლითურ ძეგლებთან. ანასეული I-ის კაყის მასალის შედარება ცივი მღვიმის, ქვაჭარის, საგვარჯილეს, აცისა და დამარხული მღვიმის მეზოლითური ფენების მასალებთან ცხადყოფს ამ ძეგლების მჭიდრო კავშირს. ანასეული I-ის კოლექციაში გვხვდება იარაღების ზედაპალეოლითური და მეზოლითური ფორმები (ბლაგვზურგა ლამელები

¹⁷ В. П. Любин, Доклад на секции палеолита пленум ИИМК АН СССР, 1957.

¹⁸ ლ. წერეთელი, პალეოლითური სადგომი ქვაჭარა, საქ. მეცნ. აკად. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. VIII, 1963, გვ. 221—232.

¹⁹ С. Н. Библиков, Предварительный отчет о работе Крымской экспедиции, 1935, СА, I, 1936, стр. 195—212.

²⁰ С. Н. Библиков, Стоянка Фатма-Коба, Доклад на секции палеолита в 1957.

²¹ Д. А. Крайнов, Результаты раскопок Ашиской пещерной стоянки, Доклад на сессии в Баку, посвященной итогам археологических исследований [1964 года в СССР.

²² ბ. ბერძენიშვილი, ქვის ხანის ახალი ძეგლი წყალწითელას ხეობაში, თბ. 1964, ტბ. I.

²³ R. Solecki, Shanidar cave, a paleolithic site in northern Iraq.—Annual Report of the Board of regents of the Smithsonian Institution, Publ. 4190, Washington, 1955, გვ. 412

ორგვერდამუშავებული ტრაპეციები, თავ-ირიბრეტუშირებული ლამელები და სხვ.) და მეზოლითური ტექნიკის გადმონაშთები, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ანასეული I ინარჩუნებს დასავლეთ ამიერკავკასიის მეზოლითური კულტურის ტრადიციებს და გენეტიკურ კავშირშია მასთან. თუმცა, მიუხედავად არსებული სიახლოვისა, ამ ძეგლებს შორის არის დიდი განსხვავებაც, რაც განვითარების ახალი საფეხურის მომასწავებელია.

ის ფაქტი, რომ ანასეულ I-ში არ არის კერამიკული ნაწარმი, რაც ასე დამახასიათებელია დღემდე ცნობილი დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითური ძეგლებისათვის, მას მეტად თავისებურ ხასიათს აძლევს, იგი განცალკევებულად დგას ოდიში-ანასეული II-ის ტიპის ნეოლითური კომპლექსებიდან. ანალოგიური ძეგლი კავკასიაში ჯერჯერობით არ მოგვეპოვება; ანასეული I-ს ზუსტი ანალოგები არ მოეპოვება აგრეთვე არც წინა აზიისა და ყირიმის ადრენეოლითურ ძეგლებში. იერიქონის, ჯარმოს, იაფასა და წინა აზიის სხვა ძეგლების ადრენეოლითური ფენების რიყის ქვის იარაღები როგორც ფორმით, ასევე დამუშავების ტექნიკით განსხვავდებიან ანასეული I-გან. სურ-ბახერს, ტელ-ენ-ნახბეს და ქ. კაიაფის²⁴ სადგომებს ახასიათებთ კაყის სამკუთხა ან წაგრძელებულ-ოვალური, მკირე ზომის ცულები თუ სატეხები, რომლებიც ორგვერდამუშავებულია სწორი და თხელი ანატეციებით, სამუშაო პირი კი მიღებულია ათლით და არა გახეხვა-გაპრიალებით.

ანასეული I მთლიანად განსხვავდება აგრეთვე სსრ კავშირის ევროპული ნაწილის სამხრეთის, სურსკო-დნებრის კულტურის ადრენეოლითური კომპლექსებისაგან²⁵.

ანასეული I-ის დამატარიღებელ ნიშნებად გვევლინება: რიყის ქვის გახეხილ-ვაპრიალებული იარაღების გაჩენა, ლამელების ატკეცვის ტექნიკისა და იარაღების მეორადი დამუშავების გაუმჯობესება, წნევითი რეტუმის განვითარება, იარაღების უმრავლესობის ლამელებზე ჩამოყალიბება, მეზოლითური იარაღების ფორმებისა და დამუშავების ტექნიკის გადმონაშთები. დათარიღებისას მეტად ანგარიშგასაწევია კოლექციაში კერამიკის, ზურგათილი სწორკუთხედების, სამგვერდამუშავებული ტრაპეციების, ბლაგვზურგა სეგმენტებისა და მიკროლითების ორმხრივი დამუშავების არარსებობა, რაც ფართოდაა დამახასიათებელი ანასეული II-სათვის (გვიანი ნეოლითი).

კომპლექსში შემავალი ელემენტების ტიპოლოგიურ-შედარებითი შესწავლისა და გამორიცხვის მეთოდის საშუალებით ირკვევა, რომ ამ კომპლექსის სახით საქმე გვაქვს კავკასიაში დღემდე უცნობ, მეზოლითური ტრადიციების მქონე, ადრენეოლითის ხანის ძეგლთან.

დასავლეთ ამიერკავკასიაში დღესდღეობით ცნობილი ნეოლითური კომპლექსების მრავალმხრივი შესწავლის საფუძველზე აშკარა ხდება, რომ ანასეული I-ის²⁶ ადრენეოლითური სადგომი, მთელი რიგი ზემოჩამოთვლილი ნიშნებით ქრონოლოგიურად წინ უსწრებს ანასეულ II-ს და მის სინქრონულ ძეგლებს (ოდიში, კისტრიკი, ნიქნაია შილოვკა, გურიანთა, მამათი).

24 П. П. Ефименко, К вопросу о стадиях каменного века в Палестине. Ежегодник русского антропологического общества, 1915, т. V, стр. 74.

25 В. Н. Даниленко, До питания про ранний неолит, «Археология», т. III, К., 1950.

26 ლ. ნე ბი ე რ ი ძ ე, ადრენეოლითური ხანის ნაშთები ანასეულიდან, საქ. მეცნ. აკად. ისტორიის ინტიტუტის შრომები, ტ. VII, 1963, გვ. 151—160.

ქრონოლოგიურად ანასეულ I-თან ხლოს დგას მდ. კინტრიშის სადგომები — ხუცუბანი და ქობულეთი²⁷. ამ ძეგლების მასალა წარმოადგენს ანასეული I-ის განმეორებას. ეს კომპლექსები შემდეგი ნიშნებით უკავშირდება ერთმანეთს: იარაღების ძირითადი ტიპების მსგავსება, მათი დამუშავების ერთნაირი ტექნიკა, იარაღების დასამზადებელ მასალად უპირატესად ობსიდიანის გამოყენება და კერამიკის არარსებობა.

განსხვავება ამ ძეგლებისა იმაში მდგომარეობს, რომ კინტრიშის სადგომებზე არ არის რიყის ქვის გახეხილ-გაპრიალებული იარაღები და გეომეტრიული მიკროლითები. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ თვით ანასეულ I-ში, რომელიც დაახლოებით ოთხჯერ უფრო დიდია ხუცუბანისა და ქობულეთის კოლექციებზე, რიყის ქვის იარაღები ძალიან ცოტაა. ანასეული I-ის მასალის საერთო რაოდენობა 4020 ერთეულს უდრის, აქედან რიყის ქვისაა მხოლოდ 59 იარაღი, რაც საერთო მასალის 1%-ს შეადგენს. ანასეული I-ის მასალის შეფარდების გათვალისწინების შედეგად გასაგები უნდა გახდეს ამ ელემენტების არარსებობის მიზეზი კინტრიშის ნამოსახლარებზე. ამასთანავე უნდა აღვნიშნოთ, რომ ნეოლითის ადრეულ საფეხურზე მანამდე უცნობი იარაღების გაჩენა ქვის დამუშავების ტექნიკის სიახლეა. ყოველი სიახლე კი მოითხოვს შრომის ჩვევების გამომუშავებასა და ხელოვნებას. ამის გამო ნეოლითის ადრეულ საფეხურზე მათი დამზადება საკმაოდ შრომატევადი პროცესი უნდა ყოფილიყო, რის გამოც ამ იარაღების რაოდენობა მცირეა, ამასთანავე მათ უფრო ხილდებოდნენ და ადვილად არ ელეოდნენ. ამის გამო მოსალოდნელია, რომ რიგ ადრენეოლითურ ძეგლებში არ იყოს ქვის გახეხილ-გაპრიალებული იარაღები; ხოლო კომპლექსის დანარჩენი კომპონენტები ტიპიური ადრენეოლითური იყოს. გამორიცხული არ არის, რომ კინტრიშის სადგომებზე ამგვარ მდგომარეობასთან გვეკონდეს საქმე. მით უმეტეს, რომ ამის არაერთი მაგალითია ცნობილი არქეოლოგიურ ლიტერატურაში. მაგალითად, ყირიმის ადრენეოლითურ ძეგლებში ქვის გახეხილ-გაპრიალებული იარაღები ან თითქმის არაა (ტაშ-აირ I), ან ძალიან იშვიათია. ქვის გახეხილ-გაპრიალებული იარაღები არაა აგრეთვე პალესტინის ადრენეოლითურ კომპლექსებში.

კინტრიშისა და ანასეული I-ის კოლექციების ძირითადი შემადგენელი ელემენტების იგივეობის გამო შესაძლებლად მიგვაჩნია მათი გაერთიანება ერთ ქრონოლოგიურ ჯგუფში, რომელიც ადრენეოლითის საფეხურს შეესატყვისება. თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ კინტრიშის ძეგლები ამ საფეხურის საზღვრებში შესაძლოა ქრონოლოგიურად ოდნავ წინ უსწრებდეს ანასეულ I-ს.

ძეგლების ამ ჯგუფის აღმოჩენა თავისთავად სვამს საკითხს ნეოლითის ადრეული საფეხურის გამოყოფის შესახებ.

§ 2. გვიანნეოლითური ძეგლები

დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითური ძეგლების აღწერიდან ჩანს, რომ აქ წარმოდგენილი კომპლექსები (ოდიში, კისტრიკი, გურიანთა, მამათი, ანასეული II, ნიენიაა შილოვკა) კინტრიშის ნამოსახლარებისა და ანასეული I-ის გარდა, ძირითადად ერთგვაროვანია და ხასიათდება შემადგენელი ელემენტების მსგავსებით. ეს მსგავსება კი იმდენად დიდი და აშკარაა, რომ ისინი შეიძლება ერთ ჯგუფში გავაერთიანოთ და ერთი კულტურის გარკვეულ საფეხურს მივაკუთვნოთ.

²⁷ ნ. ბერძენიშვილი, ლ. ნეზიერიძე, ქვის ხანის ნამოსახლარები კინტრიშის ხეობაში, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, I, თბ., 1964, გვ. 7—16.

ძეგლების ამ ჯგუფით წარმოდგენილი კულტურა საკმაოდ მკაფიოდ გამოიყურება, იგაჩნია თავისი სპეციფიკური ნიშნები, რაც მისი დახასიათებისა და ცალკე საფეხურად გამოყოფის საშუალებას იძლევა.

რადგან ეს კულტურა პირველად ოდიშში აღმოჩნდა, ხოლო ეს სადგომები არქეოლოგიურ ლიტერატურაში ოდიშის ტიპის ძეგლებად იხსენიება²⁸, ამიტომ ამ ჯგუფში შემავალი კომპლექსების ჩამოთვლის ნაცვლად, მათ აღნიშნული სახელწოდებით მოვიხსენიებთ, მით უმეტეს, რომ ეს ძეგლები ერთ კულტურას უნდა ეკუთვნოდეს, რომელიც ჯერჯერობით დას. ამიერკავკასიის ტერიტორიას მოიცავს. ამ ძეგლების მსგავსების გამო მათ ერთობლიობაში განვიხილავთ, დავახასიათებთ მთელი ჯგუფის საერთო ნიშნებს და აღვნიშნავთ მათ შორის არსებულ განსხვავებებს. აღნიშნული კომპლექსების (ოდიში²⁹, კისტრიკი³⁰, ნიჟნ. შილოვკა³¹, გურაანთა³², ანასეული II³³) კაეის მასალის განხილვისას აშკარად ჩანს, რომ მათ ერთერთ მთავარ დამახასიათებელ ნიშნად გვევლინება მკაფიოდ წარმოდგენილი მიკროლითური ტექნიკა, რომელმაც თავისი გამოხატულება ჰპოვა ჩასართი იარაღების მაქსიმალურ განვითარებაში, კერძოდ კი გეომეტრიული ფორმების ნაირსახეობაში.

მეზოლითურ და ადრენეოლითურ კომპლექსებთან შედარებით ოდიშის ტიპის ძეგლების მიკროლითური ტექნიკა და გეომეტრიული ფორმები მნიშვნელოვნად იცვლება. ჩნდება მიკროლითების დამუშავების ახალი ხერხები და მასთან დაკავშირებული ახალი ფორმები, რაც უცნობია წინა საფეხურების მიკროლითებიანი კომპლექსებისათვის.

პირველ რიგში აღსანიშნავია მიკროლითების დამუშავებაში „მცოცავი“ წნე-ვითი რეტუშის გამოყენება. მის გაჩენასთან დაკავშირებით ჩნდება გეომეტრიული მიკროლითების ახალი სახე, ე. წ. მაღალი ტრაპეციები და სწორკუთხედები, რომელთა ზურგი მთლიანად დაფარულია „მცოცავი“ რეტუშით. კისტრიკში და ქვ. შილოვკაში გვაქვს ზურგათლილი მაღალი ტრაპეციები, ხოლო ოდიშსა და ანასეულ II-ში — ზურგათლილი მაღალი სწორკუთხედები. მაღალი, ზურგათლილი ტრაპეციები და სწორკუთხედები უცნობია მეზოლითური და ადრენეოლითური ძეგლებისათვის.

ზურგათლილი, მაღალი ტრაპეციები დამახასიათებელია ჩრდილო კავკასიისათვის. ისინი გვხვდება ყუბანისპირეთში³⁴, კავკასიის კასპიისპირა დიუნებში³⁵,

28 А. А. Формозов, Неолит Крыма и Черноморского побережья Кавказа, МИА, № 102, 1962, стр. 128, 148.

29 აღ. კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე, მეზოლითურ და ნეოლითურ კულტურათა ნაშთები საქართველოში, „ენიქის“ მოამბე, 4, 3, თბილისი, 1939, გვ. 363—371; ს. ჯანაშიას სახ. სახელმწიფო მუზეუმის ოდიშის კოლ. № 6—58.

30 А. Л. Лукин, Неолитическое селище Кистрик близ Гудаут: СА, ტ. XII, 1950, სოხუმისა და ახალი ათონის მუზეუმის კისტრიკის კოლექციები.

31 А. А. Формозов, დასახ. ნაშრომი, გვ. 133, სურ. 18.

32 ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიის განყოფილების ფონდი.

33 ლ. ნ ე ბ ი ე რ ი ძ ე, „მიწის ციხის“ ნეოლითური სადგომი ანასეულში (მახარაძის რ-ნი), ასპირანტთა და ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა XI სამეცნიერო კონფერენციაზე წაკითხული მოხსენების თეზისები, 1960.

34 В. П. Любич, Доклад на секции неолита пленума ИИМК, 1957.

35 Т. М. Минаева, Кремневая индустрия нижнего Поволжья: Труды ниже-волжского об-ва краеведения, вып. 36, ч. I, Саратов, 1929.

ყირიმის გვიან ნეოლითურ ფენებში: ტაშ-აირ I-ის³⁶ მე-5 ფენა, კაია-არა-სი³⁷, ატ-ბაში³⁸, ჭეილაუ-ბაში³⁹, ბალინ-ყოში⁴⁰, ზამილ-ყობა II⁴¹, შან-ყობა I ა ფენა⁴², ფატმა-ყობა⁴³, იუსუფოვის აუზი⁴⁴, ზუია⁴⁵, მსგავსი ტრაპეციები ნა-პოვნია აზოვისპირეთში⁴⁶, „ნადპოროჟიეში“ — სობაჩკი, სურსკი ოსტროვი, ვო-ენჯეი⁴⁷, დონეცზე — ზლიეკა, იზიუმ V, სავინცი I⁴⁸.

ზემოჩამოთვლილ ძეგლებში ზურგათლილი ტრაპეციები არსად არ გვხვდებ-ბა გვიან ნეოლითზე ადრე. იშვიათად ადრე ენეოლითამდეც აღწევენ. ს. ბიბი-კოვმა ყირიმის ნეოლითური ძეგლების შესწავლის შედეგად დაასაბუთა, რომ ზურგათლილი ტრაპეცია წარმოადგენს ყირიმის ნეოლითის დამახასიათებელ და დამათარილებელ ფორმას⁴⁹. ხოლო უფრო გვიან ყირიმში ნეოლითის უკეთესი სტრატეგრაფიის მქონე ახალი ძეგლების აღმოჩენისა და შესწავლის შედეგად ეს მოსაზრება დ. კრაინოვმა⁵⁰ კიდევ უფრო დააზუსტა. მან დაამტკიცა, რომ ზურგ-ათლილი ტრაპეციები ყირიმის ნეოლითის მხოლოდ გვიანი საფეხურის დამახა-სიათებლად და დამათარილებლად უნდა ჩაითვალოს. მასალების შედარება გვიჩ-ვენებს, რომ ზურგათლილი მაღალი ტრაპეციები და სწორკუთხედები დასავლეთ ამიერკავკასიის გვიანი ნეოლითის დამათარილებელი ფორმებია. ამიერკავკა-სიის სამხრეთით ისინი არ გვხვდება. წინა აზიის ძეგლებში ამგვარი იარაღები უცნობია. არ გვხვდება აგრეთვე ევროპის ტყიან ზოლში, დნებრის დასავლე-თით და მდ. ურალის აღმოსავლეთით. დიდი რაოდენობით მხოლოდ დას. ამიერ-კავკასიაში და ყირიმშია. გამორიცხული არ უნდა იყოს შავი ზღვისპირეთში მათი წარმოშობა და აქედან გავრცელების შესაძლებლობა.

ოდიშის ტიპის ძეგლებში ჩნდება რკალდაბლაგვებუი სეგმენტები და სამ-გვერდაბლაგვებუი ტრაპეციები. ამგვარი იარაღები ჯერჯერობით არ შეგვხ-ვედრია დას. აკავ-ის მეზოლითურ და ადრენეოლითურ ძეგლებში. ფართოდ იკიდებს ფეხს გეომეტრიული მიკროლითების ორმხრივი დამუშავება.

აქვე გვინდა შევეხოთ არქეოლოგიურ ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზ-რებას კავკასიის მიკროლითური ტექნიკის შესახებ. ამ მოსაზრების თანახმად,

36 Д. А. Крайнов, *დასახ. ნაშრომი გვ. 156, ტაბ. XXXIII, ნახ. 1—6.*

37 А. А. Формозов, *დასახ. ნაშრომი, გვ. 110, ნახ. 9, სურ. 29,30; ბახჩისარაის ის-ტორიული მუზეუმის კაია-არასის კოლექცია.*

38 А. А. Формозов, *დასახ. ნაშრომი, გვ. 99, ნახ. 3, სურ. 15; მოსკოვის უნივერ-სიტეტის ანთროპოლოგიის მუზეუმის ატ-ბაშის კოლექცია.*

39 О. Н. Бадер, *Изучение эппалеолита крымской Яйлы; СА, вып. V, 1940.*

40 მოსკოვის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმისა და იალტის მუზეუმის კოლექციები.

41 მოსკოვის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ზამილ-ყობა II-ის კოლექცია.

42 С. Н. Бибииков, *Предварительный отчет о работе крымской экспедиции 1935 года; СА, 1936.*

43 С. Н. Бибииков, *Доклад на секции палеолита пленума ИИМК, 1957.*

44 А. А. Формозов, *დასახ. ნაშრომი, გვ. 101, ნახ. 4 სურ. 14—16.*

45 სიმფეროპოლის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის კოლ. № 5243; 5246; 9156.

46 О. Н. Бадер, *Очерк работ Азово-Черноморской экспедиции; КСИИМК, вып. XXXI, 1950, стр. 65,2.*

47 კიევის არქეოლოგიის ინსტიტუტის კოლექციები.

48 М. В. Сибільов, *Старовонности Изюмщины, Вып. IV, Изюм, 1930, таб. XXII.*

49 С. Н. Бибииков, *К вопросу о неолите в Крыму, КСИИМК, IV, 1940, стр. 26—31.*

50 Д. А. Крайнов, *Пещерная стоянка Таш-Аир I как основа для периодизации послепалеолитических культур Крыма, МИА, № 91, М., 1960, стр. 100.*

მიკროლითური ტექნიკა და გეომეტრიული ფორმები და მახასიათებელია მეზოლითური კულტურისათვის, ნეოლითის ადრეული საფეხურის ძეგლებში იგი განიშლის სახითაა წარმოდგენილი, ხოლო გვიან ნეოლითში მისი ნიშნები ქრება⁵¹.

კავკასიის მასალები აღნიშნულ მოსაზრებას ვერ ადასტურებენ. უკანასკნელ ხანებში აღმოჩენილი მეზოლითური ძეგლების შესწავლამ ცხადი გახადა, რომ მეზოლითურ კომპლექსებში არა გვაქვს გეომეტრიული მიკროლითების სიჭარბე და არც მიკროლითური ტექნიკა აღწევს სრულყოფას.

ცივი მღვიმის მეზოლითურ ფენაში მცირე რაოდენობითაა გეომეტრიული მიკროლითები⁵², აციის მეზოლითურ ფენაში თითო სეგმენტი და ტრაპეცია⁵³. ქვაჭარას მეზოლითურ ფენაში მცირე რაოდენობით არის გეომეტრიული მიკროლითების პროტოტიპები⁵⁴. იგივე მდგომარეობაა წონას მეზოლითურ ფენაში⁵⁵. დამარხული მღვიმის მეზოლითურ ფენაში რამდენიმე სეგმენტისმაგვარი იარაღია⁵⁶. სამხრეთ ოსეთში აღმოჩენილ სელოსა და ჭერმუხის მასალებში გვხვდება თითო-ორთაა გეომეტრიული მიკროლითი⁵⁷. დამჯილისა და დაშსადახლის მღვიმეების (აზერბაიჯანის სსრ) მეზოლითურ ფენებში ამგვარი იარაღები არ არის⁵⁸.

ამიერკავკასიის მეზოლითური ძეგლების ზემოთ აღნიშნული მიმოხილვიდანაც კარგად ჩანს, რომ ამ სადგომებზე გეომეტრიული მიკროლითები ან არ არის, ან მეტად მცირე რაოდენობითაა.

ამიერკავკასიის მსგავსი მდგომარეობა დადასტურდა ჩრდილო კავკასიის (სოსრუკო⁵⁹, ჩოხი)⁶⁰, ყირიმის (შან-ყოზას შუა ფენა)⁶¹, წინა აზიის (გარი-კამარბანდი)⁶² და შუა აზიის (ჯებელი)⁶³ მეზოლითური სადგომების შესწავლისას. მათში ან საერთოდ არ არის გეომეტრიული მოყვანილობის იარაღები, ან თუ არის, მეტად ცოტა. მრავალფენიან ძეგლებში კი ისინი ისევ ჩნდებიან კერამიკასთან ერთად.

ზემოთ თქმულიდან ცხადია, რომ არც დას. ა/კავკასიის მეზოლითის ახასიათებს გეომეტრიული ფორმების სიჭარბე და მათი ზედმიწევნით განვითარება.

51 А. А. Формозов, Неолит Крыма и Черноморского побережья Кавказа, МИА, № 102, 1962, стр. 147—148.

52 სოხუმის სახელმწიფო მუზეუმის ცივი მღვიმის კოლექცია.

53 Д. А. Крайнов, Дасახ. ნაშრომი.

54 ზ. წერეთელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 222—234.

55 ალ. კალანდაძე, საქართველოში 1961 წ. ჩატარებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები, მოხსენების მოკლე შინაარსი, 1962, თბ., გვ. 5.

56 ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, ტაბ. 1.

57 საქ. სახ. მუზეუმის სამხრეთ ოსეთის კოლექცია, № 3—58.

58 М. М. Гусейнов, Авейдагские палеолитические стоянки. Автореферат, стр. 13.

59 С. Н. Замятин, П. Г. Акритас, Раскопки грота Сосруко в 1955. «Уч. записки КБНИИ» XII, Нальчик, 1957.

60 В. Г. Котович, Чохакая стоянка—первый памятник каменного века в горном Дагестане, «Уч. зап. НИИЯЛИ Даг. Фан. АССР», III, Махач-Кала, 1957.

61 Г. А. Бонч-Осмоловский, Итоги изучения Крымского палеолита, Тр. II. МКАИЧП, V, 1934, стр. 160.

62 С. Сооп, Cave Explorations in Iran 1949, Philadelphia, 1951, стр. 74.

63 А. П. Окладников, Пещера-Джебел — памятник древней культуры прикаспийских племен Туркмении, Тр. ЮТАКЭ, VII, Ашхабад, 1956, стр. 155—193.

რაც შეეხება გვიან ნეოლითს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ხასიათდება გეომეტრიული მიკროლითების სიმრავლით და ფართოდ განვითარებული მიკროლითური ტექნიკით, აქ უკვე არის გეომეტრიული მიკროლითების ახალი ფორმები და მათი დამუშავების ახალი ხერხები.

ქვის ხანის არც ერთ საფეხურს არ ახასიათებს მიკროლითური ტექნიკისა და გეომეტრიული ფორმების ისეთი განვითარება, როგორც გვიან ნეოლითს, ამიტომ ლაპარაკი გვიანნეოლითში მიკროლითური ტექნიკის ნიშნების გაქრობაზე შეუძლებელია. მიკროლითური ტექნიკა უფრო მოგვიანო კომპლექსებშიც იქნეს თავს (სამეღე კლდე, დარკვეთის ეხი).

ოდიშის ტიპის ძეგლების შესახებ აღნიშნულია⁶⁴, რომ ისინი ხასიათდებიან მეზოლითური იერის გეომეტრიული იარაღებისა და წმინდა ნეოლითური ფორმების შერწყმით.

დასავლეთ ამიერკავკასიის ახალდმოჩენილი მეზოლითური და ნეოლითური ძეგლების გეომეტრიული მიკროლითების შესწავლის შედეგად ცხადი გახდა, რომ მეზოლითურ ძეგლებს ძირითადად ახასიათებთ ორგვერდდამუშავებული ტრაპეციები და რკალათილი სეგმენტები, რომლებიც გვიან ნეოლითურ კომპლექსებში მცირე რაოდენობით, ზოგჯერ ოდნავ შეცვლილი, გადმონაშთის სახით განაგრძობენ არსებობას. ასევე ირკვევა, რომ ნეოლითურ ძეგლებში ჩნდება გეომეტრიული მიკროლითების როგორც სრულიად ახალი, ასევე დახვეწილი და განვითარებული ფორმები. ეს სიახლე ნეოლითში მთავარი და წამყვანია.

ასე რომ, ოდიშის ტიპის ძეგლებში ჩვენ გვაქვს არა მეზოლითური ფორმის გეომეტრიული მიკროლითების შერწყმა წმინდა ნეოლითურ ფორმებთან (რიყის ქვის იარაღები და კერამიკა), არამედ სამგვერდდამუშავებული ტრაპეციების, მძალი, ზურგათილი სწორკუთხედებისა და ტრაპეციების, ბლაგვზურგა სეგმენტების სახით გვაქვს აგრეთვე წმინდა ნეოლითურ ფორმები. ისინი ჩნდებიან მხოლოდ ნეოლითში და სრულიად კანონზომიერად ერწყმიან დანარჩენ სიახლეს — კერამიკას და რიყის ქვის იარაღებს. რა თქმა უნდა, გადმონაშთის სახით არსებობს მეზოლითური ფორმებიც.

აქამდე მიღებული იყო, რომ წმინდა ნეოლითურად ითვლებოდა რიყის ქვის გახეილ-გაპრიალებული იარაღები და კერამიკა. ახალდმოჩენილმა ძეგლებმა ცხადპყო, რომ წმინდა ნეოლითურ ფორმებად რიყის ქვის იარაღებთან და კერამიკასთან ერთად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე სამგვერდდამუშავებული ტრაპეციები, მძალი „მცოცავი“ რეტუშით ზურგათილი სწორკუთხედები, ტრაპეციები და ბლაგვზურგა სეგმენტები.

ამრიგად, მოსაზრება, რომ გვიან ნეოლითში მიკროლითური ტექნიკა და გეომეტრიული ფორმები გვაქვს გადანაშთის სახით, უმართებულოა, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, მიკროლითური ტექნიკა ამ ძეგლებში სუსტად უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი. აქ კი, პირიქით, იგი ნეოლითის ერთერთი დამახასიათებელი ნიშანია, გადანაშთის სახით გვაქვს არა მიკროლითური ტექნიკა და სერთოდ გეომეტრიული მიკროლითები, არამედ მხოლოდ ზოგიერთი გეომეტრიული ფორმა. კერძოდ კი ორგვერდდამუშავებული ტრაპეციები და რკალათილი სეგმენტები, რომლებიც გაჩნდა ზედაპალეოლითურ და მეზოლითურ ძეგლებში.

ის ფაქტი, რომ კავკასიაში, ყირიმსა და შუა აზიაში კაყის მასალა ინარჩუნ-

ნებს მიკროლითურ ხასიათს ლითონის ხანამდე, მიუთითებს ამ რაიონების მიკროლითური ტექნიკის ზოგადი განვითარების საერთო კანონზომიერებაზე.

ოდიშის ტიპის ძეგლების მასალის დიდი ნაწილი წარმოდგენილია სწორწახნაგოვანი ნუკლეუსებიდან ატკეცილი სწორი ლამელებით. მუშაობის კვალის მქონე ლამელების დიდი ნაწილი ჩასართებად უნდა ყოფილიყო გამოყენებული.

ჩასართების დამზადების ტექნიკის განვითარებას მოწმობს ლამელების ატკეცვისა და მეორადი დამუშავების გაუმჯობესება. ლამელა-ჩასართების სიმრავლე დამახასიათებელია დღესდღეობით ცნობილი ყველა ნეოლითური ძეგლისათვის. აღნიშნული იარაღები ყირიმის გვიანი ნეოლითის კომპლექსებში (ტაშ-აირ I-ის მე-5 ფენა, ტაშ-აირ III-ის მე-2 ფენა, ზამილ-ყოზა II-ის მე-5 ფენა, შან-ყოზა Ia ფენის ქვედა ჰორიზონტი, კაია-არასის ქვედა ფენა) საერთო მასალის ნახევარზე მეტს შეადგენს. ლამელა-ჩასართები ძალიან დამახასიათებელია სამხრეთის ნეოლითური ძეგლებისათვისაც. გარ-ი-კამარბანდის⁶⁵ (ჩრდ. ირანი), ჯარმოს⁶⁶ (ჩრდ. ერაყი), იერიქონის (პალესტინა)⁶⁷ ნეოლითურ ნამოსახლარებზე ნაპოვნი ამგვარივე იარაღები რიგი არქეოლოგების მიერ (ბრეიდვუდი⁶⁸, კ. კენიონი⁶⁹) ერთხმად აღიარებულია სამკელი დანების ჩასართებად. ნამგლის ლამელა-ჩასართები მრავლადაა ცნობილი სირია-კილიკიის ძეგლების ნეოლითური ფენებიდან (მერსინი, ამუკი), ურეტუშო, გამოყენების კვალის მქონე, სწორწახნაგა ლამელების დანიშნულებას კარგად მოწმობს შომუ-თეფეში⁷⁰. აღმოჩენილი სამკელი დანა, რომელშიც მსგავსი ლამელებია ჩასმული.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ოდიშის ტიპის ძეგლებში ლამელა-ჩასართების რიცხვი კინტრიშის ნამოსახლარებთან და ანასეულ I-თან შედარებით მატულობს, ხოლო ნედლეული იცვლება. თუ ანასეული I-ისა და კინტრიშის ნამოსახლარების ლამელების უმრავლესობა ოზიდიანისაა, ოდიშის ტიპის ძეგლებში ისინი ძირითადად კაყისაგანაა ნაკეთები.

დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითური ძეგლებისათვის დამახასიათებელია საჭრისების სიმრავლე და ფორმების მრავალფეროვნება.

გავრცელებული მოსაზრების თანახმად, საჭრისები დიდი რაოდენობითაა მხოლოდ ზედაპალეოლითურ და მეზოლითურ ძეგლებში, ადრენეოლითამდე ისინი იშვიათად აღწევენ, ხოლო გვიან ნეოლითში კი საერთოდ წყვეტენ არსებობას⁷¹. დას. ამიერკავკასიის ნეოლითური მასალების მიხედვით კი სხვა სურათი ჩანს. საჭრისები ფართოდ ყოფილა გავრცელებული მთელი ნეოლითის მანძილზე. ისინი მრავლადაა როგორც კინტრიშის ნამოსახლარებზე და ანასეულ

⁶⁵ C. Coon, 1) Cave Explorations in Iran 1949. Philadelphia, 1951, 2) Seven caves, pp. 129—167.

⁶⁶ R. I. Braidwood, L. S. Braidwood, Jarmo, A village of early farms in Iraq—antiquity, 1950, № 96, 189—195.

⁶⁷ K. Kenyon, 1) Jericho—the worlds oldest town, ILN № 6133, 13 okt. 1956, გვ. 611—612. 2) Jericho and its setting in near eastern history. Antiquiti, 1956, № 120, pp. 184—193.

⁶⁸ R. J. Braidwood, L. S. Braidwood, დასახ. ნაშრომი, გვ. 189—195.

⁶⁹ K. Kenyon, დასახ. ნაშრომი, გვ. 600—613.

⁷⁰ И. Г. Нариманов. Древнейшие серпы Азербайджана, СА, № 1 ? 1964, М., გვ. 285, ნახ. 2; გვ. 283, ნახ. 1.

⁷¹ П. П. Ефименко, П. И. Борнеовский, Палеолитическая стоянка Боршево, Палеолит, МИА. СССР, 1953, № 39, стр. 60. ვ. ნიორაძე, პალეოლითის ადამიანი დღეს-ბერძენში, საქ. მეზეუმის შრომები, ტ. VI, თბ., 1933, გვ. 49.

1-ზე, ასევე ოდიშის ტიპის ძეგლებზე. უფრო მეტიც, ისინი გვხვდებიან აგრეთვე მოგვიანო ფენებშიც (სამელე კლდე, დარკვეთის ეხი). ნეოლითურ ძეგლებში საჭრისები ძირითადად ვიწრო, დანისებურ ლამელებზეა დამზადებული. თუმცა, კისტრიკსა და ოდიშში მცირე რაოდენობით კიდევ გვხვდება ანატკეცზე ჩამოყალიბებული საჭრისები, ანასეულ II-ში ორი საჭრისის გარდა უკლებლევ ვეღა ლამელაზეა დამზადებული. ოდიშის ტიპის ძეგლებში ხშირია მეზოლითური და ადრენეოლითური საჭრისის ფორმები. ანასეულ I-თან შედარებით ოდიშის ტიპის ძეგლებში საფხეკების რაოდენობა კლებულობს; აღსანიშნავია ისიც, რომ აქ აღარ ჩანს ფორმების მრავალფეროვნება და ბეჭითად დამუშავებული ცალები, გვხვდება დიდი ზომის, უწესო ანატკეცებზე ჩამოყალიბებული საფხეკები, თუმცა კომპლექსებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მიკროსაფხეკებს. ისინი მრავლადაა ცნობილი ყირიმისა და ქვემო ვოლგისპირეთის გვიანი ნეოლითის სადგომებიდან. ყირიმის გვიანი ნეოლითის ერთერთ დამატარებელ ფორმად დ. კრანოვი მიკროსაფხეკების სიმრავლეს მიიჩნევს⁷². ოდიშის ტიპის ძეგლების საფხეკები ფორმით ახლოს დგანან ყირიმის გვიანნეოლითური კომპლექსების საფხეკებთან.

ოდიშის ტიპის ძეგლებში დიდი სერიითაა წარმოდგენილი სახვრეტ-საბურღი იარაღები. ამ იარაღების შესახებ ა. ფორმოზოვი წერს, რომ ისინი იშვიათად გვხვდება კავკასიის სადგომებზე, კერძოდ კი ოდიშში და აგუბეკოვოს ნამოსახლარზე⁷³. ჩვენ ეს მოსაზრება მართებულად არ მიგვაჩნია, რადგან მრავალი იარაღები დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი ოდიშში, ანასეულ II-ში, კისტრიკში და ქვ. შილოვკაში. აგუბეკოვოს ნამოსახლარი კი არც ნეოლითურია და არც ადრენეოლითური. იგი უფრო მოგვიანო პერიოდს მიეკუთვნება. აღნიშნული იარაღები კი დამახასიათებელია მხოლოდ გვიანეოლითური და ზოგჯერ ადრენეოლითური კომპლექსებისათვის. ამიტომ სრულიად ბუნებრივად გვეჩვენება აგუბეკოვოს ნამოსახლარზე მათი არარსებობა. ყირიმის სინქრონულ ძეგლებში ამგვარი იარაღი ცნობილი არ არის. აღნიშნული იარაღების გამოყენების კვალის შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ მათ სახვრეტ-საბურღი იარაღების ფუნქცია ეკისრებოდა⁷⁴.

ოდიშის ტიპის კომპლექსებში არსებული ისრისპირები ფორმით რამდენადმე განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ოდიშიდან ცნობილია ორი ტიპის ისრისპირი. ერთი მათგანი სამკუთხედის მოყვანილობისაა, მეორე კი ფრთადაშვებულია. ორივე მათგანი ანატკეცზეა ჩამოყალიბებული და ორმხრივდამუშავებულია. კისტრიკის ისრისპირი რომისებური მოყვანილობისაა, ისიც ანატკეცზეა ჩამოყალიბებული და ორმხრივდამუშავებულია. ანასეული II-ის ისრისპირებიდან ორს სამკუთხედის მოყვანილობა აქვს, ლამელაზეა დამზადებული და ცალმხრივაა დამუშავებული. ეს ისრისპირები, ეჭვს გარეშე, ძირითად კომპლექსს მიეკუთვნება. დანარჩენი ორი — ფრთადაშვებულია. ისინი ანატკეცზე არიან ჩამოყალიბებული და ორმხრივდამუშავებული. ფრთადაშვებული ისრისპირები მოგვიანოდაა მიჩნეული და ხშირად ლითონის ხანის ძეგლებში გვხვდება. ანასეულ II-ში და ოდიშში უძრავი ფენების უქონლობის გამო ძნელია მტკიცება, რომ ფრთადაშვებული ისრისპირები ძირითად კომპლექსებს ეკუთვნის. მაგრამ ის კი უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ძეგლებში არ უნდა იყოს

72 Д. А. Крайнов, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 45.

73 А. А. Формозов, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 128.

74 გ. კორობკოვამ შეისწავლა შილოვკის იარაღების გამოყენების კვალი.

გამორიცხული მათი გაჩენა. რადგან ამ სადგომების მკვიდრი უკვე კარგად ფლობდნენ „მცოცავ“ რეტუმს და ორმხრივდამუშავების ტექნიკას.

ისრისპირები არაა ცნობილი გურიანთიდან, მამათიდან და ნიენ. შილოვკიდან. აღნიშნული გარემოება შესაძლოა იმით აიხსნას, რომ ეს კომპლექსები მცირერიცხოვანია.

ნიენ. შილოვკაში ისრისპირების არარსებობას ა. სტოლიარი და ა. ფორმოზოვი ხსნიან შურდულის ქვების სიმრავლით, რომელთაც უნდა გაეწიათ ისრისპირების მაგივრობა⁷⁵. უფრო მეტიც, ა. ფორმოზოვი სთვლის, რომ კავკასიის ნეოლითურ ძეგლებს ისრისპირები არ ახასიათებს⁷⁶. აქ იგი იშველიებს გ. ჩაილდს⁷⁷, რომელმაც მახლობელი აღმოსავლეთის ზოგიერთ ძეგლში (ხასუნა, პალაფი და ტელე-ილათ-გხასული) ისრისპირების არარსებობა შურდულის ქვების სიმრავლით ახსნა. ნიენ. შილოვკაში ისრისპირების უქონლობას და შურდულის ქვების სიმრავლეს ა. ფორმოზოვი საკმარისად თვლის იმისათვის, რომ გ. ჩაილდის ზემოთ მოყვანილი მოსაზრება კავკასიის ძეგლებზეც გაავრცელოს. იგი მხედველობის გარეშე ტოვებს დასავლეთ საქართველოს კომპლექსებს, რომლებშიც ისრისპირები და შურდულის ქვები თანაარსებობენ და ფიქრობს, რომ ქვ. შილოვკაში ისრისპირების არარსებობა არის კავკასიური კულტურის დამახასიათებელი ნიშანი, რომელიც მას წინააზიურთან ახლოებს. ამასთან დაკავშირებით გვინდა შევნიშნოთ, რომ ზემოთ ჩამოთვლილ წინა აზიის ძეგლებში ისრისპირების უქონლობა კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ისინი არ იყვნენ დამახასიათებელი საერთოდ მახლობელი აღმოსავლეთისათვის. წინა აზიის ძეგლებში დიდი რაოდენობითაა ნაპოვნი ისრისპირები. მაგალითად, გვიან ნატუფიურ კულტურაში, იერიქონის (პალესტინა) უკერამიკო ნეოლითში, მერსინის ნეოლითურ ფენებში, ხოლო გ. ჩაილდის მიერ მოყვანილი ძეგლები (ხასუნა, ტელ-პალაფი და ტელე-ილათ-გხასული) არ არის სინქრონული არც ზემოთ აღნიშნული წინააზიური ძეგლებისა და არც ამიერკავკასიური ნეოლითური კომპლექსებისა. ისინი უფრო გვიანდელია და ეკუთვნიან საკმაოდ განვითარებულ სამიწათმოქმედო კულტურას, სადაც ბუნებრივია, ნადირობის როლი შესუსტებული იყო. შეიძლება ამით აიხსნას ამ ძეგლებზე ისრისპირების უქონლობა. გარდა ამისა, ხასუნაში და ტელ-პალაფში დიდი რაოდენობითაა ნაპოვნი ე. წ. სირია-კილიკიის ტიპის შუბისპირები, ხოლო ქვ. შილოვკაში აღრეული ფორმის ყუნწიანი შუბისპირები. საფიქრებელია, რომ სწორედ მათ უნდა გაეწიათ ისრისპირების მაგივრობა და არა შურდულის ქვებს. წინა აზიის ყველა ნეოლითური ძეგლი ხასიათდება შურდულის ქვების სიმრავლით. თუ დავუშვებთ, რომ ისრისპირების მაგივრობას სწევდნენ შურდულის ქვები, მაშინ უნდა გამოირიცხოს მათი თანაარსებობა. სინამდვილეში კი ისრისპირები და შურდულის ქვები თანაარსებობენ მთელ რიგ ძეგლებში (კისტრიკი, ოდიში, ანასეული II). უფრო მეტიც, ისრისპირები დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითური სადგომების ერთ-ერთ დამახასიათებელ ელემენტად უნდა მივიჩნიოთ, რაც მოულოდნელი არ უნდა იყოს გვიანი ნეოლითის ძეგლებში. ამ დროისათვის მათ განვითარების საკმაოდ ხანგრძლივი გზა აქვთ გავლილი. დას. ამიერკავკასიაში

75 А. А. Формозов и А. Д. Столяр, Указ. соч., стр. 107.

76 А. А. Формозов, Неолит и энеолит Северо-западного Кавказа в свете последних исследований, СА. № 3, 1964, стр. 148; Каменный век и энеолит Прикубанья, 1965, М.

77 Г. Чайлд, Древнейший Восток в свете новых раскопок, 1956, М., стр. 168, 171, 345.

ყველაზე ადრეული ისრისპირი ჯერჯერობით ცნობილია საკაჟიას⁷⁸ მღვიმედან. იგი სამკუთხედის მოყვანილობისაა, ყუნწიანი, დამზადებულია ლამელისებურ ანატექცზე და ცალმხრივდამუშავებულია. გ. ნიორაძე⁷⁹ მას ორინიაკ-სოლუტრეს პერიოდს მიაკუთვნებს. ს. ზამიატინმა აღნიშნული თარიღის გამო ეპვი გამოთქვა და ეს იარაღი მუსტიეს ხანით დაათარიღა⁸⁰. ამ იარაღის თარიღის გარკვევა ჩვენს მიზანს არ შეადგენს, მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ ორივე მათგანი მიუთითებს დას. ამიერკავკასიაში ისრისპირების კეთების უძველეს ტრადიციებზე.

ცალფრთიანი ისრისპირები ცნობილია გვარჯილას-კლდიდან, აცის მღვიმის ზედაპალეოლითური ფენიდან. მსგავსი ისრისპირები აღმოჩნდა დასავლეთ ამიერკავკასიის მეზოლითურ კომპლექსებში (საგვარჯილეს მეზოლითური ფენა, ქვაჭარა, დამარხული მღვიმე). ანალოგიური ისრისპირი ნაპოვნია ანასეული I-ის ადრენეოლითურ კოლექციაში. სამკუთხა, ყუნწიანი ისრისპირები ცნობილია ფიჭიჯინის (სამხ. ოსეთი) მიკროლითებიანი სადგომიდან⁸¹.

ლ. სოლოვიოვი თვლის, რომ სამკუთხა ყუნწიანი ისრისა და შუბისპირები პირველად დას. ამიერკავკასიაში ჩაისახა⁸².

ამგვარად, როგორც ჩანს, ამიერკავკასიის გვიანნეოლითში ისრისპირები სრულიად კანონზომიერი მოვლენა უნდა იყოს.

ოდიშის ტიპის ძეგლებში ქვის დამუშავების ტექნიკა განვითარების უმაღლეს დონეს აღწევს. რიყის ქვის იარაღები აქ გაცილებით უფრო მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანია, ვიდრე ანასეულ I-ში, ამ კომპლექსების ერთ-ერთი დამახასიათებელი იარაღია ცულები. მათი ყველაზე უფრო გავრცელებული სახეებია გახეხილ-ვაპრიალებული, ორმხრივლესილი წახნაგისანი და უწახნაგო ცალები. სხვა ჯგუფის ცულები კომპლექსებში შედარებით ნაკლებია. წახნაგისანი ცულები ანასეულ I-დან არაა ცნობილი. ამ იარაღების ფორმებზე ჩატარებული დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ორმხრივლესილი ცულები პროტოტიპი უნდა იყოს სოლისებური ცულებისა. რომლებიც შემდეგ ჩნდება უფრო მოგვიანო კომპლექსებში (თეთრამიწა, საგვარჯილე, ახშითრისა და ვორონცოვის მღვიმეები). ბრტყელი ცულები ოდიშის ტიპის ძეგლებში ახალი გაჩენილია, მის მოგვიანო კომპლექსებში კი ისინი სოლისებურ ცულებთან ერთად ფართოდ ვრცელდება. სოლისებური ცულები უფრო ადრე ჩნდება ამიერკავკასიაში, ვიდრე ყუაგახნგრეტილი⁸³. ცულების უმრავლესობა, განსაკუთრებით კი ორმხრივლესილი ცულების, ყუა ხშირადაა დამუშავებული ე. წ. „წერტილოვანი“ ტექნიკით, „წერტილოვანი“ ტექნიკა არაა ცნობილი ანასეული I-დან. აღნიშნული ხერხით იარაღების დამუშავება გვიანნეოლითში უნდა გაჩენილიყო.

დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითური კომპლექსებისათვის ძალიან დამახასიათებელია სატეხ-სათლევები. როგორც მისალის აღწერილობიდან ჩანს,

⁷⁸ გ. ნიორაძე. ქვის ხანის აღმინაი საკაჟიას გამოქვაბულში, 1953, თბილისი, გვ. 82, სურ. 204.

⁷⁹ იქვე, გვ. 87—88.

⁸⁰ С. Н. Замятин, Палеолит западного Закавказья, Сборник музея антропологии и этнографии, XVII, 1957.

⁸¹ ЛОИА-ს კოლექცია, შერგებლი ვ. ლიუბინის მიერ.

⁸² Л. Н. Соловьев, Новый памятник культурных связей Кавказского Причерноморья в эпоху неолита и бронзы — стоянки Воронцовской пещеры, «Тр. Абхазского ин-та языка, литературы и истории», т. XXIX, Сухуми, 1958, стр. 139.

⁸³ Л. Н. Соловьев, დასახ. ნაშრომი, გვ. 140.

აქ მათი რამდენიმე სახეა ცნობილი. ყველაზე გავრცელებულია მუცელშეზენქილი ან ბრტყელმუცლიანი მოგრძო სატეხები (ტაბ. XII, ნახ. 4—5). ეს ფორმები უფრო ადრეული უნდა იყოს, ვიდრე ფაქიზად გაკეთებული, გვერდწახანავიანი, ტრაპეციის ფორმის სატეხ-სათლელები (ტაბ. XII-, სურ. 6—8), რომლებიც ამ კომპლექსებში მცირე რაოდენობით ჩნდება, ხოლო ენეოლითურ ძეგლებში ფართოდ ვრცელდება. ამგვარივე სატეხი ცნობილია თეთრიწყაროს № 1 ყორღანიდან.

აღნიშნულ კომპლექსებს ახასიათებს მეტად თავისებური მოყვანილობის სანაყები. ისინი წარმოადგენენ დიდი ზომის, ბუნებრივ, ბრტყელ ქვებს, შუაში ღრმულით. ასეთი სანაყები ცნობილია ოდიშიდან, კისტრიკიდან, გურიანთიდან და ანასეული II-დან, მსგავსი სანაყები ენეოლითურ ფენებში იშვიათია.

ოდიშის ტიპის ძეგლებში საწაფები კისტრიკს გარდა არსად არაა ცნობილი. ეს სრულიად ბუნებრივია, რადგან მეთევზეობა ყველაზე მეტად სწორედ ზღვისპირა მოსახლობებში უნდა ყოფილიყო განვითარებული.

ოდიშში, კისტრიკსა და ქვ. შილოვკაში დიდი რაოდენობითაა ნაპოვნი მაკროლითური ტექნიკით, ე. ი. ორმხრივი ათლით დამზადებული ნაწარმი, რომლებიც ხშირად დიდი ზომებით და „წერაქვისებური“ მოყვანილობით ხასიათდებიან. კისტრიკსა და ოდიშში ისინი უმეტესად რიყის ქვისაა, ხოლო ქვ. შილოვკაში, პირიქით, ჭარბობს კაყისა ან გაკაყებული ქვიშაქვისა. მსგავსი იარაღი გურიანთის, მამათისა და ანასეული II-ის კომპლექსებში არ არის. მაკროლითების შესახებ არსებობს გავრცელებული მოსაზრება, რომლის თანახმად მათი დიდი ნაწილი სხვადასხვა სახის იარაღებისა და განსაკუთრებით კი ცულების ნამზადებს უნდა წარმოადგენდეს. მეორე ნაწილი კი ხშირად მიჩნეულია საჩეხ იარაღად⁸⁴. თუმცა ზოგჯერ სამიწათმოქმედო იარაღების ფუნქციასაც მიაწერენ⁸⁵.

ის ფაქტი, რომ ოდიშში, კისტრიკსა და ქვ. შილოვკაში დიდი რაოდენობითაა მაკროლითები, ხოლო გურიანთაში, მამათსა და ანასეულ II-ში თითქმის არ არის, გვაფიქრებინებს, რომ მათი უმეტესობა გარკვეული დანიშნულების იარაღებს უნდა წარმოადგენდეს და არა ცულების ნამზადებს, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ამგვარი ნამზადები, თუ ამაზე მეტი არა, ამდენივე მაინც უნდა იყოს ანასეულ II-ში და გურიანთაში, რადგან ცულები ყველაზე დიდი რაოდენობით სწორედ ამ კომპლექსებში გვხვდება. მით უმეტეს, რომ ამ სადგომებზე მრავლადაა ნაპოვნი სხვადასხვა სახის წარმოების ნარჩენები და იარაღთა ნამზადები, რაც იმას მოწმობს, რომ იარაღების დასამზადებელი სახელოსნო სადგომის ტერიტორიაზე იყო.

მაკროლითური ტექნიკით დამზადებულ ნივთებს შორის შეინიშნება ფორმათა სხვადასხვაობა, რაც მათ განსხვავებულ ფუნქციას უნდა უკავშირდებოდეს. საეჭვოა, რომ ძირფართო და წვეწვრილი მაკროლითებისაგან (ტაბ. XXIII, ნახ. 1—4) ცულები დამზადებულიყო. აგრეთვე წვეწვრილი „წერაქვისმაგვარი“ მაკროლითები არ უნდა იყოს ცულის ნამზადები. მათი ფორმა აშკარად მოწმობს, რომ მათ ჰქონდათ სათხრელი თუ საჩეხი იარაღის დანიშნულება. აღნიშნული ფორმის მაკროლითები ცნობილია მხოლოდ ოდიშიდან და კისტრიკიდან. ზემოთქმული, რა თქმა უნდა, არ გამოორიცხავს მათ შორის

84 А. А. Формозов, А. Д. Столяр, დასახ. ნაშრომი, გვ. 104.

85 Л. Н. Соловьев, დასახ. ნაშრომი, გვ. 140.

ნამზადების არსებობას. ცულების ნამზადებს უნდა წარმოადგენდეს მაკროლითების მცირე ნაწილი, რომლებიც თავისი ფორმით დაუმთავრებელ ცულებს წააგავს და განსხვავდება წერაქვისმაგვარი იარაღებისაგან.

დასავლეთ საქართველოს სადგომებში ხშირად გვხვდება მაკროლითური ტექნიკით დამზადებული კაეის მცირე ზომის, მომრგვალო განიკვეთის იარაღი. მათი რიცხვი შედარებით მცირეა და დანიშნულებაც ჯერჯერობით გაურკვეველია. საფიქრებელია, რომ ზოგიერთ მათგანს რეტუშორების დანიშნულება ჰქონდა. ამგვარი იარაღი მცირე რაოდენობით ცნობილია ოდიშიდან, კისტრიკიდან და ანასეული II-დან.

განვიხილოთ რა ოდიშის ტიპის ძეგლების დამახასიათებელი ნიშნები, ახლა რვევხით მათ თარიღს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ალ. კალანდაძე ოდიშს ორფენიან, მეზოლითური და ნეოლითური ფენების შემცველ ძეგლად მიიჩნევდა. დანარჩენი არქეოლოგები კი, მიუხედავად იმისა ოდიშს ერთფენიანად თვლიდნენ თუ ორფენიანად, მის ნეოლითურ ფენას ადრეულ საფეხურს აკუთვნებდნენ. ნ. ხოშტარია ოდიშს ადრენეოლითურად მიიჩნევდა⁸⁶. საქართველოს არქეოლოგიის სახელმძღვანელოში ოდიში კამპინიის ტიპის ადრენეოლითურ ძეგლადაა მიჩნეული⁸⁷. ა. ფორმოზოვი კი ამტკიცებს ოდიშის ტიპის ძეგლების ერთფენიანობას და ცდილობს მათ საფუძველზე ამიერკავკასიის ადრენეოლითური ეტაპის დახასიათებას⁸⁸.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სადღესოდ კავკასიის შავიზღვისპირეთში ოდიშის ტიპის ძეგლების რიცხვი გაიზარდა. ვარდა ამისა უკვე ცნობილია კავკასიის პირველი ადრენეოლითური ძეგლები — ანასეული I, კისტრიშის ნამოსახლარები და დარკვეთის IV ფენა, რომელთა საშუალებით შესაძლებელია ადრენეოლითური საფეხურის დახასიათება. ხოლო ოდიშის ტიპის კომპლექსების დაწვრილებითმა ანალიზმა, მასალის ტიპოლოგიურ-შედარებითმა შესწავლამ ცხადყო, რომ ეს ძეგლები ძირითადად ერთმანეთის ანალოგიური და სინქრონულია და ნეოლითის უფრო განვითარებულ საფეხურს შეესატყვისებოან. კერძოდ კი მათ აქვთ გვიანი ნეოლითის დამახასიათებელი მთელი რიგი ნიშნები:

1. კერამიკა.
2. რიყის ქვის გახეხილ-გაპრიალებული იარაღების ფართო გამოყენება.
3. მიკროლითური ტექნიკის, გეომეტრიული ფორმებისა და მიკროიარაღების მაქსიმალური განვითარება.
4. მაკროლითური ტექნიკა.
5. „მოკოდვის“ ტექნიკა.
6. „მცოცავი“ რეტუშის ფართო გამოყენება მიკროლითების დამუშავებაში.
7. ზურგათლილი, მაღალი ტრაპეციები და სწორკუთხედები.
8. სამგვერდაბლაგვული დაბალი ტრაპეციები.
9. რკალდაბლაგვული სეგმენტები.

ეს ნიშნები სრულ საფუძველს გვაძლევს ოდიშის ტიპის ძეგლები (კისტრიკი, ნიუნაია შილოვკა, გურიანთა, მამათი, ანასეული II) გვიანი ნეოლითის საფეხურს მივაკუთვნოთ. აღნიშნული ნიშნები აშკარად განასხვავებს ამ კომპლექსს

⁸⁶ Н. В. Хоштария, Археологические разведки в бассейне р. Эгури, в 1940 г., 1940, გვ. 16 (ხელნაბეჭდი).

⁸⁷ საქართველოს არქეოლოგია, 1959, თბ., გვ. 54.

⁸⁸ А. А. Формозов, Неолит Крыма, стр. 174.

სებს დას. ამიერკავკასიის მეზოლითური და ადრენეოლითური ძეგლებისაგან.

დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითური კომპლექსების შესწავლის შედეგად მათი ქრონოლოგიური ურთიერთობა შემდეგი თანამიმდევრობით წარმოგვიდგება: ადრენეოლითურ საფეხურს უნდა ეკუთვნოდეს კინტრიშის ნამოსახლარები (ქობულეთი, ხუცუბანი) და ანასეული I, ხოლო გვიანნეოლითს — ე. წ. ოდიშის ტიპის ძეგლები (ოდიში, კისტრიკი, ნიენაია შილოვკა, გურიანთა, მამათი, ანასეული II).

მიუხედავად იმისა, რომ ოდიშის ტიპის ძეგლები ერთმანეთის ანალოგიურია, მათ შორის არის აგრეთვე მცირეოდენი განსხვავებაც, რაც უნდა გვიჩვენებდეს გვიანი ნეოლითის საზღვრებში ძეგლთა შორის არსებულ ქრონოლოგიურ თანამიმდევრობას.

კერამიკის საერთო დახასიათებიდან ჩანს, რომ ანასეული II-ის ორნამენტი დანარჩენ ძეგლებთან შედარებით გამდიდრდა ახალი ელემენტებით. მის ძირითად სახედ კვლავინდებურად რჩება „წიწვისა“ თუ „თავთავის“ გამოსახულება, თუმცა მასთან ერთად უკვე ჩნდება ტალღისებური და რელიეფური სახეები, რაც ოდიშში და გურიანთაში არ არის. ოდიშთან შედარებით ანასეულ II-ში კოპების რაოდენობა და ზომები მატულობს და ჩნდება თითო-ორთა რქისებური შვერილიც, ოდიშში კი მცირე რაოდენობით გვაქვს ოდნავ შესამჩნევი ბურცობები, ხოლო რქისმაგვარი შვერილები საერთოდ არ არის. კოპები და შვერილები არ არის გურიანთასა და მამათში. ანასეული II-ის ჭურჭლის პირები, შემკულობის მხრივ, დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ჭდეები, ტალღები და ღრმულები უამრავი სახეცვლილებებითაა წარმოდგენილი. ანასეულ II-სთან შედარებით ოდიშისა და გურიანთის ჭურჭლის პირები ერთფეროვანია. ოდიშის, გურიანთისა და მამათის ჭურჭლის ძირების უმრავლესობა ხასიათდება ძირიდან კედლებზე ქუსლიანი გადასვლით. ანასეულ II-ში კი ჭარბობს ძირები კედლებზე კუთხოვანი გადასვლით. ანასეულ II-სა და გურიანთაში გვაქვს შეზნეპილი ძირები, რაც არ არის ოდიშსა და მამათში. ანასეული II-ის კერამიკა ოდნავ უკეთაა გამოშვარი, ვიდრე დანარჩენი ძეგლებისა. ანასეული II-ის კერამიკა ზემოთ ჩამოთვლილი ახალი ელემენტების გაჩენის წყალობით ოდნავ უფრო ახალგაზრდად გამოიყურება, ვიდრე ამავე ჯგუფის დანარჩენი ძეგლები. მსგავსი სურათი ჩანს ქვის მასალის განხილვიდანაც. ოდიშში არის მარტივი, ორგვერდამუშავებული ტრაპეციები და რკალათილი სეგმენტები. მას, ისევე როგორც მეზოლითისა და ადრენეოლითის ძეგლებს, არ ახასიათებს სამგვერდდაბლაგვებული დაბალი ტრაპეციები, რაც იმის მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ ოდიშში ყველაზე მეტად ინახავს მეზოლითურ და ადრენეოლითურ ტრადიციებს, თუმცა ამავე დროს მასში არის გვიანი ნეოლითის ყველა ნიშანი (კერამიკა, მრავალრიცხოვანი ქვის გახეხილ-გაპრიალებული იარაღები, „მოკოდვითი“ ტექნიკა და მაღალი ზურგათილი სწორკუთხედები). რაც შეეხება ანასეულ II-ს, აქ გეომეტრიული მიკროლითების მთავარი ფორმებია სამგვერდდაბლაგვებული ტრაპეციები და რკალდაბლაგვებული სეგმენტები. მცირე რაოდენობითაა ორფერდამუშავებული ტრაპეციები, ზურგათილი, მაღალი სწორკუთხედები კი ოდიშსა და ანასეულ II-ში მთლიანად ერთნაირია. შედარება გვიჩვენებს, რომ ოდიშის ტიპის ძეგლებში გეომეტრიული მიკროლითები ყველაზე სუსტად ოდიშში ყოფილა განვითარებული, ხოლო ყველაზე მეტად კი ანასეულ II-ში.

აქვე გვინდა შევეხოთ მიკროლითურ ტექნიკას, რომელიც, როგორც ზე-

მთ ადვინშნეთ, დამახასიათებელია ოდიშის, კისტრიკისა და ნიჟნ. შილოვკისათვის, ხოლო ანასეულ II-ში მისი როლი ეცემა. აღნიშნული ფაქტი შეუძლებელია აიხსნას მეურნეობის თავისებურებით (ოდიშში და ანასეულში ერთნაირი ბუნებრივი პირობები და ნიადაგები). საფიქრებელია, რომ გვიანი ნეოლითის ადრეული ძეგლებისათვის ჯერ კიდევ დამახასიათებელი იყო მაკროლითური ტექნიკა, ხოლო ამავ საფეხურის მოგვიანო ნამოსახლარებზე იგი კარგავს თავის მნიშვნელობას.

გვიანი ნეოლითის ძეგლების ქვის მასალისა და კერამიკის ანალიზიდან ირკვევა, რომ ამ კომპლექსებს შორის ოდიში უფრო ადრეული უნდა იყოს, ვიდრე ანასეული II, ხოლო დანარჩენი ძეგლები მათ შორის უნდა მოთავსდეს. ცხადია, ამგვარი ქრონოლოგიური თანამიმდევრობა გვიანი ნეოლითის საზღვრებში უნდა ვიგულისხმოთ.

აქვე უნდა შევეხოთ დას. ამიერკავკასიის ნეოლითის აბსოლუტურ თარიღს. აქამდე ამ საკითხის გარკვევისას ამოსავალ წერტილად იყენებდნენ ძ. წ. III ათასწლეულის „მტკვარ-არაქსის“ კულტურის ძეგლებს. რადგან ნეოლითური კომპლექსები ქრონოლოგიურად წინ უსწრებდა „მტკვარ-არაქსის“ კულტურას, ამიტომ ისინი ძვ. წ. IV ათასწლეულით თარიღდებოდა⁸⁹. სადღეისოდ ამიერკავკასიის ნეოლითის აბსოლუტურ თარიღს უფრო მყარი საფუძველი გააჩნია. უკანასკნელ წლებში ამიერკავკასიაში აღმოჩნდა შუალედური ძეგლები (ქიულ-თეფე I-ის ქვედა ფენა, თოირა-თეფე, შულავერი, წოფი, სამეფე კლდე) „მტკვარ-არაქსის“ კულტურასა და ნეოლითურ კომპლექსებს შორის. რამდენიმე მათგანი დათარიღებულია რადიოქტიური მეთოდით:

ქიულ-თეფე I-ის 18,8 მ სიღრმიდან ამოღებულმა ნახშირმა შემდეგი თარიღი მოგვცა: 5570 ± 90 ე. ი. 3807 ± 90 ჩვ. წ.-მდე⁹⁰.

თოირა-თეფეს 2 მ სიღრმიდან (ენეოლითური ფენა) ამოღებულმა ნახშირმა მოგვცა თარიღი: 4295 ± 125 ჩვ. წ.-მდე⁹¹.

შულავერი I ორჯერაა დათარიღებული რადიოქტიური მეთოდით⁹². 2,2 მ სიღრმიდან აღებულმა ნახშირმა მოგვცა თარიღი: 5920 ± 300 წელი, ე. ი. 3954 ± 300 ჩვ. წ.-მდე. ხოლო 4,4 მ სიღრმიდან აღებული ნახშირი დათარიღდა 6625 ± 210 წ. ე. ი. 4659 ± 210 ჩვ. წ.-მდე. ორმეტრიანი ფენის დაგროვება მომხდარა დაახლ. 7 საუკუნის მანძილზე.

როგორც ჩანს, ქიულ-თეფე I ძვ. წ. IV ათასწლეულს განეკუთვნება, ხოლო შულავერის ქვედა ფენა და თოირა-თეფე კი ძვ. წ. V ათასწლეულით თარიღდება. აღნიშნულ ძეგლებს ქრონოლოგიურად წინ უსწრებს გვიანნეოლითური კომპლექსები. შუალედური კომპლექსების აღმოჩენა აქაც სავარაუდებელია, რის გამოც ჭირს წინასწარულად ძეგლების დათარიღება. ყოველ შემთხვევაში ერთი ცხადია, რომ ახალი აღმოჩენების შედეგად გვიანნეოლითური ძეგლების ხნოვანება იზრდება, მათი თარიღი ძვ. წ. VI ათასწლეულის აქეთ აღარ უნდა ვიგულისხმოთ.

⁸⁹ А. А. Формозов, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 149.

⁹⁰ ანალიზები გაკეთებულია სსრკ-ს ლაბორატორიაში („—477); *იხ.* А. А. Иессен, *Из исторического прошлого*, МИА, 125, М., 1965, стр. 12.

⁹¹ ანალიზება გაკეთებულია ბოშპეის ლაბორატორიაში; *იხ.* И. Г. Нариманов, *Древнейшая земледельческая культура Закавказья*, стр. 123.

⁹² А. А. Бурчуладзе, *Определение активности радиоуглерода пропорциональным счетчиком и ее применение для решения некоторых вопросов археологии Грузии*, Авторсферат, Тбилиси, 1966, стр. 10, ТБ-15, 16.

დასასრულს უნდა შევეხოთ არქეოლოგიურ ლიტერატურაში გავრცელებული ზოგიერთი ძეგლის თარიღს. ლითონი თავისი წარმოშობის ადრეულ საფეხურზე ვერ ცვლის ქვას, ამიტომ ამ დროის კომპლექსებში იგი ან საერთოდ არ გვხვდება, ან მეტად იშვიათია. ძირითად ელემენტებად გვევლინება ქვის მასალა და კერამიკა. ამის გამო ეს ფაქტი ხშირად იწვევს გაუგებრობას ენეოლითური ძეგლების დათარიღებისას. ამასთან დაკავშირებით, არქეოლოგიურ ლიტერატურაში სადავოდ ითვლება თეთრამიწისა და საგვარჯილეს „ნეოლითური“ ფენის თარიღი.

აღნიშნული კომპლექსები შეისწავლა ნ. ბერძენიშვილმა (კილაძე); თეთრამიწა მან ნეოლითის შუა საფეხურით დაათარიღა⁹³, ხოლო საგვარჯილეს II ფენა — ნეოლითით⁹⁴.

თეთრამიწისა და საგვარჯილეს ნეოლითური თარიღის შესახებ არაერთხელ იყო გამოთქმული ეჭვი⁹⁵.

უკანასკნელ წლებში აღმოჩენილი ნეოლითური ძეგლების შესწავლა-გათვალისწინება და ზემოაღნიშნული კომპლექსების დაწვრილებითი ანალიზი კიდევ უფრო საეჭვოს ხდის აღნიშნულ თარიღს.

შევეხოთ თეთრამიწისა და საგვარჯილეს „ნეოლითური“ კომპლექსების დამახასიათებელ ნიშნებს, მათ შემადგენელ ელემენტებს და შევადაროთ ისინი დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითურ ძეგლებს:

1. თეთრამიწისა და საგვარჯილეს კოლექციებს მიკროლითური ტექნიკა და გეომეტრიული ფორმის ჩასართები არ ახასიათებს. აღნიშნული ელემენტები კი, როგორც ზემოთ გვქონდა საუბარი, არის ერთერთი მთავარი ნიშანი დასავლეთ ამიერკავკასიაში დღემდე ცნობილი ნეოლითური ძეგლებისა. მიკროლითური ტექნიკის დაცემა, გეომეტრიული ფორმის ჩასართების გაქრობა და რიყის ქვის იარაღების სიჭარბე ახასიათებს ლითონის ხანის ძეგლებს (მღვიმე ოჩაქნი, ახშთირის ენეოლითური ფენა, მოლდოვკა, კაზახი ბროდი, ავეჩკა, პლასტუნკა, ბატარეიკა (სოჭის რ-ნი), ოჩამჩირის სადგომი).

მიკროლითური ტექნიკა და გეომეტრიული ფორმები გადანაშთის სახით გვხვდება ზოგიერთ ადრეენეოლითურ ძეგლზე (სამეღე კლდე, დარკვეთის ეხი, მეშოკო).

2. თეთრამიწისა და საგვარჯილეს კაეის ნაწარმი არ არის ბეჯითად და ფაქიზად დამუშავებული, როგორც ეს ნეოლითურ ძეგლებს ახასიათებს. იარაღების უმრავლესობა დამზადებულია ანატეკეებზე მაშინ, როდესაც დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითურ ძეგლებში ისინი თხელ და ვიწრო, სწორწახნაგა ლამელებზეა ჩამოყალიბებული.

⁹³ ნ. კილაძე (ბერძენიშვილი), ახალი ქვის ხანის ძეგლები თეთრამიწიდან, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკ. 29, 1951, გვ. 262, 264.

⁹⁴ ნ. კილაძე (ბერძენიშვილი), მრავალფენიანი არქეოლოგიური ძეგლი „საგვარჯილე“, საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. 14, 9, 1953, გვ. 56.

⁹⁵ А. А. Формозов, Неолит и энеолит северо западного Кавказа в свете последних исследований СА, № 3 1964, М.; Д. М. Тушабрамишвили, Итоги работ палеонтологической экспедиции Квирильского ущелья (Чиатурский район) за 1963—1964 гг. Материалы сессии посвященной итогам археологических исследований 1964 года в СССР (Тезисы докладов), Баку, 1965, стр. 55; Л. Д. Небиеридзе, О датировке некоторых неолитических памятников Грузии, Всесоюзная научная сессия, посвященная итогам археологических исследований 1966 года в СССР, Краткое содержание докладов, 1967, Кишинев.

3. თეთრამიწისა და საგვარჯილეს კოლექციებს საჭრისები არ ახასიათებს, ნეოლითურ ძეგლებში კი საჭრისების სიუხვე იქცევს ყურადღებას.

4. აღსანიშნავია თეთრამიწაზე ისრისპირების სიმრავლე (34 ცალი). ეს ფაქტი თავისთავად საინტერესოა, რადგან არც ერთ ნეოლითურ ძეგლზე არა გვაქვს ისრისპირების სიჭარბე. მათი მაქსიმალური რაოდენობა კომპლექსში ოთხს არ აღემატება. ისრისპირების დიდი რაოდენობა კი სწორედ ლითონის ხანის კომპლექსებისათვისაა დამახასიათებელი. საყურადღებოა ის, რომ თეთრამიწის ისრისპირებს შორის არ არის ლამელაზე დამზადებული, ცალმხრივდამუშავებული, მცირე ზომის ისრისპირები, რომლებიც გვხვდება გვიანი ნეოლითის კოლექციებში. თეთრამიწის ყველა ისრისპირი ანატექცზეა ჩამოყალიბებული და და ორმხრივდამუშავებულია. აღსანიშნავია თეთრამიწაზე ფუქიამოღარული ისრისპირი, რაც ჯერჯერობით არც ერთი ნეოლითური კომპლექსიდან არაა ცნობილი. ენეოლითისა და ბრინჯაოს ხანის ძეგლებში კი ისინი ხშირად გვხვდებიან. თეთრამიწის ფოთლისებური შუბისპირები ანალოგებს პოულოგენ დაბლაგომის მასალებში. ლ. სოლოვიოვი თეთრამიწისა და ვორონცოვის მღვიმის ისრისპირებს შორის დიდ მსგავსებას პოულობს⁹⁶. თეთრამიწისა და ლითონის ხანის ისრისპირების ფორმებში მსგავსებას პოულობს ბ. პიოტროვსკიც⁹⁷.

5. თეთრამიწისა და საგვარჯილეს კომპლექსებში აღსანიშნავია რიყის ქვის გახეხილ-გაპრიალებული იარაღების სიმრავლე. თუმცა ისინი თავისი ფორმით განსხვავდებიან ნეოლითურისაგან. რიყის ქვის იარაღებში წამყვანი ადგილი უჭირავს ტრაპეციისა ან სამკუთხედის ვანიგვეთის მქონე, მომადლო სათლეს-სატეხებს, ხოლო ცულების რაოდენობა შედარებით ნაკლებია. დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითურ ძეგლებში კი პირიქით, წამყვანი ადგილი ცულებს ეკუთვნის. საგვარჯილესა და თეთრამიწაზე არ გვხვდება ნეოლითისათვის დამახასიათებელი ცულის ფორმები. აქ ძირითადად წარმოდგენილია ე. წ. ცალპირლესილი ცულები, რომლებიც ლითონის ხანაში ფართოდაა გავრცელებული. ასევე ზემოთ აღნიშნული ფორმის სატეხ-სათლეები დამახასიათებელია ლითონის ხანის ძეგლებისათვის (ახშთირი, ნავალიშინო, ვორონცოვის მღვიმე, სამეღე და სამერცხლე მღვიმეები), ხოლო რაც შეეხება ნეოლითურ ძეგლებს, მათში მსგავსი იარაღები მხოლოდ ჩასახვის პროცესშია. ლ. სოლოვიოვი მსგავსებას პოულობს ვორონცოვის მღვიმის ცულებსა და საგვარჯილეს ცულებს შორის⁹⁸.

6. დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითურ სადგომებზე ჯერჯერობით არაა ცნობილი ე. წ. „სოჭი-ადლერის“ ტიპის თხები, რომლებიც დამახასიათებელია დასავლეთ ამიერკავკასიის ლითონის ხანის ძეგლებისათვის. მსგავსი თხები ნაპოვნია მდ. მზიმთაზე ახშთირის მახლობლად, მოლდოვკაში, კაზაჩი ბროდში, ს. ხეივანში და ბარანოვკაში, ადლერის რაიონში (ბოსტნეულის საბჭოთა მეურნეობასა და ფრუნჯეს სახ. საბჭოთა მეურნეობასთან) სოჭის მახლობლად—ავეჩკასთან, პლასტუნკასთან და ბატარეიკაზე⁹⁹, ოჩამჩირის სადგომზე¹⁰⁰. აღნიშნუ-

⁹⁶ Л. Н. Соловьев, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 139.

⁹⁷ Б. Б. Пиотровский, *Археология Закавказья*, 1949. Л., стр. 28.

⁹⁸ Л. Н. Соловьев, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 140.

⁹⁹ В. И. Марковин, Р. И. Мунчаев, *О двух типах каменных орудий Северного Кавказа*; КСИА АН СССР, 84, 1961.

¹⁰⁰ Л. Н. Соловьев, *Энеолитическое селище у Очамчирского порта в Абхазии*, сб. «Материалы по истории Абхазии», Труды Аб НИИ Груз. ФАН, вып. 15, Сухуми, 1939.

ლი ფორმის თოხები ცნობილია წინა აზიის ძეგლებიდან — სიალკ I¹⁰¹, ხასუნა¹⁰², სუზი¹⁰³, ჯემდეთ-ნასრი¹⁰⁴, თეთრამიწაზე ნაპოვნი თოხების ზოგიერთი ეგზემპლარი ახლოსაა ამ იარაღებთან. თეთრამიწის თოხების მსგავსი იარაღები ნაპოვნია ახშთირის ზედა ფენაში¹⁰⁵.

7. თეთრამიწაზე და საგვარჯილეში ნაპოვნია მოგრძო ფორმის ხელსაფქვავეები, ნეოლითისათვის კი დამახასიათებელია ბრტყელი ოთხკუთხა ან მომრგვალო ხელსაფქვავეები შუაში ღრმულით (ოდიში, გურიანთა, ანასეული II). მოგრძო მოყვანილობის ხელსაფქვავეები გვხვდება კავკასიის ლითონის ხანის ძეგლებში (ახშთირი, ვორონცოვის მღვიმე, ოჩამჩირის ნამოსახლარი, აგუბეკოვოს ნამოსახლარი).

8. კაყის დაკბილული, ორმხრივდამუშავებული ნამგლისპირები თეთრამიწისა და საგვარჯილეს მასალების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. ამგვარი იარაღები არ არის ცნობილი ამიერკავკასიის, წინა და შუა აზიის ნეოლითური ძეგლებიდან. ნეოლითის ხანაში მათ მაგივრობას სწევენ სწორწახნაგა ლამელები ან ლამელის განივი ნატეხები. ნამგლისპირები არ ახასიათებს არც ამიერკავკასიისა და წინა აზიის ადრესამიწათმოქმედო კულტურის ძეგლებს (წოფი, შომუთეფე, თოირა-თეფე, განლი-თეფე, ხასუნა, სიალკ I...). კაყის დაკბილული ნამგლისპირები გვხვდება „მტკვარ-არქისი“ კულტურის ნამოსახლარებში.

9. თეთრამიწისა და საგვარჯილეს ახასიათებს კვირისთავეები, რაც დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითური ძეგლებიდან არაა ცნობილი. კვირისთავეები არ გვხვდება არც სამხრეთის ნეოლითურ კომპლექსებში. ამიერკავკასიისა და წინა აზიაში ისინი ლითონის ხანაში ჩნდება (ახშთირი, ვორონცოვის მღვიმე, ოჩამჩირე, მერსინი, ამუკი).

10. აღსანიშნავია კიდევ ერთი საინტერესო ელემენტი ამ კომპლექსებისა. ესაა ქვის სამაჯურები. თეთრამიწაზე ისინი მერგელისაგანაა დამზადებული, საგვარჯილეში კი ქვისა და თიხისაგან. სამაჯურები არაა ცნობილი ამიერკავკასიისა და წინა აზიის ნეოლითური ძეგლებიდან. მათი გაჩენა ლითონის ხანას ემთხვევა. თეთრამიწის მსგავსი სამაჯურები აღმოჩენილია მღვიმე ოჩაყნიში¹⁰⁶, ნალჩიკის სამაროვანზე¹⁰⁷, მეშოკოს ქვედა ფენაში, სკალასა და ვესიოლის ნამოსახლარებზე, კამენომოსტსკაიას ზედა ფენაში¹⁰⁸, საჩხერის სამაროვანზე¹⁰⁹. აღნიშნული ძეგლებიდან არც ერთი არ ეკუთვნის ნეოლითს, ისინი ლითონის ხანის სხვადასხვა საფეხურს განეკუთვნება. მსგავსი მდგომარეობაა წინა აზიაში. ქვის სამა-

¹⁰¹ R. Chirshman. Fouilles de Sialk pres de Kashan, Paris, 1938, ტაბ. LVII. 9.

¹⁰² Seton Lloyd, Fuad Safar. Tell Hassuna INES, IV, 4, Chicago, 1945, ნახ. 19—20.

¹⁰³ I-de Morgan. La Prehistoire orientall, III, Paris, 1927, ნახ. 89, 103—104.

¹⁰⁴ E. Mackay. Report on Excavations at Imdat Nasr. Iraq. „Field Museum of Natural History, Anthropology, Memoriss“, I, 3, 1931, ნახ. LXXV, 10.

¹⁰⁵ Б. Б. Пиотровский. დასახ. ნაშრომი, გვ. 28.

¹⁰⁶ Л. Н. Соловьев, указ. соч., стр. 141.

¹⁰⁷ А. П. Круглов, Б. Б. Пиотровский, Г. В. Подгаевский, Могильник в Нальчике, МИА. № 3, 1941, таб. V, VI.

¹⁰⁸ А. А. Формозов, Неолит и энеолит, стр. 17.

¹⁰⁹ Б. А. Куфтин. К вопросу о ранних стадиях бронзовой культуры на территории Грузии, КСИИМК, VIII, 1940, стр. 1; საქ. სახ. მუზეუმის არქეოლოგიური ფონდები. კვლ. 9—61—112; 10—61—69, 70.

ქურები აქ ნეოლითის შემდგომ საფეხურზე ჩნდება. თეთრამიწისა და საგვარჯილეს (II ფენა) მასალის ანალიზიდან ჩანს, რომ დასავლეთ ამიერკავკასიის გვიან ნეოლითის ძეგლები ქრონოლოგიურად მათ წინ უსწრებს. თეთრამიწისა და საგვარჯილეში უკვე გვაქვს კარგად განვითარებული სოლისებური და გახვრეტილი ცულები, კაყის დაკბილული ნამგლისპირები, კვირისთავეები, მოგრძო ხელსაფეკვავეები, სამაჯურები, ყურიანი და პირგადაშლილი სხვადასხვა ფორმის თიხის ტურქული, ე. ი. ყველა ის ნიშანი, რაც დამახასიათებელია ლითონის ხანის ძეგლებისათვის.

ზემოთქმული და აგრეთვე ის ფაქტი, რომ საგვარჯილეს „ნეოლითური“ ფენის ზედა ნაწილში ნაპოვნია თვითნაბადი სპილენძისაგან დამზადებული ოთხწახნაგა სადგისი და მცირე ზომის ანკესები, ცხადყოფს, რომ აღნიშნულ ძეგლებს ნეოლითს ვერ მივაკუთვნებთ. როდესაც ჩვენ თეთრამიწის ლითონის ხანის ძეგლებს მივაკუთვნებთ, მხედველობაში გვაქვს თეთრამიწის ის კოლექცია, რომელიც ნეოლითითაა დათარიღებული¹¹⁰, არქეოლოგიურ ლიტერატურაშია შესული და შეტანილია არქეოლოგიის სახელმძღვანელოში. როგორც მასალის მოყვანილი ანალიზი ცხადყოფს, აღნიშნული კოლექციის მთავარი და ძირითადი ნაწილი ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანას განეკუთვნება: სწორედ ამის გამო არა ერთმა არქეოლოგმა (პიოტროვსკი, ფორმოზოვი, სოლოვიოვი¹¹¹) აღნიშნა თეთრამიწისა (იგულისხმება ეს გამოქვეყნებული კოლექცია) და საგვარჯილეს (ლიტერატურაში ცნობილი „ნეოლითური“ ფენა) დიდი მსგავსება ადრე ლითონის ხანის ძეგლებთან — მეშოკო, სკალა, ნალჩიკის სამაროვანი და ვორონცოვის მღვიმის მასალები.

საერთოდ კი რაც შეეხება თეთრამიწას, მთლიანად იგი მრავალფენიანი ძეგლია¹¹². ჩვენს მიერ თეთრამიწაზე 1960 წ. და მას შემდეგაც არაერთხელ ყოფილა შეგროვებული მუსტიეური ქვის მასალა თუ ანტიკური ხანის კერამიკა. ს. ჯანაშიას სახ. სახელმწიფო მუზეუმის ქვის ხანის ფონდში დაცულია თეთრამიწის მუსტიეური და ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანის მასალა. 1968 წ. ნ. ბერძენიშვილის მიერ თეთრამიწაზე ნანახ სამშენებლო თხრილის ქრილში ნაპოვნი იყო სხვადასხვა დროის მასალა, რამაც კიდევ ერთხელ დაადასტურა ამ ძეგლის მრავალფენიანობა. როგორც ჩანს, ეს ბორცვი სამოსახლოდ ხანგრძლივი დროის მანძილზე იყო გამოყენებული (მუსტიედან ანტიკურ ხანამდე). ცხადია, ასეთ ვითარებაში არ უნდა გამოირიცხოს აქ ნეოლითური ფენისა თუ მისი ელფერის მასალის პოვნა. როდესაც უარვყოფთ თეთრამიწისა და საგვარჯილეს ნეოლითურ თარიღს, ვგულისხმობთ თეთრამიწის ნეოლითით დათარიღებულ, გამოქვეყნებულ კოლექციას და საგვარჯილეს არქეოლოგიურ ლიტერატურაში შესულ და მუზეუმში დაცულ მასალებს. ამ კომპლექსების თარიღის გარკვევას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან კავკასიის ლითონის ხანის მთელი რიგი ძეგლები ნეოლითურად ითვლებოდა. კომპლექსები, რომლებშიც გამქრალი იყო მიკროლითური ტექნიკა, ხოლო ქვის მასალას წამყვანი ადგილი ეჭირა, ნეოლითურად იყო მიჩნეული. ასეთი იყო: აგუბეკოვოს ნამოსახლარი, ნალ-

110 ნ. კ. ი. ლაძე (ბერძენიშვილი), დასახ. ნაშრომი.

111 Л. Н. Соловьев, დასახ. ნაშრომი, გვ. 139, 149, 141; А. А. Формозов, დასახ. ნაშრომი, გვ. 20. Б. В. Пиотровский, დასახ. ნაშრომი, გვ. 28, 29.

112 დ. თუ შაბრაძის მიხედვით, ლ. ნებიერიძე, საქართველოს ნეოლითური და ნეოლითური კულტურის ურთიერთობისა და ქრონოლოგიის საკითხისათვის, 1967 (ხელნაბეჭდი).

ჩიკის სამაროვანი, ადლერის სადგომები, ახშთირის ზედა ფენა, ვორონცოვის მღვიმის „ნეოლითური“ ფენა და სხვები. მათი საშუალებით ხასიათდებოდა ნეოლითის გვიანი საფეხური კავკასიაში¹¹³.

ახლადაღმოჩენილი ნეოლითური და ენეოლითური კომპლექსების შესწავლის საფუძველზე ისმის საკითხი ამ ძეგლების თარიღის გადასინჯვისა. ნეოლითის გვიანი საფეხურის დახასიათება მართებული უნდა იყოს ოდიშის ტიპის ძეგლებით.

¹¹³ А. А. Формозов, Неолит Крыма, стр. 126—129, 146; Л. Н. Соловьев, Новый памятник, стр. 135—146.

დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითის ადგილი კავკასიის
კულტურის განვითარების ისტორიაში

დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითური კულტურის ზემოთ მოყვანილი დახასიათებიდან ჩანს, რომ ამ ტერიტორიაზე ვვაქეს ძეგლების ორი ქრონოლოგიური ჯგუფი (ადრე და გვიანი ნეოლითი). მათი შესწავლისას გაირკვა, რომ თითოეულ ჯგუფს აქვს თავისი დამახასიათებელი ნიშნები, რაც ანსხვავებს მათ წინმავალი საფეხურის ძეგლებისაგან. ადრენეოლითურ და გვიანნეოლითურ კომპლექსებს განვითარების ერთიანი ხაზი აკავშირებს. ყოველივე ეს კი მიუთითებს დას. ამიერკავკასიის ტერიტორიაზე ნეოლითის ხანაში ერთიანი კულტურის არსებობაზე.

წინა თავში განვიხილეთ ადრე და გვიანნეოლითური ძეგლების დამახასიათებელი ნიშნები, გაირკვა, რომ გვიანნეოლითის, ადრენეოლითისაგან განსხვავებით ახასიათებს თვისობრივად ახალი ნიშნები; კერამიკა, „მცოცავი“ რეტუში, იარაღების ორმხრივი დამუშავება, ზურგათილი გეომეტრიული მიკროლითები, რკალდაბლაგვებული სემენტები, მიკროლითური ტექნიკა, „მოკოდვის“ ტექნიკა. არის კიდევ ნიშნები, რაც განასხვავებს გვიანნეოლითს ადრენეოლითისაგან. მაგრამ ისინი არ არის თვისობრივად ახალი. ასეთებია: რიყის ქვის გაპრიალებული იარაღების ფართო გამოყენება, განსხვავება მათ ფორმებში; მიკროლითური ტექნიკის მაქსიმალური განვითარება, გეომეტრიული მიკროლითების, საფხეკების, საჭრისების, სახერტებისა და სხვა იარაღების ცვლილებები (ფორმებისა და რაოდენობრივი).

ზემოთ ჩამოთვლილი ახალი ნიშნები საერთოა დასავლეთ ამიერკავკასიის ყველა გვიანნეოლითური ძეგლისათვის. ამ საერთო ნიშნებით დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითი განსხვავდება ჩრდილო კავკასიის, ყირიმის, სამხ. უკრაინისა და წინა აზიის ნეოლითური კულტურებისაგან. ეს ის ნიშნებია, რომლებიც დას. ამიერკავკასიის ნეოლითს გამოყოფს მეზობელი ტერიტორიის კულტურისაგან. ცხადია, ეს განსხვავება არ გამორიცხავს, რომ დას. ამიერკავკასიის ნეოლითურ კულტურას აქვს აგრეთვე ზოგიერთი საერთო ნიშანიც მეზობელ კულტურებთან, რაც ნეოლითური ტომების კულტურული ურთიერთობის შედეგია უნდა იყოს. ამ საკითხს ქვემოთ შევხებით.

მასალის შესწავლამ გვიჩვენა, რომ დას. ამიერკავკასიის გვიანი ნეოლითის ახალმა ნიშნებმა სხვადასხვა ძეგლებში განსხვავებული ასახვა ჰპოვა. შევხებით მათ ცალ-ცალკე.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დას. ამიერკავკასიის ძეგლებისათვის დამახასიათებელია სრულიად ერთგვაროვანი კერამიკა (ჭურჭლის ერთნაირი დამზადების

წესი, ფორმა, კეცის ფაქტურა, გამოწვეა). განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ოდიშის, გურიანთისა და ანასეული II-ის კერამიკას ახასიათებს ორნამენტი, კისტრიკისა და ნიჟნ. შილოვკისას კი არა. ოდიშის, გურიანთისა და ანასეული II-ის ჭურჭლის პირების უმეტესობა დაქდებულია, კისტრიკისა და ნიჟნ. შილოვკის ჭურჭელს კი სადა და სწორი პირი ახასიათებს. დას. ამიერკავკასიის ერთგვაროვანი კერამიკის შიგნით სხვა განმასხვავებელი ნიშნები არ არის.

დას. ამიერკავკასიის გვიანნეოლითურ ძეგლებს ახასიათებს კიდევ ერთი სრულიად ახალი ნიშანი, რაც წინა საფეხურებზე არ გვხვდება — „მოცავი“ რეტუშით ზურგათლილი გეომეტრიული მიკროლითები. მაგრამ იმ განსხვავებით, რომ ოდიშში, გურიანთაში და ანასეულ II-ში ისინი გვაქვს ობსიდიანის მაღალი, ზურგათლილი სწორკუთხედების სახით, კისტრიკში და ნიჟნაია შილოვკაში კი კაჟის მაღალი, ზურგათლილი ტრაპეციები. ფუნქციურად ეს ერთი და იგივე იარაღებია.

კისტრიკსა და ნიჟნ. შილოვკას ახასიათებს და რეტუშით თავგამოყვანილი ლამელები. ოდიშში, გურიანთასა და ანასეულ II-ში კი ამგვარი იარაღები არ არის.

ამ განსხვავებამ გვიჩვენა, რომ დას. ამიერკავკასიის გვიანნეოლითური ძეგლების არსებული ერთიანობის შიგნით ცალკეულ კომპლექსებს აქვს თავისი განმასხვავებელი ნიშნებიც, რის მიხედვითაც ეს ძეგლები ორ ჯგუფად იყოფა: ერთს ახასიათებს ორნამენტირებული კერამიკა, ჭურჭლის პირის დაქდევა და ობსიდიანის მაღალი, ზურგათლილი სწორკუთხედები (ოდიში, გურიანთა, ანასეული II), მეორეს — არაორნამენტირებული კერამიკა, ჭურჭლის სადა პირი, კაჟის მაღალი, ზურგათლილი ტრაპეციები და რეტუშით თავგამოყვანილი ლამელები (კისტრიკი, ნიჟნ. შილოვკა). მართალია, ეს ნიშნები ჯერჯერობით ცოტაა, მაგრამ გუდაუთისა და ადღერის რაიონებში ნეოლითური ძეგლების რაოდენობის გაზრდასთან ერთად, შესაძლოა ისინი უფრო მკაფიოდ გამოიყოს.

ისმის საკითხი, რამ განაპირობა ძეგლების ეს განსხვავება — ლოკალურმა თავისებურებამ თუ ქრონოლოგიურმა მომენტმა?

წინა თავში აღვნიშნეთ, რომ ოდიშის ტიპის ძეგლებში მცირეოდენი ქრონოლოგიური განსხვავებაა (გვიანი ნეოლითის საზღვრებში). ქვის მასალის ტიპოლოგიურ-შედარებითი შესწავლის საფუძველზე გაირკვა, რომ კისტრიკისა და ქვ. შილოვკის ქვის ინვენტარი უფრო განვითარებულია, ვიდრე ოდიშისა, სადაც ორნამენტიანი კერამიკა და ქდელუპირიანი ჭურჭლებია. ასე, რომ კისტრიკისა და ქვ. შილოვკის უორნამენტობას ვერ ავხსნით ამ კომპლექსების შედარებითი არქაულობით.

კომპლექსებში სხვადასხვა იარაღის (ფუნქციურად იგივე) ესა თუ ის შეფარდება, ასევე განსხვავება მოხაზულობაში, დამუშავების ტექნიკაში ან სხვა წერილობრივ განსაზღვრავნაში თუ იმ ლოკალურ კულტურას. მაგრამ ეს განსხვავება არ უნდა დაუკავშირდეს ბუნებრივი პირობების ან მეურნეობის თავისებურებას¹.

¹ Н. О. Бадер, Историко-культурные области верхнепалеолитического и мезолитического времени в восточном Средиземноморье. Диссер. работа на соискание ученой степени канд. исторических наук (рукопись), Институт Археологии, стр. 64.

მ. ფოსი თვლის, რომ ორნამენტის ერთიანობა საგულისხმებელია გარკვეულ ლოკალურ თუ ეთნიკურ ჯგუფში².

ძეგლების ამ ორი ჯგუფის სახით საქმე უნდა გვექონდეს დას. ამიერკავკასიის ერთიანი გვიანნეოლითური კულტურის შიგნით არსებულ ორ ლოკალურ ვარიანტთან. გამორიცხული არ არის აგრეთვე, რომ თითოეული მათგანი გარკვეულ ეთნიკურ ჯგუფს შეესატყვისებოდა.

დას. ამიერკავკასიის ტერიტორიაზე ადრენეოლითური ძეგლების სიმცირის გამო არ ხერხდება ამ საფეხურზე ლოკალური კულტურების გამოყოფა. ამავე მიზეზის გამო არ არის დადგენილი დას. ამიერკავკასიის ერთიანი ნეოლითური კულტურის ზუსტი გავრცელების საზღვრები, ხოლო რაც შეეხება გვიანნეოლითური კულტურის ლოკალურ ვარიანტებს, საფიქრებელია, რომ პირველი მათგანი მოიცავდა დღევანდელი გურია-სამეგრელოს ტერიტორიას (გურიანთა, ანასეული II, ოდიში), მეორე კი აფხაზეთის ტერიტორიასა და ადღერის რაიონს (კისტრიკი, ნიყნაია შილოვკა).

ახალი ნეოლითური ძეგლების შემდგომი აღმოჩენა დაზუსტებს დას. ამიერკავკასიის ნეოლითური კულტურის ლოკალური ვარიანტების გავრცელების საზღვრებს.

დას. ამიერკავკასიის ნეოლითური კულტურის ნიშნებიდან განსაკუთრებით უნდა შევეხოთ თიხის ჭურჭელს მეტად თავისებური ორნამენტითა და ქდეული პირით. დას. ამიერკავკასიის ორნამენტირებულ კერამიკას (ოდიში, გურიანთა, ანასეული II) ახასიათებს კომპოზიციის ერთგვარობა. მას საფუძვლად უდევს ძირითადად მცენარეული წარმოშობის ორნამენტი, რომელიც წარმოდგენილია „წიწვებისა“ თუ „თავთავების“ სახეების სხვადასხვა ვარიაციებით. დასავლეთ საქართველოს კერამიკაზე დამოწმებული ორნამენტი სრულიად განსხვავდება სტეპების, ტყე-სტეპებისა და ტყიანი ზოლის ნეოლითური ორნამენტისაგან. არაფერი საერთო არა აქვს მას არც ყირიმის ნეოლითური კერამიკის შემკულობასთან. განსხვავებულია აგრეთვე აღნიშნული რაიონების ჭურჭლების არქიტექტონიკა და დამზადების წესი.

მახლობელ აღმოსავლეთში ნეოლითური კერამიკა ჯერ კიდევ სუსტადაა შესწავლილი. წინა აზიის ნეოლითური კულტურა ხშირად ხასიათდებოდა ისეთი ძეგლებით, როგორცაა ხასუნა, სილკ I, მერსინი, ხალაფი და სხვები, მაშინ, როდესაც ისინი წარმოადგენენ განვითარებული სამიწათმოქმედო კულტურის ძეგლებს. სადღეისოდ უკვე დასმულია საკითხი ამ ძეგლების თარიღის გადასინჯვისა³. რაც შეეხება ნამდვილ ნეოლითურ კომპლექსებს, ისინი ცოტაა და არც თუ ისე კარგადაა შესწავლილი. მათგან შედარებით უკეთაა გამოკვლეული სირიისა და ჩრდილო ერაყის ძეგლები (იერიქონი, ჯარმო). უნდა აღვნიშნოთ, რომ დას. ამიერკავკასიის ნეოლითურ ორნამენტს ჯერჯერობით პარალელები არ მოეძებნება არც წინა აზიისა და არც ჩრდილოეთის სინქრონულ კომპლექსებში. ხოლო მოგვიანრო პერიოდებში, „წიწვიანი“ თუ „თავთავიანი“ ორნამენტი ცნობილია მთელს კავკასიაში, ყირიმსა და მახლობელ აღმოსავლეთში. აღნიშნული ორნამენტი ცნობილია ტაშ-აირ IV ბ ჰორიზონტიდან. ა. კრაინოვი აღნიშნავს, რომ „წიწვიანი“ სახეები ამ ფენაში პირველად ჩნდება

² М. Е. Фосс, Древнейшая история севера европейской части СССР, МИА, № 9, 1952, М., стр. 54.

³ В. М. Массон, Древнеземледельческие племена южной Туркмении и их связи с Ираном и Индией, ВДИ, 1957, № 1, стр. 32.

და რომ ეს ჭურჭელი არც ფორმით და არც ორნამენტით არ უკავშირდება ამავე ძეგლის უფრო წინა პერიოდების კერამიკას. მისი აზრით, „წიწვიანი“ ორნამენტი უნდა იყოს შედეგი ყირიმის მთისწინა ზოლში ახალი ეთნიკური ჯგუფების შეჭრისა⁴. აღნიშნული ორნამენტი დამახასიათებელია აგრეთვე კატაკომბური კულტურისათვის⁵.

არქეოლოგიურ ლიტერატურაში აღიარებულია ორნამენტის როგორც დეკორატიული, ისე მაგიურ-რელიგიური მნიშვნელობა. იგი ამკობს ჭურჭელს, მასში იგრძნობა პირველყოფილი საზოგადოების რიტმისა და სილამაზის გრძნობა⁶. ამავე დროს ზოგიერთი მკვლევარი თვლის, რომ ორნამენტი პირველყოფილი საზოგადოების განვითარების ადრეულ საფეხურზე იხმარებოდა არა მარტო „შესამკობად“, არამედ მას ჰქონდა საკულტო მაგიური მნიშვნელობაც⁷. საბუთად მოჰყავთ ის, რომ ზოგიერთი ძეგლის (ბალახნინის, პლეხანოვის ბორი) ნეოლითურ კერამიკაზე ორნამენტი ჭურჭლის შიგნით — კედლებსა და ძირებზეა გაკეთებული. საფიქრებელია, რომ „წიწვიანი“ თუ „თავთავიანი“ ორნამენტის სხვადასხვა სახეების კავშირი მათი სემანტიკური ერთიანობის შედეგია. შესაძლებელია, განვითარების ადრეულ საფეხურზე დეკორატიულობა და სემანტიკა ერწყმოდა ერთმანეთს. მასალების სიმკირის გამო ძნელდება ამ ერთგვაროვანი ორნამენტის სემანტიკის საკითხის დასმა.

აქვე გვინდა შევეხოთ არქეოლოგიურ ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებას კავკასიის კერამიკის შესახებ. არქეოლოგი ა. ფორმოზოვი აღნიშნავს, რომ კავკასიის ნეოლითურ კერამიკას ორნამენტი არ ახასიათებს⁸. ასეთი დასკვნა მას გამოაქვს კისტრიკისა და ქვ. შილოვკის კერამიკის საფუძველზე და ავრცელებს მას მთელ კავკასიაზე. ეს მითუმეტეს გასაკვირია, რადგან თავისივე ნაშრომის 125-ე გვერდზე (სურ. 14) მას მოცემული აქვს ოდიშის ოთხი ორნამენტირებული ნიმუში, ხოლო იქვე აღნიშნავს, რომ ოდიშის კოლექციაში არის ათიოდე ორნამენტირებული ფრაგმენტი. ა. ფორმოზოვი გულისხმობს ოდიშის პატარა კოლექციას, რომელიც დატულია ლენინგრადში⁹, ხოლო ოდიშის ძირითად კომპლექსს, გურიანთისა და ანასეული II-ის დიდ კერამიკულ კოლექციებს, რომლებშიც უხვადაა ორნამენტირებული ნიმუშები, იგი არ ითვალისწინებს.

დას. ამიერკავკასიის გვიანნეოლითური ძეგლების საერთო დამახასიათებელი ნიშნებიდან უნდა აღვნიშნოთ სახვრეტ-ბურღებისა და დანების მეტად თავისებური სერიები. ამ იარაღებს პარალელები არა აქვს ჩრდილოეთისა და სამხრეთის ნეოლითურ კულტურებში.

ასევე მეტად თავისებური ფორმაა ობსიდიანის მალაღი, ზურგათილი სწორკუთხედეები, რომლებიც ჭერჭერობით მხოლოდ დასავლეთ საქართველოდანაა ცნობილი.

4 Д. А. Крайнов, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 164, ტაბ. სურ. 4.

5 იქვე, გვ. 49.

6 Е. Ю. Кричевский, *Орнаментация глиняных сосудов у земледельческих племен*, Уч. записки, серия ист. наук, вып. 13, ЛГУ, 1949, стр. 56.

7 М. В. Воеводский, *К изучению гончарной техники первобытного коммунистического общества на территории лесной зоны европейской части РСФСР, ССР*, т. I, 1936, стр. 65.

8 А. А. Формозов, *Неолит Крыма*, стр. 143.

9 ლენინგრადის ანთროპოლოგიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმი, კოლ. № 5492; 5493.

რიყის ქვის გახეხილ-გაპრიალებული იარაღების სიმრავლე და ფორმების მრავალფეროვნება დამახასიათებელია დას. ამიერკავკასიისათვის. ყირიმში და წინა აზიის ძეგლებში ამგვარი იარაღები შედარებით მკრთალადაა წარმოდგენილი.

ნეოლითური კულტურის ზემოთ განხილული ზოგადი და ლოკალური ნიშნები საშუალებას გვაძლევს ვილაპარაკოთ დას. ამიერკავკასიის ერთიან, მეტად თავისებურ კულტურაზე და მის შიგნით არსებულ ორ ლოკალურ ვარიანტზე.

ადრენეოლითური კომპლექსების განხილვისას, იარაღების ფორმებში და დამუშავების ტექნიკაში აშკარად ჩანდა მეზოლითური ტრადიციების გაგრძელება, რასაც ჩვენ წინა თავში გავუსვით ხაზი. მეზოლითური ტრადიციების გაგრძელება საკმაოდ მკაფიოდ ჩანს აგრეთვე გვიანნეოლითურ კომპლექსებში. ამ ძეგლებში ახალ გეომეტრიულ ფორმებთან (სამგვერდდამუშავებული ტრაპეციები, ბლაგვზურგა სეგმენტები, ზურგათილი, მაღალი ტრაპეციები და სწორკუთხედები) ერთად ჯერ კიდევ საკმაოდ ხშირად გვხვდება ორგვერდდამუშავებული ტრაპეციები და რკალათილი სეგმენტები. უკანასკნელები კი დამახასიათებელია ზედაპალეოლითური და მეზოლითური კოლექციებისათვის. სამგვერდდამუშავებული ტრაპეციების პროტოტიპი უნდა იყოს დას. აკავკასიის მეზოლითში ცნობილი (ქვაჭარა, ჯამპალი) სამგვერდრეტუშირებული, დიდი ზომის სწორკუთხედები, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ დაწყებული ზედა პალეოლითიდან გვიანნეოლითამდე აშკარად შეინიშნება ამ ფორმების დახვეწა და სრულყოფა. ოდიშის ტიპის ძეგლებში კიდევ გვხვდება თითო-ორი ბლაგვზურგა ლამელა, რომელიც ფართოდაა დამახასიათებელი ზედაპალეოლითური და მეზოლითური კომპლექსებისათვის.

გვიანნეოლითურ ძეგლებში განაგრძობს არსებობას საფხეკებისა და საჭრისების მეზოლითური და ადრენეოლითური ფორმები.

ადრენეოლითური ცულებისა და სათლელ-სატეხების ფორმები თანაარსებობენ გვიანნეოლითურ კომპლექსებში ახალთან ერთად.

მასალების შედარებამ ცხადყო, რომ დას. ამიერკავკასიის გვიანნეოლითური კომპლექსები თავისი ფესვებით უკავშირდება ამავე ტერიტორიის მეზოლითურ და ადრენეოლითურ ძეგლებს და მათ შემდგომ განვითარებას წარმოადგენს. აღნიშნული ფაქტი ამ კულტურების გენეტიკურ კავშირზე მიუთითებს.

შედარებით უფრო ვრცლად გვინდა შევეხოთ გვიანნეოლითური და ენეოლითური ძეგლების კავშირს. იმის გამო, რომ ორივე კულტურის ძეგლები მხოლოდ უკანასკნელ ხანებში აღმოჩნდა, ამ საკითხის შესახებ ძალიან ცოტაა ცნობილი.

ენეოლითის ადრეული ეტაპი ამიერკავკასიაში ღღემდე თითქმის შეუსწავლელია. უკანასკნელი წლების კვლევა-ძიების შედეგად როგორც საქართველოში, ასევე აზერბაიჯანში გამოვლინდა ენეოლითური ძეგლები (სამელე კლდე, ღარკვეთის IV ფენა, შომუთ-თეფე, ქიულ-თეფე I-ის ქვედა ფენა), რომლებმაც ცხადყოვეს, რომ მათი სახით საქმე გვაქვს საკმაოდ მძლავრ ენეოლითურ კულტურასთან, რომელიც ქრონოლოგიურად წინ უსწრებს ე. წ. „მტკვარ-არაქსის“ კულტურის ძეგლებს. ამ ძეგლების აღმოჩენამდე და გვიანი ენეოლითის გამოვლამდე კი დასავლეთ ამიერკავკასიის ზოგიერთ ენეოლითურ ძეგლს ენეოლითის აკუთვნებდნენ (თეთრამიწა, სავარჯილეს II ფენა, ახშირი, ვორონცოვის მღვიმე). ამის გამო გვიანნეოლითისა და ადრებრინჯაოს ხანის ძეგლებს შო-

რის არსებული შუალედი ხელოვნურად კიდევ უფრო იზრდებოდა. მათი მკაცვობები ძეგლები კი არ ჩანდა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ პერიოდის კომპლექსების არასათანადო შესწავლის გამო ეს ხარვეზი დღესაც არაა შევსებული. ამიტომ დასავლეთ ამიერკავკასიის ენეოლითური კულტურის ხასიათი და მისი გენეტიკური კავშირი გვიანნეოლითთან კიდევ უფრო ბუნდოვანი იყო. ხშირად ხდებოდა დას. ამიერკავკასიის ნეოლითური კომპლექსებისა და ე. წ. „მტკვარ-არაქსისი“ კულტურის ძეგლების დაკავშირება და ნეოლითური ტრადიციების გაგრძელების ხელოვნური ძიება. სინამდვილეში კი „მტკვარ-არაქსისი“ კულტურის ძეგლებში არ ჩანდა ისეთი უტყუარი ნიშნები, რომლებიც შესაძლებელი იყო მიგვეჩინა ნეოლითური კულტურის ტრადიციების უშუალო გაგრძელებად. „მტკვარ-არაქსის“ კულტურის კავშირი უფრო მკაფიოდ უნდა გამოჩნდეს ახალდმოჩენილ ენეოლითურ კომპლექსებთან. დასავლეთ ა/კავკასიის ნეოლით-ენეოლითური ძეგლების კავშირის შესახებ საინტერესო მასალებს გვაწვდის სამელე კლდე¹⁰. აქ აღმოჩენილ კერამიკას შორის არის ქილისებური მოყვანილობის სწორკედლა, ბრტყელიძირა ჭურჭლები, ძირიდან კედლებზე ქუსლიანი გადასვლით, აქვეა ჭდეულპირიანი ჭურჭლის ფრაგმენტები, რომლებიც ახლოს დგანან ოდიშის, გურიანთისა და ანასეული II-ის ნაკეთობებთან. განსხვავება იმაშია, რომ სამელე კლდის ჭურჭლის პირის ზოგიერთ ფრაგმენტზე ჭდეები ერთმანეთისაგან შორიშორსაა დატანილი. განსაკუთრებული მსგავსება შეინიშნება სამელე კლდის ერთ ხშირჭდეებიანი პირის ფრანგ მენტსა და ანასეული II-ის პირებს შორის. მათი გარჩევა გაჭირდებოდა.

სამელე კლდის ორგვერდამუშავებული ტრაპეციები, ბრტყელი ცულები და სატეხ-სათლელები ახლოსაა ამავე სახის გვიანნეოლითურ იარაღებთან.

დას. ამიერკავკასიის ნეოლითისათვის დამახასიათებელი რიყისქვის ვახეხილ-ვაპრაილებული იარაღების შემდგომი განვითარება ჩანს იმავე ტერიტორიის ენეოლითურ ძეგლებში. ოდიშის, კისტრიკის, გურიანთის, ნიჟნ. შილოვკოსა და ანასეული II-ის გრძელი, ორმხრივლესილი ცულები თეთრამიწის, საგვარჯილესა და ახშითრის, მღვიმე ოჩაენის სოლისებური ცულების პროტოტიპს უნდა წარმოადგენდეს. ბრტყელი სათლელები, რომლებიც მცირე რაოდენობით ჩნდება ოდიშში და ანასეულ II-ში, საკმაოდ მრავლად გვხვდება სამელე კლდეში, ახშითრისა და ვორონცოვის მღვიმეების ენეოლითურ ფენებში. ტრაპეციის განივკვეთის მქონე, გვერდწახანავიანი სატეხ-სათლელები, რომლებიც თითო-ოროლაა ოდიშში, კისტრიკში, გურიანთისა და ანასეულ II-ში, ფართო ვაგრეცელებას პოულობს სამელე კლდეში, საგვარჯილეში, ახშითრში, მღვიმე ოჩაენში და თეთრამიწაზე.

მოკოდვის ტექნიკა, რომელსაც უკვე იყენებენ გვიანნეოლითური რიყისქვის იარაღების დამუშავებაში, უმჯობესდება და ფართო გამოყენებას პოულობს თეთრამიწის, ახშითრისა და ვორონცოვის მღვიმეების ქვის იარაღებზე.

¹⁰ გ. ჯავახიშვილი, 1966 წელს სამელე კლდეში ჩატარებული მუშაობის ანგარიში (ხელნაბეჭდი). სამელე კლდის თარიღის შესახებ ორი აზრი არსებობს. გ. ჯავახიშვილი სამელე კლდეს თარიღებს გვიანნეოლითი-ადრებრინჯაოს ხანით, დ. თუშაბრაშივილს კი იგი ადრე-ენეოლითურად მიაჩნია. იხ. Д. М. Тушабрамишвили, Итоги работ палеолитической экспедиции Квирильского устья за 1963—64 гг. Материалы сессии посвященной итогам археологических исследований 1964 года в СССР, Тезисы докладов, Баку; სამელე კლდის მასალის სიახლოვის გამო დას. ამიერკავკასიის ნეოლითურ კომპლექსებთან მართებულად მიგვაჩნია სამელე კლდის ადრენეოლითური თარიღი.

დაკეცილ-დაქდელი ჭურჭლის პირები ნანახია საგვარჯილეს ენეოლითურ ფენაში.

გუმისთის ნამოსახლარზე აღმოჩენილ ჭურჭლებს ქილისებური ფორმა და ბრტყელი ძირი აქვთ, ხოლო პირის მახლობლად ირიბი ქდები მიუყვებათ.

კავკასიის შავიზღვისპირეთის ენეოლითურ კერამიკაში გვიანენეოლითურის მსგავსად შერეულია ქვარცისა და ქარსის ნაწილაკები.

დას. ამიერკავკასიის ენეოლითური კერამიკის რიგი ნიშნების მსგავსება ადგილობრივ ნეოლითთან უკანასკნელის ტრადიციების გაგრძელებით უნდა აიხსნას.

ნეოლითური და ენეოლითური ძეგლების შედარებიდან ჩანს, რომ დას. ამიერკავკასიის ნეოლითური კულტურის ზოგადი ნიშნების გაგრძელება და განვითარება შეიმჩნევა ენეოლითში, რომ დას. ამიერკავკასიის ენეოლითი თავისი ფესვებით ღრმად უკავშირდება ადგილობრივ ნეოლითს. ენეოლითური კულტურის შეუსწავლელობისა და მასში ლოკალური კულტურების გამოუყოფლობის გამო ჭერჭერობით შეუძლებელია ენეოლითური და ნეოლითური ლოკალური კულტურების კავშირის გარკვევა. როდესაც ჩვენ ხაზს ვუსვამთ ნეოლითური და ენეოლითური კულტურების კავშირს, მხედველობაში გვაქვს ორივე კულტურის ზოგადი ნიშნები.

ნეოლითთან სიახლოვეს იჩენს აღმოსავლეთ საქართველოში უკანასკნელ წლებში აღმოჩენილი ქვის ადრეული კომპლექსები. ეს განსაკუთრებით ითქმის წოფის ნამოსახლარზე¹¹. მისი ობსიდიანისა და ქვის იარაღები იმეორებს გვიანენეოლითურ ფორმებს (სეგმენტები, სახვრეტები, მიკროსაფხველები და მიკროსაჭრისების სერიები, ტრაპეციის განივკვეთის მქონე ბრტყელი სატეხ-სათლელები). აქ ნაპოვნ კერამიკას შორის არის ქილისებური ფორმის, სწორკედლა, ბრტყელძირა, კედლებზე ქუსლიანი გადასვლით, უყურო, პირგადაუშლელი და პირდაქდელი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები, რომლებშიც დიდი რაოდენობით ურევია ქვარცი. ეს კერამიკა დიდ სიახლოვეს იჩენს დას. ამიერკავკასიის გვიანენეოლითურ სამეთუნეო ნაწარმთან.

დაქდელია ბოლნისის „ყორანთაზე“ ნაპოვნი სწორკედლა და ძირბრტყელი ბადიების პირი და ოზნის კერამიკულ მასალას შორის არსებული (№ 245) პირის ფრაგმენტი¹². დას. ამიერკავკასიის ნეოლითთან მსგავსება შეინიშნება აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთი ენეოლითური ძეგლის ქვის მასალაშიაც. ნეოლითურ ცულებთან სიახლოვეს იჩენს ლაგოდეხში¹³ და აბელიაში¹⁴ (თეთრიწყაროს რ-ნი) აღმოჩენილი ცულები. აბელიას ცულის ზედა ნაწილი „მოკოდვის“ ტექნიკითაა დამუშავებული. დიდ მსგავსებას იჩენს ნეოლითურ სატეხებთან თეთრიწყაროს № 1 ყორღანში აღმოჩენილი სატეხი.

ამგვარი მაგალითების მოყვანა კიდევ შეიძლება, მაგრამ ვფიქრობთ, რომ აქედანაც კარგად ჩანს ენეოლითური კულტურის კავშირი გვიან ნეოლითთან.

11 Т. Н. Чубинишвили, Л. Д. Небиеридзе, К. Д. Квижинадзе, Памятники V—IV т. до н. э. в Южной Грузии, Всесоюзная научная сессия, посвященная итогам полевых археологических исследований 1965 г., краткое содержание докладов, 1966, Москва.

12 გ. ზ. ხაკაძე, ქვემო ქართლის ენეოლითი, 1963, თბ., გვ. 119.

13 ს. ჯანაშიას სახ. საქ. სახ. მუზეუმის ქვის ხანის ფონდი, კოლექცია № 7—58, 29—59.

14 ი. ქ. ე. კოლექცია № 69—64.

ზემოთქმული მიუთითებს ადგილობრივი ნეოლითის როლზე ძვ. წ. V—IV ათასწლეულის ენეოლითური კულტურის ფორმირებაში. გვიანნეოლითური კომპლექსების შემდეგ ჩვენ არა ვაქვს ძეგლების უწყვეტი ქრონოლოგიური ჯაჭვი. შემდგომი კვლევა-ძიების შედეგად სავარაუდებელია უფრო მკიდრო მკაცვობის რგოლების აღმოჩენა ნეოლითურ და ენეოლითურ კომპლექსებს შორის, რომლებიც უფრო მკაფიოდ წარმოაჩენენ ამ ორი კულტურის გენეტიკურ კავშირს.

კავკასიისა და წინა აზიის ნეოლითის შესწავლის დაბალი დონის გამო, ტომებს შორის არსებული ურთიერთობა ჯერჯერობით სუსტადაა გამოვლენილი. მიუხედავად ძეგლების სიმცირისა, დას. ამიერკავკასიის ნეოლითურ კულტურაში მაინც ჩანს ნიშნები, რომლებიც მიუთითებენ კავკასიის შავიზღვისპირეთის კულტურულ-ეკონომიურ კავშირზე წინააზიურ სამყაროსთან, ყირიმთან და ჩრდილო კავკასიასთან.

ზემოთ აღნიშნეთ, რომ გეომეტრიული მიკროლითების ორმხრივი დამუშავების ხერხი ნეოლითში ფართოდ გავრცელდა კავკასიის შავიზღვისპირეთში. ყველაზე ხშირად იგი კისტრიკში გამოიყენებოდა. იქ თითქმის ყველა მიკროლითი ორმხრივდამუშავებულია. თუ არ ვილაპარაკებთ ა. ლუკინის კოლექცი-აზე, მარტო ჩვენს მიერ კისტრიკში მოპოვებულ მასალაში 16 გეომეტრიული ფორმიდან 13 ორმხრივდამუშავებულია. აღნიშნული ხერხით გეომეტრიული მიკროლითების დამუშავების შემთხვევები ხშირია ოდიშში, ნიჟნ. შილოვკაში და ანასეულ II-ში. ორმხრივდამუშავებული ტრაპეციები ცნობილია ენეოლითშიც (მეშოკო¹⁵, კრასნოდარის მხარე)¹⁶. კავკასიის ჩრდილოეთით გეომეტრიული ფორმების ორმხრივი დამუშავება იშვიათია. ყირიმში ეს ხერხი უცნობია. გეომეტრიული მიკროლითების ორმხრივი დამუშავება დამახასიათებელია პალესტინის ნატუფიური ძეგლებისათვის — ელ-ხიამი, ელ-ახმარი, აბუსიფი¹⁷ (მკვდარი ზღვის რაიონიდან), მულარეთ ელ-ვადი და აბუ-უზბა¹⁸ (კარმელის მთაზე) შანიდარი¹⁹ (ერაყი), ასევე გელუანის სადგომებისათვის²⁰.

დას. ამიერკავკასიის ნეოლითურ ძეგლებში ორმხრივდამუშავებული გეომეტრიული მიკროლითების სიმრავლე შესაძლოა მიუთითებდეს დამუშავების ამ ხერხის გავრცელებაზე სამხრეთიდან სანაპირო ზოლის მეშვეობით როგორც ზღვისპირა რაიონებში, ასევე უფრო ჩრდილოეთით. მართებული უნდა იყოს ა. ფორმოზოვის მიერ უკანასკნელ წლებში გამოთქმული მოსაზრება იმის შესახებ, რომ აღნიშნული ტექნიკა წინა აზიიდან უნდა გავრცელებულიყო კავკასიაში, ხოლო აქედან უფრო ჩრდილოეთით²¹.

¹⁵ А. Формозов и А. Д. Столяр, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 109.

¹⁶ Т. М. Минаева, Стоянки с микролитическим инвентарем на Черных землях, КСИИМК, вып. 53, 1955, стр. 13, 3, 8.

¹⁷ R. Neuville, La paleolithique et le mésolithique du désert de Judée.—Archives de L'Institut de paleontologie humaine, memoire 24, Paris, 1951, 6ab. 51, 12—16; 56, 8; 69, 30.

¹⁸ D. Garrud and D. Bate, The Stone Age of Mount Carmel, Oxford, 1937, ტბ. VIII, 14, 27; IX, 30, 35; M. Stekelis and G. Haas, The Abu-Urba cave—Israel Exploration Journal, Jerusalem, 1952, 2, 6ab. 13, 1—5, 7, 8.

¹⁹ R. Solecki, Shanidar cave, a paleolithic site in northern Iraq.—Annual Report of the Board of Regents of the Smithsonian Institution. Publ. 4190, Washington, 19 5; 83. 412.

²⁰ А. Алиман, Доисторическая Африка, 1950, М., სურ. 39.

²¹ А. А. Формозов, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 147—148.

დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითური ძეგლებისათვის დამახასიათებელია შურდულის ქვების სიმრავლე. იგივე იარაღები დიდი რაოდენობითაა წინა აზიის ძეგლებში (ჯარმო, იერიქონი).

საინტერესოა კისტრიკში და ქვ. შილოვკაში ნაპოვნი რეტუშით თავგამოყვანილი ლამელები²². მსგავსი იარაღები არ არის ოდიშში, გურიანთაში, მამათში და ანასეულ II-ში. ისინი არ გვხვდება აგრეთვე დას. ამიერკავკასიის ზედაპალეოლითურ და მეზოლითურ ძეგლებში. სამაგიეროდ ამგვარი თავგამოყვანილი ლამელები სერიებადაა წარმოდგენილი პალესტინის ნატუფიური კულტურის სადგომებში — მულარეთ-ელვადი²³ და ელ-ხიამი²⁴, ალიშარში²⁵ (მცირე აზია), კავკასიის შავიზღვისპირეთში ასეთი იარაღის კეთების ხერხი უნდა გავრცელებულიყო წინა აზიიდან²⁶, რადგან ნატუფიური სადგომები ქრონოლოგიურად ყველაზე ადრეულია. დას. ამიერკავკასიის სიღრმეში მდებარე რაიონებში თავგამოყვანილ ლამელებს, როგორც ჩანს, ვერ შეუღწევიათ.

დასავლეთ ამიერკავკასიის ურთიერთობა წინააზიასთან მეზოლითისა და ადრენეოლითის ძეგლებშიც შეიმჩნევა. შუამდინარეთისათვის (ჩრდ. ერაყი) დამახასიათებელი ე. წ. ზარზის ტიპის (ზედა პალეოლითი) ისრისპირები ვრცელდება კავკასიის შავიზღვისპირეთის მეზოლითურ (აცვი, ქვაჭარა, დამარხული მღვიმე, საგვარჯილე) და ნეოლითურ სადგომებში (ანასეული I).

დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითური კერამიკა წარმოდგენილია ქილისებური მოყვანილობის ბრტყელძირა ჭურჭლებით, კედლებზე ქუსლიანი გადასვლით, ხოლო სამხრეთ და შუა ევროპის ტერიტორიაზე, დუნაის კულტურის სფეროში, ეგვიპტედან სილეზიამდე, ესპანეთიდან — მცირე აზიამდე უძველესი ჭურჭლები სფერულძირიანია. ისინი საფუძვლად უდევს ფორმების შემდგომ გაუმჯობესებას²⁷. აღსანიშნავია, რომ დონისპირეთის, აზოვისპირეთის, ყირიმისა და უკრაინის უძველესი თიხის ჭურჭელი წვეტიანძირიანია.

როგორც ჩანს, დას. ამიერკავკასიის კერამიკა ამ ნიშნით არ ეკუთვნის ზემოაღნიშნული კულტურის წრეებს. ამ მხრივ იგი დიდ სიახლოვეს იჩენს წინა და შუა აზიის კერამიკასთან (ჯარმო, ჯეითუნი), სადაც თიხის ჭურჭლის უძველესი ფორმებია ქილისებური მოყვანილობის ბრტყელძირა ნაკეთობები. მახლობელ აღმოსავლეთში საერთოდ არ არის წვეტიანძირიანი და სფერულძირიანი ჭურჭელი.

საინტერესოა დაკვირვება აქვს ვ. მასონს მახლობელი აღმოსავლეთის უძველეს კერამიკაზე. იგი აღნიშნავს, რომ თიხის ჭურჭელი, რომელიც ჩნდება მიწათმოქმედ ტომებში დამჯდარი მეურნეობის პირობებში, თავისი წარმოშობის ადრეულ საფეხურზე უკვე ბრტყელძირა იყო²⁸.

დას. ამიერკავკასიის მასალები აღნიშნულ მოსაზრებას ამაგრებენ. ამ ტერიტორიის ნეოლითური კერამიკა ბრტყელძირაა, იგი წარმოიშვა პრიმიტიული მიწათმოქმედებისა და დამჯდარი მეურნეობის პირობებში.

²² A. A. Формозов, Неолит Крыма..., стр. 138.

²³ D. Garrod and D. Bate, დასახ. ნაშრ.

²⁴ R. Neuville, დასახ. ნაშრომი, ნახ. 70, 12, 13, 15, 19, 20.

²⁵ H. Von der Osten and E. Schmidt, The Alisher Hüyük season of 1927, The University of Chicago, 1932, ნახ. 47.

²⁶ A. A. Формозов, დასახ. ნაშრომი, გვ. 138.

²⁷ Hornes-Menglin, Die Uhrgeschichte der bildenden kunst in Europa, 1925-Wien, pp. 260—263.

²⁸ L. M. Maccon, დასახ. ნაშრომი, გვ. 32.

ამგვარად, დას. ამიერკავკასიის ნეოლითურ კულტურაში გამოიყოფა ნიშნები, რომლებიც, ერთი მხრივ, მან მიიღო ადგილობრივი მეზოლითისაგან, მეორე მხრივ კი, რომლებიც მიიღო წინა აზიის უძველესი სამიწათმოქმედო კულტურებისაგან.

ჩრდილო კავკასიური ნეოლითური ძეგლების სიმცირის მიუხედავად ირკვევა, რომ დას. ამიერკავკასიურ ნეოლითურ კულტურას ურთიერთობა ჰქონდა ჩრდილო კავკასიურ კულტურებთან. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს დას. ამიერკავკასიიდან ჩრდილო კავკასიაში გავრცელებული მიკროლითების ორმხრივი დამუშავების ხერხი. ორმხრივდამუშავებული მიკროლითები ნაპოვნია კამენომოსტსკაიას მღვიმეში, ოვეჩკაში სტავროპოლის მხარეში. კავკასიის ჩრდილოეთით ორმხრივდამუშავებული მიკროლითები იშვიათია.

კამენომოსტსკაიას მღვიმის ნეოლითურ ფენაში სფერულძირიან ჭურჭელთან ერთად ნაპოვნია ბრტყელძირაც, ჩრდილო კავკასიური უძველესი კერამიკა კი სფერულძირიანია (ოვეჩკა). ბრტყელძირა ჭურჭლის პოვნა ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში, შესაძლოა, დასავლეთ ამიერკავკასიურ ტომებთან ურთიერთობის შედეგი იყოს.

ჩრდილოკავკასიის უძველეს კერამიკას ორნამენტი არ ახასიათებს (კამენომოსტსკაია, ოვეჩკა). ორნამენტი არ გვხვდება აგრეთვე კისტრიკისა და ქვ. შილოვკის კერამიკაზეც. საფიქრებელია, რომ ამ ნიშნების მსგავსება დას. ამიერკავკასიური და ჩრდილო-დასავლეთ კავკასიური ნეოლითური ტომების კულტურული ურთიერთობის შედეგია.

მაღალი, ზურგათლილი სწორკუთხედები და ტრაპეციები დას. ამიერკავკასიის ნეოლითური კულტურის ერთერთი დამახასიათებელი ფორმაა. ამიერკავკასიის სამხრეთით ამგვარი იარაღები არ არის ცნობილი. შედარებით მცირე რაოდენობით ზურგათლილი ტრაპეციები გვხვდება ჩრდილო კავკასიაში და ყირიმში. მაღალი ზურგათლილი სწორკუთხედები ცნობილია ჯერჯერობით მხოლოდ დას. საქართველოდან. საფიქრებელია, რომ ეს ფორმები ჩაისახა დას. ამიერკავკასიაში, ხოლო აქედან გავრცელდა უფრო ჩრდილოეთით. მიუხედავად იმისა, რომ ეს ფორმები ყირიმში გაცილებით უფრო იშვიათია, ვიდრე დას. ამიერკავკასიაში, ა. ფორმოზოვი თვლის, რომ ისინი ყირიმისათვისაა დამახასიათებელი და იქიდან გავრცელდა კავკასიაში²⁹. მასალების სიმცირის გამო ჯერჯერობით ძნელია ამ საკითხის დაბეჭითებით მტკიცება. ერთი კი ცხადია, როგორც არ უნდა გადაწყდეს იგი, ორივე შემთხვევაში ჩვენ გვაქვს მითითება კავკასიისა და ყირიმის ტომების კულტურულ-ეკონომიურ კავშირზე ნეოლითის ხანაში.

ყირიმისა და კავკასიის ნეოლითური კულტურების კავშირზე მიუთითებს აგრეთვე კავკასიისათვის დამახასიათებელი რიყის ქვის გახეხილ-გაპრიალებული იარაღების (ცულები, სატეხ-სათლევები) მცირე რაოდენობით პოვნა ყირიმის ძეგლებში (ტაშ-აირ I). ამგვარი იარაღები, როგორც ცნობილია, არ არის დამახასიათებელი ყირიმისათვის³⁰.

დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითური კულტურის ურთიერთობის შესწავლისათვის მეზობელ კულტურებთან, მასალები ჯერჯერობით მცირეა. მიუხედავად ამისა, ირკვევა, რომ კავკასიის შავიზღვისპირეთი არ იდგა განკერძოებით

²⁹ А. А. Формозов, დასახ. ნაშრომი, გვ. 136.

³⁰ იქვე, გვ. 138.

სხვა სინქრონული კულტურებისაგან. ასეთი ფართო ურთიერთობა შესაძლებელია ჰქონოდათ მხოლოდ კულტურული და ეკონომიური თვალსაზრისით დაწინაურებულ ტომებს.

დასავლეთ ამიერკავკასიის სადღეისოდ ცნობილი ნეოლითური ძეგლები ღია სადგომებს წარმოადგენს. მრავალწლიანი კვლევა-ძიების მიუხედავად, ჯერჯერობით არ არის აღმოჩენილი მღვიმეები და ეხები ნეოლითური ნაშთებით. აღნიშნული სადგომები განლაგებულია სხვადასხვა ხასიათის შემადღებებზე (მთისწინა ზოლის ბორცვებზე, მდინარეებისა და ზღვების ტერასებზე, კონცხებსა და პლატოებზე), რომლებიც პირველ რიგში წყლითაა უზრუნველყოფილი. საცხოვრებლად ამგვარი ადგილების არჩევა ცნობილია როგორც ადრე, ისე გვიან ნეოლითში. დას. ამიერკავკასიაში ღია სადგომების გავრცელებას ხელს უწყობდა ამ პერიოდში არსებული თბილი, სუბტროპიკული ჰავა და ხელსაყრელი სამოსახლო პირობები (სასმელი წყლისა და იარაღების დასამზადებელი ნედლეულის სიახლოვე, ნადირობისათვის, მეთევზეობისათვის და მიწათმოქმედებისათვის საჭირო ფაქტორები — მდინარეები, ტყეები, ნოყიერი ნიადაგი). პალეობოტანიკოსების მონაცემების მიხედვით დას. ამიერკავკასია დაფარული იყო ხშირი ტყეებით, რაც შემგროვებლობისათვის აუცილებელ პროდუქტს იძლეოდა. ბუნებრივი შემადღებები კი თავდაცვის საშუალებასაც წარმოადგენდა. ყოველივე ამან განაპირობა ამ ობიექტების დასახლება ნეოლითის ხანაში.

დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითურ სადგომებზე იარაღების დასამზადებელ ნედლეულად ძირითადად კაყს, ობსიდიანსა და რიყის ქვის სხვადასხვა ქანებს იყენებდნენ. ნეოლითელი ადამიანი კარგად იცნობდა მთელი რიგი ქანების ტექნიკურ თვისებებს და იარაღების დამზადებისას, საჭიროების მიხედვით საგანგებოდ არჩევდა მათ. ექვს გარეშეა, რომ ნეოლითელი ადამიანი იყენებდა ძვლისა და ხის იარაღებსაც, რაც დასავლეთ ამიერკავკასიის არც ერთ ძეგლზე არ შემოინახა ნიადაგში მათი ცუდი დაცულობის გამო.

აღნიშნული ნეოლითური სადგომების უმეტესობის იარაღები ძირითადად კაყისაგან მზადდებოდა. ანასეულ II-ის ქვის მასალის საერთო რაოდენობიდან (8610 ერთ.) 7252 ერთეული კაყისაა, 1090 — ობსიდიანისა და 168 — რიყის ქვის.

ოდიშის ქვის მასალის საერთო რაოდენობიდან (4880) 4200 ცალი კაყისაა, 300 — ობსიდიანის, 380 — კი რიყის ქვის. გურიანთაში ქვის მასალა 1290 ერთეულითაა წარმოდგენილი. აქედან 1246 ცალი კაყისაა, 9 — ობსიდიანის, ხოლო 34 — რიყის ქვის.

მასალის მსგავსი შეფარდებით ხასიათდება კისტრიკის, მამათისა და ნიყნაია შილოვკის კოლექციებიც. მოტანილი შეფარდებიდან აშკარად ჩანს კაყის რაოდენობრივი უპირატესობა. სულ სხვა სურათი გვაქვს ანასეულ I-ში, აქ იარაღების დასამზადებლად უმეტესად ობსიდიანი გამოიყენებოდა 4000 ერთეულიდან 3160 ერთ. ობსიდიანისაა, 800 ერთ. კაყის და 59 ერთ. — რიყის ქვის.

აღსანიშნავია აგრეთვე კინტრიშის ნამოსახლარები. ხუცუბანში და ქობულეთში ობსიდიანის მასალის რაოდენობა ოდნავ აღემატება კაყისას. იგი მასალის საერთო რაოდენობის 60%-ს შეადგენს.

ნეოლითურ სადგომებზე მოპოვებული კაყი კარგი ხარისხისაა, შედგენილობის დასამზადებლად უმეტესად ობსიდიანი გამოიყენებოდა. 4000 ერთეულიდან ვიათად ნაცრისფერი, ბატინა არ შეიმჩნევა. დასავლეთ ამიერკავკასიაში მრავლადაა კაყის საბადოები. კავკასიონის სამხრეთი მთიანეთი წარმოადგენს კირქვე-

ბის ზონას, სადაც მრავლადაა ტურონის კაყის გამოსავლები. აქ არ შევუდგებოთ ყველა კაყის ბუდობის ჩამოთვლას, რადგან მათი რიცხვი საკმაოდ დიდია. აღნიშნავთ მხოლოდ იმ საბადოებს, რომლებიც მეტ-ნაკლებად ახლოსაა ამა თუ იმ ნეოლითურ ძეგლთან. არც ერთი აღნიშნული სადგომის მიდამოებში კაყის ბუდობები არ არის, ხოლო მახლობელ სოფლებში კი გვხვდება როგორც პირველად, ასევე მეორად დანალექ მდგომარეობაში. მახარაძისა და ლანჩხუთის რაიონებში მრავლადაა ცნობილი კაყის გამოსავლები: სოფ. ლაითური, მთისბირი, ვაკიჯვარი, ნასაკირალი, დაფნარი, ჯუმ-ეწერი, შრომა და სხვ. კაყის ამ მარაგით შეიძლოა ესარგებლა ანასეულის, გურიანთისა და მამათის მცხოვრებლებს. კისტრიკის მახლობლად მდებარე აფხაზეთის ანუხვა ცნობილია კაყის დიდი საბადოთი. მდ. კინტრიშის ნამოსახლარების მცხოვრებლებს შეეძლოთ ესარგებლათ ს. ხუცუბნის მახლობლად არსებული კაყის ბუდობით. სადგომებზე ნაპოვნი და საბადოების კაყის ოპტიკური ანალიზი გაკეთებული არ არის; ამის გამო ძნელდება დაბეჭითებით თქმა, თუ კერძოდ, რომელი საბადოთი სარგებლობდნენ ამა თუ იმ სადგომის მცხოვრებნი. საფიქრებელია, რომ გამოიყენებოდა უახლოესი და ამასთანავე ხარისხიანი კაყი.

იარაღების დასამზადებლად საჭირო რიყის ქვის ქანებით ნეოლითელი ადამიანი მარაგდებოდა მახლობლად მდებარე მდინარეთა ნაპირებიდან, სადაც ხდებოდა მასალის შერჩევა.

ნეოლითელი ადამიანი არ კმაყოფილდებოდა კაყისა და რიყისქვის მახლობელი მარაგით და ხშირად შორი მანძილიდან მოჰქონდა სხვა ნედლეული — ობსიდიანი, რომელსაც ზოგჯერ უპირატესობასაც კი ანიჭებდა (ანასეული I, ხუცუბანი, ქობულეთი). დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითურ სადგომებზე უპირატესად შავი, გამჭვირვალე ობსიდიანი გამოიყენებოდა, შედარებით იშვიათად კი დაბინდული ან წითელძარღვიანი. დასავლეთ ამიერკავკასიაში ობსიდიანის საბადოები ცნობილი არ არის. ამიტომ მეტად მნიშვნელოვანია მისი სადაურობის საკითხი. უკანასკნელ ხანებში საკავშირო აკადემიის საბადოების გეოლოგის, პეტროგრაფის, მინერალოგიისა და გეოქიმიის ინსტიტუტში ვ. ნასედკინმა³¹ შეისწავლა განათხარი ობსიდიანის და სხვადასხვა საბადოების ნიმუშები. გაირკვა, რომ ქვედა შილოვკისა და აცის მღვიმის მეზოლითური ფენის ობსიდიანის გარდატეხის მაჩვენებელი (1,487) ემთხვევა ყაბარდო-ბალყარეთის (ზაიუკოვოსა და ჩეგემის) ობსიდიანის გარდატეხის მაჩვენებელს. ხოლო ფარავნის ტბის რაიონისა და სომხეთის ობსიდიანის გარდატეხის მაჩვენებელი მათთან შედარებით დაბალია (1,482—3).

დასავლეთ საქართველოს ნამოსახლარებზე მოპოვებული ობსიდიანი არაა შესწავლილი, ამიტომ ჯერჯერობით ძნელია თქმა, თუ კერძოდ, რომელი ბუდობი გამოიყენებოდა. მისი მოტანა ორი საბადოდან უნდა იყოს სავარაუდებელი: ფარავნის ტბის რაიონი და არსიანის ქედი, რომელიც დას. საქართველოს სამხრეთიდან ესაზღვრება და სომხეთის მთიანეთის ვულკანურ ჯაჭვს უკავშირდება. მანძილი პირდაპირი ხაზით არსიანის საბადომდე უფრო ახლოსაა, ვიდრე ფარავნის ტბამდე. ფარავნის ტბის რაიონის ობსიდიანის გამოყენებას მოწმობს დას. საქართველოს სადგომებზე წითელძარღვიანი ობსიდიანის ნიმუშების პოვნა. დღეს უკვე კარგადაა ცნობილი, რომ წითელძარღვიანი ობსიდიანი არსიანის

³¹ В. В. Наседкин, А. А. Формозов, Вулканическое стекло из стоянок каменного века Краснодарского края и Чечено-Ингушетии. Археология и естественные науки, М., 1965, 167—170.

ბუდობებში არ არის, იგი ახასიათებს თრიალეთის საბადოებს. გამორიცხული არ უნდა იყოს ერთდროულად ორივე ბუდობის გამოყენება.

ობსიდიანის მასალის სიჭარბის მიუხედავად, კინტრიშის ნამოსახლარებზე და ანასეულ I-ში არ არის ნაპოვნი კაჭრები და უხარისხო ნატეხები, ხოლო ბუნებრივი ქერქის მქონე ნატეხი სულ რამდენიმე ცალია. როგორც ჩანს, შორი მანძილიდან ბუნებრივქერქიანი და უეარგისი ობსიდიანის მოტანა არამიზანშეწონილად მიიჩნდათ. საფიქრებელია, რომ უხარისხო ნაწილების მოცილება ობსიდიანის ბუდობის ადგილზე ხდებოდა, სადგომზე კი ნახევარფაბრიკატები მოჰქონდათ.

კინტრიშის ნამოსახლარებისა და ანასეული I-ის მცხოვრებლებს გარდა, ობსიდიანს უპირატესობას ანიჭებდნენ მთელი რიგი სხვა ტომებიც. მერსინის ადრენეოლითურ ფენებში ნაპოვნი იარაღთა უმეტესობა ობსიდიანისაგანაა დამზადებული³². ანალოგიური მდგომარეობაა აფრიკის მთელ რიგ ნეოლითურ სადგომებზე³³.

როგორც აღვნიშნეთ, კაყი ბუნებრივი სახით დიდი რაოდენობითაა ცნობილი მთელ დასავლეთ ამიერკავკასიაში, გარდა ამისა, იგი, როგორც ნედლეული, თავისი ტექნიკური თვისებებით გაცილებით უფრო მაღალხარისხოვანია, ვიდრე ობსიდიანი.

ისმის საკითხი, რატომ მიდის ასე შორს ობსიდიანის მოსატანად ანასეული I-ისა თუ კინტრიშის მცხოვრები მაშინ, როდესაც ახლოს ეგულება უფრო კარგი ხარისხისა და გამძლე ნედლეული — კაყი, რომელსაც ნაწილობრივ კიდევაც იყენებს. ანდა რა არის მიზეზი, რომ ანასეულის (II) გვიანნეოლითში საგრძობლად კლებულობს ობსიდიანის როლი? ეს საკითხი მით უფრო საინტერესოა, რადგან იგი ერთსა და იმავე გეოგრაფიულ პუნქტს ეხება.

აღნიშნულ ადრენეოლითურ სადგომებს კერამიკა არ ახასიათებს. დამკვიდარი მეურნეობა აქ არაა სავარაუდებელი. თუ დავუშვებთ, რომ ობსიდიანის მოტანა გამოწვეულია მისთვის უპირატესობის მინიჭებით, მაშინ გვიანნეოლითურ სადგომებზე, სადაც უკვე გვაქვს განვითარებული მეთუნეობა და დამკვიდარი ცხოვრება, გაუგებარია ობსიდიანის როლის დაცემის მიზეზი.

იბადება მოსაზრება, ხომ არა გვაქვს აქ მითითება იმისა, რომ ადრენეოლითელ ადამიანს პირველყოფილი მომთაბარეობის პირობებში ყოფნა უხდებოდა ობსიდიანის საბადოს რაიონში, საიდანაც მოაქვს კიდევაც ადვილად მისაგნები და დასამუშავებელი ნედლეული. ხოლო გვიან ნეოლითში დამკვიდრ მეურნეობაზე გადასვლამ, შესაძლოა, შეამცირა ობსიდიანის შემოტანა. მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ გვიანნეოლითურმა ტომებმა შეწყვიტეს ურთიერთობა ობსიდიანით მდიდარ რაიონებთან. გვიანნეოლითურ ნამოსახლარებზე არსებული ობსიდიანი გაცვლის წესით უნდა იყოს მიღებული.

აღნიშნულ მოსაზრებას ვარაუდის სახით გამოვთქვამთ, რადგან მისი შესამაგრებელი სხვა მასალა ჯერჯერობით არ არსებობს.

დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითურ ნამოსახლარებზე აღმოჩენილი კულტურული ნაშთების შესწავლა საშუალებას გვაძლევს ვიმსჯელოთ პირველყოფილ მეთუნეობაზე, იარაღების დამზადების ტექნიკაზე, მათი ფორმების განვითარებაზე და დანიშნულებაზე. აქედან გამომდინარე კი წარმოდგენა გვექმნება ნეოლითელი ადამიანის საოჯახო ყოფასა და სამეურნეო საქმიანობაზე.

³² I. Garstang, Prehistoric Mersin, Oxford, 1953, u. 5.

³³ А. А. Алиман, Доисторическая Африка, М., 1960, 125—126.

ნეოლითურ ძეგლებზე მოპოვებული ნაშთები წარმოდგენილია კერამიკით, შრომის იარაღებით და წარმოების ნარჩენებით. განვიხილოთ ისინი ცალ-ცალკე.

მეთუნეობა. კავკასიის ნეოლითური კერამიკა მთლიანად შეუსწავლელია. კერამიკიანი კომპლექსები ჯერჯერობით მხოლოდ დასავლეთ ამიერკავკასიაშია გამოვლენილი. ამის გამო კავკასიის პირველყოფილი მეთუნეობა არა თუ სპეციალური კვლევის სავანი არ გამხდარა, არამედ არქეოლოგიურ ლიტერატურაში მისი წარმოშობისა და განვითარების საკითხი არც კი დასმულა.

კავკასიის პირველი ნეოლითური კერამიკა წარმოდგენილი იყო ოდიშის კომპლექსით, კისტრიკიდან ცნობილი თიხის სტურტლის მცირერიცხოვანი ფრაგმენტები წარმოდგენას არ იძლეოდა დას. საქართველოს პირველყოფილ მეთუნეობაზე.

დას. ამიერკავკასიაში უკანასკნელ წლებში აღმოჩენილი კერამიკიანი კომპლექსების (ანასეული II, გურიანთა, მამათი, ქვ. შილოვკა) და ადრე აღმოჩენილის (ოდიში, კისტრიკი) ერთობლივი შესწავლა გარკვეულ წარმოდგენას გვაძლევს ადრეულ მეთუნეობაზე. დასავლეთ საქართველოს კომპლექსები გამოირჩევა თავისი მრავალფეროვნებით. მათ შორის ყველაზე მრავალრიცხოვანი კომპლექსია მოპოვებულია ანასეულ II-ზე (დაახლ. 3700 ფრაგმენტი); მას თავისი სიდიდით მოსდევს ოდიში (450 ფრაგმენტი); შედარებით მცირერიცხოვანია გურიანთისა (215 ფრაგმენტი) და მამათის (166 ფრაგმენტი) კომპლექსები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო წლებში ლ. სოლოვიოვის მიერ კისტრიკში განახლებულმა გათხრებმა საბოლოოდ ცხადპყო, რომ ამ კერამიკას ორნამენტი არ ახასიათებს. საკმარის დიდი და მეტყველი კერამიკული კოლექცია მოგვცა ქვედა შილოვკამ. მასში ისევე, როგორც კისტრიკში ორნამენტი არ გვხვდება. ნეოლითური კერამიკა აღმოსავლეთ საქართველოდან ჯერჯერობით უცნობია. თუმცა არის ცდები ქვემო ქართლის ენეოლითური კერამიკიდან ადრეული ჯგუფის გამოყოფისა და დასავლეთ საქართველოს მასალებთან მსგავსების პოვნისა³⁴. იმის გამო, რომ ამ კერამიკასთან არ არის აღმოჩენილი ტიპური ნეოლითური ქვის ინვენტარი, ჯერჯერობით თავს ვიკავებთ მისი ნეოლითური თარიღისაგან და არ ვიყენებთ პარალელურ მასალად.

ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგიის სექტორთან ადრე არსებული არქეოლოგიური ტექნოლოგიის შემსწავლელ ლაბორატორიაში ჩატარდა ანასეული II-ის კერამიკის ფიზიკურ-ქიმიური და ტექნოლოგიური გამოკვლევა³⁵, რომლის შედეგების გათვალისწინება ზოგად წარმოდგენას იძლევა თიხის შედგენილობაზე და გამოწვის ხარისხზე. აღნიშნული გამოკვლევის შედეგად ირკვევა, რომ თიხის ნაკეთობების დასამზადებლად იყენებდნენ ჩვეულებრივ წითლადწვად საჭურჭლე თიხას, რომელიც ფართოდაა გავრცელებული დასავლეთ საქართველოში. უხეში და მსხვილმარცვლოვანი კეცი გადანატენში უთანაბროა, მისი სტრუქტურა შრისებურია. თიხაში თანაბრადაა განაწილებული რკინის ჟანგეულები, კვარცის, ქარსისა და მინდვრის შპატის მიწარეგები. მსგავსი მიწარეგები უფრო დიდი რაოდენობით ახასიათებს ოდი-

³⁴ გ. გოზეჯიშვილი, თეთრიწყაროს გათხრების ანგარიში, სამეცნიერო სესია მი. ძღვნალი 1957 წლის საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი, თეზისები, 1958; გ. ფხაკაძე, ქვემო ქართლის ენეოლითი, 1963, თბილისი. გვ. 105.

³⁵ ი. გძელიშვილი, ლ. ასათიანი, ი. ფიცხელაური, კერამიკული წარმოების ისტორიისათვის ძველ საქართველოში, 1963, თბილისი (ხელნაბეჭდი).

ში, კისტრიკის, გურიანთის, მამათისა და ქვ. შილოვკის კერამიკას. მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ოდიშში ჭარბობს ქარსი, მამათში — კირი, ხოლო კისტრიკში და ქვ. შილოვკაში — კვარცი. მათი შერევა უნდა მომხდარიყო ნოციური თიხების გამკლავების მიზნით, ჭურჭლის გაშრობისა და გამოწვის ხარისხის გასაუმჯობესებლად და დახეთქვისაგან დასაცავად. თიხების გამკლავების ამგვარი წესი დადასტურებულია როგორც განვითარების დაბალ საფეხურზე მდგომ ტომებში, ასევე თანამედროვე სამეთუნეო საქმეშიც. ნეოლითურ კერამიკაში მინარევების ხელოვნურად შერევის ფაქტი აღიარებულია არქეოლოგების მიერ³⁶. მთელ რიგ სადგომებზე ნაპოვნია გამოყენებული მინარევების — ქვარცის, ქარსის და მინდვრის შპატის გროვები. სხვადასხვა ადგილას სხვადასხვა ნივთიერება იყო გამოყენებული. ანასეული II-ის კერამიკის ანალიზის შედეგად გაირკვა, რომ ქვარცის ნაწილაკების მახლობლად გვხვდება მინერალ ვოლასტონიტის მცირე კრისტალები, რაც მიუთითებს იმაზე, რომ კეცის გამოწვის ტემპერატურა არ აღემატებოდა 1000—1050°, რადგან უფრო მაღალ ტემპერატურაზე ვოლასტონიტი გადადის ფსევდოვოლასტონიტში. საერთოდ ცნობილია, რომ კერამიკის გამოწვის ტემპერატურა ნაკლებია მისივე დნობის ტემპერატურაზე 150—200°-ით. რომ ანასეული II-ის კერამიკის გამოწვის ტემპერატურა 1050°-ზე მეტი არ იყო, ამას ისიც ადასტურებს, რომ მისი დნობის ტემპერატურა მერყეობს 1100—1250° ფარგლებში. ამიტომ მისი გამოწვის ტემპერატურა უნდა ვივარაუდოთ 950—1050°-ს შორის³⁷.

დასავლეთ ამიერკავკასიის დანარჩენი ნეოლითური ძეგლების კერამიკა ანასეული II-ის მსგავსადაა გამოიწვეარი, ამიტომ საფიქრებელია, რომ მისი გამოწვის ტემპერატურაც აღნიშნულ საზღვრებში მერყეობდა.

დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითური კერამიკა ხასიათდება არათანაბარი გამოწვით, რაც უნდა მიუთითებდეს ნეოლითური თიხის ნაკეთობების გამოწვის საკმაოდ პრიმიტიულ წესზე, საფიქრებელია, რომ გამოწვა ხდებოდა ღია ცეცხლზე ან ორმოებში, რომლებიც არ იყო დაცული ჰაერისაგან. ჭურჭლის გამოწვის ამგვარი წესი დამახასიათებელია მეთუნეობის დაბალი საფეხურისათვის³⁸.

ოდიშში, გურიანთაში და ანასეულ II-ში მოპოვებული კერამიკის შესწავლა გვიჩვენებს, რომ ამ კომპლექსში შეინიშნება ორი განსხვავებული ჯგუფის ფრაგმენტები.

პირველი ჯგუფი ხასიათდება უხეში და სქელკეციანი კერამიკით. მასზე არ შეინიშნება ორნამენტი და პირის დაჭდევა. ეს ნატეხები ეკუთვნოდა დიდი ზომის ჭურჭლებს, რომლებსაც ცეცხლზე ხმარების კვალი არა აქვს.

მეორე ჯგუფის ფრაგმენტები უფრო თხელკეციანია, მათი უმრავლესობა ორნამენტირებული და ქდეულპირიანია. გარედან მათ ემჩნევათ ცეცხლზე ხმარების კვალი, შიგნიდან კი — თხელი, შავი ნაწივი.

ამ ორი ჯგუფის თიხის ჭურჭლებს შორის დროში განსხვავება არ შეინიშნება. თიხის სტრუქტურა, ძერწვის ტექნიკა, ფორმები ძირითადად ერთნაირია.

36 М. В. Воеводский, К изучению гончарной техники первобытного коммунистического общества на территории лесной зоны европейской части РСФСР, СА, т. I, 1936, стр. 60.

37 ი. გძელიშვილი, ლ. ასათიანი, ი. ფიცხელაური, დასახ. ნაშრომი.

38 А. Лукас, Материалы и ремесленные производства древнего Египта, Москва, 1958, стр. 586.

აღნიშნული განსხვავება შეიძლება აიხსნას მხოლოდ ამ ნაკეთობების სხვადასხვა დანიშნულებით. საფიქრებელია, რომ პირველი ჯგუფის ჭურჭელი გამოიყენებოდა წყლისა ან საკვები მარაგის (ნანადირევისა თუ შემგროვებლობის პროდუქტების) შესანახად. ისინი გაცილებით უფრო დიდი ზომისა იყო, ვიდრე მეორე ჯგუფისანი. მას ორნამენტი არ უკეთებოდა. მეორე ჯგუფის ჭურჭელი კი ყოველდღიურად უნდა ყოფილიყო გამოყენებული.

დასავლეთ ამიერკავკასიის თიხის ნაკეთობების ცალკეული ნაწილების აღწერიდან ჩანს, რომ ისინი ბრტყელძირა, სწორკედლა, უყურო, პირგადაუშლელი, ქილისებური მოყვანილობის ჭურჭლებია, ზედაპირზე სუსტი გაპრიანების კვალით. აღნიშნული ნაკეთობები ხელითაა ნაძერწი. დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითურ ჭურჭლებს სრულიად ერთნაირი არქიტექტონიკა და დამზადების წესი ახასიათებდა. როგორც ჩანს, ეს ნიშნები მათთვის საერთოა. განსხვავება შეინიშნება მხოლოდ მათ ორნამენტში.

შრომის იარაღები დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითური ნამოსახლარების ერთერთი მთავარი ელემენტია. მათში უკვე მკაფიოდ ჩანს დაყოფა სამუშაოს სპეციფიკის მიხედვით. განსხვავება დამუშავების ტექნიკაში და ფორმებში შეიმჩნევა არა მარტო იარაღების ცალკეულ ჯგუფებს შორის, არამედ თვით ჯგუფის შიგნითაც. ყოველივე ეს იმაზე მიუთითებს, რომ ამა თუ იმ ჯგუფში კიდევ ხდებოდა იარაღების დიფერენციაცია სამუშაოს თავისებურების მიხედვით. შრომის იარაღების ჯგუფებს შორის მკვეთრი ზღვარის გავლება არ ხერხდება, რადგან ზოგჯერ ერთსა და იმავე იარაღს სხვადასხვა დანიშნულება ჰქონდა.

შრომის იარაღებიდან ნეოლითურ ნამოსახლარებზე ყველაზე ჭარბად გვხვდება შინამოხმარების იარაღები. მათში დიდი ადგილი უჭირავს საფხეკებს, დანებსა და სახერცტებს. ამ იარაღების ცალკეული სახეები წარმოდგენილია მრავალრიცხოვან სერიებად. აღნიშნული იარაღებით ხდებოდა ნანადირევის გატყავება, ნადავლის დანაწილება, ტყავების დაჭრა, გაფხეკა და გახერცტა. ტყავების დამუშავება საოჯახო ყოფის ერთერთი მთავარი საქმეთაგანი უნდა ყოფილიყო.

შინამოხმარების იარაღებიდან აღსანიშნავია ხელსაფქვავეები, სანაყები და სხვადასხვა ზომის სახეხ-სასრესები. პირდაპირი მითითება იმის შესახებ, თუ რა სახის პროდუქტი მუშავდებოდა ამ სანაყებისა და სახეხების საშუალებით, არ არსებობს. საფიქრებელია, რომ მათი საშუალებით ხდებოდა როგორც შემგროვებლობის, ასევე სამიწათმოქმედო პროდუქტების გადამუშავება. სახეხ-სასრესებით ცნობილია აგრეთვე მინერალური საღებავების გასრესვა-გალესვა.

დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითურ კომპლექსებში მრავლადაა სამიწათმოქმედო იარაღები. მაკროლითები მიწის დასამუშავებელ იარაღადაა მიჩნეული. წერაჭვისებური, სოლისებური და სახნისისებური მაკროლითები, ასევე გახეხილ-გაპრიანლებული სახნისისებური იარაღი დაკავშირებული უნდა ყოფილიყო მიწის დამუშავების სხვადასხვა პროცესთან — თხრასთან, გაფხვიერებასთან. კოლექციებში არის აგრეთვე რიყის ქვისაგან დამზადებული თოხისებური იარაღები. ძვლოვანი მასალის უქონლობის გამო ჭირს მსჯელობა რქისა და ძვლის სამიწათმოქმედო იარაღებზე. საგულისხმებელია, რომ ნეოლითულ ადამიანს ამგვარი იარაღებიც ჰქონდა.

გამოყენების კვალის მქონე სწორკუთხა ლამელები სამკელი დანების ჩასართებად უნდა მივიჩნიოთ. მსგავსი ლამელები ჩასმულია შომუ-თეფეში ნაპოვნ სამკელ დანაში³⁹. საფიქრებელია, რომ ამავე დანიშნულებით იყენებდნენ მოღუნულ დაკბილულ იარაღებსაც.

ხის დასამუშავებელ იარაღებს მიეკუთვნება გაპრიალე-ბული ცულები, სატეხ-სათლელები, კაქის ხერხები და შალაშინები. ცული საჩეხ-საპობი იარაღია. მის გარეშე ტყის პირობებში შეუძლებელი იყო რაიმე სამუშაოს შესრულება. მისი საშუალებით უნდა მომხდარიყო აგრეთვე სამიწათმოქმედო ნაკვეთების განთავისუფლება ტყეებისაგან. ზოგჯერ ალბათ თავდაცვის საშუალებადაც იყენებდნენ. სატეხ-სათლელების, ხერხებისა და შალაშინების საშუალებით ხდებოდა ხის შემდგომი დამუშავება — გათლა, გაჩორკ-ნა, ამოღარვა, ვახეხვა, გაშალაშინება. ხის დასამუშავებლად შესაძლოა საფეხეების ნაწილიც იყო გამოყენებული.

ს ა ნ ა დ ი რ ო - ს ა ბ რ ძ ო ლ ო ი ა რ ა ლ ე ბ ი. ფაუნისტური ნაშთების უქონლობის გამო შეუძლებელია ნადირობის ხასიათისა და მასშტაბის გარკვევა. ძნელია წარმოდგენა ვიქონიოთ მაშინდელ ცხოველთა სამყაროზე. ამის მიუხედავად უნდა ვიფიქროთ, რომ ნადირობას მნიშვნელოვანი როლი ენიჭებოდა ნეოლითელი ადამიანის ცხოვრებაში. ამას მოწმობს ამ სადგომებზე ნაპოვნი კაქისა და ობსიდიანის ისრისპირები. კომპლექსში სანადირო იარაღების სიმცირე ან საერთოდ არარსებობა უნდა აიხსნას ამ იარაღების სპეციფიკით. გამოყენებული ისრისპირები და შუბისპირები მონადირეს არ უბრუნდებოდა და იკარგებოდა. ამით არის გამოწვეული, რომ ისრისპირებს და შუბისპირებს ხშირად პოულობენ სადგომი ტერიტორიის გარეთ. ნამოსახლარებზე შეიძლება დარჩენილიყო მხოლოდ უვარგისი ან შემთხვევით დაკარგული ცალები. შურ-დულის ქვებიც სანადირო-საბრძოლო იარაღად უნდა მივიჩნიოთ.

იმის გამო, რომ გეომეტრიული მიკროლითების დანიშნულება სადღეისოდ გაურკვეველია, ჩვენ თავს ვიკავებთ მათი გაერთიანებისაგან იარაღების რომელიმე ჯგუფში.

მიკროლითების დანიშნულების შესახებ არქეოლოგიურ ლიტერატურაში არსებობს საკმაოდ აღიარებული მოსაზრება, რომლის თანახმად ისინი რთული იარაღების შემადგენელ ნაწილებად — ჩასართებადაა მიჩნეული. ისინი ძვლისა ან ხის ტარში მავრდებოდა ფისისმაგვარი ნივთიერებით. მეზოლით-ნეოლითის არაერთ ძეგლში ნაპოვნი ძვლის გვერდამოღარული წვეტანები, რომლებიც ჩასართების მოსათავსებელ ჩარჩოს უნდა წარმოადგენდეს.

სადავოა საკითხი, თუ რა დანიშნულების რთული იარაღების ჩასართებად ხმარობდნენ მათ.

ყველაზე გავრცელებული მოსაზრების თანახმად, მიკროლითებს სატყორცნი იარაღების დანიშნულებას მიაწერენ⁴⁰.

არქეოლოგი ს. ბიბიკოვი თვლის, რომ სატყორცნი იარაღების ჩასართე-

39 И. Г. Нариманов, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 282, სურ. 1.

40 M. et S. Tèquart, *La nécropole mésoolithique de Tevieg (Morbihan) L'Anthropologie XXXIX, N 5—6, გვ. 13.*

ბი ადიდებდნენ ნადირობის პროდუქტიულობას და იძლეოდნენ დაკარგული ნაწილების ადილად შეცვლის შესაძლებლობას⁴¹.

მეორე მოსაზრების თანახმად, გეომეტრიული მიკროლითები სამიწათმოქმედო დანიშნულების იარაღებად ითვლებოდა⁴².

ჰ, ჩაილდ ი აღნიშნავდა, რომ აღმოსავლეთ ევროპაში გეომეტრიული ფორმის მიკროლითების გავრცელება ემთხვევა სამიწათმოქმედო ძეგლების გავრცელებას⁴³.

როგორც ჩანს, მკვლევარების ერთი ნაწილი გეომეტრიულ მიკროლითებს მიაწერს სატყორცნი იარაღების დანიშნულებას, მეორე ნაწილი კი — სამიწათმოქმედოს.

სადღეისოდ კავკასიის ძეგლები ამ საკითხის გასაშუქებლად მასალას თითქმის არ იძლევა. ანგარიშგასაწევი უნდა იყოს ის ფაქტიც, რომ გეომეტრიული მიკროლითები ვითარდებიან იმ ძეგლებში, რომლებშიც დიდ როლს ასრულებს შემგროვებლობა და ნადირობა.

საფიქრებელია, რომ გეომეტრიული მიკროლითები ერთი გარკვეული სახის იარაღებს არ ეკუთვნოდნენ. სხვადასხვა მოყვანილობის გეომეტრიული მიკროლითების ხისა ან ძვლის ტარში განსხვავებული ზერხით ჩამაგრებას სხვადასხვა დანიშნულების იარაღი უნდა მოეცა.

დას. ამიერკავკასიის ნეოლითურ ნამოსახლარებზე დიდი რაოდენობითაა ნაპოვნი იარაღების დასამზადებელი იარაღები. ამ ჯგუფში შედის სხვადასხვა სახის რეტუზორები, შალაშინები, სპირიალებლები, საღესეები, გრდემლები, ჩაქუჩები, საჭრისები, სახვრეტები, დანები და ამოღარული საფხეკები. აღნიშნული ხელსაწყოებით ნეოლითელი ადამიანი ახდენდა იარაღის დასამზადებელი ნედლეულის როგორც პირველად, ისე მეორად დამუშავებას. ამ იარაღებში ყველაზე დიდი ადგილი უჭირავთ საჭრისებს, მათი ფორმების სხვადასხვაობა დაკავშირებული უნდა ყოფილიყო განსხვავებული სახის სამუშაოსთან. საჭრისების ძირითადი დანიშნულება მაგარი მასალის — ხის, ძვლის, რქის დამუშავება უნდა ყოფილიყო. ცხადია, გამორიცხული არ არის მათი ხმარება რბილ მასალაზეც. ცალმხრივი საჭრისების მეორე გვერდზე ხშირად შეიმჩნევა გამოყენების კვალი, რეტუში ან ამოღარვა, რაც ამ იარაღების სხვა დანიშნულებაზეც მეტყველებს.

საჭრისების სიმრავლე და ამოღარული საფხეკების არსებობა მიუთითებს იმაზე, რომ ნეოლითელი ადამიანის საქმიანობაში ძვლის დამუშავებას დიდი ადგილი უნდა სჭეროდა.

იარაღების დასამზადებელი იარაღების პოვნა სადგომზე და ასევე მრავალრიცხოვანი წარმოების ნარჩენები მოწმობს, რომ იარაღების დამზადება ნამოსახლარის ტერიტორიაზე ხდებოდა.

დასავლეთ ამიერკავკასიის ადრენეოლითური ძეგლების შესწავლამ გვიჩვენა, რომ ამ სადგომებზე ჯერჯერობით არა ჩანს მიწათმოქმედებისა და დამჯდარი მეურნეობის ნიშნები. სამეურნეო საქმიანობის შესახებ პირდაპირი მა-

41 С. Н. Библиков, Производственная роль костяного инвентаря в хозяйстве позднелептестических обществ Крыма, Уч. записки ЛГУ, серия ист. наук, вып. 13, 1949.

42 L. S. Leakey, The Stone age cultures of Keny colony, Cambridge, vos. XVII, 131.

43 Г. Чайлд, დასახ. ნაშრომი, გვ. 52.

სალის უქონლობის გამო გვიხდება ჯერჯერობით შეუმავრებელი ზოგიერთი ვარაუდის გამოთქმა. ერთერთი ვარაუდი ადრენეოლითური მეურნეობის შესახებ ზემოთ გვქონდა აღნიშნული.

ადრენეოლითურ სადგომებზე საფხეკების სიმრავლე მიუთითებს, რომ ტყავის დამუშავება საოჯახო მეურნეობის ერთერთი მთავარი საქმეთაგანი უნდა ყოფილიყო. საკრისების სიმრავლე ძვლის დამუშავების დიდ მნიშვნელობაზე უნდა მეტყველებდეს. გარკვეული როლი უნდა ჰქონოდა ადრენეოლითური ტომების მეურნეობაში ნადირობას და შემგროვებლობას.

გაცილებით მეტია მასალა გვიანნეოლითელი ტომების მეურნეობის დასახასიათებლად.

აღნიშნული ძეგლების შესწავლა გვიჩვენებს, რომ განვითარებულ ნეოლითში დასავლეთ ამიერკავკასიის ტერიტორიაზე ვითარდებოდა დამჯდარი სამიწათმოქმედო კულტურა.

დას. ამიერკავკასიაში განვითარებული ნეოლითის ხანაში მიწათმოქმედების წარმოშობაზე და განვითარებაზე მეტყველებს მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი შრომის იარაღები. ამ პერიოდის ნამოსახლარებზე აღმოჩენილია, როგორც მიწის დასამუშავებელი იარაღები (წერაქვისებური, სახნისისებური, სოლისებური მაკროლითები; თოხისებური და სახნისისებური გახეხილი იარაღები), ასევე სამკელი დანების ჩასართები (რეტუშირებული და დაკბილული ლამელები) და სამიწათმოქმედო პროდუქტების გადასამუშავებელი იარაღები (ხელსაფქვაევი, სანაყები, სახეხ-სასრესები).

გვიანნეოლითური ტომების მეურნეობის საფუძველი უნდა ყოფილიყო მიწათმოქმედება, თუმცა ჯერ კიდევ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა შემგროვებლობასა და ნადირობას, ზღვის სანაპიროზე (კისტრიკი) კი მეთევზეობას. ამ ნამოსახლარებზე უკვე გვაქვს უტყუარი მასალა (კერამიკა, სამიწათმოქმედო იარაღები), რომელიც დამჯდარ მეურნეობაზე მიუთითებს.

მეურნეობის ხასიათის ცვლილებაზე უნდა მიუთითებდეს გვიანნეოლითურ კომპლექსებში საფხეკების რაოდენობის შემცირება და ხარისხის გაუარესება. მიუხედავად იმისა, რომ ანასეული I-ისა და კინტრიშის კომპლექსები ბევრად უფრო მცირეა, ვიდრე გვიანნეოლითური (ანასეული II, ოდიში), მათში საფხეკები გაცილებით მეტია. ამასთანავე ისინი ხასიათდებიან დახვეწილი ფორმებით, ანასეულ I-ში საფხეკები მასალის საერთო რაოდენობის 3%-ია, კინტრიშზე — 4%, ანასეულ II-ში — 0,7%, ოდიშში კი 1,6%. გვიანნეოლითური საფხეკები გამოირჩევიან უხეში დამუშავებით და არატიპური ფორმებით. მოყვანილი შეფარდებიდან ჩანს, რომ გვიანნეოლითურ ნამოსახლარებზე საფხეკების რიცხვი და ხარისხი კლებულობს. საფიქრებელია, რომ ამ იარაღების ურთიერთშეფარდებაში მომხდარი ცვლილებები გაპირობებული იყო მეურნეობაში მომხდარი ძვრების — დამჯდარ ცხოვრებაზე გადასვლით და მიწათმოქმედების განვითარებით.

პირდაპირი მითითება მესაქონლეობის არსებობაზე არა გვაქვს. ერთადერთი ნეოლითური ძეგლი კავკასიაში, სადაც აღმოჩნდა ოსტეოლოგიური მასალა, არის კამენომოსტსკაიას მღვიმე. აქ დადასტურდა შინაური ცხოველების (ღორის, ცხვრის, ძაღლის) არსებობა. უნდა ვიფიქროთ, რომ მეურნეობის ეს დარგი უცხო არ იყო დას. ამიერკავკასიის ტომებისათვის.

დასავლეთ ამიერკავკასიის გვიანნეოლითური ტომების მეურნეობაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მეთუნეობას. ამ ნამოსახლარებზე მოპოვებული კერამიკა საკმაოდ განვითარებულია. მას უკვე ემჩნევა სუსტი გაპრიალების კვალი. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე ხის დამუშავებას.

ზემოთ მოყვანილი ფაქტები მოწმობს, რომ განვითარებულ ნეოლითში განხორციელდა გადასვლა მითვისებითი მეურნეობიდან მწარმოებლურ მეურნეობაზე. გვიანნეოლითში უკვე გვაქვს თვისობრივად ახალი მეურნეობა, რომლის წიაღში ჩაისახა და განვითარდა ყველა ის ნიშანი, რომლებიც შემდეგ ფართოდაა დამახასიათებელი სამიწათმოქმედო კულტურებისათვის.

დასკვნები

დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითური კულტურის შესწავლამ შესაძლებლობა მოგვცა გაგვეკეთებინა შემდეგი დასკვნები:

1) დასავლეთ ამიერკავკასიის ტერიტორიაზე ნეოლითის ხანაში გავრცელებული იყო ერთგვაროვანი და მეტად თავისებური ნეოლითური კულტურა, რომელიც განსხვავდებოდა მეზობელი ქვეყნების სინქრონული კულტურებისაგან (ჩრდ. კავკასია, წინა აზია, ყირიმი, სამხ. უკრაინა).

2) დასავლეთ ამიერკავკასიაში ადრენეოლითში ფართოდ განვითარებული შემგროვებლობის და ნადირობის ბაზაზე იქმნება საფუძველი მითვისებითი მეურნეობიდან მწარმოებლურ მეურნეობაზე გადასვლისათვის.

3) დასავლეთ ა/კავკასიის გვიანნეოლითში უკვე დასტურდება ახალი ეკონომიკის ნიშნები. გვიანნეოლითური ტომების მეურნეობის საფუძველი უნდა ყოფილიყო მიწათმოქმედება, თუმცა ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი როლი ენიჭებოდა შემგროვებლობასა და ნადირობას (ზღვისპირა მხარეში — მეთევზეობას).

4) ნეოლითური ტომების სამეურნეო საქმიანობაში დიდი ადგილი ეჭირა ხისა და ძვლის დამუშავებას, მეთუნეობას.

5) დას. ა/კავკასიის ნეოლითურ კულტურაში გამოიყოფა განვითარების ადრეული და გვიანი საფეხურები. გვიანი საფეხური, ადრეულისაგან განსხვავებით, ხასიათდება თვისობრივად ახალი ელემენტებით: კერამიკა, მაკროლითური ტექნიკა, „მოკოდვის“ ტექნიკა, „მცოცავი“ — წნევეითი რეტეში, ზურგათლილი მალაღი ტრაპეციები და სწორკუთხედები. არის აგრეთვე არასებებითი ახალი ნიშნებიც.

6) დას. ა/კავკასიის ერთგვაროვანი, გვიანნეოლითური კულტურის შიგნით გამოიყო ორი ლოკალური ვარიანტი. ერთი მათგანი მოიცავდა დღევანდელი გურიისა და სამეგრელოს ტერიტორიას (ანასეული II, გურიანთა, მამათი, ოდიში), მეორე კი აფხაზეთის ტერიტორიასა და ადღერის რაიონს (კისტრიკი, ნიჟნაია შილოვკა).

7) დას. ა/კავკასიის გვიანნეოლითური ძეგლები იგნეტიკურ კავშირს ავლენენ ამავე ტერიტორიის ადრენეოლითურ და მეზოლითურ ძეგლებთან.

